კატო მიქელაძე:
ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები

2013

კატო მიქელაძე: ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები

გამომცემელი: ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო
ავტორი: თამთა მელაშვილი

პუბლიკაციაში შესული მასალების შინაარსზე პასუხისმგებელი არის თავად ავტორი. მასში გამოთქმული მოსაზრებები არ არის აუცილებელი გამოხატავდეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის შეხედულებებს.

პუბლიკაცია იბეჭდება ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს ყოფილი სტიპენდიანტების მხარდამჭერი კონკურსის ფარგლებში.

ზოვრეთის ქ. 38. ქ. თბილისი, საქართველო
T +995 32 2380467/68, +995 32 2913739, F +995 32 291 28 97
info@ge.boell.org / www.ge.boell.org / www.facebook.com/hbf.caucasus

© ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო, 2013
თამთა მელაშვილი

ISBN: 978-9941-0-6201-8

სარჩევი

კატო მიქელაძე: ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები..... 11

პუბლიცისტიკა

სიტყვა თქმული კატო მიქელაძის მიერ
20 მარტს ქალთა საზოგადო კრებაზე ქ. ქუთაისში 26
ქალებო, შევერთდეთ! 32
ამიერკავკასიის ახალი მთავრობის პროგრამა 34
ქართველი ქალი დღევანდელს ოჯახში 36
დღევანდელი ქალთა მოძრაობა 40
ქ. ქუთაისის ქალებს 41
გაუმარჯოს სულით დემოკრატს! 42
სიდუმლო მტერნი 43
ქალი, როგორც მოქალაქე 45
რამოდენიმე სიტყვა ჩვენს უნუგეშო მდგომარეობაზე 47
დედრობითი სქესის შემოქმედება 49
ქალაქის არჩევნები 52
ქართველ ქალებს სცემენ და აუპატიურებენ 53
მიხედეთ სოფლად ქალებს 55
თანამედროვე სამართლის სამართლიანობა 57
საერთო ინტერესი თუ სქესური ეგოიზმი
ეწინააღმდეგება ქალთა ინტერესებს? 59
ქალებო, გამოფხიზლდით 62
ეს საქმე თქვენი ძმების ხელისაა 64
ქალებით ვაჭრობა 67
ამხანაგების საყურადღებოთ 69
ამხანაგებო და მოქალაქენო! 70
ქალები და პოლიტიკური პარტიები 72
კიდევ ერთი აღმაშფოთებელი ფაქტი 75
პარტიული მონები 77
იდეური მებრძოლნი 80
ქალი და დამფუძნებელი კრება 84
ქართველ ქალთა სწორუფლიანობა და ეროვნული სკოლა 86
მამაკაცების სულმოკლეობა და დედაკაცების კონსერვატიზმი 88
ორი მთავარი საკითხი 90
ჩვენ და პარტიული თუთიყუშები 92

ჩვენ და ეროვნული ყრილობა 95
ამიერკავკასიის სეიმი 99
ჩემი სიტყვა, რომლის წარმოთქმის უფლება არ მომცა ბ. აკ.
ჩხენკელმა ეროვნულ ყრილობაზე 20 ნოემბერს ქ. თბილისში 101
საქართველოს დამოუკიდებლობა 105
ქართველ ქალებს 107
ქალებო, დამფუძნებელი კრება ახლოვდება 110
საავტორო სვეტები 112
საუბარი მუშა ქალებთან 135
მიზეზი ქალთა მონობისა და ქალთა მოძრაობისა 145

სხვადასხვა

ქალთა კლუბის წესდება 182
ქუთაისის საერთო ქალთა პოლიტიკური კლუბის პროგრამა 184
პროგრამა ქუთაისის ინტერპარტიული ქალთა ლიგისა 187
რედაქციისგან 190
მოქალაქენო! 191
რას მოვითხოვთ ჩვენ 194
რა არის კონსტიტუცია 196
მოწოდება 197
სალამი აღდგენილ ქართველ ქალს 198
ქალთა მანიფესტაცია 199
ქალთა ყრილობა 201
მოწოდება 203
კავშირი ქალთა დემოკრატიულ ორგანიზაციებისა 204
რა მნიშვნელობა აქვს საყოველთაო თანასწორი,
პირდაპირი და ფარული ხმის მიცემას 205
ჩვენი გაზეთი 206
ქალები იუსტიციის სამინისტროში 209
ქ. სამტრედია 211
მოქალაქე რდაქტორო 214
წერილი სამტრედიიდან 216
როგორ სდევნიდნენ წინად ქალს და როგორ სდევნიან ახლა 218
არა, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვართ ადამიანები! 219
ცრუ სახელწოდება 222
ამხანაგებო და მოქალაქენო 224
პარტიული მტაცებლები 226

პატივი ეცით ქალის ნიჭს 228
ღია წერილი 230
ქალები ნაფიც მსაჯულთა კრებიდან გამორიცხეს 232
სიტყვა თქმული მარიამ ანჩაბაძის მიერ ქ. თბილისში
საკათალიკოსო კრებაზე 15 სექტემბერს, 1917 წელი 233
არ შეიძლება დუმილი! 235
სიხარბე თუ ხალხის სიყვარული? 237
სიმართლის გზისკენ 239
ყოფილი ქუთაისის ქალთა საზოგადოების გამო 241
რედაქციისგან 242

ლექსები

N-ს 247
სული პრუდომიდან 248
შორს უცხოეთში 249
ი. ჭავჭავაძის დასაფლავებას 251
*** 252
N-ს 253
გრ. როფაქიძეს 254
*** 255
საყვედური ძმებს 256
ნ-ს 257
*** 258
*** 259
საფო მგელაძის ხსოვნას 260

პირადი წერილები

ეკატერინე მელიქიშვილს 267
ეკატერინე მელიქიშვილს 271
ეკატერინე მელიქიშვილს 273
ეკატერინე გაბაშვილს 275
ეკატერინე გაბაშვილს 278
ნინო ნაკაშიძეს 280

განმარტებები 283

მადლობას ვუხდი ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალურ ბიუროს, რომელმაც ყოფილი სტიპენდიანტებისთვის გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში (2013 წელი) საშუალება მომცა მემუშავა კატო მიქელაძის ნაშრომთა პუბლიკაციაზე და ამ წიგნის სახით შემეთავაზებინა იგი მკითხველთა ფართო წრისათვის. კატო მიქელაძე ჩემთვის, როგორც ფემინისტისთვის, დიდხანს დარჩება არაჩვეულებრივ მაგალითად და შთაგონების წყაროდ ქალთა პოლიტიკური აქტივიზმის და თანასწორობისთვის ბრძოლის საქმეში.

წიგნზე მუშაობის პროცესში გაწეული დახმარებისთვის გულწრფელ მადლობას ვუხდი ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს თანამშრომელს ეკა წერეთელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ფილოსოფოსს თამარ ცხადაძეს, ფილოლოგსა და აღმოსავლეთმცოდნეს თამარ პატარიძეს, გენდერის მკვლევარს გალინა იარმანოვას, აქტივისტს ნინო გამისონიას, საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლებს მარინე ყიფიანს და თამარ კაპანაძეს და ამავე მუზეუმის დირექტორს ლაშა ბაქრაძეს, ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომელს ლია რუსაძეს, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის თანამშრომელს ციცინო მუმლაძეს.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ხატია მელაშვილს, ჩემს დას და მეგობარს, მხარში დგომისა და იმ დიდი წვლილისათვის, რომელიც მან ამ წიგნის შედგენაში შეიტანა.

და ბოლოს, მადლობა ქალთა ფონდსა და მეხსიერების კვლევის ცენტრ „ტასოს“, რომელმაც თავისი პუბლიკაციით „საკუთარი ოთახი“ (2008) კატო მიქელაძე აღმომაჩენინა.

წინასიტყვაობა

საქართველოს ისტორიაში, ისევე როგორც ზოგადად, მსოფლიო ისტორიოგრაფიაში ქალის ხმა დაკარგულია. ეს წიგნი წარმოადგენს ერთგვარ ძალისხმევას, გაუმკლავდეს დომინანტურ ისტორიულ დისკურსს და ფემინისტური პერსპექტივიდან აჩვენოს საქართველოს უახლესი ისტორიის წარსული, როდესაც ქალები ცდილობდნენ მნიშვნელოვანი როლი ეთამაშათ ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ფაქტი, რომ მოცემული პუბლიკაციით მკითხველი არა მხოლოდ საზოგადო მოღვაწეს და პუბლიცისტს, არამედ ფემინისტსაც გაეცნობა, ორმაგად მნიშვნელოვანს ხდის წარმოვადგინოთ კატო მიქალაძე, როგორც ისტორიის სუბიექტი, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი არა მხოლოდ დავიწყებული, არამედ სიცოცხლეშივე იქნა უარყოფილი.

ეს პირველი მცდელობაა, ერთად მოვუყაროთ თავი კატო მიქელაძის მრავალმხრივ და მრავალფეროვან შემოქმედებას, რაც ასევე საშუალებას გვაძლევს ფემინისტური პერსპექტივიდან შევხედოთ კონკრეტულ ისტორიულ კონტექსტს და ვიცოდეთ იმ მემკვიდრეობის შესახებ, რომელიც კატო მიქელაძემ დაგვიტოვა.

მოცემულ პუბლიკაციაში შესულია მხოლოდ ის მასალა, რომელიც დღემდე შემორჩენილი და ხელმისაწვდომია, რაც კატო მიქელაძის შემოქმედების მხოლოდ ნაწილს წარმოადგენს. წიგნი ძირითადად ეთმობა ფემინისტურ პუბლიცისტიკას, რომელიც მის მიერვე დაარსებულ გაზეთში, „ხმა ქართველი ქალისა" (1917-1918) ქვეყნდებოდა. გარდა მიქელაძის სტატიებისა, წიგნში ასევე ნახავთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გაზეთში გამოქვეყნებულ სხვადასხვა ავტორის სტატიებს, რომელიც მაშინდელ ისტორიულ კონტექსტს ასახავს და მას აქამდე უცნობი, ფემინისტური პერსპექტივიდან გვაჩვენებს.

ვიმედოვნებ, რომ ეს წიგნი ხელს შეუწყობს კატო მიქელაძის პოპულარიზაციას, მისი სახელი გასცდება ვიწრო აკადემიური წრეების ფარგლებს, ხოლო ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები კარგად ნაცნობი და ახლობელი გახდება ფართო საზოგადოებისთვის.

თამთა მელაშვილი

კატო მიქელაძე:
ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები



კატო მიქელაძე

კატო მიქელაძე – ცხოვრების გზა

კატო მიქელაძე 1877 წლის 1 ნოემბერს ქუთაისის მაზრაში, სოფელ კულაშში დაიბადა. 1939 წელს დაწერილ ავტობიოგრაფიაში[1] მამას მიქელაძე რიგით, უდარდელ, ოჯახზე და ქონებაზე ნაკლებად მზრუნველ თავადიშვილად მოიხსენიებს. კატოს დედა ადრე გარდაეცვალა. მას, როგორც თავად წერს, „დედის მაგიერობა" ნათლიამ – ბარბარე გაბუნიამ გაუწია. სამი წლიდან დაბა სუჯუნაში კატოს სწორედ ბარბარე გაბუნია ზრდიდა. მისი ინიციატივით წავიდა კატო ქუთაისის ქალთა გიმნაზიაში. გამზრდელის გარდაცვალების შემდეგ იგი იძულებული გახდა გიმნაზია ოთხი კლასის დასრულების შემდგომ დაეტოვებინა და საცხოვრებლად ნათესავებთან გადასულიყო.

იმავე ავტობიოგრაფიაში მიქელაძე აღნიშნავს, რომ ძალიან უნდოდა სწავლა და დამოუკიდებელი ცხოვრება, საამისოდ კი ხელს არაფერი უწყობდა. 1899 წელს, რადგან, ასაკის გამო, სწავლის გაგრძელების სხვა საშუალება არ ჰქონდა, კატო თბილისში სამეანო კურსებზე შევიდა, რომელიც ორი წლის შემდეგ დაამთავრა. მალევე მუშაობა დაბა ცხინვალში დაიწყო, სადაც 1903 წლის სექტემბრამდე ცხოვრობდა.

1900 წლიდან კატო უკვე ბეჭდავდა ლექსებს ჟურნალ „კვალში" და არალეგალურ გაზეთ „ბრძოლაში", რომელსაც რევოლუციონერი ლადო კეცხოველი ხელმძღვანელობდა. შეიძლება ითქვას, რომ მიქელაძის საზოგადოებრივი აქტივიზმი სწორედ ცხინვალში დაიწყო. „ვკითხულობდი სოფლად ლექციებს, თუ როგორ მოევლოთ ქალებს თავისთვის მშობიარობის დროს. ვმართავდი წარმოდგენებს უღარიბეს სტუდენტთა სასარგებლოთ, გადამწვარ ებრაელთა ოჯახებისთვის, რომლებიც ცეცხლმა 1902 წელს გაანადგურა. ვაწყობდი სცენის მოყვარეთა დასს, თეატრსა და ბიბლიოთეკას[2]". ამავე პერიოდში მესამე დასელებს დაუახლოვდა და არალეგალურ რევოლუციონერულ საქმიანობაში ჩაერთო. კატო ძირითადად აკრძალული ლიტერატურის გავრცელებით იყო დაკავებული. 1903 წელს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" რეკომენდაციით მიქელაძე მოსკოვში გაემგზავრა ახლადგახსნილ პედაგოგიურ კურსებზე სასწავლებლად და 1905-1906 წლების რევოლუციურ მოძრაობაში ჩაერთო. პოსტრევოლუციური რეაქციის პირობებში მიქელაძის საქმიანობა არ დარჩენილა შეუმჩნეველი. 1906 წელს კატო იძულებული გახდა რუსეთი დაეტოვებინა და შვეიცარიაში გადასულიყო, რაშიც მოსკოვში მცხოვრები მეცენატი და მთარგმნელი სოფიო ამირაჯიბი დაეხმარა.

---

1 კატო მიქელაძე, ავტობიოგრაფია, 1939 წ. გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, კატო მიქელაძის არქივი, #1012.

2 იქვე.

შვეიცარიაში მიქელაძემ 1907 წლის ბოლომდე დაჰყო. ამ დროს მისი ჯანმრთელობა უკვე საგრძნობლად შეირყა. ცხოვრობდა მძიმე პირობებში, ამირაჯიბის ფინანსური დახმარებით. სოფიოს უცაბედი გარდაცვალება კატომ მძიმედ განიცადა. გარდა ფინანსური მხარდაჭერისა, კატოს მასთან მეგობრობა და ემოციური სიახლოვეც აკავშირებდა. ამირაჯიბის გარდაცვალების შემდეგ ჟენევაში ცხოვრებისას კატომ დახმარებისთვის ქართველ მეცენატს, ზუბალაშვილს მიმართა. მისი მხარდაჭერით კატო პარიზში გაემგზავრა, სადაც სამი წელი დაჰყო. შემდგომში მიქელაძე პარიზში გატარებულ წლებს ცხოვრების საუკეთესო პერიოდად იხსენებდა. პირველად სწორედ პარიზში გაეცნო ქალთა პოლიტიკური და სამოქალაქო აქტივიზმის ევროპულ გამოცდილებას.

პარიზში შეხვდა კატო მიქელაძე აკაკი წერეთელსაც. წერეთელი მიქელაძეს მის პატარა, ნაქირავებ ბინაში ესტუმრა. მოგვიანებით, 1930-იან წლებში მიქელაძემ არაერთი მოგონება მიუძღვნა აკაკი წერეთელს[3], სადაც იგი განსაკუთრებულად ხაზს უსვამდა 1909 წელს კაფე ვოლტერში ქართველ სტუდენტებთან შეხვედრის დეტალებს. სტუდენტების სახელით იქ სიტყვით კატო მიქელაძე გამოვიდა. წერეთელმა კატო განსაკუთრებულად შეაქო მისი ორატორული ნიჭის გამო.

1910 წელს მიქელაძეს დაენიშნა სტიპენდია რუსი მეცენატის, ეკატერინე სკარჟინსკაიასგან. 1911 წელს მიქელაძე ბრიუსელის ახალ უნივერსიტეტში, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ბრიუსელში სწავლისას კატო საფუძვლიანად გაეცნო მაშინდელ ევროპაში არსებულ პოპულარულ თეორიულ მიმდინარეობებს, განსაკუთრებით კი ფემინიზმითა და მარქსიზმით დაინტერესდა. ევროპაში მიქელაძე ხელმოკლედ ცხოვრობდა, მთლიანად იყო დამოკიდებული მეცენატთა ფინანსურ მხარდაჭერაზე. 1914 წელს უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ კატო საქართველოში დაბრუნდა.

შეძენილი ცოდნისა და ევროპული გამოცდილების საფუძველზე, კატო ჩამოსვლისთანავე შეუდგა ფემინისტურ აქტივიზმს, ქალის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებისთვის ბრძოლას და თანამოაზრეების შემოკრებას. 1916 წლიდან იგი უკვე ქუთაისში კითხულობდა საჯარო ლექციებს ქალთა მდგომარეობაზე[4]. სავარაუდოდ, ამავე ხანებში დაარსდებოდა ქუთაისის ქალთა კლუბი. გარდა ამისა, შემორჩენილია ქუთაისის გუბერნატორის მიერ 1916 წლით დათარიღებული ნებართვა, რომელიც კატო მიქელაძეს უფლე-

3 კატო მიქელაძე, აკაკი პარიზში, 1938 წ. გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, კატო მიქელაძის არქივი, #20300-6.

4 იასონ ბაქრაძის წერილი გიორგი ზდანოვიჩს. 21 მარტი, 1916 წ. ქუთაისის ისტორიული მუზეუმის არქივი. #6416/1974.

ბას აძლევდა, ლექციები წაეკითხა ხონში, სამტრედიაში, სენაკში, აბაშაში, საჩხერეში, ბახმაროში, ზუგდიდში, ცაგერსა და ლანჩხუთში.

მიქელაძის ლექციები ქალთა ემანსიპაციის საკითხებზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა, რასაც საკითხის ღრმა ცოდნასა და საფუძვლიან ანალიზთან ერთად, მისი არაჩვეულებრივი ორატორული შესაძლებლობებიც უწყობდა ხელს. მწერალი და საზოგადო მოღვაწე, კატო მიქელაძის თანამედროვე, მარიამ გარიყული თავის მოგონებებში წერს: „ჯერ კიდევ თებერვლის რევოლუციამდე, ერთ დღეს გავიგე ქუთაისის თეატრში ქალების კრებააო. მაშინვე წავედი თეატრში... ჭრელი ხალხი შეკრებილიყო ყოველი წოდების, ყოველი ხარისხის, კლასის და ეროვნების ქალები მოსულიყვნენ. აქა-იქ თუ შეამჩნევდა თვალი მამაკაცს. კრებაზე სიტყვით გამოვიდა კატო მიქელაძე, გადაისვა ხელი უკვე შეჭაღარავებულ თმებზე, გონიერებით სავსე თვალები მიმოავლო თეატრს და აუღელვებლივ, დინჯად დაიწყო. ლაპარაკის კილოში ფრანგული აქცენტის გავლენა ეტყობოდა... ერთობ მიმზიდველი სახე ჰქონდა კატოს საუბრის დროს. იმ კრებაზე კატომ ფრიად შესანიშნავად ილაპარაკა. საუკუნეებით იჩაგრებოდნენ ქალები, თქვა მან, ქალი მოკლებულია ბევრ იმ უფლებას, რაც მამაკაცს აქვს მინიჭებული[5]“.

ქალთა კლუბის დაარსებიდან მალევე, 1917 წლის თებერვალში კატოს რედაქტორობით საქართველოში პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ფემინისტური გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“ გამოიცა. გაზეთმა 1918 წლის სექტემბრამდე იარსება.

პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მყიფე პოლიტიკური და ეკონომიკური კონტექსტის პირობებში, მიქელაძე, როგორც ჩანს, იძულებული გახდა, შეენელებინა ფემინისტური აქტივიზმი და უკიდურესი ფინანსური გაჭირვების პირობებში ისევ მასწავლებლად დაეწყო მუშაობა, ამჯერად გუდაუთაში, სადაც იყო ქართული სკოლის გამგეც. 1920 წელს მასწავლებლად მუშაობდა სიღნაღში. 1921 წლიდან საცხოვრებლად საბოლოოდ გადავიდა თბილისში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან ერთად, რომელმაც აღგავა ყველა სახის სამოქალაქო ინიციატივა და აქტივიზმი, კატო მიქელაძე მეტ წნეხსა და ჩარჩოებში მოექცა. მით უმეტეს, მაშინ, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ ქალთა საკითხის „მოგვარება“ თავად აიღო საკუთარ თავზე და ამ კუთხით მიმართული ყველა აქტივობა ნომენკლატურის მიერ მართულ საქმიანობად აქცია, ხოლო ფემინიზმი დასავლეთიდან იმპორტირებულ ბურჟუაზიულ სენად მონათლა. „1921 წლიდან მე ხელოვნურად დამამუნჯეს[6]“, –

5 მარიამ გარიყული, განელილი გზა. მოგონებანი (საბჭოთა მწერალი, თბილისი, 1949).

6 კატო მიქელაძე, ავტობიოგრაფია, 1939 წ. გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, კატო მიქელაძის არქივი, #1012.

წერს კატო მიქელაძე. ქართველი ფემინისტის ეს სიტყვები სრულყოფილად გადმოსცემს იმ მდგომარეობას, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება მაშინდელი საზოგადოებრივად და პოლიტიკურად აქტიური ადამიანებისთვის მიზანმიმართულად ქმნიდა.

1920-იანი წლების დასაწყისიდან კატო მიქელაძემ ლიტერატურულ საქმიანობას მიჰყო ხელი. საბჭოთა ტოტალიტარული იდეოლოგიური წნეხის ზრდა, რომელიც, პირველ რიგში, პოლიტიკურად და შემოქმედებითად აქტიურ ადამიანებზე აისახა, სისტემისადმი იმ ნაძალადევ კონტრიბუციაში გამოიხატა, რაც ამ ადამიანებს თუნდაც ფიზიკური გადარჩენისთვის უნდა ეკეთებინათ. ხარკის გაღება კატო მიქელაძესაც მოუწია კომუნისტური პარტიისადმი და საბჭოთა ბელადებისადმი მიძღვნილი რამდენიმე ლექსით.

30-იანი წლების დასაწყისში მიქელაძე მუშაობდა ცენტრალურ არქივში და რევოლუციის მუზეუმში. მოგვიანებით გაწევრიანდა მწერალთა კავშირშიც. ხანგრძლივი ავადმყოფობისა და ჯანმრთელობის გაუარესების გამო 1932 წლიდან პენსია დაენიშნა. მისი ფინანსური მდგომარეობა განსაკუთრებით გაუარესდა 1940-იანი წლების დასაწყისში. ხანშიშესული მიქელაძე ამ დროს ფრანგულის კერძო გაკვეთილებით ირჩენდა თავს. კატო მიქელაძე 1943 წლის 1 იანვარს გარდაიცვალა. როგორც მისი მეგობარი და მწერალი გიორგი ქავთარაძე წერს, დაკრძალვას მხოლოდ რამდენიმე ადამიანი, ახლო მეგობარი დაესწრო[7]. კატო მიქელაძის საფლავი დაიკარგა, სახელი კი დავიწყებას მიეცა. საბჭოთა ისტორიოგრაფიამ მიქელაძის ფემინისტური აქტივიზმი მთლიანად უარყო, მისი კატეგორიზება კი პოეტ ქალად მოახდინა.

კატო მიქელაძე – ქართული ფემინიზმის სათავეებთან

მე-19 საუკუნის ბოლოდან ევროპაში გაჩაღებულმა ქალთა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ გამოძახილი საქართველოშიც ჰპოვა. განმათავისუფლებელი იდეები იმ დროს ძირითადად ევროპაში განათლებამიღებულ ქალებს შემოჰქონდათ, რომლებიც თავიანთი ცხოვრებისა და ბრძოლის მთავარ მიზანს ქალთა ემანსიპაციაში ხედავდნენ და რომლებიც მეტ-ნაკლებად რევოლუციურ აქტივიზმშიც იყვნენ ჩართულნი. მათ შორის იყო კატო მიქელაძეც, თუმცა, უმრავლესობისგან განსხვავებით, ის არა მხოლოდ საგანმანათლებლო მოძრაობაზე ყოფილა ორიენტირებული, არამედ სუფრაჟისტულ ბრძოლასაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა[8] და ქალთა

7 გიორგი ქავთარაძე, მოგონება, 1959. გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, კატო მიქელაძის არქივი, #25347.

8 ლელა გაფრინდაშვილი, ქართული ფემინიზმი თუ ფემინიზმი, ევროპული იდეების ისტორია და ქართული კულტურა (სერია „ევროპული ძიებანი" ESI/CTC, თბილისი, 2008),197.

პოლიტიკური გააქტიურების მომხრე იყო. მიქელაძე ფიქრობდა, რომ 1917 წლის რევოლუციის შემდგომი პოლიტიკური კონტექსტი ძალიან უწყობდა ხელს ქალთა პოლიტიკური მოთხოვნების წინ წამოწევას. ქართველი ფემინისტი იმედოვნებდა, რომ სისტემური ცვლილებების პირობებში ქალებს მეტი გასაქანი და შესაძლებლობა გაუჩნდებოდათ, საქართველოს გათავისუფლებასთან ერთად კი ქართველი ქალის გათავისუფლებაც მოხდებოდა, ქალებს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლის მეტი შანსი მიეცემოდათ. თუმცა, მიქელაძეს ჯერ რევოლუციისგან, მოგვიანებით კი დემოკრატიული რესპუბლიკისგან იმედები მალევე გაუცრუვდა. როგორც სხვა შემთხვევებშიც მომხდარა, აღმოჩნდა, რომ ნაციონალისტურ, პატრიარქალური ძალაუფლებრივი სტრუქტურების მიერ განხორციელებულ პროექტებში ქალს, როგორც პოლიტიკურ სუბიექტს, ადგილი არ აქვს, ქალთა ემანსიპაციის საკითხი კი აქტუალური არ არის. ამ მხრივ, მიქელაძეს სამართლიანი კრიტიკა არ დაუკლია არცერთი ძალაუფლებრივი სტრუქტურისთვის, მათ შორის, არც დამფუძნებელი კრებისთვის, სადაც მას პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურებმა სიტყვის თქმის საშუალებაც კი არ მისცეს[9].

აღსანიშნავია, რომ ქართველი ფემინისტის შეხედულებები მჭიდროდ უკავშირდებოდა და ასახავდა მაშინდელი საერთაშორისო ფემინისტური მოძრაობების იდეებს, მაგრამ ადგილობრივი პოლიტიკური და ეკონომიკური კონტექსტების გათვალისწინებით. მიქელაძეს არცერთი დასავლური იდეა ბრმად არ გადმოუტანია საქართველოს სინამდვილეზე, არამედ სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე ის ეფექტურად არგებდა უნივერსალურ ფემინისტურ ღირებულებებს ადგილობრივ კონტექსტს, რომელსაც ძალიან კარგად იცნობდა და ითვალისწინებდა.

¡ მის საფუძვლიან თეორიულ ცოდნაზე მოწმობს სტატია „მიზეზი ქალთა მონობისა და მოძრაობისა“, სადაც მიქელაძე პატრიარქატისა და კაპიტალიზმის, როგორც მჩაგვრელი სისტემების კრიტიკას გვთავაზობს, უარყოფს ქალთა დაქვემდებარებული მდგომარეობის ბიოლოგიურ ახსნებს და ეჭქვქვეშ აყენებს მაშინდელ პოზიტივისტურ თეორიებს ქალისა და მამაკაცის შესახებ. მართალია, მაშინ არ არსებობდა გენდერული კვლევები, როგორც მეცნიერება, თუმცა გენდერის ქმნადობა, დომინანტური მასკულინური და ფემინური პატერნების კრიტიკა, ძალაუფლების გადანაწილების ანალიზი და მამაკაცთა პრივილეგიების მხილება მისთვის წარმმართველი იდეები იყო. მიქელაძე ასევე აქტიურად აკრიტიკებდა მილიტარიზმს და მას პატრი-

9 ჩვენ და ეროვნული ყრილობა, „ხმა ქართველი ქალისა“ #32, 1917.

არქალური სამყაროს განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდა. ძალაუფლებისადმი წყურვილსა და იდეებისადმი ღალატში კი ერთნაირად სდებდა ბრალს ბოლშევიკებსაც და მენშევიკებსაც.

მიქელაძეს საფუძვლიანად ჰქონდა გააზრებული ის ძირითადი საკითხები, რისი საშუალებითაც საქართველოში ქალთა ემანსიპაცია და, როგორც თავად ამბობდა, „სწორუფლიანობის" მიღწევა შესაძლებელი გახდებოდა. პირველ რიგში, იგი მოითხოვდა კანონით განმტკიცებულ და დაცულ თანასწორობას, რაც ქალთა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში რეალურად აისახებოდა. აქტიურად ლობირებდა პოლიტიკაში ქალთა ჩართვის იდეას ქალის პოლიტიკური უფლების ხაზგასმით – აერჩია და ყოფილიყო არჩეული. გარდა ამისა, საუბრობდა „სპეციალურ დედაკაცურ ინტერესზე", რომლის განხორციელება მხოლოდ პოლიტიკაში ქალთა ჩართულობით გახდებოდა შესაძლებელი. მიქელაძეს კონკრეტული მოთხოვნები ჰქონდა დამფუძნებელი კრებისადმი განათლების, ანაზღაურების, მემკვიდრეობის, პოლიტიკური მონაწილეობის თანაბარი ხელმისაწვდომობის შესახებ. თვლიდა, რომ ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა, რომელსაც ბევრი ბარიერი ელობებოდა, ყველა დონეზე უნდა წაეხალისებინა სახელმწიფოს. ქალთა პოლიტიკური გააქტიურებისთვის კი მან კონკრეტული ნაბიჯი გადადგა: მის მიერ დაარსებული ქუთაისის ქალთა კლუბი, რომელიც შემდგომში ქალთა საერთო პოლიტიკურ კლუბად, ხოლო მოგვიანებით ინტერპარტიულ ლიგად გადაკეთდა, სწორედ იმ „საამქროდ" უნდა ქცეულიყო, რომელიც ქალებს პოლიტიკაში მისასვლელად გზას გაუხსნიდა და პოლიტიკური კარიერისთვის მოამზადებდა. ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობას ადგილობრივი მმართველობის დონეზე მიქელაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, განიხილავდა, თუ რატომ იყო ქალის ეკონომიკური გაძლიერება ოჯახის კეთილდღეობასთან, ოჯახის კეთილდღეობა კი ქვეყნის საერთო კეთილდღეობასთან პირდაპირ კავშირში. ამიტომ, ქონების განკარგვის თანასწორ უფლებას იგი ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მიიჩნევდა. მისთვის პრიორიტეტული იყო ქალთა დასაქმების საკითხებიც. ამ მხრივ ქალთა უსამართლო ჩაგვრას მან არაერთი საგაზეთო სტატია თუ საჯარო ლექცია მიუძღვნა.

კატო მიქელაძემ შეძლო, უთანასწორობის პრობლემა კლასობრივ განსხვავებებთანაც დაეკავშირებინა. თვლიდა, რომ მიუხედავად კლასობრივი სხვაობისა, მუშა და ბურჟუა ქალებს ჩაგვრის ერთი უღელი ადგათ, ამიტომ ისინი უნდა გაერთიანებულიყვნენ. მიქელაძის ყურადღების ქვეშ არაერთხელ მოექცა პროსტიტუციის თემაც, რომელსაც იგი ქალის სისტემურ ჩაგვრას და ეკონომიკურ სიდუხჭირეს უკავშირებდა. მიქელაძე პიესის ავტორიცაა, სადაც მთავარი გმირი მაგდა, რომელიც პროსტიტუციით ირჩენ-

და თავს, მიუხედავად ახალი ცხოვრების დაწყების მცდელობისა, წარსულის „დაღის" მოშორებას ვერ ახერხებს.

მიქელაძე ასევე საუბრობდა განათლების რეფორმირებასა და მასწავლებელთა გადამზადების აუცილებლობაზე, რათა აღარ გაგრძელებულიყო გენდერული სტერეოტიპების მომავალ თაობებში რეპროდუქცია.

გარდა ამისა, ის აბსოლუტურ აუცილებლობად მიიჩნევდა განათლების ერთნაირ პირობებს ქალებისა და მამაკაცებისთვის, რაც იქნებოდა კიდეც ძირითადი ბაზისი ქალთა და მამაკაცთა სწორუფლიანობისა. სჯეროდა, რომ გენდერული თანასწორობა ახალი ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის საფუძველი იყო.

კატო მიქელაძეს ძალიან აწუხებდა საქართველოს მოქალაქეებში გაბატონებული ტოტალური ნიჰილიზმი არა მხოლოდ თანასწორობის, არამედ თავად ქვეყნის დამოუკიდებლობის მიმართაც. მიუხედავად უშრეტი ენთუზიაზმისა და თავდადებული შრომისა, მან ბევრი მხარდამჭერის მოპოვება ვერ შეძლო. ეს, სავარაუდოდ, ნაწილობრივ მისმა რადიკალურობამ განაპირობა. მისი მსოფლმხედველობა, არათუ მაშინ, დღესაც კი, შეიძლება მიუღებელი იყოს ბევრისთვის. გასათვალისწინებელია მაშინდელი კონტექსტიც: მე-20 საუკუნის 10-იან წლებში – პოლიტიკური და ეკონომიკური ტურბულენტობის პირობებში, აქცენტი გადარჩენაზე იყო და არა განვითარებაზე, განათლება ბევრი ქალისთვის არ იყო ხელმისაწვდომი და შანსები ქალთა მობილიზაციისთვის მცირე იყო.

საბჭოთა ხელისუფლებამ მიქელაძე, როგორც ფემინისტი და აქტივისტი, სრულიად უარყო. მიუხედავად ამისა, ის ცხოვრების ბოლომდე დარჩა თავისი ფემინისტური ღირებულებების ერთგული. 1930-იან წლებში, უკიდურესი რეპრესიების ხანაშიც კი, მიქელაძე თანამოაზრეების მოძებნას, მწერალთა კავშირში ახალგაზრდა ქალთა გააქტიურებას და წინ წამოწევას ცდილობდა[10].

მიქელაძის რადიკალიზმი ბევრ მის თანამედროვეს აღიზიანებდა. 1920-იან წლებში მიქელაძე ცისფერყანწელებს დაუპირისპირდა. მათ შემოქმედებას ხშირად აკრიტიკებდა და თვლიდა, რომ ცისფერყანწელებისთვის ქალი მხოლოდ ფალოცენტრული ვნების ობიექტი იყო არსებობის მხოლოდ ორი ვარიანტით – „უმეტყველო მატრონად ან გეტერად". როგორც მისი თანამედროვეები იხსენებენ, მიქელაძე ქალთა პრობლემებზე და სხვა აქტუალურ საკითხებზე ხშირად კამათობდა თავის თანამედროვეებთან[11],

10 იხ. წერილი ნინო ნაკაშიძისადმი, 24.02.1936.

11 გიორგი ქავთარაძე, მოგონება, 1959. გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, კატო მიქელაძის არქივი, #25347.

მათ შორის, ივანე ჯავახიშვილთან, ნიკო მართან, კონსტანტინე გამსახურდიასთან.

სიცოცხლის ბოლო წლებში კატო მიქელაძე ძირითადად მონოგრაფიებზე მუშაობდა. წერდა ქალთა სახეების შესახებ „ვეფხისტყაოსანში", მუშაობდა „მთვარის მოტაცების" კრიტიკულ მიმოხილვაზე, ასევე ქართულ მითოლოგიაზე. „ხმა ქართველი ქალისა" და მისი ფემინისტური პუბლიცისტიკა კი მის სიცოცხლეშივე მიეცა დავიწყებას.

„ხმა ქართველი ქალისა" – ფემინიზმის ხმა საქართველოში

ყოველკვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთის „ხმა ქართველი ქალისა" პირველი ნომერი 1917 წლის 5 აპრილს გამოვიდა. გაზეთის გამომცემელი ქუთაისის ქალთა კლუბი, ხოლო რედაქტორი – კატო მიქელაძე გახლდათ.

გაზეთის პირველსავე ნომერში ნათლად იყო ჩამოყალიბებული გამოცემის დანიშნულება და მისია, რედაქტორისა და მისი თანამოაზრეების მოთხოვნები და პოზიციები. გაზეთი დეკლარირებულად ფემინისტური და ექსპლიციტურად უპარტიო იყო, თუმცა ხშირად სდებდნენ ბრალს სუბიექტურობაში, განსაკუთრებით კატო მიქელაძეს, რომელიც არსებული პარტიებიდან ყველაზე მეტ სიმპათიას სოციალისტ-რევოლუციონერების მიმართ იჩენდა, თუმცა ერთნაირად კრიტიკული იყო საქართველოში არსებული ყველა პარტიის მიმართ და არაერთხელ გაუსვამს ხაზი, როგორც საკუთარი, ისე გაზეთის, ასევე ქალთა კლუბისა, თუ შემდგომში ინტერპარტიული ლიგის არაპარტიულობისათვის.

მიქელაძის თქმით, არსებულ პირობებში შეუძლებელი იყო, ადამიანის და მით უმეტეს ქალის მსოფლმხედველობა ერთი რომელიმე კონკრეტული პარტიით ან მისი პროგრამით შემოფარგლულიყო, განსაკუთრებით, თუ საქმე ეხებოდა მამაკაცებისგან დაკომპლექტებულ პარტიებს, მაშინ, როდესაც არსებობდა „სპეციალური დედაკაცური ინტერესი". ამ ინტერესის გატარების შესაძლებლობას მიქელაძე ქალების პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში გააქტიურების გზით ხედავდა. პირველივე ნომრიდან „ხმა ქართველი ქალისა" ყველას ჰპირდებოდა „კრიტიკის ქარცეცხლში გატარებას", აღიარებდა მაშინდელი ისტორიული მომენტის მნიშვნელობას და „სწორუფლიანობის" მიღწევის, ქალთა ემანსიპაციის ძირითად საშუალებად გაერთიანებას სახავდა ქალთა კავშირების, წრეების, კლუბების თუ სხვა საშუალებებით. გაზეთის არსებობის მანძილზე ქალთა გაერთიანებისა და შეკავშირე-

ბის აუცილებლობა ყველა ნომერს და თითქმის ყველა სტატიას გასდევდა ლაიტმოტივად.

პირველი ნომერი ასევე სთავაზობდა მკითხველს ქუთაისის ქალთა კლუბის წესდებას, სადაც ნათლად და პუნქტობრივად იყო განსაზღვრული ყველა ის საკითხი, რომელსაც კლუბი მნიშვნელოვნად თვლიდა და რომელთა უმეტესობა დღესაც აქტუალურია, მათ შორის: თანაბარი პოლიტიკური მონაწილეობა მმართველობის ყველა დონეზე, თანაბარი ანაზღაურება თანაბარი შრომისათვის, მამაკაცის სასარგებლოდ არსებული „სამემკვიდრეო პრივილეგიების" გაუქმება, არსებული კანონმდებლობის გადასინჯვა ქალთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით და ა.შ. წესდებაში ასევე დეტალურად იყო გაწერილი კლუბის და მისი ფუნქციონირების საშუალებები.

„ხმა ქართველი ქალისა" ძალიან მრავალფეროვანი იყო თავისი შინაარსით. სტატიების ძირითად ნაწილს სხვადასხვა ფსევდონიმით კატო მიქელაძე წერდა. არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიტუაციაში მსგავსი რადიკალური შეხედულებების და პირდაპირი მესიჯების მატარებელი გაზეთის გამოჩენას არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. მიუხედავად ამისა, მიქელაძემ დაუზოგავი ენთუზიაზმისა და საკუთარი ღირებულებებისადმი ურყევი რწმენის საფუძველზე მაინც შეძლო თანამოაზრეების შემოკრება. ავტორებს შორის, რომლებიც გაზეთს საინტერესო სტატიებით და მოსაზრებებით ამარაგებდნენ, იყვნენ: ბაბო სულხანიშვილი, ნინო ნადირაძე, ანეტა კაპანაძე, ალექსანდრე მაჭავარიანი, ასევე ის უცნობი ავტორები, ვინც ფსევდონიმით არჩევდა წერას.

• „ხმა ქართველი ქალისა" აქტიურად ეხმაურებოდა მიმდინარე მოვლენებს. აქედან გამომდინარე, იგი ამ კუთხითაც საინტერესოა, ვინაიდან გვთავაზობს მაშინდელი, ისტორიულად ძალიან მნიშვნელოვანი პროცესების ფემინისტურ ხედვას, დაწყებული თებერვლის რევოლუციით, დამთავრებული დამფუძნებელი კრების დაარსებით, პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პირობებში.

გარდა პუბლიცისტიკისა, გაზეთში იბეჭდებოდა მხატვრული ტექსტები – მოთხრობები და ლექსები, რომლებიც ასევე ფემინისტური იყო თავისი შინაარსით და ასახავდა ქალთა მდგომარეობას. გაზეთთან თანამშრომლობდნენ ქართველი მწერალი ქალები: საფო მგელაძე, მარიამ გარიყული, დომინიკა ერისთავი, ეკატერინე გაბაშვილი. მათ შორის საფო მგელაძე კატო მიქელაძემ ალმოაჩინა, როცა მან ახალგაზრდა შემოქმედის ნიჭით აღფრთოვანებულმა პირველად დაბეჭდა მგელაძის ლექსები გაზეთში „ხმა ქართველი ქალისა". მიქელაძემ მგელაძე საკუთარი ინიციატივით გაიცნო და მალე მათი

ურთიერთობა რომანტიკულ მეგობრობაში გადაიზარდა. მიქელაძე ზრუნავდა მგელაძეზე, რომელიც ხშირად ავადმყოფობდა და არაერთხელ გადაარჩინა სიკვდილს[12]. საფო მგელაძის მოულოდნელი გარდაცვალება კატომ ძალიან მძიმედ განიცადა და არაერთი ლექსი მიუძღვნა მის ხსოვნას.

გაზეთს მრავალფეროვნებას სძენდა სხვადასხვა რუბრიკა და განყოფილება, მათ შორის, ახალი ამბები, საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან (სამტრედია, ბათუმი, გორი, ჭიათურა) მიღებული წერილები, მიქელაძის საავტორო სვეტები. „ხმა ქართველი ქალისა" პირველივე ნომრიდან მოუწოდებდა მკითხველს აქტიური თანამშრომლობისკენ, ასევე სთხოვდა საზოგადო მოღვაწე და მწერალ ქალებს, გაეგზავნათ პუბლიკაციები თუ ლიტერატურული ნაშრომები. იბეჭდებოდა თარგმანებიც, მათ შორის – ცნობილი ბრიტანელი სუფრაჟისტის კრისტაბელ პანკჰარსტის ტექსტი „საზარელი მტარვალობა", რომელიც პროსტიტუციის თემას შეეხებოდა.

გაზეთი ეხმიანებოდა მნიშვნელოვან მოვლენებს, მათ შორის – ევროპულ და ამერიკულ სუფრაჟისტულ მოძრობას, ქალთა აქტივიზმს რუსეთში და ა.შ. არ იყო გულგრილი არც ადგილობრივი, არც საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების მიმართ პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობიდან დაწყებული, დამთავრებული საქართველოში და მის ქალაქებში მომხდარი ამბებით.

„ხმა ქართველი ქალისა" ძირითადად შემოწირულებების საფუძველზე არსებობდა. იგი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ასახავს ქართული ფემინისტური ფილანთროპიის ისტორიასაც. აღსანიშნავია, რომ კატო მიქელაძე ლექციებს კითხულობდა არა მხოლოდ გაზეთისთვის სახსრების მოსაძიებლად, არამედ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში გახსნილ ქალთა წრეებისა თუ კლუბების მხარდასაჭერადაც. გაზეთის რედაქცია ყოველთვის გამოხატავდა მადლიერებას შემომწირველთა მიმართ და მათ სიებს აქვეყნებდა. შემომწირველები ძირითადად ქალები იყვნენ, რომლებიც მაშინდელი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში ძალიან მცირედით, მაგრამ მაინც ეხმარებოდნენ გაზეთს, გული შესტკიოდათ და მხარს უჭერდნენ მას.

„ხმა ქართველი ქალისა" თავისი არსებობის მანძილზე არაერთ წინააღმდეგობას გადააწყდა. ეს იყო არა მხოლოდ იდეოლოგიური, არამედ ტექნიკური ბარიერები, რაც მიქელაძემ დაწვრილებით აღწერა მკითხველისადმი მიმართულ წერილში, რომელიც გაზეთის ბოლო ნომერში გამოაქვეყნა[13]. ყოველგვარ მატერიალურ სახსარს მოკლებული, თითქმის მარტო დარჩენილი მიქელაძე ბოლომდე იბრძოდა გაზეთის შესანარჩუნებლად. მიუხედავად ამი-

12 შუშანა მგელაძე, მოგონება კატო მიქელაძეზე, 1949. გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, კატო მიქელაძის არქივი, #8386.

13 იხ. სტატია რედაქციისგან, „ხმა ქართველი ქალისა", #18, 1918.

სა, 1918 წლის დასაწყისში მისი გამოცემა რამდენიმე თვით შეწყდა. მოგვიანებით, ბოლო ნომრის გამოსვლა მაინც გახდა შესაძლებელი, სადაც გაზეთის რედაქცია დროებით, მაგრამ იმედიანად ემშვიდობებოდა მკითხველს. მიქელაძის მიერ ეკატერინე გაბაშვილისადმი მიწერილი ერთ-ერთი პირადი წერილიდან ირკვევა[14], რომ არსებობდა შემოთავაზება გაზეთი თბილისში გამოცემულიყო. ამ შესაძლებლობას ენთუზიაზმით შეხვდა მიქელაძე, თუმცა, დაწვრილებით განიხილავდა დაბრკოლებებს, დაწყებული გაზეთის გარშემო ქალთა მობილიზებით, დამთავრებული ტექნიკური სიძნელეებით, რომელთაც იგი თბილისში მუშაობის დროს შეიძლება გადაწყდომოდა. მიუხედავად გეგმებისა, არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაში, როგორც ჩანს, გაზეთის გამოცემის გაგრძელება შეუძლებელი გახდა.

მთლიანობაში გაზეთის 50 ნომერი გამოვიდა, 1917 წელს 32, 1918 წელს კი – 18. ბოლო ნომერში მიქელაძე წერდა: „ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა წააგავს იმ მენავისას, რომელსაც აბობოქრებულ ზღვის ტალღებში ნავი შეუცურებია და ამინდს უცდის. ჩვენც ზიზღით და არა შიშით ვდუმდებით ანგარებით აღტკინებული ბრბოს ორომტრიალში უკეთესი მომავლის რწმენით და ამისთვის ვეუბნებით ჩვენ მკითხველს ნახვამდის და არა მშვიდობით[15]!"

ეს პუბლიკაცია კი იმის მცდელობაა, რომ თითქმის ერთი საუკუნის წინ ნათქვამი „ნახვამდის" შემდეგ, ქართველმა მკითხველმა ხელახლა აღმოაჩინოს და კარგად გაიცნოს ისტორიის მიერ უსამართლოდ დავიწყებული ქართველი ფემინისტი, მოაზროვნე, აქტივისტი და არაჩვეულებრივი ქალი – კატო მიქელაძე.

14 იხ. წერილი ეკატერინე გაბაშვილისადმი, 06.01.1918.

15 იხ. სტატია რედაქციისგან, „ხმა ქართველი ქალისა", #18, 1918.

ორშაბათი 17 აპრილი 1+86 წ. 7#91

ფასი 10 კაპ.

რედაქტორი	გამომცემელი
პაპო მიქელაძე	ქალთა კლუბი

469
529

საჯარო ბიბლიოთეკა

ქართული ქალისა

№ 2 ილუსტრირებული საპატრიოტო და სალიტერატურო გაზეთი № 2

ქალებრ მოქითხოვის საარჩევნო ხმის უფლება

რა კავკასიის ახალი მთავრობის პროგრამა.

ქართული ლიტერატურული ძეგლები

Памятники древнегрузинской литературы

Georgian literary monuments

Monuments de la littérature géorgienne

Denkmäler der georgischen Literatur

პუბლიცისტიკა
"ხმა ქართველი ქალისა"

№1, აპრილი, 1917

სიტყვა თქმული კატო მიქელაძის მიერ 20 მარტს ქალთა საზოგადო კრებაზე ქ. ქუთაისში

ქართველო ქალებო!

არავისათვის ძველი რეჟიმი, რომლის დანგრევას დღეს მთელი რუსეთი დღესასწაულობს, ისეთი დამჩაგვრელი არ იყო, როგორც დედაკაცების და კერძოთ, ქართველი ქალებისა. ის მთელი თავისი სიტლანქით ასი წლის განმავლობაში აწვა ჩვენს სამშობლოს, რომლის სიმძიმის ქვეშ ქართველი ქალის ღირსება ისრისებოდა. მან შემოიტანა ჩვენს ქვეყანაში ისტორიულად უჩვეულო ზნე-ჩვეულებანი, რომელმაც შესცვალა უმაღლესად ზრდილი რაინდული პსიხოლოგია ქართველი მამაკაცისა და ოდესღაც ამაყს, თავისი ზნეობრივი გავლენით, ქართველს ცოლსა და დედას ჩაუწყვიტა ხმა, როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაში და უპიროვნო კეკელკათ გადააქცია!

ქართველო ქალებო, იცოდეთ, რომ ჩვენ გვმართებს უდიდესი თავგამოღება, დიდი მეცადინობა, რომ გავფანტოთ ის უღირსი ჩვენი ზნეობრივად დამამცირებელი, ჩვენი ადამიანური ღირსების შემლახველი უკუღმართობანი, რომელიც რუსის ბიუროკრატიამ ჩვენს ცხოვრებაში შემოიტანა. ვის უნდა ახარებდეს მისი დამსხვრევა, როგორც ჩვენ? მოისპო მმართველობა ძალმომრეობისა! და დღეს, როცა ახალი სახელმწიფოებრივი ფორმის საძირკველი იყრება, ჩვენ თავს გვაწევს, ამ დიად ისტორიულ მომენტში, საშვილიშვილო ვალი, რომ მოვითხოვოთ ისეთი პირობები პოლიტიკურ ცხოვრებისა, რომელიც საშვალებას მისცემს ჩვენს მომავალ თაობას თავიანთი ინდივიდუალური ადამიანური პიროვნების განვითარებისა.

ასეთი პირობების შექმნა საჭიროა ყველა ქართველი ქალისათვის და იმ ადამიანური უფლების მოხვეჭის გულისათვის, რომელსაც ჩვენ ყველანი მოკლებული ვართ. ნუ იქნება დღეს ჩვენ შორის, ამ პოლიტიკური ცვლილების დროს, ანტაგონიზმი ბურჟუა და პროლეტარი ქალებისა, რადგან ჩვენ ყველანი ერთნაირად ჩაყენებული ვართ უფლებრივათ გიჟებისა და ბავშვების მდგომარეობაში განურჩევლად ეკონომიკური კატეგორიისა. ჩვენთვის, ყველასთვის მიუცილებელი საჭიროა ნორმალური სრული წლოვანი ადამიანის უფლება და ვიბრძოლოთ, დებო, ამ ერთსულოვნებით ამ უფლების მოპოვებისთვის.

დღეს, თქვენა ხედავთ როგორი ერთობით, როგორი სოლიდარობით იერიში მიაქვთ საერთო მტერზე პოლიტიკურ თავისუფლების განსამტკიცებლად ლიბერალებს და სოციალისტებს. ასეთი შეერთება თუ არ არღვევს თითოეული მათგანის რწმენას, ამავე შეერთებით რად უნდა შეიცვალოს ჩვენი პარტიული სიმპატია, მიმართულებანი? უბრალო გაუგებრობაა ასეთი აზრი და ვინც თქვენ ამაში შეგნებულად გაფრთხობთ, ქალია ის თუ კაცი, ის მტერია ქალთა სწორუფლიანობისა!

დღეს ჩვენ გვყავს ახალი დროებითი მთავრობა, რომელიც პირდება ხალხს ადამიანისა და მოქალაქის უფლების აღდგენას, რომელიც იწვევს დამფუძნებელ კრებას ახალი პოლიტიკური ცხოვრების მოსაწყობათ, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და საყოველთაო ხმის მიცემით. იქნება ის არჩევნები განურჩევლად სქესთა თუ არა, ამაზე უმაღლესი დროებითი მთავრობა არას გვეუბნება. ამას აცხადებს მხოლოდ ადგილობრივი სოციალისტური გაზეთები. ვინც იცნობს რუსეთის რევოლუციის ისტორიას, მას არ შეუძლია, რაგვარი ანტიფემინისტი არ უნდა იყოს ის, იმის უარის ჰყოფა, რომ რუსის ქალებს ისეთივე ღვაწლი მიუძღვით განმათავისუფლებელ მოძრაობაში, როგორც რუსის მამაკაცებს. ძნელია იმისა წარმოდგენა, რომ ამდენი ღვაწლი რუსის ქალებისა უქმათ ჩაითვალოს.

ჩვენ არ გვინდა ვიფიქროთ ეს, მაგრამ იმედთან ერთად რაღაც საეჭვო ნიშნებსაც ვხედავთ, რომლის წინააღმდეგ რუსის ქალები ირაზმებიან და თავიანთი უფლების აღდგენას მოითხოვენ. ჩვენ გვრწამს სულიერი სიძლიერე რუსის ქალებისა, რომ ისენი იაფათ არ დაუჯენენ არავის მათ მიერ გაღებულ მსხვერპლის დაუფასებლობას.

როგორ უხვდებით, ჩვენ, ქართველი ქალები, ამ უდიდეს ისტორიულ მომენტს? სამწუხაროთ, ერთობ პასიურად! და ასეთი ჩვენი მდგომარეობა უეჭველად უნდა შეიცვალოს, რომ დღევანდელი მონურ ცხოვრებიდან გამოვიდეთ. გვახსოვდეს, რომ ქართველ ქალთაც უდევთ წილი რუსეთის ხანგრძლივ რევოლიუციის სვლაში და თავისუფალ საქართველოში ისენი მონებათ ვერ დარჩებიან. მართალია, ჩვენ რუსის ქალების სიგმირე არ გამოგვიჩენია, მაგრამ არა მისთვის, რომ ჩვენში საამისო სულიერი ძალა არ მოიპოვებოდა, არამედ მისთვის, რომ საგმირო ასპარეზი თანამედროვე საქართველოში ორთავე სქესისათვის დახშული იყო. თუ ქართველს ქალს აქტიური სიგმირე არ გამოუჩენია, სამაგიეროთ, ქართველი ქალებიც ისეთივე ინტერესით ეხმაურებოდენ განმათავისუფლებელს მოძრობას, როგორც ჩვენი მამაკაცები.

ჩვენ ვიცნობთ ისეთს ქართველ ქალებს, რომელსაც თავისი სიცოცხლე და მთელი ოჯახის კეთილდღეობა საფრთხეში ჩაუგდიათ მისთვის და რომელნიც შემთხვევით გადარჩენილან.

ჩვენ ვიცნობთ ისეთს ქალებს, რომლებმაც იგემეს ოინები ძველი მთავრობის ნესტი ციხე-სიმაგრეებისა და შეიძლება, ყველაზე მძიმეთ. ქართველ ქალებზე გადაიარა კონტრ-რევოლუციურმა იერიშმა, რომლის მოწამენი ჩვენ, ყველანი ვართ. ეგ მსხვერპლი იმდენად დიდია და იმდენად მწველი, რომ მხოლოდ არაკეთილშობილთ თუ შეუძლიათ მისი დაუფასებლობა და ფუჭათ ჩატარება.

ქართველ ქალებს იმითაც შეგვიძლია თავი მოვიწონოთ, რომ ჩვენ შორის, მიუხედავათ განსაცდელისა, ერთი მოღალატე განმათავისუფლებელი მოძრაობისა არ აღმოჩენილა და მომხრეები კი მრავალი.

ჩვენ სრულიად არ ვეთანხმებით გაზეთ „სამშობლოში", 56-7 ნუმერში ამასწინათ გამოთქმულს აზრს, რომ ქართველ ქალებს „6 თუმნიანი ტუფლიკანების გაფუჭების მეტი არა გაეკეთებინოთ რა". სამწუხაროთ, ჩვენ აღზრდილი ვართ იმ ანტიფემინისტურ ატმოსფეროში, რომელიც გაამეფა ძველი რეჟიმის აღზრდა-განათლებამ, სადაც ყველასა და ყველაფერს დედაკაცს აბრალებენ და ერთი რომელიმეს ნაკლს, მთელი ქალების ნაკლათა სთვლიან. ამ აზრით გამსჭვალულია არა მარტო მამაკაცები, არამედ ზოგი ჩვენთაგანიც და ისეთებიც, რომელთაც ქალთა უფლების აღდგენა სწადია.

მართალია, ჩვენ გვყვანან, როგორც ყველა ერს, უსაქმური ქალები, რომელნიც ძვირფასიან ტანსაცმლის გაფუჭების მეტს არას აკეთებენ, მაგრამ ამასთან ერთად, ჩვენცა გვყავს ინტელიგენტი მშრომელი ქალები, რომელთა ხელში არსებობს მრავალი კერძო სკოლები. ჩვენცა გვყავს იდეური მუშა ქალები და თავდადებული დედები. თუ რომ ჩვენი ქალების უმცირესი ნაწილი უსაქმურ ცხოვრებაში 60 მანეთიან ტუფლიკანებსა სცვეთენ, ნუ დაგვავიწყდება ისეც, რომ ჩვენი უსაქმური მამაკაცები 600 მანეთს და 6000 მანეთებს კარტში და ქეიფში აქრობენ და ასეთი მათი ნაკლი საერთო მამაკაცების ნაკლად რომ ჩაითვალოს, მაშინ, თვით მთელი ერის მომავალზედაც ხელი უნდა ავიღოთ.

ჩვენ ვიცნობთ ისეთს ქალებს, რომლებიც ოჯახისა და შვილების საკეთილდღეოთ წელებზე ფეხს იდგამენ, მაშინ, როდესაც, მათი ქმრები უდარდელს ლხინსა და ქეიფს ეძლევიან. ჩვენ ვიცნობთ არა ერთსა და ორს დედებს, რომლებსაც უღარიბეს სიქვრივეში თავიანთი შვილებისთვის უმაღლესი სწავლა-განათლება მიუციათ და ოჯახი დაქცევიდან გადაურჩენიათ და თუ საზოგადო ასპარეზზე ქართველი ქალების აქტი-

ურობა არა სჩანს, ამის მიზეზი გახლავთ ის უკულმართი ზნეობრივი ატმოსფერო, გამეფებული მთელი საუკუნის განმავლობაში, რომელიც მას გასაქანს არ აძლევს.

დროა, შევიგნოთ ის, რომ ქართველს ქალს საზოგადო ასპარეზი ხელოვნურად დახშული აქვს. გვეყოფა თავის და ურთიერთის დამცირება, გავიმსჭვალოთ მეტის პატივისცემითა და რწმენით ერთმანეთისადმი, თორემ იმ გზით, რა გზითაც დღემდე გვივლია რომ ვიაროთ, კიდევ უფრო ხელს შევუწყობთ ჩვენს უპიროვნო ცხოვრებას. მოვიგონოთ, რომ ჩვენ შთამომავალნი ვართ იმ დიდებულთა დედათა, რომელნიც მთელს აზიაში ერთადერთი იყვნენ, ისტორიულად მონობას რომ არა ჰკადრულობდენ და თვით ბარბაროსული დროის მამაკაცები მის პიროვნებას უდიდეს პატივსა სცემდენ. გვახსოვდეს, რომ ჩვენ ისტორიული ტიკინებიც კი არა ვართ, არამედ გაგრძელება იმ დიდებულ ქალთა მოდგმისა, რომელნიც ცნობილი იყვნენ არა მხოლოდ გარეგნული სიტურფით, არამედ შინაგანი სიმდიდრითაც, რომელთა თავისუფალი სული იმდენად მამაცი და ძლიერი იყო მტერთან, რამდენადაც სათნო და თავგანწირული მოყვარესთან.

გვახსოვს, რომ ჩვენს ძველ დედებს შეეძლოთ არა მარტო სქესობრივად მოხიბვლა მამაკაცებისა, არამედ თავიანთი ადამიანური ღირსებითაც, რომლის დობასა და მეგობრობას ძველი ქართველნი ნატრობდენ და აფასებდენ. წარსულ დროთა ღველფში კიდევ დარჩა ნაპერწკალი და თანამედროვე ქართველი ქალების მოვალეობაა აღანთოს თვისში ეგ მიმქრალი სულიერი ლამპარი შესაფერად ეხლანდელი ცხოვრებისა.

თავისუფალ საქართველოს სჭირია ნამდვილი მოქალაქენი ორთავე სქესში, რომელთაც ესმის საჭიროება ხალხისა და თავიანთ სამშობლოსა, რომლის ცოდნას მათ მისცემთ მხოლოდ სწორუფლიანი მოქალაქეობრივი ცხოვრება. ამ აზრით უნდა გავიმსჭვალოთ დღეს ყველა ქართველი ქალები და ერთსულოვნებით შეუდგეთ აღდგენას ჩვენი ადამიანური უფლებისას. ამ მიზნით, ვთხოვ კრებას დაეხმაროს ქალთა გაზეთის გამოცემას, რომელსაც ექნება დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა, როგორც ჩვენთვის, ისე ჩვენი მამაკაცებისთვის, სადაც საშვალება გვექნება გამოვსთქვათ საჭიროება და მოთხოვნილებანი თავისუფალ ქართველი ქალისა და ვამცნოთ შინაურსა და გარეშეს ჩვენი ფიქრნი და ზრახვანი, რომლის საშვალებას მოგვცემს მხოლოდ საკუთარი პრესა. ამასთანავე, საჭიროა დაარსდეს ქართველ ქალთა კლუბი, რომლის მიზანი იქნება შექმნას ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს ცენტრს ქუთაისის გუბერნიის ქალებისას. კლუბის ძირითად საკითხი იქნება და-

ეხმაროს სოციალისტურ პარტიებს კონტრ-რევოლუციის მოსაგერებლად და შემოკრიფოს თავის გარშემო რაც შეიძლება მეტი ძალა ქალთა ემანსიპაციის მომხრეებისა. ასეთი შეერთებული ქალთა ორგანიზაცია თავის წევრებათ ჩასთვლის არა მარტო დედაკაცებს, არამედ იმ მამაკაცებსაც, რომელნიც ქალთა სწორუფლიანობას აღიარებენ და მის წევრობას მოისურვებენ.

• კლუბი მისცემს სრულს თავისუფლებას თავის წევრებს თავიანთ პარტიულ რწმენაში. საჭიროა დღესვე არჩეულ იყოს ქალთა კლუბის აღმასრულებელი ბიურო. ჩვენ ვთხოვთ ყველას, ვისაც ქალთა ემანსიპაციის ჭეშმარიტ მეგობრათ მიაჩნია თავი, დაგვეხმაროს ასეთი კლუბის დაარსებაში.

•ქართველო მუშებო! იცოდეთ, რომ ყველაზე მეტად თქვენთვისაა საჭირო ადამიანური უფლებით აღჭურვილი გონიერი დედები, ცოლები, დები და შვილები, რომელნიც გვერდში ამოგიდგებიან თქვენი წლოვანობის სხვადასხვა დროს, იმ მძიმე სოციალური უღლის გასაწევათ, რომელიც თქვენ გარგუნათ ბედმა. მომეტებული წილი იცოდეთ, რომ თქვენი დები და შვილებია, რომელნიც სიღარიბითა და უუფლებო ცხოვრების გამო უზნეო მამაკაცთა ტლანქი ჟინის მსხვერპლნი რომ ხდებიან და იღუპებიან. დაეხმარეთ ქალთა ემანსიპაციას, ჭეშმარიტი ამხანაგური გრძნობით გაიმსჭვალეთ ქალებისადმი, მოეხმარეთ, ასწავლეთ მათ სამოქალაქო საქმიანობა და თქვენ მალე ნახავთ თუ როგორს ნიჭს გამოიჩენენ ისენი საზოგადო საქმეში.

ჩვენ მოვითხოვთ ადგილობრივი სოციალისტური პარტიებიდან მათი ლოზუნგის და ქალთა სწორუფლიანობის ეხლავე პრაკტიკულ ცხოვრებაში გატარებას. მოვითხოვთ აგრეთვე ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტიდან ქართველი ქალების სამოქალაქო საქმეში ჩაბმას.

ქართველო ქალებო! გაიმსჭვალეთ მოქალაქეობრივი გამბედაობით და ყველგან, სადაც კი დაესწროთ კრებებს, მოითხოვეთ ქალების ხმის უფლება და მათი საერთო საქმეში ჩარევა.

დღეს გვეძლევა საშუალება ჩვენი საჭიროების გამოთქმისა, დღეს მოგვეცა თავისუფლება სიტყვისა და კრებებისა და ღირსეულად გამოვიყენოთ იგი, როგორც ჩვენთვის, ისე საერთო საქმის სასარგებლოთ.

გაუმარჯოს თავისუფალს რუსეთს!

ჩვენი გულითადი სალამი ჩვენს დებს, ჩრდილოეთისას!

აღდგენა და წარმატება მრავალტანჯულს საქართველოს!

წინსვლა და ამაღლება ქართველს ხალხს, განურჩევლათ სქესთა!

КУТАИССКІЙ
ГУБЕРНАТОРЪ

ПО КАНЦЕЛЯРІИ.

4 Іюля 1916 г.

Гор. Кутаисъ.

УДОСТОВѢРЕНІЕ.

Дано сіе проживающей въ гор.Кутаисѣ княжнѣ Екатеринѣ Давидовнѣ Николадзе въ томъ, что ей разрѣшается въ періодъ времени съ 10 Іюля по 1-ое Октября сего года прочесть въ слѣдующихъ пунктахъ Кутаисской губерніи: Хони, Сачхереди, Ново-Сенаки, Абаша, Кырили, Сачхери-Диди-Джихаиши, -Бахмаро, Чіатуры, Зугдиди, Ланчхуты, Цагери, Озургеты и они лекцію на тему: "Символисты и Руставели" по прилагаемому конспекту.

Изложенное подписью и приложеніемъ казенной печати удостовѣряется.-

ГУБЕРНАТОРЪ,
въ званіи камеръ-Юнкера

правитель Канцеляріи

Симъ удостовѣряется, что срокъ что-

ქუთაისის გუბერნატორის მიერ კატო მიქელაძეზე გაცემული ნებართვა საჯარო ლექციების ჩატარების შესახებ, 1916 წ.

№1, აპრილი, 1917

ქალებო, შეეცრთდეთ!

მოგიწოდებთ, ქალებო, ქალთა საკითხის გარშემო ვისაც დაჰკოდვია გული თვისის უუფლებობით, არა მხოლოდ პარლამენტის სკამზე დაუჯდომლობით, არამედ უფრო ახლოს გეტყვით, ვისაც დაჰკოდვია გული თავისსავე ოჯახში ქმრისაგან, მამისგან, ძმისგან, ვისაც საკუთარ ნაამაგარ ოჯახში არ ჰქონია თანასწორი ხმა, თავისუფალი კუნჭული გადმოგვეღვარა ცრემლი, თვის საკუთარ, დედაკაცის უბედურებით სავსე ხვედრის ჭირ-ვარამზე, მოგიწოდებთ ყველას შეუერთდეთ ქალთა სწორუფლებიანობის დროშას.

გადახედეთ დღეს, ასეთს დიად დღეს, დიდის რუსეთისთვის, ასეთს მკვდრეთით აღდგომის დღეს, ბურჟუა და პროლეტარი როგორი შერიგების ხელს უწვდის ერთი მეორეს. ეს ორი შეურიგებელი, ერთი მეორის მოწინააღმდეგე მტერი დროებით ივიწყებს კლასიურ ბრძოლას, რათა შეერთებულის ძალით განამტკიცოს ის საძირკველი, რომელზედაც უნდა აეგოს ახალი რუსეთის კედლები და შეერთებულის ძალით ძირფესვიანად ამოაგდოს და გააცამტვეროს მეფობა-ძალმომრეობა, რამდენიმე კაცის ხელში მოხვეჭილი ძალა, რომელიც თავის ნება-სურვილზე განაგებდა დღემდის მთელი ქვეყნის სვე-ბედს. დიახ, გააქროს ყოველივე ეს უსამართლობა, რომ ყოველმა ადამიანმა თავისუფლათ და ღირსეულად იცხოვროს. ასეთი შერიგება, ნუ გგონიათ, სპობდეს კლასთა ბრძოლას. ეს დროებით შერიგება მხოლოდ საერთო მტრის საძლევათ სჭირიათ, ბრძოლა ეკონომიური შემდეგ დაიწყება და სულ ივლის სოციალიზმის კარამდის. ასეთ დროებით შერიგებას ვხედავთ რუსის ქალებშიაც. ჩვენ კი, ჩვენი ერის მეორე თუ პირველი ნაწილი, რაღას ვაკეთებთ?

ვუფიქრდებით კი, განა, ჩვენს უუფლებო, მონურს ცხოვრებას? ვგრძნობთ კი დედაკაცის პიროვნების შინა და გარეთ გათელვას? იმას, რომ გარეთ მოკლებულნი ვართ ყოველ მოქალაქეობრივს ხმასა და უფლებას და შინ კი ხშირად ტანჯული იმათგან, ვისთვისაც შეგვიწირავს ჩვენი უკეთესი სიცოცხლის ხანა, ჩვენი უკეთესი გრძნობანი?

მეორე მხრით, ჩავფიქრებულვართ თუ არა იმაზეც, რომ ასეთი უუფლებობისა გამო ჩვენ თვით ვიზრდებით ისეთს უკუღმართს პირობებში, რომელიც სულიერად გვამახინჯებს და გვავიწყებს ჩვენს ნამდვილ მოვალეობას? მიზეზი ჩვენს მონურ ცხოვრებაში ძევს. ნუთუ ასეთმა არანორმალურმა ცხოვრებამ მეოცე საუკუნის აფეთქებულს რევოლუცია-

ში, როცა ყველაფერი ახალს სახეს ღებულობს, არ უნდა აღძრას ჩვენში სურვილი განახლებისა? და ამ სურვილმა არ უნდა დაგვავიწყოს კლასობრივი უთანხმოება ბურჟუა და პროლეტარებისა? რა მოხდა ჩვენ შორის ასეთი შეურიგებელი, რაც სხვაგან, არც ქალებში და არც კაცებში არ მომხდარა?

ეს ქუთათური კინკლაობაა, თუ მართლა კლასთა ბრძოლა? ჩვენ ვფიქრობთ, რომ მიზეზი უფრო პირველში დევს და იმედს არ ვკარგავთ, რომ მის უადგილობას შევიგნებთ და ყოველს უთანხმოებას გამოვასწორებთ ჩვენდა საკეთილდღეოდ. ვინ ამბობს მამაკაცებიდან გამოყოფას საერთო საზოგადო საქმეში? ამაზონების ხანა დიდი ხანია ნავიდა და მას მხოლოდ ზღაპრად ვიგონებთ. მაგრამ ამ საერთო ინტერესებთან ერთად სანამ კანონისა და სამართლის წინაშე მათგან განსხვავებული ვართ, ჩვენი კერძო ინტერესებიც განსხვავებულია მათი კერძო ინტერესებისგან.

თვალს ნუ აგვიხვევს მათი სიტყვიერი დაპირებანი და ის გარემოება, რომ დღეს სახელმწიფოს საჭიროებისთვის ქალები ჩაგვაბეს რაღაც უმნიშვნელო საქმეში. მოვა დრო, როდესაც მათ ჩვენი დახმარება არ დასჭრიდებათ, რომ ისევ დედაკაცების საქმეთ ერთადერთი მზარეულობა აღიარონ.

გახსოვდეთ, რომ ისტორიული უკუღმართობის გავლენით დღევანდელი მამაკაცი იმდენათ ეგოისტია, რომ ის თავისი ნებით იშვიათათ თანასწორ ამხანაგათ ჩაგვთვლის. ქალებო, გახსოვდეთ, რომ მარტო კუჭის საკითხი არა კმარა, საჭიროა სულიერი ცხოვრება და უკანასკნელს ყველა ერთნაირად მოკლებული ვართ, ბურჟუაც თუ მუშა ქალებიც. აი, ჩვენი საერთო საგანი! და, დეე, ჩვენი ადამიანური პიროვნების აღდგენის სურვილმა შეგვაერთოს ჩვენ, განურჩევლად კლასისა და მიმართულებისა!

№2, აპრილი, 1917

ამიერკავკასიის ახალი მთავრობის პროგრამა

ამიერკავკასიის მთავრობამ თავისი პროგრამა გამოქვეყნა. მოსალოდნელი იყო მრავალ საჭიროებათა შორის აღნიშნულიყო იქ ერთი უმთავრესი საჭიროებაც, რომელსაც წარმოადგენს აღდგენა დედაკაცის ადამიანური უფლებისა, მაგრამ, როგორც სჩანს, ადგილობრივი მთავრობა ამისთვის თავს არ იცხელებს. პროგრამა ეხება სვინდისის თავისუფლების განხორციელებას, ქალაქის საზოგადოებრივ თვითმმართველობის მოწყობას, ერობის შემოღებას, ტრანსპორტს, სასკოლო საქმეს, მიწის საკითხებს და სხვა. ასე განსაჯეთ, თვით იმ კითხვებშიაც კი, რომელიც დამფუძნებელი კრების გადასაწყვეტად ტოვებენ, არ ურევია საკითხი ქალთა სწორუფლიანობისა.

კავკასიის განსაკუთრებითი კომიტეტის წევრებათ ითვლება 5 კაცი, რომელნიც ხელს აწერენ პროგრამას. თავმჯდომარე ხარლამოვი, წევრები: პაპაჯანოვი, ჯაფაროვი, ჩხენკელი და აბაშიძე. ჩვენ არ ვიცნობთ პირველს სამს. ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ ორს უკანასკნელს – ჩხენკელს და აბაშიძეს, რომელთა პარტიები როგორც თავის პროგრამებში, ისე თავიანთ ბეჭდვით ორგანოებში აღიარებენ ქალთა ხმის უფლებას და ქალთა სრულს ემანსიპაციას და თუ ეს დაპირებანი ცარიელ ქაღალდზე არ რჩება და ორთავე აღნიშნულ პარტიების წარმომადგენელთ გულით სწადიათ ქალთა პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლების აღდგენა, სად არის მათი ხმა, მათი გავლენა და რად იქნა მივიწყებული ნახევარი კავკასიის მცხოვრებთა ადამიანური პიროვნება და მისი უფლება? ასეთი მწველი საკითხის მიყრუება ერთობ ჩამაფიქრებელია კავკასიის ქალებისთვის და განსაკუთებით, ქართველი ქალისთვის და ვისაც კიდევ არ დაუკარგავს რწმენა, რომ ესა თუ ის პარტიული მამაკაცები აღადგენენ ქალთა უფლებას და ამ იმედით დუმილით მოელიან სწორუფლიან მოქალაქეთა რიგში ჩარევას, ასეთი ქალები ვამბობ მე, წააგვანან იმ გულუბრყვილო ბავშვებს, რომლებსაც რამე შეწუხების დროს უფროსები ეუბნებიან: შენ ოღონდ არ იტირო და მე ბზრიალას მოგიტანო და ისინიც უჯერებენ და ელოდებიან დაპირებულს საჩუქარს.

დროა, ქალებო, გონს მოვიდეთ! შევერთდეთ, რომ საერთო იერიშით აღვადგინოთ ჩვენი ამდენი ხნის უპიროვნო ცხოვრება. საჩუქრებისა და მოწყალების ხანა წასულია, ბრძოლით და მხოლოდ ბრძოლაში მოვიპო-

ვებთ ჩვენს უფლებას. რა არის შედარებით მამაკაცების ბატონობასთან ჩვენი ბურჟუა და მუშა ქალების მდგომარეობა.

გახსოვდეთ, რომ ქალთა უუფლებობის გამო, ბურჟუა ქალები იმ დამოუკიდებელს ეკონომიკურს კატეგორიას არ წარმოადგენენ, რომელთანაც, ფაქტიურად, უნდა მოგვიხდეს ეკონომიურ ნიადაგზე ბრძოლა. მესაკუთრენი მათი ქმრები არიან და არა ისინი, ან სად არის ჩვენში ისეთი კაპიტალისტების ცოლები და შვილები, რომელნიც წარმოადგენდეს განცალკევებულს უმაღლეს წრეს, რომელთა არც ძირს ჩამოსვლა ჩვენთან არა ხერხდებოდეს და არც ჩვენი მათთან ასვლა? დავუფიქრდეთ დღევანდელს უდიდეს ისტორიულს მომენტს და წვრილმან უსიამოვნებას ნუ ვამსხვერპლებთ უაღრესად მნიშვნელოვან, საშვილიშვილო საქმეს. გახსოვდეთ, რომ ძალა ერთობაშია!

№2, აპრილი, 1917

ქართველი ქალი დღევანდელს ოჯახში

თუ რომ ძველი ქართველი ქალი ოჯახის ზნეობრივი აღმზრდელი იყო, რომელთანაც უწმაწურ პასუხს ვერც ქმარი და ვერც მოწიფული შვილი ვერ გაბედავდა, დღევანდელი ქართველი ქალი თავის ქმარ-შვილში იმდენად აგდებული და უმნიშვნელოა, რომ, არა მგონია, ჩამოსულმა უცხოელმა, რომელიც ჩვენ შინაურ ცხოვრებაში ჩაიხედავს, თუ რომ კომედიანტობას არ დავიწყებთ და გულწრფელად ვეჩვენებით მას, დაგვიჯეროს და სიტრაბახით არ ჩამოგვართვას თავმოწონება ჩვენი ძველი დედების ზნეობრივ და პიროვნულ სიდიადეზე.

გიკვირს და ვერ მიმხვდარხარ, სად გაქრა ეგ რაინდული თავაზიანობა ქართველი მამაკაცისა, თუკი როდესმე არსებობდა იგი! ამ ძველი რაინდობის ნიმუშებს აქა-იქ კიდევ რომ არ ვხედავდეთ, ძნელად თუ დავიჯერებდით მის არსებობას ჩვენში. ნუთუ, ასი წლის მონურმა ცხოვრებამ გააქარწყლა იგი? ჩვენ ვიცით უფრო ხანგრძლივი მონობა სხვა ხალხისა, რომლისთვისაც წელთა სვლას არ წარუხოცია ეროვნული სულის თავისებურობა, არც საზოგადო და არც კერძო ცხოვრებაში. მაშ, ჩვენ რა დაგვემართა? ისა, რომ, მას შემდეგ, რაც ჩვენი მოწინავე საზოგადოება რუსეთის ბიუროკრატიას დაუმორჩილდა, მოქალაქობრივი გულისტკივილის მაგიერათ, მილიტარისტული სულით გაიჟღინთა, არა მამულის სიყვარულით, რასაკვირველია, არამედ პირად წარმატებისთვის და გარეგნული ზიზილ-პიპილებით მოხიბლული, ერთგულების დასამტკიცებლად ხელოვნურად ძალით იკლავდა გულში როგორც ეროვნულ თავმოყვარეობას, ისე სულიერ თავისებურობასაც.

ტარას ბულბაზე და ანეგინზე აღზრდილი თაობა თანდათან კარგავდა დედაკაცისადმი პატივისცემას და ამ ნიადაგზე განათლებულმა პირებმა ქართული ოჯახური ცხოვრება რუსულ დომოსტროიაზე ააგეს და შინა და გარედ ერთადერთი ავტორიტეტი მამაკაცი გახდა. ასეთი ცვლილება ქართულ ოჯახს პირველად ქალაქებში მოხელეებთა შორის დაეტყო და მერე მთელ მაცხოვრებლებზე გადავიდა. როგორათაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ცოლ-ქმართა შორის ამხანაგურ განწყობილებას შეხვდებით უფრო მოხუცებულ სოფლის თავადაზნაურობაში და გლეხობაში, ვიდრე ჩვენ ინტელიგენტ ოჯახებში. ქართველ გლეხს სრულიად სახარბიელოთ მიაჩნია, როცა ვინმე რამის გარდაწყვეტას მოითხოვს მისგან, უპასუ-

ხოს: „ცოლ-შვილს დავეკითხები და მოგახსენებთო“ მაშინ, როდესაც ქალაქში მცხოვრებთათვის ასეთი პასუხი თითქმის სათაკილოა.

რამდენითაც სწავლა-განათლებით ამ ასი წლის განმავლობაში ქართველი ქალი მამაკაცს ჩამორჩა, იმდენათ ჩვენს მოწინავე საზოგადოებაში ქმრის ავტორიტეტი იზრდებოდა და ასეთი მათი თვისება თანდათანობით საზოგადო ხასიათს ღებულობდა. თხუთმეტი წლის წინათ, ასეთს გონებრივ ჩამორჩენას ქალისას მამაკაცთან, იმდენათ ბუნებრივათ სთვლიდნენ, რომ სწავლა-განათლების მაძიებელს ქალს, რაგვარი მაღალი არ ყოფილიყო მისი მისწრაფება, ურცხვად ეუბნებოდნენ: „ქალის საქმე ოჯახობაა და არა სწავლაო“, სულ წინააღმდეგ იმისა, რასაც წინათ საქართველოში იტყოდენ: „დედაკაცის საქმე წიგნიაო“.

ქართველი ქალის განსაკუთრებულ უბედურობას ის წარმოადგენდა, რომ მას გარედან შემოტანილ უკუღმართობის საწინააღმდეგოთ, ყოველი საშუალება დაკარგული ჰქონდა. როცა რუსეთში ძველი რეჟიმის გამხრწნელ თვისებებს უკეთესი ინტელიგენცია ბრძოლას უცხადებდა და ამ ბრძოლაში ქალ-ვაჟთა შეგნებული ნაწილი თავსა სწირავდა, საქართველოს განმანათლებლად ფამუსოვ-სკალაზუბოვები გახდენ, რომლის წინააღმდეგ ხმის ამოღებას ვერავინა ბედავდა. ოფიციალურმა და ზნეობრივმა მეშჩანობამ ქალის უდიდესი ღირსებათ გარეგნული სინაზე, მორჩილობა და სულიერი პასიურობა დასახა და ქართველი ქალიც, ასეთს ზნეობრივ ატმოსფეროში აღზრდილი, ან მამაკაცთა გასართობ ნივთათ ხდებოდა, ან სულიერათ გატანჯული ჩუმათ ცრემლებსა ღვრიდა. მესამოცე წლებში ქალის ადამიანური პიროვნების გამოსაფხიზლებლად ერთი ხმა მოისმა! ეს ხმა იყო დიდი ნიკოლაძისა, რომელიც ჩვენი დროის ქალებისთვის შესწყდა.

ასეთი იყო ჩვენი დაბეჩავებული ცხოვრება მესამე დასელების გამოსვლამდე, რომელთა გაბედულმა ყიჟინამ შეანძრია და გამოაფხიზლა ჩვენი მდორე საზოგადოებრივი ცხოვრება. სამწუხაროთ, სიავე იმდენათ ხანგრძლივი და ძლიერი იყო, რომ მან თავისი ჰქნა და დღეს საქართველოში უფრო მეტი ტარას ბულბები და ანეგინებია, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც ეს ტიპები დაიწერა, რომელთაც ქალთა სწორუფლიანი ცხოვრება აოცებთ და ვერ წარმოუდგენიათ.

ძველ ქართველ ცოლ-ქმარს საერთო საზრუნველი არა მხოლოდ შვილები ჰყავდა, არამედ თავისი სამშობლო, მტრისგან აოხრებული და განაწამები. თავისუფლება ორთავესთვის სანატრელი იყო და ამ ნიადაგზე მათი სულიერი ერთობაც განმტკიცებული. თანამედროვე საქართველოში გამეფებულმა კარიერისტობამ როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო

ასპარეზზე დედაკაცის სულიერი მისწრაფება შეზღუდა, რომლის გარედ მოქმედება ზედმეტად ჩასთვალა და ჩვენი დროის შეუღლება ყოველ სულიერ ერთობა-ნათესაობას მოკლებულ, სავაჭრო, მოსაგებ საგნათ იქცა. განა, ტყვილა გადავარდა სიტყვა მეუღლის ხმარება? დღევანდელს ქართველს „ჩემი ცოლის" თქმა უფრო ეხერხება, ვიდრე „ჩემი მეუღლის", რადგან მეუღლეობა ნიშნავს ორ ადამიანთა სრულ თანასწორობას, როგორც ორი ხარი, რომელიც ერთს უღელსა სწევენ, მაშინ, როდესაც სიტყვა „ცოლი" გამომხატველია მხოლოდ შინაურ, ოჯახური განწყობილებისა და კავშირისა. დიახ, დღეს ჩვენ გვყვანან მორჩილობა-ბატონობის გამომხატველი ცოლ-ქმარნი და არა ამხანაგური მეუღლენი.

ჩვენი პატრიოტების მუდმივ საჩივარს წარმოადგენს ქართველი ქალის გადაგვარება. „დედები არ გვყვნან მამულისთვის, შვილების აღმზრდელნიო" და თამარ, ქეთევან, ნინოს სახელით დასტირიან ამ დაკარგულს დედებს. ამ საყვედურთან ერთხელაც არ უფიქრდებიან იმ გარემოებას, თუ რა პირობებში ცხოვრობს დღევანდელი ქართველი დედა. ქმრისგან აგდებულს, უპატივცემულო ცოლს, რომლის სიტყვას არავითარი ფასი და მნიშვნელობა არ აქვს, განა, შვილებზე გავლენა ექნება? დღეს ქართველი ქალი არც დედაა, არც მეოჯახე და არც მოღვაწე! რასთვის? მისთვის, რომ მას საამისო უნარი ოჯახმა და საზოგადოებამ ჩაუკლა... თამარ, ქეთევანი და სხვა ძველი დედები ასეთს მდგომარეობაში რომ ყოფილიყვნენ ჩაყენებული, ჩვენს პატრიოტებს საგალობელი არა დარჩებოდათ რა.

„დასავლეთ ევროპაში, მართალია, ქალი მოქალაქობრივ ცხოვრებას მოწყვეტილია, მაგრამ ოჯახში ის სრული ქალბატონია, რომლის სურვილის წინააღმდეგ ქმარს არ შეუძლია შინ ვინმე შემოიყვანოს, იყოს ეს დედა, და, თუ სხვა ვინმე, მისი მეგობარი. სამსახურს გარედ ქმარი ცოლის გარეშე იშვიათად თუ სადმე წავა და „მზარეული" ცოლი იაფად არ დაუჯენს მას დანიშნულ დროზე სადილად მიუსვლელობას მაშინ, როდესაც ჩვენში ქმარი არათუ არ ერიდება ცოლის ლოდინს, არამედ ხშირად, ღვინით გაჟღენთილი, ბატონ-კაცურად, თუნდაც, შუა ღამეზე მოსული სამსახურსაც თხოულობს მისგან. ჩვენში ქმარს უფლება აქვს, თუნდაც ნაშუაღამევს დაფა-ზურნით მიადგეს ცოლ-შვილს, მთელი ოჯახი ააფორიაქოს და მძინარე დიდი და პატარა ლოგინიდან წამოყაროს, რაიც ევროპელისთვის წარმოუდგენელია.

არ იფიქროთ, რომ ეს მარტო თავად-აზნაურობაში ხდებოდეს. ასეთი დუქნური ცხოვრება ჩვენში შემოიტანა ბიუროკრატულმა სალდათობამ, რომლითაც ყველა წოდება ერთნაირად მოიწამლა. დღეს ქართველი ქა-

ლის ოჯახური ცხოვრება, უმრავლეს შემთხვევაში, ისეთს ჯოჯოხეთს წარმოადგენს, რომელშიაც ჩახედვა საზარელია. უზნეო, უდარდელი, მოურიდებელი ქმარი გაბრიყვებული შვილები, ხშირად სიღარიბე, სნეულობა და ცრემლი. აი, ბედნიერება, რომელსაც ულოცავენ მას ჯვრის წერის დროს.

ფიზიკურად დასნეულებული, გონებაგანუვითარებელი ქართველი ქალი წარმოადგენს სერიოზულს საფრთხეს, როგორც დედა მომავალი თაობისა და ვინც დღეს სამშობლოს ჭირისუფლათ გამოდის და მიუცილებელ საჭიროებად არ სახავს ძირითად რეფორმებს ქართველი ქალის მდგომარეობისთვის და ნაცვლად მისი პიროვნული აღდგენისა და მოქალაქობრივი ცხოვრების განმტკიცებისა, დედალ-მამლურ სავნებათატკბილო იდეასა სთესავს – ის მტერია ქართველი ერისა.

№ 3, აპრილი, 1917

დღევანდელი ქალთა მოძრაობა

დღევანდელი ქალთა მოძრაობა რომ წარმოადგენდეს ჩვენში მნიშვნელოვან ძალას, საჭიროა დაარსებული იყოს ყოველ დაბა-სოფლებში ქალთა კავშირები შეერთებული თითოეულ გუბერნიის ცენტრთან, რომელიც გაუწევს მას იდეურ ხელმძღვანელობას. თითოეული გუბერნიის ცენტრი შეკავშირებული უნდა იყოს საერთო ქალთა ორგანიზაციაში, როგორიც არის რესპუბლიკანური ქალთა კავშირი რუსეთისა. ქალებმა უნდა მიიღონ მხურვალე მონაწილეობა საარჩევნო აგიტაციაში და თვით არჩევნებში დამფუძნებელი კრებისათვის, სადაც უნდა შემუშავდეს ახალი კანონები და ერთხელ და სამუდამოთ მოისპოს პოლიტიკური მონობა დედრობითი სქესისა რუსეთის სახელმწიფოში.

ქალები უნდა ღებულობდენ მონაწილეობას ადგილობრივ თვითმმართველობაში. თითეულ პოლიტიკურ პლატფორმა გამორკვეული ქალი ღებულობს მონაწილეობას საერთო პოლიტიკურ მოძრაობაში იმ პარტიასთან, რომლის თვალსაზრისს ინაწილებს. პარტიული ქალები გამოყოფილი ცალკე კავშირად თვით პარტიაში უნდა შეუერთდენ საგუბერნიო ცენტრის რესპუბლიკანურს ქალთა ორგანიზაციას. ასეთი შეერთება საშუალებას მისცემს ქალებს მეტი ენერგიის გამოჩენისას მცხოვრებთა შორის აგიტაციის გასაწევად. წინასწარ არჩევნების დროს ქალებმა უნდა მოსთხოვონ თავიანთ პარტიებს, რომ თითეული პარტიის სიაში შეტანილი იყოს თუნდაც ერთი, რომელიმე ამხანგ ქალის სახელი.

ქუთაისის გუბერნიის ცენტრს ქალებისათვის წარმოადგენს არსებული ქ. ქუთაისში ქალთა პოლიტიკური კლუბი, რომლის იდეურ ხელმძღვანელათ ქალთა სწორუფლიანობის დაცვაში გამოდის კლუბის საკუთარი ბეჭდვითი ორგანო „ხმა ქართველი ქალისა". აღნიშნულ მიზნისთვის, ჩვენ მოუწოდებთ ყველა პარტიულ და არაპარტიულ ქალებს დაუკავშირდენ არსებულ ქალთა პოლიტიკურ კლუბს ქ. ქუთაისისას და ხელი შეუწყონ ასეთივე მიზნით გუბერნიის დაბა-სოფლებში ქალთა კავშირების დაარსებას.

ჩვენ ვთხოვთ ქ. თბილისის ქალთა კავშირებს ასეთივე მიზნით საჩქაროთ შეერთებას და, ვინაიდან, ამიერკავკასიის უმაღლესი მთავრობა არავითარ ცნობას არ იძლევა ქალთა საარჩევნო უფლებაზე, მოსთხოვონ მას საამისო აზრის გამოთქმა.

№4, მაისი, 1917

ქ. ქუთაისის ქალებს

დებო და ამხანაგებო!

ქალთა უფლების მტერნი ათასნაირი ხრიკით ჩვენი საერთო ძალთა დაქსაქსვას ლამობენ. მათ მხარს აძლევს ჩვენი სქესის შეუგნებელი ნაწილი. ასეთი ჩუმი და ცხადი მტრობა ქართველი ქალის პირველ ნაბიჯის საწინააღმდეგოთ სწორუფლიანობის გზაზე თუ ერთი მხრით სამწუხაროა, მეორე მხრით, გვამხნევებს მით, რომ ეს მოასწავებს მათ შიშს ჩვენს მომავალ სიძლიერისადმი.

მათმა უკმაყოფილებამ არათუ არ უნდა დაგვაფრთხოს ჩვენ, წინაააღმდეგ, კიდევ უფრო გაგვამხნევოს და მტკიცე რწმენით აგვავსოს. ან ეხლა, ან არასოდეს დედაკაცის ადამიანური პიროვნების აღდგენა! არ შეიძლება, რომ კაცობრიობის დედა და კერძოთ, ქართველი ერისა, მონა იყოს! არ შეიძლება, იმ ქვეყანას თავისუფალი ქვეყანა დაერქვას სახელად, სადაც დედრობითი სქესი ნივთია და არა პიროვნება, სადაც მას უცქერიან ისე, როგორც საშვალებას და არა ისე, როგორც თვითმიზანს. ძირს ქალთა უფლების მტერნი!

ქართველი ქალის ძლიერი სული კვლავ იღვიძებს! ქართველი ქალის მრავალწლობით ჩაწყვეტილი ხმა დღეს მოისმა! ეს ხმა უნდა სჭექდეს ჩვენს სამშობლოში! ეს ხმა უნდა მოისმინოს თავისუფალმა საქართველომ, რომ იცნოს თვისი ასულნი ღირსეულ სწორუფლებიან მოქალაქეთ. ვისაც არ სურს საქართველო იყოს დამონებული, დაჭირიანებული და გადაგვარებული, ვისაც სურს არ იყოს არც სქესთა და არც კლასთა ბატონყმობა და დაარსდეს რუსეთის სახელმწიფოში დემოკრატიული რესპუბლიკა, ერთა და პიროვნებათა განმათავისუფლებელი, ჩაეწერეთ ქუთაისის ქალთა დემოკრატიულ პოლიტიკურ კლუბის წევრებათ, რომელიც მართავს ყოველ კვირაობით კრებას ქალაქის სამკითხველოში.

არავითარი გამოყოფა არ უნდა მოხდეს დღეს ქალებში და ამ გზას ადგია არსებული ქალთა კლუბი, რომლის წევრებათ ითვლებიან როგორც მუშა, ისე ოჯახის ქალები, როგორც პარტიული, ისე არაპარტიული ქალები. მხოლოთ ქალთა პოლიტიკური კლუბი იცავს საზოგადოდ ქალთა ინტერესს. მოდით ჩვენთან, ვისაც გსურთ თავისუფალ სამშობლოში ცხოვრობდეს თავისუფალი მოქალაქე ქალ-ვაჟი.

№4, მაისი, 1917

გაუმარჯოს სულით დემოკრატს!

ის, ვინც აცხადებს, რომ ყველა ადამიანი დაბადებულია ბუნებრივათ ერთნაირი უფლებით, რომ ყველა უნდა სარგებლობდეს პიროვნულად თავისუფლებით და მოქალაქეობრივათ სწორუფლიანობით და ამ განცხადებაში არ გულისხმობს ორთავე სქესს, ის – დამრღვევია დემოკრატიული პრინციპისა.

ის, ვინც ფიქრობს, რომ მოქალაქური უფლების ღირსი მხოლოდ ერთი მამრობითი სქესია, რომელიც უნდა იქმნეს ერთადერთი გამგე საზოგადო კანონმდებლობისა და წესწყობილებისა, ის არასოდეს არ იქნება და არც ჩაითვლება ხალხის მეგობრად. ასეთი დემოკრატი ვერ იქნება ვერც განამატკიცებელი დემოკრატიული სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა და ვერც დამცველი სამართლიანობისა და თანასწორობისა.

დემოკრატს ჩვენ ვეძახით მხოლოდ მას, ვინც იცავს ადამიანის პიროვნებას, ქალია ის თუ კაცი, ყოველგვარი ძალმომრეობისგან, ვინაც იბრძვის ხალხის კეთილდღეობისათვის, რომ ადგილი არ ჰქონდეს არავითარ კაცისაგან კაცის ჩაგვრას იმ საზოგადოებაში, რომელსაც ის ემსახურება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვინაც ხალხის სახელით სამართლიანობას გაყივის და გულში კი სქესური პრივილეგიის დამცველია, ასეთი მყვირალა დემოკრატიის მიზანია, დამარცხებული ბატონების ადგილი დაიჭიროს თავისდა გასაბატონებლად.

ჩვენ არ გვაშინებს ქალთა უფლების მტერთა ფიზიკური ძალა, რადგან მუშტის ღონე შეერთებული დედაკაცების დიად ზნეობრივ ძალასთან, ისეთ საბრალოდ მიგვაჩნია, რომ ლაპარაკიც არ ღირს. ჩვენ ვეძახით დემოკრატს იმას, ვინც ორთავე სქესის ღირსეულ ადამიანურ ცხოვრებისთვისაც იბრძვის. ასეთი დემოკრატი ჩვენი ძმა და მეგობარია და მათთან ერთად ჩვენ შევსძლებთ იმ დემოკრატიული მინდვრის განწმენდას, რომელზედაც ამდენი ქალთა უფლების მტერნი აღმოცენდა.

გაუმარჯოს სულით დემოკრატს!

№5, მაისი, 1917

საიდუმლო მტერნი

როდესაც ქალები ვითხოვთ მოქალაქობრივ უფლებას, განსაკუთრებულ ყურადღებას მოვითხოვთ მათგან, ვინც აღიარებს საყოველთაო და თანასწორი არჩევანთა უფლების საჭიროებას, რადგან არ შეიძლება საყოველთაო და თანასწორი დაერქვას იმ არჩევნებს, სადაც სახელმწიფოს მცხოვრებთა ნახევარი ნაწილი სწორუფლიან მოქალაქეთ არ ირიცხება. ადამიანების ორ ბანაკათ დაყოფა, სადაც ერთი ნაწილი მეორეს ბატონი და მმართველი იქნება, არის უდიდესი სიავე და წყარო ყოველგვარ უსამართლობისა და უზნეობისა. ჩვენი მიზანია ვებრძოლოთ ამ სიავეს, რათა დავიხსნათ თავი მონობისგან და კაცობრიობა – გადაგვარებისაგან. მიზანი ჩვენი იმდენათ საფუძვლიანია, რომ ქალთა უფლების აშკარა მტერთა მიერ წამოყენებული არგუმენტები ვერ უძლებენ ვერავითარ საღ კრიტიკას.

ზოგი მათგანი ამბობს: „ქალებს ისტორიულად არასოდეს არა ჰქონიათ ერთნაირი უფლება მამაკაცებთან და ვერც მიიღებენო. მამაკაცები ფიზიკურად ძლიერი სქესია, ამისათვის დედაკაცებთან იურიდიულად ყოველთვის მაღლა იქნებიან“ და სხვა. პირველი მოსაზრება, რომ დედაკაცებს ისტორიულად არა ჰქონიათ სწორუფლებიანობა და ამისათვის ვერასოდეს ვერ უნდა ელირსონ, არის ისეთი ცრუმორწმუნეობა, რომელიც ადამიანის პიროვნულ განვითარებას დროსა და სივრცეს კი არ უფარდებს, არამედ ძველს, დახავსებულ ტრადიციებსა და ჩვეულებას. იმისი თქმა, რომ „ეს ასე იყო და ასე უნდა დარჩეს“ ეწინააღმდეგება ყოველგვარ მეცნიერულს კვლევა ძიებას და ადამიანი, რომელიც ასეთს შეხედულებას იცავს, არის მტერი პიროვნული თავისუფლებისა.

მეორე მოსაზრება, რომ ფიზიკურად ღონიერი სქესი იურიდიულადაც მაღლა იდგეს, თუ რომ რაიმე გასამართლებელს საბუთს პოულობდა წასულში, როცა საზოგადო ცხოვრება მუშტის ძალაზე იყო დამყარებული, დღეს ამ მოსაზრებას კულტურისა და გონებრივი პროგრესის წინსვლამ ყოველი საფუძველი გამოაცალა.

ხმლისა და მუშტის ბატონობამ დიდი ხანია მისდამი ზიზღით აღჭურვა უკეთესი მოაზროვნე კაცობრიობისა, რომლის შედეგათ წარმოიშვა დემოკრატიული მოძრაობა და განამტკიცა პოლიტიკური სწორუფლიანობა მოწინავე ქვეყნებში და თუ დედაკაცი ისევ ძველებურათ მონობაში დარჩა უფლებრივად, ამის მიზეზი დევს იმ დროინდელს ქალთა კარჩაკეტილ

ცხოვრებაში, რომელშიაც მოუსწრო მათ დემოკრატიულმა რევოლუციამ და არა დედაკაცის პოლიტიკურ უნიჭოებაში. დედრობითი სქესი იყო მთლიანათ დამონებული, რომელთა ადამიანურს პიროვნებას მაღლიდან დასცქეროდა, როგორც ბატონი, ისე მონა მამაკაცი და რამდენათ იმდროინდელი კარჩაკეტილი ცხოვრება ხელს უშლიდა დედაკაცებს შეერთებას და საკუთარი ნაბიჯის გადადგმას, იმდენათ ისენი განცალკევებულნი ღებულობდნენ მონაწილეობას საერთო დემოკრატიულ მოძრაობაში. საკუთარ „მეს“ გამოუჩენლობით და უპიროვნო დახმარებით, რომელსაც ქალები უწევდნენ ყოველგვარ ისტორიულ მოძრაობაში მამაკაცებს, დედაკაცები რჩებოდა იმ პოლიტიკურ და სოციალურ რეფორმების გარეთ, რომელსაც იწვევდა საერთო დემოკრატიული ბრძოლა.

უპირატესობას თავის თავათ ძნელად თუ ვინმე შეელევა და გუშინ მონა, მაგრამ დღეს უკვე თავისუფალმა მოქალაქეებმა, დაივიწყეს დედრობითი სქესის ადამიანური პიროვნება და შეინარჩუნეს ძველებური მათზე პრივილეგიები უფლებრივათ. თანამედროვე ქალებმა, რომლის შეგნებული ნაწილი დღეს საკუთარი ლოზუნგით გამოდის, დიდი ხანია შეიგნეს უშედეგობა თავიანთი სქესის უპიროვნო ბრძოლის და დღეს, მე-20 საუკუნის რევოლუციის და ომის დროს ისენი ხელს უწყობენ მებრძოლ კაცებს, თავინათ ინტერესებსაც არ ივიწყებენ, საკუთარი დროშით გამოდიან, რომელზედაც ქალთა ემანსიპაცია აწერია და რომლის ქვეშ თავმოსაყრელათ მოუწოდებენ დამონებულ დებს, განურჩევლად ეკონომიური კატეგორიისა. მწარე მაგალითებმა მიიყვანეს დედაკაცები ამ სწორ გზაზე, თავიანთი ადამიანური პიროვნების აღსადგენათ და ვინც მათ შეკავშირებას ხელს უშლის და სცდილობს დღეს ამ დიდ რევოლუციის დროს რუსეთის სახელმწიფოში მცხოვრებ პროგრესულ ქალთა ძალების დაქსაქსვას, ის არის შეგნებული, თუ შეუგნებელი საიდუმლო მტერი ქალთა სწორუფლიანობისა, რომელნიც გაცილებით მეტს საფრთხეს წარმოადგენენ ჩვენი პიროვნული აღდგენისათვის, ვიდრე აშკარა მოწინააღმდეგენი ქალთა ემანსიპაციისა.

№5, მაისი, 1917

ქალი, როგორც მოქალაქე

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ღელავს ქალთა საკითხი საზოგადოებაში და დღესაც იგი გადაუწყვეტელია. დღევანდელი უკუღმართი ცივილიზაცია ჯერ კიდევ ისე ცალმხრივათაა განვითარებული, რომ ქალის შესახებ დუმს და ვერ გამოუყენებია მასში დამარხული ძალები, რომლებიც თავდებია საზოგადოების გაკეთილშობილებისა და უხეშობის მოსპობისა.

ქალთა უფლებით აღჭურვა, თანასწორათ მამაკაცთან აუცილებელია, თუ კაცობრიობას არ უნდა მუდამ იყვეს ჩლუნგი იარაღი ძალმომრეობისა. დიდი შეცდომაა აზრი, როდესაც ვლაპარაკობთ მამრობითი სქესის ქალებზე უპირატესობაზე. ეს, მით უფრო ვითომ ვადარებდეთ ერთსა და იმავე თვისებას, ერთის თვისება შეადგენს მეორეს დამატებას და საერთოდ, იქმნება სრულყოფა და ამ ორ სქესთა ბედნიერებაც დამოკიდებულია იქედან, რომ ისინი ღებულობენ ერთ მეორისაგან იმას, რასაც თვითეული მათგანი იძლევა.

ჩვენ ხშირად გვესმის ქალის „დანიშნულებაზე" და მის უფლებებზე, ვითომც ისინი გამოყოფილი უნდა იყოს კაცის უფლებათა და დანიშნულებისაგან, ვითომც ქალი და კაცი სხვადასხვა არსებანი იყვნენ სხვადასხვა მოთხოვნილებით, რომელნიც ერთმანეთს ვერ ურიგდება. ეს სრულიად უსაფუძვლოა. მით უფრო უაზრობა და უსამართლობაა ვიფიქროთ, რომ, ვითომც, ქალებს არ ჰქონდეთ რაიმე დამოკიდებულება ცოდნის უმაღლეს ფორმებთან, რომელნიც ზრდის და ანვითარებს კაცობრიობას ზნეობრივად და სულიერად. მითუმეტეს, ბოროტებაა, თუ მამაკაცები ფიქრობენ, რომ ქალი მხოლოდ მონურად უნდა ემორჩილებოდეს მას და მისი მოქმედება ისაზღვრებოდეს ოჯახური ცხოვრებით.

დიახ, ეს დიდი შეცდომაა ქალების შესახებ, იმიტომ, რომ ისინი არიან შექმნილნი თანაშემწეთ და ამხანაგათ მამაკაცისა და განა, შეიძლება მონა იყოს ღირსეული ამხანაგი?

არასოდეს. თუ გვინდა გავაფართოვოთ საზღვრები ადამიანის შემოქმედებისა, უნდა ვეცადოთ ქალთა მოქალაქეობრივ გაძლიერებას, რადგან გვიან იქნება მაშინ, როდესაც ასეთი მოთხოვნილება დიდი იქნება და ქალები მომზადებულებიც არ იქნებიან. ქალის დანიშნულება ამ შემთხვევაში ასეთია: იგი აძლევს ფორმას ცოდნას და რაიმეს სასარგებლოთ მოხმარას ე.ი. მათი მეოხებით ჩვენთვის თვალსაჩინოა ისეთი საგ-

ნები, რომლებიც თვით მეცნიერებითაც ძნელი იქნებოდა მათი აღწერა. ისინი ალამაზებენ და აფასებენ, როგორც მას, თუ რა აკმაყოფილებს და ხელს უწყობს ყოველდღიურ ცხოვრების საჭიროებას, არამედ მასაც თუ რა მატერიალისგან კეთდება ამ საჭიროების დამაკმაყოფილებელი საგნები.

ამიტომ, არამც თუ სამართლიანობა, არამედ ის, რომ ხალხის მუშაობა იყოს სასარგებლო, მოითხოვს ქალთა თანასწორი უფლებით აღჭურვას მართვა-გამგეობაში. ჩვენ ვიცით, რომ თანამედროვე მართვა-გამგეობა უხეშ ძალაზეა დამყარებული და ამის გამოა, ცხოვრება ასე მოსაწყენი და ტლანქი რომ არის.

ფილოსოფოსს სოკრატეს აქვს ნათქვამი: „საიდანაც არ უნდა გამომდინარეობდეს წეს-წყობილება, თუ იგი მხოლოდ დამყარებულია ძალზე და არა დარწმუნებით მოქმედებაზე, იგი არის აქტი ძალდატანებისა და არა კანონიო". საზოგადოთ, ცივი და მძაფრი ჭკუა მამაკაცებისა ძალდატანების კანონებს ქმნიდენ, მაგრამ გაქრება ეს, თუ ამას დაურთავთ ქალთა მგრძნობიარე სულით და გულით ზეგავლენას და მოვახდენთ კავშირს სხვადასხვა ნიჭისას და გრძნობისას, რომ კაცობრიობამ მოიკრიბოს ყოველმხრივ ძალა ცხოვრების უსამართლობასთან ბრძოლაში.

თვით კერძო ცხოვრებაში არცერთ მამაკაცს არ უტარებია ცხოვრება სისწორით, თუ მას არ მფარველობდა ქალის მოსიყვარულე გული, თუ მას ქალის გამბედაობა და კეთილი გონიერება არ ხელმძღვანელობდა. ასეთი იქნება მათი როლი მართვა-გამგეობაშიც და ამიტომ, სულით და გულით უნდა მივისწრაფოდეთ ისეთ წეს-წყობილებისაკენ, სადაც ქალებს ექნება თანასწორი უფლებანი, რომ მამაკაცებს გვერდში ამოუდგეს ღირსეული თანაშემწენი, რომელთა გული სავსეა ლმობიერებით, რაც აუცილებელი საჭიროა ცხოვრებაში ერთმანეთთან დამოკიდებულების დროს.

№8, ივნისი, 1917

რამოდენიმე სიტყვა ჩვენს უნუგეშო მდგომარეობაზე

გაზეთ „ხმა ქართველი ქალის" N 6-ში ამოვიკითხე წერილი ამხ. პროლეტარი ქალისა, სადაც ის აღნიშნავდა იმ უნუგეშო და დახშულს მდგომარეობას ქალისას, რომელშიაც იგი იმყოფება ან უკვე თავისუფალ რუსეთში და ასეთი ქალის მდგომარეობის ერთ-ერთ მიზეზათ იგი ასახელებდა მამაკაცს. არ შემიძლია ჩემი ხმაც არ შეუერთო ამხანაგის ხმას. ვეტყვი მეტსაც. მართალი გითხრათ, სწორეთ ვერ გამიგია ზოგიერთი მამაკაცის მოქმედება, მით უფრო ვერ გამიგია ეს იმათგან, ვინც თავის თავს სოციალისტებს უწოდებენ. სიტყვით ოქროს მთებს გვპირდებიან, გაჰყივიან ქალთა თანასწორობაზე მხოლოთ ქაღალდზე, საქმით კი სულ სხვას ვხედავთ. ავიღოთ უბრალო მაგალითი: გამოაცხადეს – ქალს შეუძლია არჩევნებში მიიღოს როგორც პასიური, აგრეთვე აქტიური მონაწილეობაო ე. ი. მას უფლება აქვს, როგორც სხვა აირჩიოს, აგრეთვე თვითონაც იქნეს არჩეული. მერე, რას ვხედავთ სინამდვილეში, გაატარეს თუ არა იგი პრაკტიკაში? სამწუხაროთ, არა. პასიურ მონაწილეობას, ასე თუ ისე, ქალი ქე ღებულობს, თუმცა იყო ისეთი შემთხვევებიც სოფლათ, სადაც მამაკაცებმა თავიანთი ცოლები არ მიუშვენ არჩევნებზე, ხოლო, რაც შეეხება აქტიურს მონაწილეობას, ქალი ჯერ-ჯერობით ძალიან ნაკლებათ ღებულობს. მერე, ეს ვისი ბრალია? რა თქმა უნდა, მამაკაცების, რომლების აზრით, ქალი მოუმზადებელი და სუსტია და ვერ შესძლებს მუშაობას. მერე, იცით, რომ ასეთს მამაკაცებს თავი სოციალისტათ მიაქვთ. მქონდა შემთხვევა დავსწრებოდი ერთ-ერთ მასწავლებელთა ყრილობას აბაშაში, სადაც უნდა ამოერჩიათ დელეგატები თბილისში ყრილობაზე გასაგზავნათ. დაადგინეს აერჩიათ დელეგატები. მასწავლებელმა ქალებმა მოვითხოვეთ, რომ დელეგატათ ერთი ქალი მაინც აერჩიათ, მარა გაგიგონია? ყურიც არ გვათხოვეს, სიტყვის ნებასაც არ გვაძლევდნენ! არ დამავიწყდება ირონია ზოგიერთი მამაკაცების, რომელიც გამოიწვია მათში ჩვენმა სამართლიანმა მოთხოვნილებამ. მერმე, რომ მოვითხოვეთ მიზეზი ასეთის დაუდევრობისა, პასუხი იყო ასეთი: „ქალი არა გვყავს ჩვენ იმდენათ მომზადებული, რომ ის ყრილობაზე გავაგზავნოთ საჭირბოროტო საკითხების გასარჩევათო". ღმერთო ჩემო, თუ ასე ვსთქვით, თუ ასე არ მივეცით ქალებს უფლება პრაქტიკული ნაბიჯისა, რამდენიც არ ვამკოთ იგი ქაღალდზე, სინამდვილეში თავის დღეში მომზადებული ქალი არ გვეყოლება. მე ამაში ვე-

თანხმები ამხ. მამაკაცებს, რომ მომზადებული ქალები პოლიტიკურათ არა გვყავს საკმაოთ, ვინაიდან გამოვდივართ იმ დებულებიდან, რომ „მდგომარეობა ქმნის შეგნებას“, მარა, რაც შეეხება პედაგოგიას, ამ დარგში ქალს მაინც და მაინც, ბევრი დაბრკოლებები არ შეხვედრია და საკმაო უნარიც გამოიჩინა. ასე რომ, ვამბობ იმ მასწავლებელ მამაკაცების საყურადღებოთ, რომლებმაც ასე შეუკვეცეს ქალების უფლებას ფრთები და არ ამოირჩიეს დელეგატათ, ვითომდა, ქალის მოუმზადებლობის მიზეზთა გამო. ჩვენ კი ვიტყვით, რომ იქ ისეთი ქალები იყვენ ზოგიერთი, რომ უკაცრავათ, თუ არ აჯობებდენ მათ დელეგატებს, არაფერს დაუთმობდენ. ასეთ უბრალო დელეგატათ ქალი დღეს თუ არ ამოირჩიეს, ვინ მიცემს მას მომავალში მინისტრის პორტფელს? ეს ხომ ოცნება იქნება! ეს ერთი შემთხვევაა და ათასი სხვა. რასაკვირველია, ეს არ ეხება ყველა მამაკაცს. არიან ნამდვილი სოციალისტები, რომლებიც უფრო თავგამოდებით, ვიდრე ქალი იცავენ მათ უფლებებს, ხოლო ასეთების რიცხვი ძალიან მცირეა და თქვენ, სულით დემოკრატებო, ძმებო, მოგიწოდებთ აუხსნათ თქვენ ძმებს, რომ მათი დახავსებული შეხედულობა ქალის უმოქმედობაზე, დღეს უკვე ხანმოჭმული და უნიადაგოა. გაუწოდეთ ხელი თქვენს ამხანაგ ქალებს, გამოიყვანოთ იგი საზოგადო ასპარეზზე და მენდეთ, რომ ის გაგინევთ თქვენ ნამდვილ ამხანაგობას. შეიძლება, ის პირველათ დამარცხდეს, მაგრამ დამარცხებას თან სდევს გამარჯვებაც და მასთან, თქვენც, მებრძოლო ქალებო, მეტი მუშაობით, მეტი ენერგიით რომ დაუმტკიცოთ მათ, არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით, რომ ჩვენც ადამიანები ვართ, ჩვენც შეგვიძლია მოქმედება, მუშაობა. მაშ, გაუმარჯოს მებრძოლ ქალებს! გაუმარჯოს მათ ენერგიას!

№10, ივნისი, 1917

დედროგითი სქესის შემოქმედება

კაცობრიობის ისტორია, მისი განათლება და განვითარება აზიიდან იწყება. პირველ ხანებში ქალი და კაცი ერთნაირად ეწეოდენ ცხოვრების უღელს და ამისდა კვალათ, ორივე ერთნაირად სარგებლობდენ ყველა უფლებით, მაგრამ როდესაც ხალხი გამრავლდა, აზია დაიძრა, შეიარაღდა, ცეცხლით და მახვილით დაიპყრო სხვა ქვეყნები, განათლების ყოველი ნიშან-წყალი მოისპო და ამით დიდხანს შეაჩერა კაცობრიობის წინსვლა. მუდმივმა ბრძოლამ, სისხლის ღვრამ, აზიელი გაამხეცა, შექმნა თვითნება, სურვილებშეუკავებელი და დაუზოგავი დესპოტი. ქალის ბედიც შეიცვალა. თუ ის პირველათ კაცის თანასწორი იყო, ეხლა სრულიათ კაცის მონა გახდა. აზიის დესპოტმა ქალიც თავისი ვნებათაღელვის დასაკმაყოფილებელ საგნათ გახადა. ქალი, როგორც ჩიტი, ჩამწყვდეული იქნა ჰარამხანაში, სადაც უზრუნველი განებივრებული ცხოვრება ჰქონდა და ამავე დროს ყოველ მიზანს და აზრს მოკლებული. აზიის დესპოტისთვის უბრალო უმნიშვნელო მიზეზიც საკმაო იყო, რომ ეჭვი დაბადებოდა, რომ ქალისთვის თავი გაეგდებინებინა, ან გაეყიდა, ან სხვისთვის ეჩუქებინა. ამ დესპოტური თვალით უყურებდა ქალს ყოველი აზიელი. გამეფდა უსაზღვრო პატრიარხალური წყობილება. შემოიღეს მრავალცოლიანობა, ამას მოყვა ქალის ყიდვა საჯაროთ, ისთე, როგორ მონის (კაცის).

მამაკაცი დიდი ხანია გათავისუფლდა ამ სამარცხვინო მოვლენისაგან. ქალი კი დღესაც ისთე იყიდება, როგორც პირველ საუკუნეებში. ამერიკელმა მილიარდერმა როკფელერმა 40 მილიონი შესწირა ამ სამარცხვინო ვაჭრობის მოსასპობათ. აქ კი ჩვენი მამულისშვილები გაიძახიან: რათ უნდა ქალს ეკონომიური დამოუკიდებლობაო, თუმცა ძალიან კარგათ იციან, რომ ქალის მონობის და გაყიდვის უმთავრესი მიზეზი სწორედ ახლანდელი ეკონომიკური დამოკიდებულება არის.

ამ მონობის დროსაც ქალი ახერხებდა თავის შემოქმედი ნიჭის გამოჩენას. ათასი წლის წინათ ინდოეთში შვიდ ფილოსოფოსთა შორის ოთხი ქალი იყო. მათმა ნაწერებმა დღევანდლამდე მოაღწია და სწავლულნი დიდად აფასებდნენ მათ ნაწერებს.

მეფობაში ქალი დიდ ნიჭს იჩენდა, რადგან სრული თავისუფალი იყო თავის მოქმედებაში და მისი ნების განვითარებას წინ არაფერი ეღობებოდა. აზიაში ხშირად ქალი მეფობდა ისე, როგორც ეგვიპტეში. ჯონ

სტიუარტ მილის სიტყვებით „აზიისთვის ქალის მეფობა ბევრად უფრო სასარგებლო იყო, ვიდრე კაცის". სემირამიდა, ასირიის მეფე, თავისი მოქმედებით ძრიელ გავდა ალექსანდრე მაკედონელს. ამანაც მთელი აზია დაიპრო, ამ დაპყრობილ ქვეყნებში გააშენა ციხე-ქალაქები, წარწერილი სვეტები დადგა, ააშენა ბაბილონი თავისი უზარმაზარი კედლებით – ეს აღმოსავლეთის პარიზი. მას მერმე მეფობდა მეორე ქალი – ნიკოტრისა, ბრძენი და სამართლის მოყვარული. მან გამართა მრავალი ხიდი, გაიყვანა არხები. კლეოპატრა, ეგვიპტის მეფე, ხუთ ენაზე ლაპარაკობდა. ირგვლივ სულ სწავლულნი და მეცნიერნი ეხვია, ააშენა დიდებული ალექსანდრიის წიგნთსაცავი. ბევრი სხვა შესანიშნავი მეფე ქალები იყვნენ, მაგრამ ყველას დასახელება ძნელია. ჩვენ, ქართველებსაც თავი მოგვაქვს ჩვენი ქალებით: ნინო, ქეთევან და თამარ მეფე. ეს სამება არის ბურჯი ჩვენი ეროვნებისა. წმ. ნინომ ქრისტეს სარწმუნოება დაამყარა, ქეთევანმა განამტკიცა ის და კიდეც ეწამა, თამარ მეფემ ხომ ოქროს ხანა შექმნა თავისი უკვდავი მგოსნით, შოთა რუსთაველით და ამით უკვდავჰყო ისეთი პატარა ერი, როგორიც ჩვენ ვართ.

დასავლეთში ქალი სხვა პირობებში იყო. პირველ ხანებში საბერძნეთში ქალი თანასწორი იყო კაცთან, ოჯახში კი უპირატესობა ეძლეოდა. შვილები დედის გვარს ატარებდენ. იმ დროს, როდესაც კაცი გართული იყო ომში მეზობელ ხალხთან, ქალი შინ მყუდრო ცხოვრებას ეწეოდა, განათლებას ამყარებდა. მან გამოიგონა ძაფი, ნაქსოვი, ხელსაქმე, სასწორი, შემოიტანა ცეცხლი და კიდეც ინახავდა მას. ის იყო ღმერთი სიბრძნისა, ხელოვნებისა და მეცნიერებისა. პირველი ექიმი ესკულაპი[1] კი არ იყო, არამედ მისი დედა და ექვსი და.

სახელმწიფოს დამყარებისთანავე პატრიარხატი გამეფდა, რომელმაც ქალი თანდათან მოაშორა ყოველ საზოგადო საქმეს. მამას მიეცა დიდი უფლება შვილებზე. მათი სიკვდილი და სიცოცხლე მის ხელში იყო. სპარტაში ქალს და ვაჟს ერთნაირად ზრდიდენ, ასწავლიდნენ გიმნასტიკას და სხვას, მაგრამ როგორც კი ქალი გათხოვდებოდა, ყოველ საზოგადო საქმეს მოსწყდებოდა და უნდა ევლო პირბადით. მამას უფლება ჰქონდა ქალიშვილი მიეთხოვებინა, ვისთვისაც თვითონ უნდოდა, კიდეც გაეყიდა, კიდეც მოეკლა – ამისთვის მას კანონი არა სჯიდა. ქალი სულ მონობაში ლევდა სულს: ჯერ მონა მამის, მერე ქმრის, მერე ვაჟიშვილის. თუ ქალს მზითვი ჰქონდა, ის უფრო კარგ პირობებში იყო. ქალისაგან მოითხოვდენ შვილოსნობას და სილამაზეს.

---

1 ესკულაპე – მკურნალობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში.

საბერძნეთში ქალის სილამაზეს ძალიან აფასებდენ. სილამაზე ქალს მონობისგან იხსნიდა, აძლევდა მეფურ სიმდიდრეს, აპატიებდა ყოველ დანაშაულებას. აი, სწორეთ ეს იყო მიზეზი, რომ ქალმა მთელი თავისი ძალ-ღონე ამ თვისების განვითარებას მოანდომა. ამ დროს გაჩდნენ გეტერები. გეტერა იყო ძლიერ ლამაზი ქალი, ნასწავლი, განვითარებული. იცოდა სიმღერა, ცეკვა, თამაში, იყო მჭერმეტყველი. მათ ეტანებოდნენ პირველი სარდლები, მეფეები და ფილოსოფოსნი. მათი სახლი წააგავდა პარიზის სალონს მეთვრამეტე საუკუნისას... გეტერას მდიდრული, უზრუნველი, მხიარული ცხოვრება, თავისუფალი დროის ტარება შეშურდათ ქმრიან ქალებს. დანარჩენმა ქალებმაც მიბაძეს მათ თანდათან, თავი დაანებეს კარჩეკეტილობას, მიიღეს განათლება, ამავე დროს მონაწილეობა საზოგადო საქმეში. ათენის რესპუბლიკის მმართველი პერიკლი თავისი ცოლის, ასპაზიის დიდი გავლენის ქვეშ იყო.

ასპაზიას დიდად აფასებდნენ ათენელები. ხალხი ამბობდა, რომ ასპაზია არათუ მეგობარი, მასწავლებელი იყო სოკრატის და ალკივიადისო. საბერძნეთში იმ დროს შესანიშნავი მგოსანი ქალები იყვნენ: საფო და კარინა. მრავალი მცოდნე და ნასწავლი ქალი გაჩნდა. აგანიკა იყო ვარსკვლავთმრიცხველი. მთვარის დაბნელებას ყოველთვის სისწორით უწინასწარმეტყველებდა ხოლმე ხალხს. არეტა არსტიპის ქალიშვილი ოცდახუთ წელიწადს ასწავლიდა ფილოსოფიას ათენში. მრავალი მეცნიერული ნაწერები დარჩა. მის ძეგლზე წააწერეს, რომ არეტა სილამაზით მშვენიერ ელენეს გავდა, ჭკუით სოკრატს, მჭერმეტყველებით ჰომერს, სიტყვაწყობილობით მამას. ნასწავლ-ფილოსოფოს მამებს ხშირად უფრო ნიჭიერი ქალები ჰყავდათ. ქალები განაგრძობდენ და უკვდავჰყოფდენ მამის სწავლა-მოძღვრებას.

ქალის ასეთმა დაწინაურებამ დიდად შესცვალა მათზედ შეხედულება. წინათ ქალის სილამაზეს და გართობას თხოულობდენ, ეხლა კი ზნეობრივ და გონებრივ განვითარებას.

№11, ივნისი, 1917

ქალაქის არჩევნები

ამ მოკლე ხანში ქუთაისის ქალაქის არჩევნები მოხდება. მომავალ ქალაქის თვითმმართველობას ბევრი საზრუნავი მოელის ქალაქისთვის. ყველამ უწყის, თუ რამდენათ ჩამორჩენილი, რამდენათ უკულტუროა ქალაქი ძველი თვითმმართველობის უმოქმედობით. ქალაქს არ მოეპოვება თვით უსაჭიროესი იარაღი, როგორიც არის ცეცხლის მქრობელი წყლის მილი გაუყვანლობის გამო. ჩვენი მოურწყველი და დაუგველი ქუჩების სიბინძურე, რომელსაც ეგრე უხვათ პირში გვაყრის ხოლმე ქუთაისის ხშირი სტუმარი ქარი, წარმოადგენს ერთს უსაშიშროეს მტერს მცხოვრებელთა ტანმრთელობისათვის. დღევანდელი აუტანელი სიძვირე, რომლის წინააღმდეგ არავითარი ზომები არ არის მიღებული, მთელი თავისი სიმძიმით თავს აწევს ღარიბ დედაკაცებს. ოჯახის მოთხოვნილება მჭიდროდ გადაბმულია ქალაქის წესრიგზე, ოჯახის მართვა-გამგეობა კი დედაკაცის ხელშია. აქედან, ცხადია, საჭიროება ქალთა თვითმმართველობაში ჩარევისა. რადგან ქუთაისის ქალთა საერთო პოლიტიკური კლუბის შემადგენლობის უმრავლესობა წარმოადგენს ამა თუ იმ პარტიულ წევრებს, ჩვენ ვთხოვთ ამხანაგებს, რომ თითეულმა მათგანმა დაავალოს თავის პარტიებს, რომ კანიდიდტთა სიაში შეტანილი იყოს ღირსეული ამხანაგ ქალების სახელებიც.

თუ რომ მამაკაცები, ჩვეულებრივად, ამ შემთხვევაშიც გვიპასუხებენ, რომ მათ მომზადებული ქალი არ ჰყავთ, ქუთაისის ქალთა საერთო პოლიტიკური კლუბის ბიურო მოუწოდებს კლუბის წევრებს, რომ არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღონ, გამოსახატავათ იმ პროტესტისა, რომელსაც ჩვენი პარტიული ამხანაგნი მამაკაცები ღირსეულად დაიმსახურებენ. არცერთს არსებულ პარტიას არ შეეძლება ჩვენს წინაშე თავის გამართლება და იმის დამტკიცება, რომ მათ ერთი მომზადებული ქალი არ ჰყავდეს. ჩვენ კარგათ ვიცით, თუ რა მომზადებაა საჭირო საბჭოს ხმოსნისათვის. აქ საჭირო არ არის არც იურისპუდენციისა და არც ფილოსოფიის ცოდნა. აქ არის საჭირო გულმტკივნეულობა და თადარიგის დაცვა, რასაც ყოველი გონიერი დედაკაცი გამოიჩენს.

ქალებო, თქვენ გეუბნებიან „თვითმმართველობა უნდა გადავიდეს ხალხის ხელშიო". სთქვით, რომ ხალხს არ წარმოადგენს მარტო მამაკაცები, რომ თვითმმართველობა ნამდვილად ხალხოსნური უნდა იყოს. ნამოაყენეთ ეგ სამართლიანი მოთხოვნილება! დაიცავით თქვენი უფლება!

№12, ივნისი, 1917

ქართველ ქალებს სცემენ და აუპატიურებენ

ის, რაც ამ ასი წლის განმავლობაში დაფარული იყო და სიბნელე თავის სუდარაში ხვევდა და ადამიანთა უმეტყველობა საიდუმლოთ ასამარებდა გულში, ამ თავისუფლების სხივთა სინათლეში მთელი თავისი სიმძაფრით დაგვენახა, მაზე დუმილი დღეს შეუძლებელია, რადგან მოგვეცა ნება მეტყველობისა და ჩვენი თავისუფალი სიტყვა ასეთს სიავის გამოაშკარავებას უნდა მოხმარდეს. ჩვენ არ გამოუდგებით ძველს ცოდვებს და მის ძიებას, თუ რა გადახდა ქართველს ქალებს ამ ასი წლის განმავლობაში, რამდენი ემსხვერპლა სიტლანქეს და ტანჯული ჩაესვენა ცივ სამარეში. ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ მას, თუ რა ხდება დღეს ჩვენში და როგორ შეიგნეს მამრობითი სქესის ნაძირლებმა თავისუფლება ადამიანის პიროვნებისა.

მათ გონიათ, რომ პოლიტიკური თავისუფლება და ადამიანის და მოქალაქის უფლება გამოიხატება იმაში, რომ ჩაიდინოს ის, რაც მათ პირუტყვს ბუნებას მოეპრიანება და ასეთი თავისუფლების შეგნებით მათი უწესო საქციელი ყოველს საზღვარს სცილდება, რომლითაც ყველაზე მეტად ქალები იტანჯებიან. დღეს საკმარისია ვინმე ლოთმა, ეროტომანმა აითვალთვალოს რომელიმე ქალიშვილი, რომ ის მისი მსხვერპლი გახდეს, თუ რომ უკანასკნელი გავლენიანი ჭირისუფლების პატრონი არ არის. ამ ორი თვის განმავლობაში ქუთაისის დაბა-სოფლებში ისე გახშირდა ქალების მოტაცება, როგორც უძაღლო ოჯახში მელიებისაგან საქათმიდან ვარიების მოპარვა.

სოფელ კულაში გაიტაცეს მკერავი ქალიშვილი, მას სხვა ჭირისუფალი არ ჰყავდა, გარდა ერთი მოხუცებული მამიდასი და პატარა ძმისა, რომელნიც მისი შრომით არსებობდენ და მიუხედავათ ვედრებისა აღმასრულებელ კომიტეტთან და მილიციონერებთან, ეს ქალი მოძალადე საქმრომ გაიტაცა, შუა დღისას, დღისით, მზისით შუა ბაზარში და მის გულის შემზარავ კივილ-ჩხივილზე მას არავინ მოსარჩლე და მიმშველებელი არავინ არ გაჩენია. ახალს სენაკში გაიტაცეს რამოდენიმე დღის წინათ ქალიშვილი და გაუპატიურებელი სამი დღის შემდეგ უკანვე გამოსტაცეს თავის ჯალათს, რომელიც დღეს სიკვდილის პირად მიმდგარი წევს ადგილობრივ კომისარიატის ბინაზე. სოფელ მაღლაკში მოიტაცეს ქალიშვილი, ძალად ჯვარი დასწერეს მას და დღეს, კიდევ რამოდენიმე ოჯახს თავს დასხმას ემუქრებიან, რომლებსაც შიშით სხვა და სხვა

ალაგს გადაუმალავთ თავიანთი შვილები. სხვა მიყრუებულ სოფლებში რა ხდება, ერთმა ღმერთმა უწყის! ასეთს ბარბაროსულ მოვლენას, ასეთს გათახსირებას ქართველი კაცისას არა თუ ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა, არამედ პირზე ღიმილით უხვდებიან ის პირები, რომლებიც ცარიელი ენით ქალთა სწორუფლიანობას აღიარებენ. უბრალო ჯიბგირები, ქურდები დასაჯეს, დასაჯეს სასტიკათ და ასეთი ძალადობა ადამიანის სულზე და ხორცზე დღემდე არავითარს სასჯელს არ იწვევს და სრულიად გულ გრილათ ხვდებიან მას. ქ.ქუთაისში ამ ერთი კვირის წინათ პარკის სარჩევ სახელოსნოში, რომელიც მოთავსებულია სათავად აზნაურო გიმნაზიის შენობაში, რამოდენიმე კაცის თვალწინ სახელოსნოს პატრონმა მუშტით ცემა ხანში შესული მუშა ქალი. სამტრედიაში ერთმა მხეცმა ხალხის წინ ცემა რომ არ აკმარა, მკლავზე უკბინა დედაკაცს და მთელი ლუკმა ხორცი ამოაგლიჯა. ქალებო, გესმის რა ხდება ჩვენს სამშობლოში, სადაც ქალთა სწორუფლიანობას ხელს აწერს ყველა პოლიტიკური პარტიები?

დღეს ამ საერთო განახლების დროს და მოქალაქობრივი ცხოვრების განმტკიცების დროს, ის ხდება ჩვენ ქვეყანაში, რაც მე-10 და მე-12 საუკუნის ქართველი კაცისათვის წარმოუდგენელი იყო! ქართველს ქალებს სცემენ და აუპატიურებენ ქართველი მამაკაცები!!

№12, ივნისი, 1917

მიხედეთ სოფლად ქალებს!

ვისაც საშვალება ჰქონია პირდაპირ, მიუდგომელათ გაეთვალისწინებინა ყოველმხრივ სოფლის ცხოვრება, ის უსათუოდ შეამჩნევდა იმ სამწუხარო მოვლენას, რომ სოფელი საერთოდ, შედარებით ქალაქთან, ძალიან კონსერვატიულად და თანამიმდინარე რევოლიუციის შეუფერებლად აზროვნობს. აქ არ გამოუდგებით იმ ფატალურ უკუღმართ მიზეზებს, რომელთა შედეგია ეს სამწუხარო მოვლენა. ავღნიშნავ მხოლოდ როგორც ნიმუშს ისეთი აზროვნებისას, ქალთა საკითხის განმარტება-გაშუქებას სოფლად და სოფლის წურბელთა როლს თავისუფლების გავრცელებაში.

დიდებული რევოლიუციის ტალღებმა ააფორიაქა თვით მივარდნილ სოფლელთა ტვინი და გრძნობა. სადღეისო საჭირბოროტო საკითხებმა მათაც აუღელვა გული და დღეს აქაც გაისმის ხმა სხვადასხვა მოქალაქეობრივ უფლებაზე. მხოლოდ, სხვათაშორის, (მასხრობით) მოიხსენიებენ ქალების უფლებრივათ მამაკაცებთან გათანასწორების საკითხს. მე არ ძალმიძს იმ უშვერი სიტყვების და ბილწი აზრების აქ მოხსენება, რომელსაც ხარჯავენ „მჭერმეტყველურად" სოფლათ ქალთა სწორუფლიანობის თანამგრძნობთა მიმართ. ვინ არიან ეს პატივცემული ვაჟბატონები? სოფლის მღვდელი, სოფლის ნამწერლები და აბლაკატები. ზოგს მათგანს მოყავს ციტატა საღმთო წერილებიდან. ზოგს „ვეფხისტყაოსნიდან" და ამტკიცებენ ადამიანთა უთანასწორობის მოუცილებლობას. კარგი და კეთილი, ვაჟბატონებო, მაგრამ, რაკი ქალთა საწინააღმდეგოთ მონახეთ უებარი ლოღიკის წყარო, იქონიეთ მოქალაქობრივი გამბედაობა, არ უმტყუნოთ თქვენს მიმართულებას და ბოლომდე გაყევით თქვენს პროგრამას, დაამტკიცეთ ნიკოლოზის თვითმპყრობელობის უფლება (მონებო, ემორჩილებოდეთ თქვენს ბატონებს!) და სხვა ბევრი ამისთანებიც!

მერე, რა ნიადაგი აქვს ამ ვაჟბატონების ქადაგებას? მოგეხსენებათ, მღვდლის ავტორიტეტი სოფლათ და ესეც რომ არ იყოს, საუბედუროთ, იმდენი შეუგნებელია ჩვენი სოფლელი ქალები საზოგადოთ, რომ თვით უდიერად მასხრობენ ქალთა საკითხზე და ადასტურებენ მოწინააღმდეგეთა სიტყვებს: მართალს ამბობ, შენი ჭირიმე, სად გაგონილა ქალის გათანასწორება მამაკაცთანო. ეს მხოლოდ უსაქმურ, ნასწავლ ქალაქელ ქალთა გამოგონილიაო.

დებო და დედებო! თვალები გავახილოთ და გვერდში ამოვუდგეთ უფრო შეგნებულ ჩვენს ამხანაგებს. ნასწავლი, ქალაქელი, სოფლელი და ყველა, საერთოთ ქალები, დიდად დაჩაგრულია თანამედროვე ცხოვრებაში. ჩვენ ყველას გვაერთებს საერთო ტანჯვა, საერთო უუფლებობა, საერთო დამცირება და სიდუხჭირე. დროა გავსწიოთ საერთო მიზნისკენ, შევიგნოთ და სხვასაც შევაგნებინოთ, რომ ჩვენ ავეჯი არ ვართ და არც იარაღი ვართ მამაკაცების ვნებიერების დასაკმაყოფილებელი. ჩვენ ვართ ადამიანები და ამიტომ, უნდა გავხდეთ სრულიად სწორუფლებიანი მოქალაქეები. გახსოვდეთ, რომ ჩვენი შეერთებით ჩვენს მტრებს ხელიდან გამოვაცლით უკანასკნელ ჩვენ საწინააღმდეგოთ ამართულ ციხე-სიმაგრეს, რომ ჩვენ მოუმზადებელი ვართ საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. საჭიროა დარაზმული გამოსვლა. ვაჩვენოთ ქვეყანას, რომ ჩვენ შეგნებულად ვუყურებთ ცხოვრებას და კარგად გვესმის ჩვენი და საერთო თავისუფლება!

მოქალაქენო! შეგნებულნო ამხანაგნო და ქალებო! საჭიროა მუშაობა სოფლად! დაუახლოვდით და შეაგნებინეთ სოფლის მუშა ქალებს მომენტის მნიშვნელობა. მიხედეთ სოფლად ქალებს!

№13 ივლისი, 1917

თანამედროვე სამართლის სამართლიანობა

ყოველი ორგანიზაციულად დაწყობილი საზოგადოება დამყარებულია თავისებურ სამართალზე. სხვადასხვა ხალხში და სხვადასხვა საზოგადო წყობილებაში სხვადასხვანაირი სამართალია. სამართალი იცვლება დროსა და სივრცის მიხედვით ყოველ ხალხში. მისი გაუმჯობესება, მისი სამართლიანობა დამყარებულია ამა თუ იმ ხალხის წინსვლაზე და ზნეობრივ-გონებრივ განვითარებაზე. სამართლის დამახასიათებელ თვისებათ ითვლება სოციალურ ძალთა ორგანიზაცია საერთო მოვალეობის შესასრულებლათ. არსებობს საზოგადოებათა დამოკიდებულება, რომლისთვის საჭიროა რწმუნებათა შესრულება. ასეთი დამოკიდებულება არის იურიდიული. ყოველს სამართალს თანა სდევს სანქცია ე.ი. იძულება საზოგადოებისა სამართლის მიერ გამოწვეულ მოვალეობის შესასრულებლათ, როცა მას რომელიმე წევრი საზოგადოებისა არ ასრულებს. ზნეობა სამართლიდან მით განირჩევა, რომ ის არის აქტი თავისუფალი, რომლის შესასრულებლათ არ არსებობს არავითარი იძულება. ანატომიური კრიტერია ყოველი სამართლისა, ამბობს დიდებული იურისტი თანამედროვე ბელგიისა ედმონდ პიკარი, პროფესორი ბრიუსელის ახალი უნივერსიტეტისა, არის სოციალური იძულება.

საერთაშორისო სამართალში, მართალია, არსებობს იძულება en regle, მაგრამ ის სისრულეში მოყვანილი არ ხდება ორგანიზაციულ სოციალური ძალით, რომლის გამო ეროვნული სამართალი საერთაშორისო სამართლიდან განსხვავდება. თანამედროვე იურისტთა აზრით, ყოველი სამართალი პრაკტიკულ განსახორციელებლათ მოითხოვს ადამიანთა ორგანიზაციას სახელმწიფოებრივი ფორმით. იქ, სადაც არ არსებობს სახელმწიფო პოზიტიურად, არ არსებობს, მათი აზრით, სამართალიც. ეტიმოლოგიურად სიტყვა სამართალი ნიშნავს სისწორეს, მისი ჩვეულებრივი ემბლემა სასწორია. ონტოლოგიურად ე.ი. შინაგანათ, ყოველი სამართალი შედგება ოთხი არსებითი ელემენტიდან: სუბიექტი, ვისაც ეკუთვნის სამართლით უფლება, ობიექტი, მოქცეული უფლების ქვეშ, დამოკიდებულება სუბიექტსა და ობიექტს შორის და მფარველი იძულება საზოგადოებისა, რომელიც ემსახურება სამართლის დაცვას. ეს ოთხი ელემენტი ქმნის იურიდიულ კანონებს. სუბიექტი არის მესაკუთრე იმ უფლებისა, რომელსაც აძლევს მას სამართალი და რომელიც ღებულობს მისგან სარგებლობას. თანამედროვე საზოგადოების სამართალ-

ში სუბიექტათ ითვლება მამაკაცი, როგორც პატრონი პიროვნული და რეალური უფლებისა.

ობიექტად სამართლისა ითვლება ის, რაზედაც სუბიექტი მფლობელობს. ე.ი. ნივთი. რას იძლევა პიროვნული სამართალი? პიროვნული სამართალი იძლევა თავისუფლებას პიროვნებისას, რომელიც სრულს წლოვანს ანიჭებს მოქალაქეობრივსა და პოლიტიკურს უფლებას. რას იძლევა რეალური სამართალი? რეალური სამართალი იძლევა უფლებას ქონებაზე, მესაკუთრეს უფლება აქვს თავის საკუთრებაზე, მაგალითად, სახლზე, რომელსაც ის ხმარობს, აქირავებს, მიწა და სხვა, რომლიდანაც ის სარგებლობს და არის მის განუსაზღვრელ მფლობელობის ქვეშ.

ეხლა, ვიკითხოთ თანამედროვე სამართალში, რომელსაც ეგრე თავი მოაქვს თავისი სამართლით, გაუხრელობით და სხვა, დაცულია თუ არა სამართლიანობა ერთი ნახევარი კაცობრიობის მიმართ? არა! პიროვნული სამართალი დღემდე სრულწლოვან ნორმალურ დედაკაცს არ ანიჭებს პიროვნულ თავისუფლებას და მოქალაქურ უფლებას. რეალური სამართალი ზღუდავს მის უფლებას ქონებაზე, მაშასადამე, არც არსებობს ქალებისთვის. რეალურსა და პიროვნულ უფლებას მოკლებული არ ჩაითვლება სუბიექტად და ის არის ნივთი, ობიექტი თანამედროვე სამართალში. ეხლა ვიკითხავთ, შესაძლებელია თუ არა, რომ გონიერი, შეგნებული ქალები ემორჩილებოდენ ასეთ სამართალს და არ ამხედრდენ მის წინააღმდეგ? რომელი ოჯახისა და დედობის მოვალეობამ უნდა შეარიგოს თანამედროვე ქალები იმ აშკარა დამცირებას თავიანთ პიროვნებისას, რომელთაც მამაკაცთა მიერ გამოგონილი უსამართლო სამართალი მათ უცქერის ისე, როგორც ნივთს, მოსახმარ ობიექტსა და არა როგორც სუბიექტს, პიროვნებას?

ჩვენი ღრმა რწმენით ვერავითარი, რადგან დედობა ჩვენ არ მიგვაჩნია დედაკაცის ადამიანური პიროვნების მომსპობ მოვლენათ და ვინც ასეთს მოვალეობას მოითხოვს ჩვენგან, მას იმავე დედის სახელით ვუცხადებთ: ზიზღი იმ დედას, რომელიც თქვენ ნაკარნახევ მოვალეობას ადამიანის მოავლეობათ ჩასთვლის, თქვენ ეტრფით პირუტყვს, უპიროვნო დედას, რომელიც თქვენს ნაკარნახევ მოვალეობას ადამიანის მოვალეობათ ჩასთვლის. თქვენ ეტრფით პირუტყვს, უპიროვნო დედას, ჩვენ ვეტრფით სრულუფლებიან მოქალაქე მშობელს. თქვენი მომხრეა ბნელი წარსული, ჩვენი მოსარჩლეა ბრწყინვალე მომავალი.

ის დაანგრევს თქვენს ცრუ სამართალს და აღადგენს ახალს დედას, ახალი ადამიანის უფლებით და მოვალეობით. დღევანდელს სამართალს კი დღევანდელი ქალები უნდა შეებრძოლონ და მისთვის მოვთხოვთ მათ ორგანიზაციულად შეერთებას.

№14, ივლისი, 1917

საერთო ინტერესი თუ სქესური ეგოიზმი ეწინააღმდეგება ქალთა ინტერესებს?

ადამიანის და მოქალაქის უფლების გამოცხადებამდე არსებობდა მხოლოდ პრივილეგია. მე-18 საუკუნეში ფრანგ ფილოსოფოსთა გავლენით აღიძრა აზრი, რომ გაერკვიათ და განემტკიცებინათ ის უფლება, რომელიც ბუნებიდან ეკუთვნის თითეულს ადამიანს მისთვის, რომ ის ადამიანია. ფრანგი ფილოსოფოსნი მთელი საუკუნის წინათ უძღოდენ რევოლიუციას და დაუღალავად ებრძოდენ უსამართლოებასა და თავისუფლების შეზღუდვას. მათზე შეიძლება ითქვას ის, რაც ვოლტერმა სთქვა მონტესკიეზე: „ადამიანებმა დაკარგეს დოკუმენტი თავისი უფლებისა და თქვენ მონახეთ ისო". მხოლოდ ამ მონახულს დოკუმენტებში არც მის აღმომჩენსა და არც მის გამომყენებელთ არ აგონდებოდათ ერთი უბრალო ჭეშმარიტება – ის, რომ დედაკაცებიც ადამიანთა ჯიშს ეკუთვნოდნენ და ეს დოკუმენტები მათი უფლებების დამამტკიცებელიც იყო.

1789 წელს ფრანგების მიერ შემუშავებული დეკლარაცია არც პირველი და არც ერთადერთია, მაგრამ ის არის ყველაზე სრული და ნათელი წინანდელს დეკლარაციებზე მით, რომ შემუშავებულია მთელის კაცობრიობისთვის განურჩევლად ფერისა, ტომისა და სარწმუნოებისა, მაგრამ, მიუხედავათ მისი სისრულისა, ის არ არის განურჩევლად სქესთა. რითი აიხსნება ეს აშკარა უსამართლობა, დაშვებული კაცთმოყვარე ფილოსოფოსებისა და თავგანწირულ თავისუფლებისათვის მებრძოლთა მიერ? იმ უყურადღებობით, რომელიც მათ გამოიჩინეს დედრობითი სქესის მიმართ? არის ამ უყურადღებობაში რაღაც ტრადიციული, სპეციალური, სქესური ინტერესი, რომელიც მათ ხელს უშლიდა საკაცობრიო საკითხის სამართლიანად გადაჭრისათვის, თუ იგივე კაცობრიობის ინტერესი აიძულებდათ მათ დედრობითი სქესის პიროვნულ მონობაში დატოვებას?

თუ რომ კაცობრიობას შეადგენენ მამაკაცები და დედაკაცები ერთად, არა მარტო ერთი რომელიმე სქესი, იმ შემთხვევაში, ცუდია ის ხუროთმოძღვარი, რომელიც შენობის ერთ ნაწილს ნესტიან ადგილს ანიჭებს და მეორე ნახევარს კი მშრალსა და მზიანს. როგორც ასეთი შენობა არ იქნება საღი ბინა, ისე, არც ის საზოგადოება ერისა და კაცობრიობისთვის, რომელიც ერთ სქესს გონებრივ და სულიერ სიდუხჭირეში აგდებს და მეორეს კი წინსვლისა და განვითარების გზაზე აყენებს. ასეთი მავნე-

ბელი შედეგის გასათვალისწინებლად სრულიად საჭირო არ არის ფილოსოფიური ცოდნა და ნიჭი და ასეთს სიბეცეს ჩვენ მათ ვერ დავსწამებთ. აქ უთუოდ სხვა მიზეზია და ეს მიზეზი იყო მათი სქესური ეგოიზმი, რომელმაც დაიმორჩილა მათში ინტერესი ერისა და კაცობრიობისა. ამ ეგოიზმის დაუძლევლობით ძველი ევროპა დღეს სასტიკ სასჯელს იხდის. ასე იყო და დღესაც არის ძნელი განებივრებული ეგოიზმის აღმოფხვრა. ის თხოულობს შეუპოვარს მოწინააღმდეგეს, რომელიც იმ დროს არ არსებობდა, რადგან კლასობრივი ნიადაგი ექნება მას, თუ სქესობრივი, თავის ნებით თავს არასოდეს არ მოიკლავს. ამისათვის საჭიროა უაღრესი ზნეობა და უსპეტაკესი აზროვნება, რომ ამა თუ იმ ბატონმა დაინახოს უზნეობა და უსამართლეობა თავისი პრივილეგიისა და უარჰყოს იგი. რომელს უფრო მეტი მოსარჩლენი ყავს, დაჩაგრულს კლასს გაბატონებულს კლასში, თუ დაჩაგრულს სქესს გაბატონებულს სქესში, ეს იმ პარტიულმა ქალებმა დაითვალოს, რომლებიც მამაკაცებიდან მოელიან სრულს მოქალაქობრივ უფლების მიღებას. ჩვენთვის, ურწმუნო თომას შთამომავალი ქალებისათვის კი აშკარაა არსებობა სქესური ეგოიზმისა, იმ ისტორიულად თავაშვებული ცხოვრების გამო, რომელსაც ეწეოდენ და ეწევიან მამაკაცები და რომლის გამო მათი უმრავლესობა ვერ ურიგდება დედაკაცების მათთან პიროვნულად გათანასწორებას. ასეთი ეგოიზმი მოითხოვს ბრძოლას და ჩვენც მისთვის მოვუწოდებთ ჩვენს დაჩაგრულ დებს ადამიანური უფლების აღსადგენად ორგანიზაციული ბრძოლისათვის. არმია იმ მამაკაცებისა, რომლებიც დღეს ქალებს გულწრფელად გვესარჩლება ერთობ სუსტი ლეგიონია ქალთა უფლების მტრებთან საბრძოლად, თუ რომ დედრობითი სქესი თავისი მოქალაქური უფლების განსამტკიცებლად თვითვე არ იზრუნებს. მითუმეტეს, დღევანდელ რევოლუციურ ქარტეხილში, უკიდურესი მამარცხენე ხალხი მაინც ბურჟუაზიული მმართველობის ქვეშ დარჩება. ბურჟუაზიული მთავრობის კეთილს განწყობილებას ქალთა სწორუფლიანობისთვის კი ჩვენ ერთობ კარგად ვიცნობთ, რომ მათ ჩვენი ადამიანური უფლების ბედი მივანდოთ. დღევანდელი რევოლუციისას და ასეთს განწყობილებას ბურჟუაზიული მთავრობისას ქალთა სწორუფლიანობისადმი ქართველი „მენშევიკები" ძრიელ ნათლად ითვალისწინებენ. მიუხედავად ამისა, საერთო ქალთა კავშირების მოწყობას ესენი ყოველნაირად ხელს უშლიან და უცქერიან მათ სრულიად წინააღდეგ თავიანთ რუს ამხანაგებისა.

არსებობს ცალ-ცალკე კავშირები: გლეხებისა, ქალაქის მუშებისა, ჯარისკაცებისა და სხვა ხელოსნებისა. ამის საწინააღმდეგო მათ არაფერი აქვთ. მხოლოდ ქალთა კავშირები მოწყობილი პარტიების გარეთ,

მათ თვალში ეკლათა ხვდებათ და ასეთ საერთო ქალთა კავშირებს საერთო მოძრაობიდან გამოყოფათ სთვლიან, რომ დემოკრატიული ნაწილი ჩვენი დებისა ერთი მეორეს დააშოროს. ამ ფაქტს ჩვენ ავღნიშნავთ არა იმისთვის, რომ გვაფრთხობდეს მათი ასეთი განწყობილება ქალთა კავშირებისადმი. სრულიადაც არა, რადგან დღითი დღე ჩვენი პარტიული დები ფხიზლდებიან და ის ნაწილი, რომელიც დღეს „ქალთა საერთო პოლიტიკურ კლუბს" განზე უდგას, ხვალ-ზეგ შეიძლება მისი ავანგარდი გახდეს. ამ ფაქტს ჩვენ ავღნიშნავთ იმისთვის, რომ გაიგონ და იცოდენ მომავალმა ქართველმა ქალებმა, თუ როგორ უცქეროდენ ქართველი „მენშევიკები" ქალთა კავშირებს დიდი რევოლუციის დროს. განა, „მენშევიკებმა" არ იციან, რომ ქალთა ორგანიზაციულად შეერთება საერთო ინტერესის ღალატს რომ არ მოასწავებს? განა, არ ხედავენ, რომ ქალები იბრძვიან არა მარტო თავისი უფლებისათვის, არამედ ორთავე სქესის მოქალაქეობრივი სწორუფლიანობისთვის? მაშ, რათ სწამებენ ქალთა ორგანიზაციებს ასეთ ცილს? მისთვის მხოლოდ, რომ ხელი შეუშალონ ქალთა თვითმოქმედებას, ქალთა დამოუკიდებელი ნაბიჯის გადადგმას! ვინ ღალატობს საერთო ინტერესებს, ის, ვინაც თავიანთი სქესის პრივილეგიის შენარჩუნებას ხელს უწყობს, თუ ის, ვინაც ორთავე სქესის მოქალაქური სწორუფლიანობის განმტკიცებას მოითხოვს? ჭეშმარიტად, ადამიანი მთლად გაყეყეჩებული უნდა იყოს სქესური ეგოიზმით, ან მთლად სულით დამონებული მისგან, რომ ეს კითხვები არ მოუვიდეს თავში და ვერ გაარკვიოს. ვუსურვებ ქართველ „მენშევიკებს", დღევანდელი თავიანთი უპატივცემულობა ქალთა კავშირებისადმი, მომავალში სანანებლად არ გახდომოდეთ, რადგან ის, რაც ეპატიება მეთვრამეტე საუკუნის რევოლუციონრებს, არ ეპატიება მეოცე საუკუნის პოლიტიკურად მებრძოლ სოციალისტებს.

№15, ივლისი, 1917

ქალებო, გამოფხიზლდით!

უბედურობით ამხანაგებო, სქესო ათასწლობით დამონებულო, დედებო უმადური შვილებიდან დამცირებულნო, დებო, ძმებიდან დაჯაბნებულნო და ცოლებო ქმართაგან განაწამებო, გამოფხიზლდით! თავისუფლების ზარი რეკს, ის განიჭებთ თქვენ ადამიანისა ხმას და უფლებას, ყური უგდეთ ამ ზარის წკრიალს, გაინძერით! შეიყვარეთ თავისუფლება, შეიყვარეთ ადამიანური უფლება, აღსდექით და მიეგებეთ მას! ამხანაგებო, მონობა თავისი სიბნელით, ემუქრება ბრწყინვალე სხივებს დიდი რევოლუციისას, მას სურს გააქროს სინათლე თავისუფლებისა, რომ კვლავ თავის სიწყვდიადეში შთანთქოს მთელი რუსეთის მცხოვრებთა სულიერი მხარე. მას ხელს უწყობს დღევანდელი უმაგალითო სიძვირე და ათასი შეუგნებელი, თუ შეგნებული ბნელი ძალები, რომლებიც ლოთობენ, გარყვნილობენ, შუღლსა და მტრობას თესავენ და ჩხუბობენ. ამხანაგებო, ყველა ეს უკუღმართი მოვლენა, ეგ საფრთხე, რომელსაც გვიმზადებს შეგნებულნი, თუ შეუგნებელნი მტერნი თავისუფლებისა, დიდს უბედურობას წარმოადგენს ქალებისთვის. სიძვირე და გაჭირვება ერთი ათით გამტანჯველია ჩვენი სქესის ღარიბი ნაწილისათვის, რომელიც მოკლებულია დამოუკიდებელ ეკონომიურ ცხოვრებას და მუდმივად მონობით ცხოვრობს. ის აგდებს ჩვენ დებს უცნაურს ბინიერებაში, ის აიძულებს არა მტკიცე მათგანს თავისი სქესის გაყიდვას, რომლებიც ირყვნებიან, სნეულდებიან და ღვთისგან და კაცისგან მოძულებულნი, სამარცხვინოდ იღუპებიან.

ლოთობისა და სხვა პირუტყვობის ექსცესები, რომელსაც იწვევს საქციელი უზნეო, შეუგნებელ მამაკაცებისა, რომლებმაც არ იციან ფასი არც ადამიანის პიროვნული თავისუფლებისა და არც მოქალაქური ცხოვრებისა, ემუქრება დედაკაცის პიროვნებას გათელვით, დამცირებით და დაღუპვით. მრავალი უპატრონო ქალები იტანჯებიან და მსხვერპლათ ეწირება მათ სიმხეცეს. ქალებო, არ შეიძლება ამის მოთმენა! შეერთდით ასეთი მსხვერპლის საწინააღმდეგოთ! ებრძოლეთ დედაკაცის დამამცირებელს მოვლენას, ებრძოლეთ თავისუფლების მტრებს! დღეს თქვენ გაქვს ხმა არა იმისთვის, რომ მხოლოდ კენჭი ჩაუგდოთ თქვენ ამხანაგ მამაკაცებს, ძმებსა და ქმრებს, არამედ მისთვის, რომ შეებრძოლოთ სიავეს!

სთქვით სიტყვა მოქალაქისა და თავისუფალი ადამიანისა! ებრძოლეთ ადამიანის პიროვნების გამთელავ მოვლენას და ყველაზე მეტად თქვენს

საკუთარ გაჭირვებას, შეერთდით! შეერთდით თავმოსაგერებლად, შეერთდით თავისუფლების დასაცველად, შეერთდით ორგანიზაციულად! დააარსეთ საკუთარი კავშირები, ემზადეთ დამფუძნებელ კრებისათვის, აარჩიეთ კანდიდატებად პატიოსანი მამაკაცები, დამცველნი ქალთა სწორუფლიანობისა. ნუ ხედავთ პარტიობას, ყველა პარტიაში არის დღეს მტერი და მოყვარე ქალთა უფლებისა. გაარჩიეთ თქვენი უფლების სიავე სიკეთის მდომნი? აირჩიეთ ჭეშმარიტი მეგობრები თავისუფლებისა და დამცველი სამართლიანობისა! ეცადეთ თვით იყოთ არჩეული, თვით იყოთ ჭეშმარიტი მეგობრები თავისუფლებისა და დამცველი სამართლიანობისა! მოითხოვეთ გამოსვლა საზოგადო ასპარეზზე, ჩაებით საზოგადო ორგანიზაციების საქმეში! ებრძოლეთ სიძვირეს, ებრძოლეთ გარყვნილობას! კმარა ძილი! კმარა უმოქმედობა! შეკავშირდით დურად, ამხანაგურად საერთო ქალთა ორგანიზაციულად მოწყობილ კავშირებში სოფლად და ქალაქებში. იცანით თქვენი ადამიანური ღირსება და სხვებიც იცნობენ მას. რევოლიუციის ცეცხლი გიზგიზებს, რომელშიაც ყოველთვის მრავალი უდანაშაულო მსხვერპლი იწოდა და დღესაც იწვის.

ქალებო, გამოფხიზლდით! ქალებო, თავმოსაგერებლათ შეერთდით!

№15, ივლისი, 1917

ეს საძმე თძვენი ძმეგის ხელისაა

წასულ ხუთშაბათს ერთს ჩემს მეგობრის ოჯახში ვიყავ. ჩაიზე ვისხედით, რომ უცებ მეზობელ ქალებმა ერთი მეორეს შესძახეს.

– გაიგეთ? წუხელის ქალი დაუხვრჩიათ!

– ნუ იტყვი უცნაურს! – უპასუხა მეორემ.

– ქმარ-შვილს გეფიცები, აგერ გდია საპირორთა როტის ყაზარმებთან და სადგურის ქვევით მდებარე მინდორში.

დავნაყრდით თუ არა, მე და ჩემი მეგობარი გაუდექით გზას, რომ გვენახა ეგ უპატრონო მსხვერპლი. გზა კარგათ არ ვიცოდით. გვინდოდა მიგვემართა ვისმესთვის საკითხველად, მაგრამ არავინ ჩანდა. ამ დროს ერთმა პატარა ბიჭმა ჩამოგვირბინა. ის შევაჩერეთ ჩვენ და დავეკითხეთ თუ საით მიეჩქარებოდა.

– აგერ ბატონო, მინდორში ქალი მოუკლავთ და იქ მივდივართ!

– შენ იცი სად არის ეგ მინდორი? – დავეკითხე მას.

– როგორ არ ვიცი, ბატონო – იმერული სიმკვირცხლით მომიგო მან.

– აბა, ჩვენც იქ მივდივართ და გაგვიძეხი! – უთხრა ჩემმა მეგობარმა და სამთავენი გაუდექით გზას. ავედით ერთს მაღლობზე, საიდანაც ჩანდა ერთს ადგილზე შეჯგუფული ხალხი. ფეხს აუჩქარეთ, გავარჩიეთ ამ ჯგუფში თოფიანი მილიციონერები, რამოდენიმე ჯარისკაცი, აფიცრები და ქალები ბავშებით. მივედით! რაოდენიმე კაცმა გაიწ-გამოიწია და ჩვენც თავს დავადექით მიცვალებულს. ის ეგდო ერთს ამოთხრილ ადგილს, ვიღაც მადლიანს პირზე მისივე შავი კასინკა წაეფარებინა ბუზებისაგან დასაფარად. ჩვენს მისვლაზე ერთმა ხანში შესულმა ქალმა პირზე ახადა და იქვე, გვერდით ჩაუჯდა მას. მისი სახე გადმოგცემდა, რომ ის სლავიანთა ტომს ეკუთნოდა. ცხადია, ის თეთრი მონების კატეგორიისა იყო, რომელსაც ადგილობრივი ჭირისუფალი არ მოეპოვებოდა.

მის ახალგაზრდა სახეს წითელი ტალი გადაკროდა, ცხვირიდან ჩამხმარი სისხლი უჩანდა. მუცელი მოსალოგინებელი ქალივით გადიდებოდა.

– ამ დილას თბილი იყო, როცა ენახეთ – მითხრა მის გვერდით მიმჯდარმა ქალმა – წუხელის რამოდენიმე პირს უნახავს, რომ ეს უბედური ერთს ჯარისკაცს მოყობოდა ამ მინდვრისაკენ.

– მერმე, დილის აქეთ, ასე აგდია აქ?

– დიაღ, ექიმს ელოდებიან. მანამდე აღება არ შეიძლებაო.

– ესეც ახალი წესია, მა, რა არის? გავიფიქრე გულში. შავ-ბნელმა ფიქრებმა წამიღეს. წარმომიდგა სურათი რამოდენიმე საათის წინათ ამ ქალის ტანჯვისა, თუ რა უნდა განეცადა მას მხეც ადამიანიდან. ჰო, რა საბრალოთ ვგრძნობდი იმ დროს ჩემს თავს, მით რომ დედაკაცი ვიყავ! მაგრამ მამაკაცობა მაინც არ მინდოდა, არ მინდოდა ვყოფილიყავ ის სქესი, რომელსაც ნიჭი აქვს ასეთი ბოროტებისა! ზიზღი, აღშფოთება ერთად ირეოდა ჩემს გულში. ყველას დამნაშავეთ, ყველას ჯალათად ვსთვლიდი. საუკეთესო ამხანაგი, ძმა რომ შემხვედროდა იმ დროს, მას კეთილი თვალით არ შევხედავდი.

– რათა აქვს ეგრე დიდი მუცელი, ორსული ხომ არ არის? სთქვა ერთმა ცნობისმოყვარემ.

– ხა, ხა, ხა – გადაიხარხარა მილიციონერმა, მუცელი გასიებული, აგერ, ამ ქალსაც აქვს, მაგრამ ორსული კი არ არის – და წაუპოტინა ხელი.

– რა გაცინებთ? – დაეკითხა ერთი მოწყენილი სახის ჯარისკაცი მას.

– ეს არის თავისუფლების დამცველი მოქალაქე? – წაილაპარაკა ერთმა ქალმა.

– მე თქვენ გთხოვთ თავისუფლებას ნუ ახსენებთ – მუქარით შესძახა ქალს მილიციონერმა.

– არა, ძმაო, შენ თავისუფლების პატივი ისე არ იცი, როგორც ვირმა ბულბულის! რას ყვირი, თვითვე საყვირალო და გასაკიცხო – შევძახე მას მოთმინებიდან გამოსულმა.

– რითი ვარ გასაკიცხი? – ამაყათ დამეკითხა ის.

– მითი, რომ ბრიყვულად ოხუნჯობ და არ იცი შენი მოვალეობის შესრულება. ამდენ ხანს, რომ გაგიჩერებიათ ეგ მკვდარი და ზედ დასცინი, განა ეს პატიოსნება არის?

– იცინეთ, იცინეთ ვაჟბატონებო, ეგ საქმე თქვენი ძმების ხელისაა! ეგ უბედური ქალი მგლებსა და დათვებს არ მოუხრჩვიათ. ეს მოახრჩო მამაკაცის ხელმა – სთქვა მიცვალებულთან ჩამჯდარმა ქალმა, რომელმაც მკვდარს სახეზე კასინკა ხელ-ახლა წააფარა და წასასვლელად ადგა.

დიახ, ის იყო მსხვერპლი მამაკაცის პირუტყვობისა, მაგრამ ამაზე არც ერთი იქ მყოფი მათგანი არ ფიქრობდა. ადამიანებმა ძლიეს მხეცებს, დაირეკეს და მათ საფრთხედან, დიდი ხანია, რაც გამოვიდენ. მხოლოდ დედაკაცებისთვის დღემდე არსებობს ერთად ერთი საშიშარი ნადირი და ეს ნადირია – მამაკაცი, რომლის შიშით ქალებს თავისუფლად მარტო ვერ გაუვლიათ ბნელს და მივარდნილს ადგილს.

ეს სიმხეცე ყველაზე მეტად სამარცხვინო და საზიანო როგორც პიროვნებისათვის, ისე საზოგადოებისათვის მაინდამაინც ძრიელადაც არ

აშფოთებს ჩვენს პატივცემულს მამებს, ძმებსა და ქმრებს! მათი ჩვეულებრივი პასუხია: „რათ დადიხართ? დაჯექით სახლში!“ მე არა ვარ შურის მძიებელი, მაგრამ რამდენათაც ის იქნება გაკვეთილი მრავალთათვის, ჩვენ მოვითხოვთ სასტიკ გამოძიებას – ყველაზე მეტად დასასჯელს ზემო აღნიშნულ ბოროტ მოქმედებისას. ეს საქმე უმდაბლესი მამაკაცის ხელისაა და უკეთესი მათგანი უნდა შეეწინააღმდეგოს მას თავისი სქესის სირცხვილის მოსახდელათ.

№17, აგვისტო, 1917

ქალებით ვაჭრობა

ქალებით ვაჭრობა ჩვენს მხარეში იმ სახით წარმოებდა, როგორც სხვა ქვეყნებში. მონა ქალს ისთე ჰყიდდნენ, ცვლიდნენ, აჩუქებდნენ, როგორც მონა კაცს. ბატონყმობის დროს ბატონს ნება ჰქონდა გაეყიდა მთელი ოჯახი გლეხისა, ან ცალ-ცალკე. გაცვლა, გაყიდვა, ჩუქება უფრო ხშირად ქალისა ხდებოდა, ვიდრე მამაკაცისა.

ყოველი მაჰმადიანი მტარვალი, რომელიც ჩვენს ქვეყანას აიკლებდა, პირველად ლამაზ, ახალგაზრდა ქალებს ტყვედ წაიყვანდა თავისი ჰარამხანის გასამშვენებლათ. სპარსელები და თათრები ხშირად საქართველოდან ხარკათ ლამაზ ქალებს და ვაჟებს იღებდენ. გარდა ამისა, იყვნენ კაცები, რომელნიც იტაცებდნენ ქალებს და კაცებს და სათათრეთში ჰყიდდნენ, რადგანაც ეს ხელობა მათ დიდ სარგებელს აძლევდა.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გადავარდა ბატონყმობა, მოისპო მამაკაცების ყიდვა, მხოლოდ ქალებით ვაჭრობა დღესაც არის. ამ მოვლენას ძლიერ ხელს უწყობს ხალხის ეკონომიური დაქვეითება. ომიანობის ან მოუსავლობის დროს, როდესაც შიმშილი ჩნდება, თვით მახლობლებიც კი ყიდიან ქალს ხშირად. ეს ხალხმაც იცის, მაგრამ, როდესაც ეს ფარულათ ხდება, ისეთ მოწყობილია, რომ ძნელია ამის გაგება. მერმე, ვინ არის მსხვერპლი? უმეტეს ნაწილათ ღარიბი, ლამაზი ქალები, ან ქალიშვილები, რომელნიც ეძებენ სამუშაოს, რათა თავი ირჩინონ, ან მახლობლებს დაეხმარონ. აქ კი მათ ხვდებათ ობობას ქსელი გაბმული სხეულით ვაჭართა მიერ სხვადასხვა ხერხით და მოტყუებით.

ქალებით ვაჭრობა უფრო გავრცელებულია დიდ ქალაქებში, საზღვარზედ, ნამეტურ ზღვის პირათ. აქედან ძალიან ადვილია მათი საზღვარგარეთ გაგზავნა. უმთავრესი ბაზარი ქალებით ვაჭრობისა სტამბოლია. იქ ყველაზე მეტი ქალები რუსეთიდან შემოყავთ. ჩვენი მხარედან კი ბათუმ-ფოთიდან გაყავთ. როგორც კი ქალს საროსკიპო სახლში შეიყვანენ, სახელს და გვარს უცვლიან. გაიხსენეთ „ქრისტინე[2]". მას რახილს ეძახდნენ, საროსკიპომ ის ებრაელ ქალათ აქცია. ყველა ამ ქალებს, რომლებიც სტამბოლში შეყავთ, თათრულ პასპორტს აძლევენ და ამით ყოველ კვალს უკარგავენ.

---

2 ქრისტინე – (1917) პირველი ქართული მხატვრული ფილმი, გადაღებული ე. ნინოშვილის მოთხრობის მიხედვით. რეჟისორი ალექსანდრე ნუწუნავა.

განა მარტო ქალებით ვაჭრობენ? მცირე წლოვანს ბავშვებს უფრო ეტანებიან. ამათ ტკბილეულობით და სხვადასხვა მასპინძლობით, საჩუქრებით და გართობით იტყვილებენ და სხვადასხვა მხარეში ყიდიან. მონობა მოისპო, მაგრამ ქალი დღესაც მონაა და იყიდება ისე, როგორც საქონელი. ქალებით ვაჭრებს დიდი გამოცდილება აქვთ, რადგან ეს საქმე უხსოვარ დროიდან იწყება. მათ ძლიერი ორგანიზაცია აქვთ, მათ შორის დიდი ერთობაა. ფულის შოვნის სურვილი აერთებს ამ დარგში ვაჭრებს ყველა ქვეყნებში. საროსკიპოების აგენტებს ერთგვარი ნიშანი აქვთ, რომ ერთმანეთი იცნონ და დახმარება გაუწიონ ერთი მეორეს. რამოდენიმე ენაზე ლაპარაკობენ. აგენტებათ აიყვანენ ლამაზ, ახალგაზრდა ვაჟებსა და დარბაისელ ქალებს. ესენი ძალიან მდიდრულათ არიან ჩაცმული. ფულსაც ბევრს ხარჯავენ. ამას მოითხოვს მათი გარემოება, რომ საჭიროებისამებრ ქრთამი და საჩუქარი გასცენ. ქალებით ვაჭრობა ისე კარგათ აწყობილი და გამაგრებულია, რომ მასთან ბრძოლა ქალთა მფარველ საზოგადოებას, რომელიც 1910 წლიდან არსებობს, ერთობ უჭირს და ვერც მიზანს აღწევს, რა გზით უნდა გაჩაღდეს ბრძოლა მის დასამარცხებლად ამის შემდეგ.

№18, აგვისტო,1917

ამხანაგების საყურადღებოთ

გასულ კვირას ჩვენ მოუწოდეთ ჩვენ თანამოაზრე ქალებს ხმა მიეცათ ქალაქის არჩევნებში მეორე ნომრისათვის. როგორც აღნიშნული იყო იმავე წერილში, ჩვენ აქ ვხელმძღვანელობდით არა პარტიული თვალსაზრისით, არამედ იმ რწმენით, რომელსაც იწვევს სოციალისტ-რევოლუციონერთა უკეთესი წარმომადგენელი ქალთა საკითხში მით, რომ ეს პარტია არის უკეთესი რევოლუციონერებისა, რომელნიც ებრძოდენ ქალთა კარჩაკეტილს ცხოვრებას და უაღრესად აფასებდენ ქალის ნიჭსა და ენერგიას საზოგადო მოღვაწეობაში. მათი იმედები ქალებისადმი არ გამტყუნებულა და თუ რომელიმე მამაკაცს რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში მიუძღვის ღვაწლი, ყოველ შემთხვევაში, არა უმეტესი იმ ქალებისა, რომლებიც სოციალისტ-რევოლუციონერების დროშის ქვეშ ებრძოდენ ძველი რეჟიმის სულის შემხუთველ მოვლენას.

დღეს, მათი გმირი ქალები, რომელთა სახელები არა ერთი და ორი დაითვლება, დარაჯათ უდგას ქალთა უფლების გადაჭრას მომავალ დამფუძნებელ კრებაზე. მე იმდენათ ახლოს ვიცნობ ამ პარტიის სულისკვეთებას, რომ შემიძლია თამამად ვსთქვა, რომ ის ყველაზე მეტად მომხრეა ქალთა სწორუფლიანობისა. მიუხედავათ ამისა, ჩემი პირადი განწყობილება ს.რ. პარტიასთან, სრულიად არ მიმაჩნია სავალდებულოთ ქუთაისის საერთო ქალთა პოლიტიკურ კლუბის წევრებისთვის. მე უფლება მაქვს გამოვსთქვა ჩემი აზრი და მას გაიზიარებენ თუ არა ამხანაგი ქალები, მათი საქმეა. თვით ამ სტრიქონების დამწერი ვიწრო პარტიული შეხედულებისა არასოდეს ყოფილა და არც არის. პარტიულ თვალთახედვას მე არასოდეს ისე არ დავუბრმავებივარ, რომ საკუთარი შეხედულება არ მქონდეს ამა თუ იმ წამოყენებულ საკითხზე და არც ვურჩევ ამხანაგ ქალებს, რომ უკრიტიკოთ მისდიონ რომელიმე პარტიის მცნებას. მიუხედავათ მთელი ჩემი სიმპატიისა ს.რ. პარტიისადმი, არის რამოდენიმე საკითხი, რომლის გადაჭრაში არ ვეთანხმები მათ და არც ვიზიარებ ცენტრალისტურს ტაკტიკას და დისციპლინურს წესებს, რომელსაც ადგა ცენტრალური კომიტეტი აზეფის[3] დროს და რომელსაც ადგია დღესაც.

თუ ჩემი ასეთი შეხედულობა არ მოეწონებათ ქუთათურ პარტიულ ამხანაგებს, მათ ნება აქვთ თავიანთ პარტიული სიიდან გამომრიცხონ. ჩემი განწყობილება მათი იდეისადმი პარტიის გარეშედაც კეთილი და სიმპატიით აღვსილი იქნება.

---

3 აზეფი ევნო (1869-1918) – რუსეთის ესერთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი მე-20 საუკუნის დასაწყისში.

№20, აგვისტო,1917

ამხანაგებო და მოქალაქენო!

აგერ, ხუთი თვეა, რაც დაირეკა ზარი ქვეყნის აღდგენისა და განახლებისა. მსოფლიო სისხლის მორევში ნაშობი თავისუფლება გაჭირვებით მოსცურავს ნაპირისკენ. მას შინაური და გარეშე მტერი დახრჩობას ემუქრება. შემოიკრიბეთ მის საშველად, დაიცავით დიდი თავისუფლება დიდი რუსეთისა. ქართველო ქალებო, განურჩევლად მიმართულებისა და კლასთა, შეერთდით თქვენი სქესისა და ქვეყნის საერთო ინტერესის დასაცველად და შეერთებული ძალით უშველეთ საფრთხეში ჩავარდნილს დიდს თავისუფლებას. დღეს არ არის დრო პარტიული განხეთქილობისა და წვრილმანი კინკლაობისა, დღეს არის დრო საერთო გაჭირვებიდან თავის დახსნისა. დღეს დადგა დრო სოლიდარობისა და თვითგამორკვევისა. დღეს ჩვენა გვაქვს თავისუფლება სიტყვისა და კავშირისა და გამოვიყენოთ იგი აღსადგენათ ჩვენი ადამიანური პიროვნებისა, ჩვენი მოქალაქური ცხოვრებისა.

დღეს დედაკაცებმა უნდა სთქვან სიტყვა საჯარო, სიტყვა მკვეთრი და პატიოსანი, სიტყვა შეთანხმებული და ერთსულოვანი, რომ ჩვენმა შეერთებულმა ხმამ თავზარი დასცეს ჩვენი უფლებისა და თავისუფლების მტერთ, რომ საუკუნოობით დაგუბებულმა და დღეს კი ამოხეთქილმა ბოლმამ ტანჯულ დედაკაცებისამ ჩამოანგრიოს სქესთა შორის არსებული უფლებრივი უთანასწორობა. შორს, ხელისშემშლელნი ჩვენი ერთობისა, შორს ჩვენგან იეზუიტი ამხანაგები, რომელნიც ქალთა კავშირებს საერთო საქმიდან გამოყოფას ეძახიან. გახსოვდეთ, რომ ჩვენი სოლიდარობის მტერნი, ჩვენი უფლების მტერია! გამოფხიზლდით, აღინთეთ უმაღლესი ლტოლვით, აღიმაღლეთ თქვენი სულიერი მსოფლიო მიწიერ ცხოვრებაზე, თქვენი პიროვნების აღსადგენათ. გახსოვდეთ, რომ თქვენა ხართ დედა ერისა და კაცობრიობისა, რომლის წინაშე მამრობითი სქესი უაღრესი პატივისცემით უნდა იმსჭვალებოდეს. შეერთდით და სთქვით გაბედული მბრძანებელი სიტყვა, რომ შეუძლებელია ერისა და კაცობრიობის დედა მონათ ითვლებოდეს. სთქვით, რომ ერსა და კაცობრიობას არ შეადგენს მარტო ერთი სქესი. სთქვით, რომ სახალხო და საკაცობრიო საკითხი გადასწყდება მხოლოდ ორთავე სქესის ადამიანური მოთხოვნილების დაკმაყოფილებით.

გამოსთქვით თქვენი გაჭივრება, ემზადეთ დამფუძნებელი კრებისთვის! დაიცავით თავისუფლება და თქვენი უფლება.

გახსოვდესთ, რომ საქართველო და ქართველი ქალი ერთად დამონავდა. დღეს კი, საქართველო და ქართველი ქალი ერთად უნდა აღსდგეს. შევერთდეთ სამშობლოს თავისუფლების და ჩვენი სქესის ადამიანური უფლების დასაცველად. ამ ორი დიდი საჭიროებისთვის მოვიყაროთ თავი ერთად. ქართველო ქალებო, გამოფხიზლდით! მიმოიხედეთ, ნუ ჩაკეტილხართ პარტიების კანცელარიებში! ცა ჭექავს და მიწა იძვრის. დღეს არ შეიძლება ძილი!

№22, სექტემბერი, 1917

ქალები და პოლიტიკური პარტიები

ქალი პოლიტიკურ ცხოვრებაში ნაკლებ მონაწილეობას ღებულობს, ვიდრე მამაკაცი. ამაში დამნაშავე ქალი კი არ არის, არამედ ის გარემოება, რომელიც მამაკაცმა შეჰქმნა. მან მთელი ოჯახის ტვირთი ქალს მოახვია თავზე, თან ისეთი მძიმე საქმე, როგორიც არის მოუმზადებლათ შვილების აღზრდა. მამაკაცები, რომ მორჩება მუშაობას, ან სამსახურის მერმე თავისუფალ დროს, თავის გემოვნებისდაგვარათ მოიხმარს. ქალი კი, რომელიც მსახურობს, რაც უნდა ბევრი ჯამაგირი ჰქონდეს და ამავე დროს ქმარსაც ეხმარებოდეს (ფულით), ოჯახის საქმეს მაინც ვერ იშორებს თავიდან. მამაკაციც სულ ამას ჩასჩიჩინებს, რომ ქალის მოვალეობაა ოჯახს მოუაროს და შვილებს. ამიტომაც, რაც უნდა ნიჭიერი და დიდი მცოდნე იყოს ქალი, იმას თუ ქმარი თანამოაზრე არა ჰყავს, ის საზოგადოებისთვის მკვდარია. ეველინა პანკჰერსტი[4], ბერტა ზუტნერი[5], თუნდაც ქ-ნი კიური[6], რომ მათ თანამოაზრე და ხელშემწყობი ქმრები არ ყოლოდათ, არა თუ მთელი ქვეყნისთვის, თავისი ქალაქისათვისაც კი უცნობი იქნებოდნენ.

ვილგელმი რეაქციონური შეხედულებისა იყო ქალებზე და ამბობდა, რომ ქალს უნდა ახსოვდეს სამი კ. (ე.ი. ეკლესია, საბავშვო ოთახი და სამზარეულო – ნემეცურათ ყველა ამათი სახელი კანზე იწყება). მისმა ქალიშვილმა უპასუხა: მამა, ნუ დაგავიწყდება მეოთხე კ, ესე იგი, კონსტიტუციაო. ამით იმან მოაგონა თავის მამას, რომ ქალი პოლიტიკაშიაც უნდა იღებდეს მონაწილეობასო. დღეს ვილგელმმა შესცვალა თავისი აზრი ქალზე და სხვანაირად მსჯელობს. ქალები არასოდეს არ ამბობდენ უარს თავის მოვალეობის ასრულებაზე. თუ მოვალეობის გახსენება სჭირია ვინმეს, ეს უფრო მამაკაცს, რომელიც ხშირად გვერდს უვლის თავის დანიშნულებას და ბოროტათ ხმარობს მას. ქალს, როგორც აღმზრდელს ყოველმხრივ ესაჭიროება განვითარება და თუ ის პოლიტიკურ ცხოვრებაში არ გაერია, ამ მხრივ იქნება მოუმზადებელი და ვერ ჩაუნერგავს თავის შვილს მოქალაქურ გრძნობას და მოვალეობას. განა კორნელია გრაკხს[7] შეეძლო გაეზარდა თავისი ვაჟები თავდადებული ხალხისათვის, რომ მას თავის მამისაგან ეს გრძნობა არ ქონოდა ჩანერგილი?

---

4 ემელინ პანკჰურსტი (1858-1928) – ბრიტანელი აქტივისტი, სუფრაჟისტული მოძრაობის ლიდერი.

5 ბერტა ფონ ზუტნერი (1843-1914) – ავსტრიელი მწერალი, პაციფისტი, ნობელის პრემიის მფლობელი.

6 მარია კიური (1867-1934) – პოლონელი ქიმიკოსი და ფიზიკოსი, ნობელის პრემიის მფლობელი.

7 კორნელია გრაკხი (191-100 ჩვ. წ. აღ-მდე) – რომაელი ქალი, მეორე პუნიკური ომის გმირი.

ახალი მთავრობა უფრო ღრმად ჩაუკვირდა ქალთა საკითხს, დააფასა შრომა და ღვაწლი თავგანწირული რევოლუციონერ ქალებისა, რომელნიც მამაკაცებთან ერთად სარჩობელაზედ და კატორღაშიც მიდიოდნენ, ციხეებში და შორეულ ციმბირში დღეებს ლევდნენ. გავიხსენოთ: კონოპლიაკოვა, გინსბურგი, პეროვსკაია, გელფმანი, ზასულიჩი, ვოლკენშტეინი, სპირდონოვა და ყველაზე ცნობილი და პატივცემული ბებია რევოლუციისა ბრეშკოვსკაია და სხვანი მრავალნი, რომელთა სახელი პოლიციის მეოხებით დაკარგულა. ქალების დღევანდელი მონაწილეობა ომში, დიდი ამაგიც უკვე დააფასა მთავრობამ და იცნო ქალების ღვაწლი სასარგებლოთ და აგრეთვე მათი მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში და მიანიჭა არჩევნების უფლება. ჩვენი პარტიები ამ მოვლენას სხვანაირათ შეხვდენ: ქალების არჩევნების უფლება თავის სასარგებლოთ გამოიყენეს, ჩვენი უფლების განხორციელებას ცხოვრებაში წინ აღუდგენ და ყველგან ქალების გაყვანას გზას უღობავდენ, როგორც შეეძლოთ.

ეს დაიწყო პირველ დღიდან გათავისუფლებისა, როდესაც ქალაქის კომიტეტები დაარსდა. კავკასიის ქალთა საზოგადოებამ მიმართა კომიტეტს, რათა ქალებიც მიეღოთ თავის წრეში. კითხვის გარჩევაც არ იკადრეს, ისეთი ცივი უარით გამოისტუმრეს. მერმე ქართველი ქალების საზოგადოებამ ამავე წინადადებით მიმართა მათ, ესენიც უარით გამოისტუმრეს. ამის შემდეგ ქალთა საზოგადოების შეერთებულმა კომისიამ კომისარიატს თხოვნა გაუგზავნა ზემოხსენებული თხოვნით. პასუხის ღირსადაც არ გახადეს. ქალების უბნის კომიტეტშიც ქალის გაყვანას ხელს უშლიდენ და ყოველი ამის შემდეგ, რა გასაკვირელია, რომ ქალაქის 120 ხმოსანთა შორის მარტო 5 ქალი გასულიყო. არის იმედი, რომ დამფუძნებელ კრებაში კავკასიიდან ერთ ქალსაც არ გაგზავნიან. ქალაქის ხმოსნების არჩევნების დროს ყველა პარტიამ თავის კანდიდატების სიაში ქალი სწორეთ იმ ადგილას ჩასწერა, რომლის შემდეგ თავის კანდიდატის გაყვანის იმედი არ ჰქონდათ. ეს შეგნებულმა ქალებმა ძალიან კარგათ იცოდენ, მაგრამ რა ექნათ? სიას კომიტეტი ადგენდა, სადაც თავიდან ქალები არ დაუშვეს. განა, ქალებს არ შეეძლოთ ქალაქისთვის სარგებლობა მოეტანათ, რომ ესენი ოცი, ან მეტი არ გაეყვანათ?

ვის, თუ არა ქალს აწუხებს ეხლანდელი სიძვირე, სასურსათო საქმის მოუწყობლობა? ვის, თუ არა ქალს უღრენს გულს პატარა შვილების ტირილი, როდესაც ესენი შიმშილს, ტკივილს, ან სიცივეს გრძნობენ? მარა ვინ აქცევს ამას ყურადღებას?

ქალს ცოდნაც აქვს და გამოცდილებაც, რომ იმისთანა კითხვებში, როგორიც არის სწავლა-განათლება, მედიცინა, სანიტარია, სასურსათო

საქმე, სარგებლობა მოიტანოს და არც სხვა საქმეებში იქნებოდენ უვარგისი. ქალი, როგორც ფუტკარი პატიოსანი, წყნარი და დაუღალავი მუშაა. ეს მისი თვისება ყველასგან ცნობილია და მაშინ, რათ მოხდა, რომ ჩვენმა პარტიებმა გულზე ხელი კრეს ქალს? ერთადერთი, მამაკაცური ეგოიზმი იყო ამის მიზეზი. მათ არ უნდათ ქალი თავის სწორათ ჩასთვალონ. ამ თავისი მალულს აზრს რეაკციონური სიტყვებით ფარავენ: „ჯერ ადრეა, ქალები პოლიტიკურად მოუმზადებლები არიანო". რატომ ამ პასუხს არ აძლევენ მუშებს, გლეხებს? არა მგონია, რომ იმათ ქალებზე მეტი მომზადება ჰქონდეთ. განა, ადამიანს შეუძლია ცურვა ისწავლოს, თუ წყალში არ ჩავა? ქალები როგორ მოემზადებიან პოლიტიკურათ, თუ მათ ამ პოლიტიკას ჩამოაშორებენ? ჩვენი მამაკაცების პასუხი მოგვაგონებს რეაქციონურ თავად-აზნაურობას ბატონყმობის გადაგდების დროს, რომლებიც გლეხებს მოუმზადებლათ თელიდენ თავისუფლებისთვის. ასთე ლაპარაკობდენ ზანგების პატრონები ზანგებზე. ყველას ესმოდათ კარგათ, ვისთვის შესტკიოდათ მათ გული. მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ერს, ხალხს, საზოგადოებას, მარტო მამაკაცები არ შეადგენენ და თუ ერთ მხარეს, ეგოისტურად გატაცებულს, მაინც უნდა მეორე ნახევარზე იბატონოს, ბატონყმობა ორივეს დაღუპავს. ეს სურვილი ბატონობის პოლიტიკურ პარტიებსაც დაედვა სარჩულათ. თითეულს პარტიას ის სურს, რომ გაბატონდეს სხვებზე. ამიტომაც, არაფერს არ ერიდება, რომ მოწინააღმდეგე დაამარცხოს. ქალები, რომ მესამედი იყვეს პარტიებში, უფრო მყუდრო და შეთანხმებული და ნაყოფიერიც იქნებოდა მუშაობა, რასაც ეხედავთ შვეცია-ნორვეგიაში და ავსტრალიაში, სადაც ერთად, ამხანაგურათ მუშაობენ. ეს შეთანხმება დღესდღეობით ჩვენი პარტიებისთვის ძალიან საჭიროა.

№22, სექტემბერი, 1917

კიდევ ერთი აღმაშფოთებელი ფაქტი

დაიმხო ძველი მთავრობა, ქვეყანა განახლების გზას დაადგა, გამოცხადდა ქალთა სწორუფლიანობაც, მაგრამ არსებითად ქართველი ქალის ცხოვრება არაფრით არ შეცვლილა და ისევ ისე, ძველს ძალმომრეობის ქვეშ იხრჩვება მისი ადამიანური პიროვნება! დღევანდელი მთავრობა სოციალისტებისა ყველაფერზე ზრუნავს, გარდა ქალების უმწეო მდგომარეობისა. ამა თუ იმ პარტიებში არიან მამაკაცი წევრები, რომელთაც საშვალება აქვთ და ცოლ-შვილი კი უპატრონოთ დაუყრიათ და თავიანთ ქონებას ახალ-ახალ მიჯნურებში ფლანგავენ. არიან ისეთი პირები, რომლებსაც 15 წლის მოსამსახურე გოგონებზე ძალა უხმარიათ, თუ შეუცდენიათ და შემდეგ უპატრონო მსხვერპლი თავისი ბავშით შარა-გზაზე გადაუგდიათ, ყოველად შეუწევნელად და სინდისის აღუშფოთებლად. ბელგიაში 1913 წელს, ერთმა სოციალისტმა, რომელიც საერთაშორისო სოციალისტთა ბიუროს მდივნათ ითვლებოდა, როცა ასეთი სამარცხვინო საქმე ჩაიდინა და ეს ფაქტი გამოცხადდა, მან თავის ამხანაგებში ისეთი აღშფოთება გამოიწვია, რომ ეს კაცი უკვალოდ გადაიკარგა. ჩვენში კი ასეთს მოვლენას ისე გულგრილათ უცქერიან, რომ არათუ ყურადღებას არ აქცევენ, არამედ, როცა სხვები ასამართლებენ მას, თავის პარტიის ამხანაგები ქომაგათ უდგებიან და ამართლებენ კიდეც ასეთს ადამიანს.

ქ. ქუთაისში ახალი მთავრობის სრული მმართველობის დროს ისეთი უსამართლოება ხდება ქალთა მიმართ, რომელიც ძველი მთავრობის დროსაც კი იშვიათად მოხდებოდა. აი, თუნდაც ასეთი მაგალითი, რომელიც ეუწყა ქუთაისის საერთო ქალთა პოლიტიკური კლუბის ბიუროს. ჭავჭავაძის ქუჩაზე მცხოვრები პელაგია ნ. დაქვრივებულა 2 თვის წინათ. მას დარჩენია ორი შვილი. მაზლებსა და მამამთილს მისთვის გამოუცხადებიათ, რომ ბავშვები დედას მათთვის გადაეცა და თვითონ კი წაბრძანებულიყო, სადაც სურდა. იმ გადმონაგდები საჩუქრით, რომელსაც მას ესენი უბოძებდნენ, ანდა ეჩივლა და მიეღო ის, რასაც სასამართლო მიანიჭებდა. მგლოვიარე ცოლი, ასეთი განცხადებით აღშფოთებული, რასაკვირველია, რომ თავის შვილებს მათ არ ასაკუთრებდა და ასეთ წინადადებას არ მიიღებდა. მამამთილსა და მაზლებს მსწრაფლ სასამართლოსთვის მიუმართავთ და მომრიგებელს მოსამართლეს, ამ განახლებისა და ქალთა სწორუფლიანობის დროს, მოპასუხის დაუსწრებ-

ლად აპეკუნობა მამამთილისთვის მიუნიჭებია და წასულ კვირას უკანასკნელი, სასამართლოს ბოქაულითა და ზარეჩნი უბნის მილიციონერების თანხლებით ქვრივს სტუმრებია. აუწერიათ ყველაფერი, არათუ უძრავი, მოძრავი ქონება, ასე განსაჯეთ, თვით საცვლები და ნიშნის ბეჭედიც. შეუდგენიათ ოქმი, რაზედაც თავისი ოჯახიდან გასაძევებლად ქვრივისთვის ხელის მოწერა მოუთხოვნიათ. მას იქ, ბედათ, შესწრებია ერთი ჩვენი ამხანაგი, თავის ნათესავი სტუდენტი, რომელსაც გამოუცხადებია მისთვის, რომ ხელი არ მოეწერა ასეთ, აშკარათ ძალმომრეობის და ყოვლად უკანონო ქაღალდზე.

დღეს ეს საბრალო დედა თვალცრემლიანი ზის თავის ოთახში და არ იცის, როდის წაგლეჯენ მას თავის ტანჯვით ნაშობს და წვითა და დაგვით აღზრდილს შვილებს უფლებიანი ქმრის მემკვიდრეები. აი, როგორ აფასებენ მამაკაცები დედობრივ გრძნობას. აი, როგორ პატივსა სცემენ მას. ეხლაც, ამ სწორუფლიანობის დროს, ამ გრძნობას, როცა მათ ეჭირვებათ, ქალების უწმინდეს მოვალეობათ სთვლიან. განა, აშკარა არ არის, რომ მამაკაცები მისთვის გვჩრიან პირში დედობრივ მოვალეობას ჩვენი ადამიანური უფლების მოპოვებისა საწინააღმდეგოთ, რომ ჩვენი დედობრივი უფლება მუდმივ დაკარგული იყოს? მათ აშინებს არა ქალების მიერ დედობრივი მოვალეობის შეუსრულებლობა, (რომლის შესასრულებლათ ქალებს მამაკაცების კარნახი არ სჭირდებათ), არამედ ქალების მიერ დედობრივი უფლების მოპოვება, რომ მათ ნება ჰქონდეთ, როცა მოესურვებათ დედებს შვილები მკერდიდან მოგლიჯონ და როცა არა, სრულიად უპატრონოთ დასტოვონ თავიანთი ცოლ-შვილი, მაგრამ დღეს სხვა დრო დაუდგათ ბატონობის მოყვარეთ და ასეთი ძალადობით ვერას გახდებიან. ქვრივს ჩვენს მიერ გზა უკვე ნაჩვენები აქვს და ვნახოთ ის პირები, რომელზედაც ჩვენ მას მიუთითეთ, როგორ დააკმაყოფილებენ ამ მწუხარე ადამიანის ჩივილს.

ქალებო! თუ გსურთ, რომ ძალა ჰქონდეს თქვენს სამართლიან ჩივილს, შემოკრბით საერთო ქალთა ორგანიზაციის გარშემო, რომ საერთო ძალით თავი მოვიგერიოთ ასეთი აშკარა უსამართლოებისგან ჩვენი ადამიანური ბუნების დასაცველად.

№24, სექტემბერი,1917

პარტიული მოწოდება

ექვსი თვეა, რაც რუსეთის დემოკრატიამ თავისუფალი ცხოვრების სიტკბოება იგემა. ექვსი თვის უკან პეტროგრადის ქუჩებში გამოვიდა მუშა ქალ-ვაჟი, გაღატაკებული გლეხობა ჯარისკაცთა ფარაჯაში გახვეული და ხელიხელ ჩაკიდებული (აქ კი განურჩევლად სქესისა). სანატრელ თავისუფლების მოსაპოვებლათ სისხლსა ღვრიდენ პეტროგრადის ქუჩებში. ძლიერი იყო მათი რწმენა, ძლიერი იყო მათი შეერთებული მოქმედება და დაიმხო კიდეც ძველი, სულთამხუთავი რეჟიმი. უუფლებო დეკორატიას უფლება მიენიჭა, თავისუფლათ ამოისუნთქა და შეუდგა თავის საქმის მოგვარებას, ყველა სფეროში ცვლილება მოახდინა. ყველგან ფართო დემოკრატია აბსოლიტური მთავრობის ნაშთების აღმოფხვრას შეუდგა, განურჩევლად სქესისა. გასულმა სოფლის და ქალაქის არჩევნებმა დაგვიმტკიცა, თუ რამდენათ იცავენ ესენი ამ ლოზუნგს. ყველა მათმა მოქმედებამ და გამოსვლამ ჩვენ წინააღმდეგ დაგვანახვა, რომ არსაით არის ხსნა, თუ ჩვენ ჩვენივე ხელით არ გავჭედეთ ჩვენი ბედნიერება: ჩვენი თვითგამორკვევით, ჩვენი ერთსულოვანი მუშაობით, ჩვენი შეკავშირებით შევქმნათ უნდა შეურყეველი ძალა და დარაზმული ყველა ქალები, განურჩევლად პარტიისა, შევიკრიბოთ საემანსიპატიო დროშის ქვეშ, რომ ძლიერნი წარვსდგეთ ჩვენი მოთხოვნილებით დამფუძნებელ კრების არჩევაში. ჩვენი ქალები იმდენათ პარტიულ მუშაობაში გართული დარჩენ, რომ თავისი მე დაავიწყდათ. ამას წინათ, სამტრედიის აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნების დროს, ეს ზღვა ქალთა მასსა ირჩევს და ამტკიცებს მამაკაცების მიერ წამოყენებულ სიას, რომელშიაც ერთი დედაკაციც არ იყო აღნიშნული. აქა-იქ იდგენ რამოდენიმე ქალთა ჯგუფი, რომელთ სახეზე ნათლად წაიკითხავდი რაღაც უკმაყოფილებას. უმრავლესობა კი არას გრძნობდენ და წინ მიისწრაფოდენ, რომ რამენაირათ მისი თეთრი კენჭი არ დარჩენოდათ ყუთში ჩაუგდებელი. შეუერთდი მეც იმ უკმაყოფილო ჯგუფს და მივმართე მათ: აი, დებო და ამხანაგებო! ნათქვამია, ზარმაც მუშას მკის დროს დაწყდება გულიო". ეხლა რაღა დროს გოდებაა! საჭიროა ეხლა შევკავშირდეთ და ჩვენ ჩვენ თავს ვუშველოთ. ვახსენე ჩვენი ორგანო „ხმა ქართველი ქალისა", რომელიც გვასწავლის როგორ დავირაზმოთ და შევკავშირდეთ ასეთი დამცირების წინააღმდეგ. არ გამითავებია მე ჩემი სიტყვები, რომ იქვე მდგომ დიდ პარტიაში მომუშავე მკერავი ქალი გამომეკამათა:

„მიკვირს, ღმერთმანი, რად დაგჭირდა ქადაგობა ამის შესახებ, რომ ქალები გამოეყოს კაცებს, რათ გვინდა ჩვენ ცალკე ორგანო, განა ცოტა მამაკაცთა გაზეთებია, თუ ნიჭი გწევთ დაბეჭდეთ იქ, რაზედაც გსურთ. თქვენ უნდა იცოდეთ მამაკაცებთან ერთად უნდა ვწიოთ ცხოვრების მძიმე უღელი. იქნებ, არ იცით ჩვენი სოციალ-დემოკრატების პროგრამა, რომელშიც ნათლად და ცხადათ სწერია, განურჩევლად სქესისა ვიმოქმედებთო" ამბობდა პარტიული მომუშავე ქალი და გავს, დიდი იმედებით იყო გამსჭვალული. მას შემდეგ, კარგა ხანია, მინდა დავეკითხო იმ გატაცებულ პარტიაში მომუშავე ქალს, რომელსაც თავის მამა დავიწყებოდა და მამინაცვალს ფიცულობდა და რომელიც ასე სასტიკათ წინ აღუდგა თავისი მეს აღდგენას. როგორ გრძნობს ის პარტიაში თავს ამხანაგ მამაკაცებთან? არის ის სწორუფლებიანი მოქალაქე თუ არა? მე ღრმათ ვარ დარწმუნებული, ისა და სხვებიც, პარტიაში მომუშავე ქალები, სხვა მონობასთან ერთად, პარტიული მონებიც გამხდარან და სრულიათ ბრმათ, თითის აწევით ადასტურებენ მამაკაცების მიერ წამოყენებულ ამა თუ იმ საკითხს, იმ შემთხვევაშიაც კი, თუნდაც გულში, არ ეთანხმებოდეს მათ, რადგან მას ამდენი მოქალაქური გამბედაობა არ შესწევს, რომ თავისუფლად გამოსთქვას იქ წინააღმდეგი აზრი და თუ გამოსთქვა, მაინც არაფერი გამოუვა, რადგან უმრავლესობა მამაკაცებია და რასაც საჭიროთ თავისთვის დაინახავენ, ისე გადაწყვეტენ მას. ქალები მამაკაცების საზოგადოებაში სრულიად გადაჩვეულნი არიან როგორც მსჯელობას, ისე აზროვნებას. ამგვარად, მამაკაცები გამარჯვებულები არიან და როცა გარდაწყვეტილი საკითხის შესრულებაზე მიდგება საქმე, ქალები თავდადებულად მუშაობენ და ამგვარად, ქალის მუშაობა და ხელი ყველგან დარჩა საჭირო და ქალის ჭკუა-გონებას არსად არ დარჩა ადგილი.

როგორც იქნა, ამ ექვსი თვის სიჩუმემ გამოიღო ნაყოფი. ამდენ ხანს პარტიული ჟინიანობის მეოხებით დაქსაქსული ძალები დღეს შემოიკრიბენ ჩვენი დროშის ქვეშ და წამოაყენეს თავისი მოთხოვნილებები. 25 მარიამობისთვეს სამტრედიელმა ქალებმა დააარსეს ქალთა კლუბი, რომელსაც მიზნათ აქვს ჩაუდეგს სათავეში ამ საქმეს, მაგრამ „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე გადმოდინდებისო", არის ნათქვამი და ვეღარც ჩვენმა ზოგიერთმა სოციალისტმა შეიკავა თავი და რასაც ამდენ ხანს ჩუმათ, გულში ეწინააღმდეგებოდენ, დღეს მას მუქარით შეხვდენ. ჩვენი კლუბის წევრებს პარტიიდან გაძევებასაც უპირებენ მათი ჭკუით. ზოგიერთებს კი ის აწუხებს, როგორ იყო და გაბედეს ქალებმა ჩვენდა დაუკითხავათ ნაბიჯის გადადგმა და თავის ჭირ-ვარამზე ლაპარაკიო? ამაზე მეტი მონობა შეიძლება? მაგრამ ამდენი გამოსვლები რამდენი მეტი გა-

მოაშკარავდება, უკეთესია ჩვენთვის. „შემპარავი ძაღლი უეჭველათ მოახერხებს კბენას, ვინემ პირდაპირ მყეფარი". ამიტომ, ჩვენ არ უშინდებით ასეთ გამოსვლებს, ეს უფრო აღრმავებს ჩვენში რწმენას და ცხადათ ვხედავთ, თუ ვინ არის ჩვენი მოწინააღმდეგე. მე, ერთ-ერთი გამგეობის წევრი ჩვენი ორგანიზაციისა, ბედნიერათ ვრაცხ ჩემ თავს, რომ ნახევარი წლის თავზე დღიდან რუსეთის განთავისუფლებისა, სამტრედიაში ნორჩი, მაგრამ რწმენით მტკიცე და შეურყეველ ქალთა ორგანიზაცია დაარსდა. გაუმარჯოს ჩვენ სიცოცხლეს და ერთობას!

№25, სექტემბერი, 1917

იდეური მებრძოლნი

იდეური ბრძოლა წარმოადგენს თეორიული ცოდნით და პრაქტიკული ცხოვრების ავკარგიანობის კარნახით ადამიანში გამოწვეულს აზრთა და გრძნობათა ერთგვარ გამოხატულობას, რომელიც შეადგენს ამა თუ იმ პიროვნების მრწამსს, მიმართულს საზოგადო ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ. ესა თუ ის ცხოვრების უკუღმართი მოვლენა, ნაშობი სიბნელით, სიღატაკით, დაუდევრობით და ძალმომრეობით იწვევს კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანის თვალში ზიზღსა და გულისტკივილს და რამდენათ უკანასკნელი ღრმად განიცდის მას, იმდენათ ძლიერი გრძნობითა და ენერგიით წინ აღუდგება მას და იბრძვის მისი წარმომშობი მიზეზების აღმოსაფხვრელად.

ამგვარს მებრძოლს დავიწყებული აქვს ყოველი კერძო ინტერესი. მას არა სცალია არც თავისი ცხოვრების მოწყობისთვის და არც სხვა წვრილმანი წარმავალი სიამოვნებისთვის, თუ უსიამოვნებისთვის. ის მიისწრაფვის მხოლოდ ერთი მიზნისკენ, რომელიც თავის არსებობის უმაღლეს საგნათ დაუსახავს. მას უყვარს თავისი იდეალი, რომლისკენაც ის მთელი თავისი სულიერი ენტუზიაზმით მიისწრაფვის და თითეული მისი თანამოაზრე, შემგნები მისი სულიერი მისწრაფებისა, მას თავის მახლობლად მიაჩნია, რომელთა შორის მყარდება მტკიცე სოლიდარობა და რამდენადაც მეტს შეხვდება ასეთს თანამოაზრეთ, იმდენად ორკეცდება მისი ენერგია და აქტიურობაც.

„ჩვენში უფრო მეტი ცრემლებია, ვიდრე საჭიროა ის ჩვენი პირადი მწუხარებისთვის და უფრო მეტი ღიმილი, ვიდრე მოითხოვს მას ჩვენი კერძო ბედნიერებაო“ – ამბობს დიდი ფრანგი პოეტი და ფილოსოფოსი გუიო[8]. ეს ზედმეტი კი წარმოშობილია იმ სოციალურ ინსტინკტით, რომელიც დაბადებიდანვე თანა სდევს ხოლმე ადამიანს და ურომლისოთ შეუძლებელია საზოგადოებრივი ცხოვრებისა და პიროვნების განვითარება. ამ ზედმეტს სოციალურს ინსტინკტს უმრავლესობა დროის ტარებაში აქრობს, იდეური უმცირესობა კი მას ხალხის და ქვეყნის კეთილდღეობას ახმარს. ცხადია, უკანასკნელი ვიწრო კერძო ცხოვრების ჩარჩოში ვერ მოემწყვდევა, რადგან მასში უფრო მეტად არის განვითარებული ეგ სოციალური ინსტინკტი და მეტადაც ეჭირვება სულიერი გამგე-თანამოაზ-

8 ჟან-მარ გუიო (1854-1888) – ფრანგი ფილოსოფოსი, პოეტი.

რენიც. მისთვის არავითარი ფასი არ აქვს პატივ-დიდებას და ყველას და ყველაფერს უარყოფს იგი, რაც ხელს უშლის მის იდეურ გამოხატულებას. ასეთი იდეური მებრძოლი მლოცველ მეუდაბნოესგან, რომელსაც დავიწყებია ამა სოფლის ბედნიერება, მით განირჩევა, რომ ის უარყოფს წარმავალ პირად ბედნიერებას ხალხის კეთილდღეობისთვის, მეუდაბნოე კი ზურგს აქცევს ამავე ბედნიერებას თავისი სულის ცოდვისაგან დასახსნელად.

პირველი იბრძვის, თავს სწირავს იმისთვის, რომ დარწმუნებულია, რომ უკეთესი პირობების შექმნა თვით ადამიანთა ხელშია, დამოკიდებული მათ შეგნებაზე, მათ ნებისყოფასა და აქტიურობაზე და აღვიძებს ასეთს უმრავლესობაში. მეორე კი სრულიად პასიურს ცხოვრებას ეწევა ლოცვითა და მარხულობით, ატროპომორფიულ ღვთაებიდან გამოელის საიქიო სულიერ ნეტარებას. იდეური მებრძოლი ხალხისათვის თავდადებული ხალხშივე რჩება, მეუდაბნოე კი სამოთხის მოპოვებით გატაცებული გაურბის ხალხს, როგორც ცოდვილსა და ბიწიერ არსებათ. პირველი სოციალური ტიპია, მეორე კი ანტისოციალური, რომლის გამო გონებრივათ უკანასკნელი ერთ წერტილზეა გაყინული, რადგან დროთა სვლა, თუ არ სცვეთს მის განცალკევებულს აზროვნებას, სამაგიეროს არაფერს აწვდის მას. ამ ორ, ერთი მეორეს მოწინააღმდეგე ტიპებში, ერთი რამ არის საერთო: მოპოვებული სხვადასხვა გზით და სხვადასხვა საშუალებით – სულიერი მთლიანობით, ერთადერთი დაუძლეველი ზნეობრივი ძალა, რომლის მოპოვების შემდეგ ადამიანი აერთებს სიტყვას და საქმეს და ყოველგვარ კომპრომისს თავდახწეული, ცად აფრენილი სულით მიისწრაფვის თავისი იდეალისკენ, რომელსაც ვერ შეაჩერებს ვერავითარი წინ დამდგარი რისხვა, ვაება და აი, ჩვენც ვხედავთ ისტორიაში, თუ როგორ სულიერ სიგმირეს იჩენდნენ ერთიცა და მეორეც თავიანთ რწმენაში და თუ მეუდაბნოე არავითარ დადებით კვალს არ სტოვებდა, სამაგიეროთ, დიდია ღვაწლი მზგავსი იდეურ მებრძოლთა და, თუ ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაში ბრწყინავს რაიმე ზნეობრივი სინათლე, ასეთს მებრძოლთ უნდა უმადლოდეთ. ასეთი მებრძოლნიც იყვნენ ძველი სოციალისტები, რომლებიც თავის მიზნის გასანხორციელებლათ ხელმძღვანელობდენ უმაღლესი ზნეობრივი იდეალით. ამ ხალხისთვის თავგანწირულ გმირებს თანამედროვე სოციალისტები უტოპისტებს ეძახიან ე.ი. უბრალო მეოცნებეთ. ასეთი შეხედულობა მათზე თანამედროვე სოციალისტებიდან სრულიად არ არის გასაკვირი, რადგან თანამედროვე წეს-წყობილების მიერ წარმოშობილმა მეცნიერებამ, რომლის ძირითად დებულებას იზიარებენ

ჩვენი დროის სპეციალისტები, განსაკუთრებით მარქსისტები, ყოველი განვითარება, კერძო თუ საზოგადო, დაამყარა „შეთვისების" პრინციპზე, მიუხედავათ ამისა, მარგებელია თუ არა ამა თუ იმ პირობების შეთვისება პიროვნებისათვის და საზოგადოებისთვის. ასეთი თვალსაზრისით გამსჭვალული სოციალისტები მით უფრო მატულობს ჩვენ დროში, რამდენადათ მათი შეთვისების პრინციპი არავითარს თავშემაწუხებელს სულიერს მთლიანობას არ ავალებთ მათ სიტყვისა და საქმის შესაერთებლად და რამდენათაც მათ სოციალისტურ გრძნობას ნაკლებად აშფოთებს არსებული სოციალური ცხოვრების უკუღმართობანი, იმდენათ მათი მრავალრიცხვიანობა აშინებთ დღევანდელთ ამა ქვეყნის ძლიერთ. ამის დამამტკიცებელ ფაქტად თვით დღევანდელი მსოფლიო ტრაღედია გვიდგას თვალწინ, თუ რამდენათ უსუსურია სოციალისტური ზეგავლენა რეალურ ცხოვრებაზე, მიუხედავათ მრავალრიცხვიანობისა და განსაკუთრებით, გერმანიაში. ორმილიონიანმა სოციალისტურმა პარტიამ გერმანიისამ ვერაფრით ვერ შეუშალა ხელი თავისი ქვეყნის მმართველთა იმპერიალისტურ მისწრაფებას და იმ სასიკვდილო იარაღის დამზადებას, რომელიც აგერ, მეოთხე წელიწადია მუსრავს კულტურულ ევროპას და ეს ასედაც უნდა მომხდარიყო, რადგან, როცა სიტყვით გმობ და კიცხავ არსებულ კაპიტალისტურ წყობილებას და იმავე დროს აღიარებ მის შეთვისებას, ცხადია იმდენათ ეწინააღმდეგები მას, რამდენათაც გსურს მისი მოსადგომი მხარის გამონახვა და როცა მიუგნებ მას და თავს შეაფარებ, მაშინ მებრძოლიდან კაცი ერთგვარად შერიგებული ხდები მასთან. ის გზა, რომელიც აირჩიეს მარქსისტებმა სოციალიზმის მისაღწევათ, არავითარს სახიფათოს არ წარმოადგენს მათთვის, რის გამო, როგორც მათი ცხოვრება, ისე მათი სულიერი მოთხოვნილება დიდათ არაფრით არ განხვავდება უბრალო თავისუფალ მოქალაქის ცხოვრებიდან. ამისათვის, არც გასაკვირია, რომ მათში არ არსებობს სათანადო სოლიდარობა, რომელთ მოღვაწეობა პარლამენტის კარებს არ შორდება, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპაში. რამდენათ გაუტკბათ ეგ პარლამენტური ბრძოლა, იმდენათ სურთ ხელთ იგდონ წინამძღოლობა მთელი მსოფლიოს პროლეტარიატისა და ერთხელაც არ იყენებენ კითხვას, აკმაყოფილებს თუ არა მათი მსოფლიო თვალთახედვა პიროვნების ინდივიდუალურს დადებით მოთხოვნილებას. მათ ამ შემთხვევაში დასჩემდათ ერთგვარი ფსიხიური ანომალია, რომელიც სჩვევია ხოლმე ძუნწს საკუთრების შეძენაში, როცა ის თავს უყრის აუარებელს ქონებას და ერთს გროშსაც არ აკლებს მას ობიექტური ძლევამოსილობის მოსაპოვებლად.

„სამეცნიერო სოციალიზმის“ ბელადნიც ამ გზას ადგანან იმ განსხვავებით, რომ პირველი გატაცებულია ნივთიერი სიმდიდრის მოხვეჭით და მეორენი კი იდეური ბრძოლის დასაკუთრებით, მიუხედავათ იმისა, რომ თავიანთ საბრძოლველს მიზანს ერთი გოჯითაც არ უახლოვდებიან. ერთიცა და მეორენიც სასტიკი შეუბრალებელია და არავითარ ზომა საშვალებას არ ერიდებიან მოწინააღმდეგეს დასამარცხებლათ. ასეთი იდეური მებრძოლნი, გარდა იმისა, რომ ერთობ ძუნწათ უახლოვდებიან სოციალიზმს და თითქმის შორდებიან მას, თანაც დიდს ზიანს აყენებენ საზოგადოებას მით, რომ აზრთა დიფერენციაცია კარგავს მის კულტურულ სახეს, რომლის წყალობით შესაძლებელია ამა თუ იმ მიმართულების გარკვევა და ერთი-მეორეს ღირსება-ნაკლისა დანახვა და აწონ-დაწონა.

ჩვენს კულტურულად ჩამორჩენილს სამშობლოში კი ასეთმა მათმა ტაკტიკამ ის ნაყოფი მოიტანა, რომ იდეური ბრძოლა სამუშტიკრივოთ გახდა.

№27, ოქტომბერი, 1917

ქალი და დამფუძნებელი კრება

მოახლოვდა დრო არჩევნებისა დამფუძნებელ კრებაში. ყველა პარტიები და საზოგადო ძალები ამოძრავდა, რათა თავის თანამოაზრე გაიყვანოს და დაამტკიცოს ის უფლებები, რომელნიც რევოლუციამ მიანიჭათ. ჩვენ ქალებმა მივიღეთ თანასწორი უფლება მამაკაცთან. ამასაც უნდა განმტკიცება დამფუძნებელ კრებაში.

ქალაქის არჩევნების დროს ჩვენ არა მეგობრულათ მოგვეპყრენ პარტიები მით, რომ სიის ბოლოში მოგვათავსეს. ეს ძალიან საგულისხმოა, ამის გამოსწორება კიდე შეიძლება მერმისთვის, მაგრამ, თუ დამფუძნებელ კრებაზედ ვერ გავგზავნეთ ჩვენი დელეგატები, სადაც საუკუნოთ ეყრება საძირკველი ჩვენ უფლებებს, ამის გამოსწორება ნებით არასოდეს არ შეიძლება და მომავალი თაობა ამას არ მოგვიტევებს.

რა საჭიროა, რომ ქალები უთუოდ გავგზავნოთ? იკითხავს ზოგი. ერთი, რომ სადაც ქალის და კაცის ინტერესი ერთმანეთს უპირისპირდება, იქ ქალის ინტერესი მარცხდება. მაგალითად, მემკვიდრეობაში და და ძმა სრული გათანასწორებული არ არიან. არ არის დაწვრილებით გამოკვლეული და დამტკიცებული კანონი, რომ საჭიროა ხელმეორედ გადახედვა და შესწორება მემკვიდრეობის კანონისა.

ოჯახში ცოლს და ქმარს ერთი უფლება არა აქვთ. მთელი ოჯახის მძიმე საქმეს ცოლი უძღვება, ამავე დროს მის შრომას ფასი არ აქვს, შვილებზეც ნაკლები უფლება აქვს, თვითონაც ნივთიერად ქმარზეა დამოკიდებული. ჩვენ მამაკაცებს არ უყვართ და კიდეც ეთაკილებათ, რომ მათი ცოლები სამსახურში იყვნენ და ოჯახს ეხმარებოდნენ. რუსები კი, წინაალმდეგ ამისა, ძალიან ამაყობენ, როცა მათ ცოლები ეხმარებიან. იმიტომაა, რომ რუსის ქალები ბევრ შემთხვევაში, ნივთიერად დამოუკიდებელია მამაკაცზე და ეს დამოუკიდებლობა საფუძველია მათი თავისუფლებისა. სამართალში, როცა ქალისა და კაცის საჩივარია სქესობრივ დამოკიდებულების მხრივ, ყველაზე მწვავედ აქ არის ერთი მეორეს ინტერესი დაპირდაპირებული და ამავე დროს მსაჯულები, თუნდაც ნაფიცნი იყვნენ, ყველა მამაკაცისგან შედგება და რა საკვირველია, სასწორი მათკენ იხრის და ქალი მტყუანი რჩება.

30 ენკენისთვეს გამოვიდა ახალი კანონი, რომლის ძალით ყოველი რუსეთის მოქალაქეს, (მამაკაცს) წლოვანებით არანაკლებ 25 წლის, რომელმაც იცის რუსული ლაპარაკი და წერა-კითხვა, ნება აქვს არჩეული იქნეს ნაფიც მსაჯულად ორი წლის ვადით. რაც უნდა პატიოსანი იყოს მსაჯული მამა-

კაცი და ძლიერ მცოდნეც, ის ვერასოდეს ვერ მიხვდება და ვერ გაიგებს იმ რთულს ფსიხოლოგიურს განცდას, რასაც მშობელი დედა გამოივლის, როდესაც მის მშობლიურ გრძნობას, ან უფლებებს სთელავენ ან როდესაც, ქალი თავისი პატიოსნების დასაცველად მკვლელობას სჩადის. ამიტომ, საჭიროა, რომ ნაფიცი მსაჯულები ქალებიც იყვნენ.

მეორე მხრივ, არის იმისთანა კითხვები, სადაც ქალის მონაწილეობა აუცილებელი საჭიროა – მილიტარიზმი. ყველა ეხლა ამას იძახის ქალებს რომ კანონმდებლობაში ქონოდათ მონაწილეობა, ომის ნებას არავინ მისცემდაო. ერთი ინგლისელი მწერალი ქალი ამბობს: „მე არ ვიცი კაცობრიობის გაჩენის ისტორია, მაგრამ კაცის გაჩენის ისტორია ვიცი, რადგან მე ვშობე იგი ტანჯვა-წვალებით, ამიტომაც მე თვითონ ჩემ შვილს სასაკლაოზე არ გავგზავნიდიო". ამას გრძნობს და ფიქრობს ყველა მშობელი დედა და ამ თვალისაზრისით გადაწყვეტს კითხვას.

არის იმისთანა ბოროტება, რომელიც ძირს უთხრის კაცობრიობას და დაღუპვას უქადის. ეს არის პროსტიტუცია და ლოთობა და მათი პირმშო სიფილისი. ავტონომიურ ავსტრალიაში მუშები ძალიან ცდილობდენ, რომ ზემოხსენებული სენის წინააღმდეგ საბრძოლველი კანონი გამოეყვანათ, მაგრამ ვერ შესძლეს, სანამ ქალები არ დაუშვეს კანონმდებლობაში.

იტყვიან ქალები მოუმზადებლები არიან და დამფუძნებელ კრებაში რა უნდა გააკეთონო. მე ამაზე ვუპასუხებ, რომ არცერთ პარტიაში არ არის იმდენი მომზადებული პირები, როგორც კადეტებში, მაგრამ ხალხი არასოდეს არ გაგზავნის მათ თავის ინტერესების დასაცავათ. მუშები ისევ მუშებს გაგზავნიან, გლეხები – გლეხს, რომლებიც ნაკლებ მომზადებულები იქნებიან, მაგრამ თავგანწირულათ დაიცავენ თავიანთ ინტერესს. თვითონ ბებელი ამბობს: („ქალი და სოციალიზმი") „როგორც მუშა თავის ინტერესის დაცვას ბურჟუას არ ანდობს, ისთე ქალმა თავის ინტერესის დაცვა მამაკაცს არ უნდა მიანდოსო".

ქალების გაგზავნა საჭიროა არათუ თავის ინტერესის დაცვისათვის, არამედ ზემოხსენებული საჭირბოროტო კითხვების გადაწყვეტისათვის. იმ ქვეყნებში, სადაც ქალები იღებენ მონაწილეობას კანონმდებლობაში (ავსტრალია, ზელანდია, ნოვერგია) დიდი სარგებლობა მოუტანეს მუშათა საკითხის გადაჭრას, ბავშების აღზრდას, დიდი ბრძოლა გაუწიეს ყოველგვარ უზნეობას, შეამცირეს ლოთობა, უზრუნველყვეს სიბერე. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ყოველ პარტიამ, ვინც სცნობს ქალთა თანასწორობას საქმით და არა სიტყვით, გაიყვანოს ქალები, თითეულმა არანაკლებ სამისა. ჩვენც იმ პარტიებისთვის ვეცდებით, რომელსაც ჩვენდამი გულწრფელ თანაგრძნობას შევატყობთ.

№27, ოქტომბერი, 1917

ქართველ ქალთა სწორუფლიანობა და ეროვნული სკოლა

რა უნდა იყოს ისე საჭირო ადამიანის განვითარებისთვის, როგორც მშობლიურ ენაზე ცოდნის შეძენა? იმ ენაზე, რომელზედაც გამოგვითქვამს პირველი სიხარული და პირველი წყენა! მაგრამ, ჩვენ, ქალებისთვის გარდა ამ ეროვნული იარაღის შეძენისა, კიდევ ერთი საკითხი დგება: როგორი და რა მიმართულებისა იქნება ჩვენი სკოლები? იქნება ის განახლებული შინაარსით, თუ მარტო მით, რომ ჩვენი შვილები იქ უცხო ენის მაგივრად ქართულ ენაზე შეისწავლიან სავალდებულო საგნებს?

ჩვენთვის დიდათ საინტერესოა რა დამოკიდებულობა ექნება ეროვნულ სკოლას ქალთა სწორუფლიანობასთან? და ამ მხრივ მაინცდამაინც დიდს სანუგეშო ნიშნებს ვერასა ვხედავთ.

ალაგ-ალაგ ჩვენში შემოიღეს საშუალო შერეული სკოლები მაშინ, როდესაც ამავე ტიპის პირველ დაწყებითი საყოველთაო სავალდებულო სკოლების შემოსაღებათ არავითარი ნაბიჯი არ გადადგმულა. საშუალო სასწავლებელში და პირველ დაწყებით უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც უკვე მოზრდილ ბავშვებს უხდებათ შესვლა, მათი ერთად სწავლა ძველებური პროგრამით თუ არ გაამწვავებს ანტაგონიზმს ორთავე სექსის მოწაფეთა შორის, არავითარ შემათვისებელს გავლენას არ მოახდენს მათზე.

ამასწინათ, ერთს ნაცნობ ოჯახში პატარა ბიჭუნას კამათს წავაწყდი. „როგორ შეიძლება ქალისა და ვაჟის გათანასწორება! ქალი ყველაფერით დაბლა სდგას ვაჟზე! ჩვენ მათ ვაჩვენებთ თანასწორობას!" დამუქრებით ამბობდა ბავშვი. მისმა ლაპარაკმა მით უფრო გამაკვირვა, რომ ის იზრდება გონიერი ქვრივი დედის და დების ხელში.

– როგორ? საიდან შეითვისა ამ ბავშვმა ასეთი უცნაური აზრები ქალზე? – ვიკითხე გაკვირვებულმა.

– ამხანაგებმა, კარგმა ამხანაგებმა შეასწავლეს – მიპასუხეს დებმა.

– მასწავლებელი რას გელაპარაკებათ ქალთა საკითხზე? – დავეკითხე ბავშვს.

– არაფერსაც არ გველაპარაკება. როცა ჩვენ დავეკითხეთ მას, შეიძლება თუ არა ქალ-ვაჟთა სწორუფლიანობა, მას სიცილი აუვარდა – მიპასუხა ბავშვმა.

ასეთი პასუხი ერთობ ახასიათებს ჩვენს დღევანდელ პედაგოგებს, რომელთა უმრავლესობა ამა თუ იმ სოციალისტური პარტიის წევრებია და

ისეთი ოჯახის შვილი, როგორც ზემოთ აღნიშნული მოწაფეა, თუ ასეთი მტრული იდეითაა გამსჭვალული ქალთა სწორუფლიანობისადმი, რაღა იქნებიან ის ბავშვები, რომლებიც უფრო ცუდ პირობებში იზრდებიან და რომლებიც ასე მრავლად მოიპოვება ქ. ქუთაისში?

მომავალი ქართველი ქალის ადამიანური პიროვნების ამაღლებას რომ დღევანდელი ჩვენი პედაგოგთა უმრავლესობა ხელს შეუწყობდეს, ამაში ჩვენ ვეჭვობთ და სანამ მათი პსიხოლოგია არ შეიცვლება და პედაგოგიური სფეროდან არ გაიდევნება ის მოთხრობები, რომელიც ქალის ადამიანურს პიროვნებას ამცირებს და შეურაცხყოფს, მანამდე ჩვენი სკოლები ვერც სულით თავისუფალ მოქალაქეთა აღზრდას შესძლებენ. ათასი კრიტიკა რომ გაუკეთოს მასწავლებელმა გოგოლის მოთხრობას „ტარას ბულბას", ბავშვის ტვინში ყოველთვის დარჩება ის შთაბეჭდილობა, რომ დედაკაცის, როგორც ასეთის, დაჩაგვრა და დამცირება შესაძლებელია. თუ სხვა არაფრით შეეძლება მას ამ აზრის გამოტანა, მხოლოდ იმ ჩუმი მოთმენის და სისაწყლის წარმოდგენით, რომელსაც იტანდა ტარასის მეუღლე თავისი ქმრისგან. აღვნიშნავთ რა, განახლებული სკოლებისთვის შეუფერებელს, პედაგოგიურ თვისებებს მოვითხოვთ, როგორც მშობლების, ისე მასწავლებელთაგან უმთავრესი ყურადღება აღზრდის მხრივ ექცეოდეს ოჯახში და სკოლაში მოსწავლეთა შორის ქალ-ვაჟთა სწორუფლიანობის შეგნებას. ამ მოვალეობის შესრულებას მომავალი თაობის წინაშე დღეს ყველაზე მეტად დედები და მასწავლებელი ქალები უნდა შეუდგნენ.

№29, ნოემბერი, 1917

მამაკაცების სულმოკლეობა და დედაკაცების კონსერვატიზმი

დღევანდელს მამაკაცთა სოციალისტების უმრავლესობას რომ კითხოთ, თუ რა აზრით უყურებენ ისენი ქალთა სწორუფლიანობას, ასეთს პასუხს მიიღებთ: „ჩვენ არაფერი საწინააღმდეგო არა გვაქვს მისი, რომ ქალები სწორუფლიანი იყვნენ ჩვენთან, მხოლოდ გვაშინებს ის მოფიქრება, რომ თავიანთ უფლებით ქალები რეაქციას გააძლიერებენ, რადგან ბუნებრივათ, თუ ისტორიულად ისენი კონსერვატორები არიანო". ასეთი ბრალდების დამამტკიცებელი საბუთები თუმცა არ მიუციათ ქალებს მათთვის, არც იმ ქვეყანაში, სადაც ქალები სწორუფლიანი არიან და არც იქ, სადაც მონებათ ირიცხებიან, მაგრამ თავიანთი ანტისუფრაჟისტული აზრი და შეხედულობა მაინც სურთ რომელიმე ბრალდებაში გახვიონ და მით, თავიდან აიშორონ მათთვის არასასურველი ქალთა სწორუფლიანობა.

ეხლანდელს ბოლშევიკების საქციელს რომ ვაკვირდები, რომლებიც თავიანთ აჟინებულს სურვილებს ვერ იჭერენ, ვერც ქვეყნის დამხობის საშიშროების წინაშე და ვერც გარეშე მტრის შემოსევის დროს, ვფიქრობ, რომ მოვალეობის შეგნებას ზემო აღნიშნული სოციალისტები კონსერვატიზმს უწოდებენ და ამ მხრივ, თუ გნებავთ, ქალები, მართლაც რომ კონსერვატორები ვართ. ჩვენ გვძულს და გვეზიზღება სისხლის ღვრა არა მისთვის, რომ მას ვერ შევძლებთ (ჯერ ისეთი არაფერი არ მოუხდენია მამაკაცს, რაც ქალს არ შესძლებოდეს,) არამედ მისთვის, რომ ჩვენს კაცთმოყვარე ბუნებას ის სძაგს. ჩვენს ესთეთიკურს გრძნობიერებას მკვლელთა სიმარდე, რასაც მამაკაცები სიგმირეს ეძახიან, სიმახინჯეთ ეჩვენება. ჩვენ, ქალები დროსა და სივრცეს ანგარიშს ვუწევთ და ისეთს რამეს წამოვაყენებთ ხოლმე დღიურ საკითხად, რისი განხორციელება დაუსნეულებლათ შესაძლებია. ჩვენ ერთის ბედნიერებას მეორეს უბედურობაზე არ ვაშენებთ და არც ჩვენს პირად ბედნიერებას შევსწირავთ უკანასკნელს. ასეთი ზნეობრივი ანგარიშით იმის თქმა არავის შეუძლია, რომ ქალები მოკლებული ვიყოთ უმაღლეს იდეალს და მხოლოდ დღიურ ჭირ-ვარამზე ვზრუნავდეთ. მხოლოდ, როცა ჩვენ ვისახავთ მიზნათ რთულსა და საზოგადო მნიშვნელოვანს საკითხს, ჩვენ გვსურს მისდა განსახორციელებლათ ნიადაგიც მომზადებული იყოს და როცა ასეთს დავინახავთ, იქ არც თავის განწირვას დავერიდებით.

მართლაც, ვის უფრო აწუხებს კაპიტალისტური ცხოვრების უკუღმართობა, მისი ყოველგვარად გამხრწნელი თვისებებით, თუ არა მშრომელ ქალებს? და ვინ უნდა იყოს უფრო დაინტერესებული სოციალიზმის, რაც შეიძლება მალე განსხეულებაში, თუ არ ქალები? მაგრამ, რა კონკრეტული შინაარსის უნდა იყოს დღევანდელი სოციალიზმი, როცა ხალხი არც გონებრივათ, არც ზნეობრივათ და არც შრომის უნარით საამისოთ მომზადებული არ არის. კერძო საკუთრების მარადისობის დამცველნი სოციალიზმს განუხორციელებელ ქიმერათა სთვლიან. ჩვენ შორსა ვართ ასეთი აზრიდან, მაგრამ, ამავე დროს, შორსა ვართ დღესდღეობით კომუნის შემოღებიდანაც და თუ მამაკაცების ერთი ნაწილი, მაინცდამაინც ამას მოითხოვენ, ეს აიხსნება არა მათი რადიკალობით, არამედ მათი სულმოკლეობით და, ამ მხრივ, ჩვენ, ქალები ყოველთვის კონსერვატორები დავრჩებით.

№31, ნოემბერი, 1917

ორი მთავარი საკითხი

დღეს ჩვენებურ ქალთა უმრავლესობას რომ ჰკითხო, მას შემდეგ, რაც მან კენჭის ჩაგდების უფლება მიიღო, თავი სულ სწორუფლიანი მოქალაქე ჰგონია. განსაკუთრებით, იმედი აქვთ ამა თუ იმ სოციალისტური პარტიის ქალებს და ეს იმედი ერყევათ მათ დღესაც, როცა ხალხის წარმომადგენლებში ჩვენი ქვეყნიდან ერთი ქალიც კი არ მოხვდება. მათ არც იმისთვის მიუქცევიათ ყურადღება, თუ როგორი პატრიარქალური თვალსაზრისით უცქერის თვით რევოლუციონერი მთავრობა ორს უდიდესს საკითხს, რომელსაც ქალთა სწორუფლიანობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. იმ მთავრობამ, რომელმაც სიტყვით ქალების სრული პოლიტიკური და მოქალაქობრივი უფლება აღიარა სარწმუნოების საკითხში, შემდეგი კანონი გამოსცა: „თუ რომ მშობლები ვერ შესთანხმდებიან, იმ შემთხვევაში, მცირეწლოვანი მამის სარწმუნოებას ღებულობსო".

ქალთა სწორუფლიანობის დამცველ მთავრობისგან, თუ ის ამ სწორუფლიანობას გულწრფელად აღიარებს და სურს მას მისცეს რეალური მნიშვნელობა, მოსალოდნელი იყო, რომ ის უბრალო სამართლიანობას არ უღალატებდა და სარწმუნოებრივ საკითხებში უპირატესობას დედას მიანიჭებდა, რადგან შვილების მომვლელად თავიდანვე დედები ითვლებიან და სარწმუნოებრივ გრძნობასაც ბავშვები დედის კალთაში ითვისებენ და არა მამის. დედები უნერგავენ შვილს თავის რელიგიურ რწმენას, მათგან სწავლობენ პირველს პირჯვრის წერას და პირველ ლოცვას, რომლისთვის ახალ მთავრობას ყურადღება არ მიუქცევია.

მეორე მთავარი საკითხი, რომელსაც არც რევოლიუციონერი მთავრობა და არც ესა თუ ის სოციალისტური პარტია ანგარიშს არ უწევს, არის მიწის საკითხი. ჩვენ გვესმის, რომ მიწა უნდა გადაეცეს გლეხებს, მაგრამ არაფერი გვესმის გლეხის ქალზე. ჩვენ გვეუბნებიან: „მიწა მშრომელ ხალხს", მაგრამ ჩვენ არ ვიცით ამ მშრომელ ხალხში გულისხმობენ მშრომელ დედაკაცებსაც, თუ არა? რომ გადავხედოთ რუსის გლეხის ცხოვრებას, ის თითქმის არაფერს არ აკეთებს და მთელი სამუშაო მიწისა თავზე აწევს მის ცოლსა და შვილს.

მთელი აჭარა და ლაზისტანი ქალთა შრომით იკვებება მაშინ, როდესაც მამაკაცები თავისებურად დარბაისლობას უნდებიან და ან ადვილი შრომით ირთობენ თავს. ომიანობის გაჭირვებამ ქართველი გლეხის ქა-

ლებიც გუთანს დაუყენა და დღეს მთელს გურია-იმერეთში უფრო მეტი მხვნელი-მთესველი დედაკაცებია, ვიდრე მამაკაცები. გაუწევენ ამ მოვლენას ანგარიშს დღევანდელი სოციალისტი მამაკაცები და ერთნაირად დააკმაყოფილებენ თუ არა ქალ-ვაჟთა მოთხოვნილებას მიწის საკითხში, ამას მომავალი დაგვანახებს, მანამდე კი ჩვენ, ქალები, თვალყურს ვადევნებთ მათ შემოქმედებას დამფუძნებელ კრებაზე და აქედანვე შეუდგებით სასტიკი პროტესტის გამოცხადებისთვის მზადებას, თუ რომ ეგ ორი უმთავრესი საკითხი გადაწყვეტილი იქნა მამაკაცების თვალსაზრისით. როგორც რუსის, ისე ქართველი ქალები მოვითხოვთ დედის უფლების შვილებზე აღდგენას და მშრომელი ქალ-ვაჟისათვის თანასწორ წილს მიწაზე იმ რეფორმის მიხედვით, რა სახითაც ის გატარებული იქნება სასოფლო-მეურნეობის სფეროში.

№31, ნოემბერი, 1917

ჩვენ და პარტიული თუთიყუშები

არ იქნა და არა, პარტიული თუთიყუშების გამოფხიზლებას არა ეშველა რა. დღიდან არსებობისა, ქუთაისის ქალთა საერთო კლუბი და ჩვენი გაზეთი განიცდის მათგან დევნას. „ისეთი მიმართულება მიიღო, ბატონო, „ხმა ქართველი ქალისამ“ მისი დღევანდელი ხელმძღვანელთა წყალობით“, თვალების პრიალით აუწყებენ ისინი თავიანთ უფლების ბედზე დაინტერესებულთ, მაგრამ ჯერ კიდევ გამოურკვეველ ქალებს, „რომ მასთან საერთოს ვერაფერს ვერ დავიჭერთო“. ამ სიტყვებს ისეთი ბრძნული სახით და ჭკუაზე ძალადატანებით იტყვიან, რომ თუ საქმეზე მართლა გული არ გეწვის, ადამიანს გულიანად გაგეცინება, მაგრამ, ვაი, იმის ბრალი, რომელსაც გაზეპირებული და დაუფიქრებელი სიტყვები სიმწრის სულს აუწრიალებს იმ მოფიქრებით, რომ ასეთი მათი ლაპარაკი, არა ერთსა და ორს, გამოურკვეველს უფლებრივ საკითხებში, მუშა ქალს გზას დაუბნევს. ამ ქალებს, რომლებსაც ესა თუ ის პარტია კიტრის ფასსაც არ აძლევს გონებრივათ, რაც დაანახვეს კიდეც მათ ამხანაგ მამაკაცებმა თავიანთ პარტიულს სიაში, სადაც ქალები ზოგს სულ არ დაუსახელებია და ზოგმა კი ისეთს ადგილას მოათავსა მათი სახელები, რომელთ არჩევა შეუძლებელია, სრულიად აკმაყოფილებს პარტიის იარლიკი, რომლის ძალით მათ სიმწიფის ატესტატი ეძლევა პარტიიდან, მხოლოდ მისთვის, რომ მამაკაცების მიერ წარმოთქმული გაიზეპირონ და ილაპარაკონ, სადაც მოუხდებათ. აზროვნების სიზანტემ მათში ჩაკლა ყოველი ძიების სურვილი და ვერა ხედავენ, თუ რამდენათ დღევანდელი სოციალისტი და ბურჟუა ერთსულოვნურად იქცევიან ქალთა საკითხში და ან, განგებ თვალს არიდებენ იმ აშკარა უსამართლობას, რასაც დღევანდელი მამაკაც-სოციალისტების მთავრობა სჩადის ქალთა მიმართ. შეიძლება ეს სიბეცე იმათაც იყოს გამოწვეული, რომ უძლიერესი პარტიის ქალების ის ნაწილი, რომლებიც დღევანდელი მთავრობის წრეს ეკუთვნიან, ბევრად აღმატებულად გრძნობენ თავს, ვიდრე ოდესმე უგრძვნიათ. მათ გვერდზე გაუარა იმ გაჭირვებამ, რასაც დანარჩენი ქალების უღარიბესი ნაწილი განიცდიან დღევანდელს უცნაურს ეკონომიურ მდგომარეობაში, რომელთა პიროვნულს შეეიწროებას არავითარი ცვლილება არ ეტყობა ახალი მთავრობის ხელში.

დღეს ჩვენ ვხედავთ ლუკმა-პურის მპოვნელად ადგილის მაძებარს ქალებს, რომლებსაც ამდენს ახალ დაწესებულებებში მენშევიკების

მთავრობის დროს ყველგან ვარით ისტუმრებდნენ მაშინ, როდესაც სრულიად მოუმზადებელს ვაჟებს 100-200 მანეთიან ადგილზე აჯენენ. „სოციალისტურმა“ მთავრობამ აშკარად დაგვანახა ქალებს თავისი პატრიარქალური სულისკვეთება და რომ ქალთა შრომას, ძველ მთავრობაზე უკეთურად, არც ის არ უცქერის. დღეს, როგორც ძველი, ისე ახალი მთავრობა ხელს უწყობს არა ღარიბ ქალთა ცხოვრების გაუმჯობესებას, არამედ მისი ნივთიერ გაჭირვების გამწვავებას, რომ უფრო სუსტი ნაწილი ახალგაზრდა ქალებისა შიმშილ-სიტიტველემ არსებულ უცნაურ სიძვირეში ბიწიერების მსხვერპლი გახადოს.

როდესაც რამე საპასუხისმგებლო თანამდებობას მოითხოვენ ქალები, სოციალისტურს მთავრობას მათთვის ასეთი პასუხი აქვს: „როგორ შეიძლება ქალმა შეასრულოს ისეთი თანამდებობა, რომელიც მისგან ღამით სიარულს მოითხოვსო“. ღამით სიარულით ქალებს აფრთხობენ ისეთ ადგილზედაც, სადაც ქალს შეუძლია მხლებლათ გაიყოლოს მილიციონერი, თუ სხვა დარაჯი. სამაგიეროთ, სამორიგო ადგილს, სადაც ქალს არც მხლებელი და არც გამყოლი არ ეყოლება, რომელიც მარტოხელ, ღარიბ ქალიდან მოითხოვს ღამის სამ საათზე ადგომას და წვიმა-ტალახში მოგვიანებულ დილამდე ქუჩაში გდებას, რომ რამოდენიმე გირვანქა პური ხელში მოიგდოს, ასეთს ადგილებს სიამოვნებით ქალებს უტოვებს დღევანდელი მთავრობა.

ამ თანამდებობზე ქალები ისმენენ ყოველგვარ ლაზღანდარობას და უწმაწურ სიტყვებს ბრიყვ და უზრდელი მამაკაცებისგან, მაგრამ ამ მოვლენას არავინ მათგანი სახეში არ ღებულობს და არც არავინ არ აფრთხილებს მათ. ეს სამორიგო ადგილები თავისუფლად ურიგდება ქალებს, განურჩევლად წლოვანებისა, ტანმრთელობისა და დედობისა. ჩვილი ბავშვების პატრონ ქალებს თუ სხვა თანამდებობებზე აფრთხობენ ბავშვების სიკვდილით და გარყვნით, აქ სრული ნება აქვთ, როგორც ესურვებათ, ისე მოექცენ თავინათ შვილებს: უნდათ სახლში უპატრონოთ დასტოვონ და უნდათ დარსა და ავდარში შუაღამისას ზურგზე მოიკიდონ და ქუჩაში ატარონ, ოღონდაც ბატონ ქმრებს სახლში პური გამოულევლად ექნეს. ასეთი მოთხოვნილების ქმრები მომეტებულ წილად ის წვრილი ქალაქის მეშჩანებია, რომელსაც ჩვენ სამშობლოში სახელად პროლეტარი დაარქვეს, თუმცა მათზე უკეთ არც პეტერბურგის პროლეტარიატი მოქცევია თავიანთ ცოლებს. ყველა ამ ფაქტების შემდეგ, მიმართულება გაზეთ „ხმა ქართველი ქალისა“ მით არის ცუდი პარტიული თუთიყუშების თვალში, რომ ის ხმამაღლა აუწყებს მუშა ქალებს შემდეგს: „შეუძლებელია ქალთა სწორუფლიანობის მიღწევა, სანამ ქალები

განურჩევლად ეკონომიური კატეგორიისა, თვითონ არ შეუდგებიან აქტიურათ თავიანთი ადამიანური უფლების დაცვას. ეს საკითხი მამაკაცს, ბურჟუა არის ის, თუ პროლეტარი, რამდენათ ნაკლებათ ეხება, იმდენათ არ აინტერესებს. ქალების თვითმოქმედებას შეუძლია მათი გულგრილობის დარღვევა და სინდისის მხილების გამოწვევა მათში, რომლისთვისაც საჭიროა ქალთა ორგანიზაციულად მოქმედებაო".

ვის მიმართულებას მოიწონებს ფხიზელი გონების პატრონი მუშა ქალები, გაზეთ „ხმა ქართველი ქალის", თუ პარტიულ თუთიყუშებისას, ამას მომავალი დაგვანახებს.

№32, დეკემბერი, 1917

ჩვენ და ეროვნული ყრილობა

აღსრულდა დიდი ხნის ნატვრა და საქართველოში მოქმედმა პოლიტიკურმა პარტიებმა 19 ნოემბერს ქ. თბილისში გადადგეს ისტორიული ნაბიჯი, მოხდა მორიგება დიდი ხნის სადაო საკითხზე და იცვნეს მტრისგან განაწამები სამშობლო მისმა ვაჟებმა მზრუნველობის ღირსად. ეს ყრილობა იყო ერთგვარი კონსილიუმი მკურნველ ვაჟებისა, რომლებიც დღემდე სხვადასხვა დიაგნოზს უყენებდენ ავადმყოფ დედას და რომლის გამო ამდენი აყალ-მაყალი და განხეთქილება სუფევდა მათში.

19 და 20 ნოემბერს დოსტაქრები შეთანხმდნენ ამავე დიაგნოზის დაყენების დროს და გამოუწერეს მათ ერთნაირი წამალი ე.ი. ის, რომ მას სჭირია თავისუფლება და ამ თავისუფლების კანონის ძალით დაცვა. მიიღეს და ცვნეს საჭიროთ საქართველოს ტერიტორიული ავტონომია, ანუ მათი სიტყვით რომ ვსთქვათ, აღიარეს მისი კანონმდებლობითი თვითმმართველობა. დღეიდან ყველა მოქმედ პარტიებს საქართველოში აქვს საერთო საზრუნველი საგანი და ეს საგანია ჩვენი მოხუცი დედა – საქართველო. ამდენს აზრთა სხვდასხვაობაში ქართველს ერს დაებადა ერთი რწმენა, რომელიც იხსნის მათ დაქსაქსულობისგან და რომელიც ხდება საფუძვლად ჩვენი საზოგადოებრივი ძალთა გაერთიანებისა და ეს რწმენაა მოვლა და პატრონობა ჩვენი სამშობლო ქვეყნისა.

რა უნდა ყოფილიყო ასე მარტივად და ადვილად გასაგები და მისაღები, როგორც იმის შეგნება, რომ თითეულს ქვეყანას, როგორც თითეულს ოჯახს, სჭირია თავის შვილთა და წევრთა მიერ დაცვა და ჭირისუფლობა, მაგრამ 15 წელიწადზე მეტია, რაც ასეთს ბუნებრივ და უბრალო საკითხის გადასაწყვეტად ჩვენ ძმებს ერთი ჩხუბი და ალიაქოთი ჰქონდათ, რამაც თანამედროვე საქართველოს უდიდეს მგოსანს „დედა და შვილები“ დააწერინა, რომელშიაც, სხვათაშორის, შემდეგი სიტყვები ათქმევინა:

„სანამ უგუნურ მაჩხუბრებსა,
ვაი ჰქონდათ და ვაგლახი,
დიდმა მგელმა შეუპოვრად
ამოაგდო ოჯახი“

და ამ სურათის დანახვაზე გამწარებული დედის პირით მას შემდეგი ნატვრა აღმოსკდა:

„ღმერთო ჩემო! რადგან ბედმა,
მე შვილებში მომატყუა,
შვილიშვილებს მაინც მიეც,
შეძლება და მეტი ჭკუა!"

მგოსნის სურვილი ახდა ახლა უფრო ადრე, ვიდრე ის მოელოდა და სანამ შვილიშვილები მოეშველებოდენ, თვით შვილებმა, როცა დაინახეს, რომ ეგ დიდი მგელი არამარტო ოჯახს უნგრევდა, არამედ ყველას ერთად შეჭმას ემუქრებოდა, გამოიჩინეს თავდასაცველად ეგ მგოსნის მიერ ნანატრი ჭკუა და ამ დიდი მგლიდან თავისუფლების საჭიროება ერთნაირად დაინახეს და დაადასტურეს ქ. თბილისში 19 და 20 ნოემბერს.

აი, დედააზრი პირველი ქართული ეროვნული ყრილობისა. არსებითად, ეს ყრილობა იყო არა ეროვნული, არამედ ვაჟური, სადაც თავი მოეყარათ საქართველოს სხვდასხვა კუთხის ვაჟებს, სადაც 5 ქალი ძლივს ერია. ვაჟები ჩხუბობდენ. ვაჟები შერიგდენ და ამ შერიგებას ერთი მეორეს ულოცავდენ. ქართველ ქალს არათუ მონაწილეობა არ მიუღია ამ ყრილობაზე, არამედ მას თავის სიხარულის გამოთქმის ნებაც არ მისცეს. 20 ნოემბერს, როდესაც ბატონმა ნოე ჟორდანიამ პოლიტიკურ შინაურ თვითმმართველობაზე მოხსენება წაიკითხა და აღიარა საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია, კრება 15 წუთით შესწყდა და თანაც გამოაცხადა, რომ, ვისაც სიტყვის თქმა სურდათ, ჩაწერილიყვნენ. ამდენს მომლოცველ და თანხმობის გამომცხადებელ მამაკაც ორატორებში ერთი ქალი აღმოჩნდა სიტყვის გამღები, რომელმაც წერილობით მიმართა მდივანს, რომ ჩაეწერათ იგი. მიუხედავათ ადრე განცხადებისა, ორატორთა სიაში იგი როგორღაც სულ ბოლო მოხვდა. ეს ქალი ვიყავ მე, კატო მიქელაძე, დელეგატი ქუთაისის ქალთა ინტერპარტიულ ორგანიზაციისა. ილაპარაკეს ათმა მამაკაცმა სტუმრებმა და პარტიის წევრებმა, რის შემდეგ სია დახურეს. მდივანმა მანიშნა, რომ სიტყვის თქმის უფლება მოსპობილი მაქვს.

მე ვფიქრობდი: მართალია, არც სტუმარი ვარ და არც ამა თუ იმ ფრაქციის სახელით მოლაპარაკე, მაგრამ მე ვარ ქართველი ქალი დღემდე პოლიტიკურ ცხოვრებას მოწყვეტილი. დღეს კი რევოლიუციონურმა დემოკრატიამ, როცა მე და ჩემს სამშობლოს პოლიტიკური უფლება მოგვანიჭა და საქართველოსთან ერთად, ქართველი ქალიც მონობიდან განთავისუფლდა, მე, როგორც წარმომადგენელს ქალთა ორგანიზაციისას, უფლება მაქვს და თანაც საბაბი, რომ გადავსცე ქართველ ეროვნულ ყრილობას (თუ რომ ერში ჩვენ, ქალებიც ვითვლებოდით) ჩემი ამომრჩეველთა მათდამი მადლობა და მათი ფიქრნი და ზრახვანი შესახებ მომავალ ქართული

პოლიტიკური ცხოვრებისა. როდესაც ასეთი მწველი სურვილის გამოთქმის შესაძლებლობას მისპობდენ და სულიერ შეწუხებას განვიცდიდი, მირჩიეს იმ დროს, როდესაც კრება რამოდენიმე წუთით ხელახლა შესწყდა, ავსულიყავი ბატონ ჩხენკელთან, რომელიც იმ დღეს თავმჯდომარეობდა და მეთხოვა მისთვის სიტყვის წარმოთქმის ნება. მეც ავდექი და მივმართე მას, რომელმაც ჩემს წინადადებაზე შემდეგი პასუხი მომცა: „ჩვენ ქართულ ორგანიზაციებს სიტყვის თქმის უფლებას არ ვაძლევთ".

– ჩვენ ამას ისე გავიგებთ, რომ თქვენ პირველ ეროვნულ ყრილობაზე ქართველ ქალს თავისი სიხარულის გამოთქმის ნება არ მიეცით!

– მასე არ შეიძლება ამის გაგება!

– ჩვენ სხვანაირად ამას ვერ გავიგებთ – ვუპასუხე მას და გამოვბრუნდი. რას ვიზამდი, დავმორჩილდი უფროსთა სიძლიერეს და გულდაწყვეტილი მივაშურე ჩემს სკამს, მაგრამ ჩემი სულიერი შეწუხება მით უფრო მწველი იყო ჩემთვის, როცა ერთი თანამგრძნობი ვერ ვიპოვე ამდენს მამაკაცებში. ისენი ისე გატაცებულნი იყვნენ ეროვნულ საკითხში შერიგებით და იმის წარმოდგენით, რომ მომავალი ეროვნული ცხოვრება მათ ყველაფერს პირდებოდა და აძლევდა, რომ მათთვის საკითხი ქართველი ქალის უფლებისა, თუ რა ადგილს მოითხოვდა ის მომავალ ეროვნულ შენობაში, როცა ამ შენობას საძირკველს უყრიდენ გუშინდელი მაჩხუბარი ძმები და დღეს კი შერიგებულნი, სრულიად არ აგონდებოდათ და არც აინტერესებდათ. მათ შორის, განსაკუთრებით კმაყოფილებას გრძნობდენ ქალთა უფლების მტერნი და ბატონ აკაკი ჩხენკელისადმი მადლობასაც, რომ მათი ყურთასმენა არ შეაწუხა უკანასკნელმა ქალის მიერ პოლიტიკური და მოქალაქური უფლების მოთხოვნის მოსმენით.

ერთი მხრით, ქალთა მცირერიცხოვანმა დელეგატებმა და მეორე მხრით, ქალთა უმეტყველობამ ამ დიდს ისტორიულ ყრილობაზე ისეთი შედეგი გამოიღო, რომ ეროვნულ საბჭოს არჩევის დროს ერთი ქალიც არ იყო დასახელებული, გარდა ქალბატონი მინადორა ტოროშელიძისა[9], რომელიც არჩეული იყო არა როგორც ქალთა წარმომადგენელი, არამედ როგორც ფრაქციის წევრი და ისიც უკანდიდატოთ.

ამგვარად, ეროვნულ საბჭოში ქართველ ქალებს თავისი სპეციალური დედაკაცური ინტერესის დამცველი არავინა ყავს. ქართველ ქალებს ამის საშვალება მოუსპეს ორმა ცნობილმა სოციალისტმა – ნოე ჟორდანიამ, ყრილობის მიერ ქართველ ბელადათ აღიარებულმა და აკაკი ჩხენკელმა.

9 მინადორა ტოროშელიძე (1879-1967) – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი სოციალ-დემოკრატების სიით.

ჩვენ კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ არცერთი ქვეყნის სოციალისტები, რომელ ქვეყანაშიაც ქალს შესძლებოდა ეროვნულ ყრილობაზე დელეგატათ შესვლა, არ მოუსპობდა ქალებს სიტყვის თქმის საშუალებას, თუ რომ ასეთს სურვილს რომელიმე მათგანი გამოცხადებდა. არცერთ ქვეყანაში, სადაც კი შესაძლო იქნებოდა ქალის არჩევა, ეროვნულ საბჭოში სოციალისტები ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელთ აურჩევლად არ დასტოვებდა და თუ ეს ჩვენში მოხდა, მხოლოდ მისთვის, რომ ბატონებმა, ჟორდანიამ და ჩხენკელმა თავიანთი სოციალისტური მისია უკვე დაასრულეს და სოციალისტურ საქმეთა საწარმოოთ მათი ასტავკაც მოახლოებულია, რომ ეგ ორი ბელადი დღეს ასეთს იდეურ ხანაში შესული ბრძანდებიან. ამას არა თუ ბოლშევიკები, არამედ თვით მათი თანამოაზრე მენშევიკების დიდი ნაწილი აღიარებს ჩვენთან ერთად. ბატონი ჟორდანია ოდნავაც არ შემკრთალა იმ შეკითხვაზე, რომელიც მისმა ამხანაგმა ცერცვაძემ დაუყენა: „ყველაფერი კარგი, მაგრამ რისთვის ქალებს თავისი ნარმომადგენელი არა ყავთ ეროვნულ საბჭოში, რად დაგავიწყდათ ქართველი ქალიო" გაისმა დარბაზში მჭექარე ხმა მოხუცი სოციალისტისა.

– ჩვენ ქალები გვყავს – უპასუხა ჟორდანიამ.

ჩვენ ვიცით, რომ მას ქალები ყავს, მაგრამ არ ვიცით რამდენათ მისი ქალები დაიცავენ ქალთა უფლებას დამფუძნებელ კრებაზე და გაბედავენ პარტიულ ჩარჩოდან გამოსვლას. დიად ბატონ ჟორდანიას ქალები ყავს, მაგრამ მისი წყალობით ქართველ ქალებს თავისი ინტერესის დამცველი დღეს არავინა ყავს.

წინ კიდევ დრო გვიდევს ვნახოთ, რას აუწყებს ქართველ ქალებს მომავალი ადგილობრივი დამფუძნებელი კრება, სადაც ერთადერთი კანონმდებელნი მამაკაცები იქნებიან. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვაუწყოთ მათ, თუ რომ ქალები ქვეყნის მართვა-გამგეობიდან გამორიცხული დარჩენ, ამაოთ ფიქრობენ ქართველი ერის ბელადნი, რომ ქართველი ქალები მათ მიერ გამოცემულ კანონებს დაემორჩილონ.

№4, თებერვალი, 1918

ამიერკავკასიის სეიმი

ათ თებერვალს იწვევენ ამიერკავკასიის სეიმს, რომლის შემადგენლობა წმინდა პარტიულია და სადაც მენშევიკები დიდს უმრავლესობას შეადგენენ.

როგორც აღნიშნული იყო ჩვენს გაზეთში, ქალთა ორგანიზაციებს, როგორც ასეთს, აქ თავისი წარმომადგენელი არ ეყოლება და რამდენათაც არ გაადიდონ რიცხვი ხალხის წარმომადგენელთა, ის ქალთა კავშირზე არ გავრცელდება და არ გავრცელდება მისთვის, რომ მენშევიკებმა ყოველი ღონე იხმარეს, რომ ამ უდიდეს ისტორიულ დროს ქალების ძალა დაექუცმაცებიათ. მენშევიკები, რომლებიც დღეს ამიერკავკასიის მმართველობის ფორმის შემუშავებას ბურჟუაზიის წარმომადგენელ კლასთან ერთად აპირობენ, ქალებს რევოლიუციის დაწყებიდან იმას ჩასჩიჩინებდენ, რომ მუშა და ბურჟუა ქალების შეთანხმება უფლებრივ საკითხში, რომელიც ორივესათვის ერთნაირად გათელილია, შეუძლებელიაო. მენშევიკებმა ყოველი ღონე იხმარეს, რომ თავიანთ ფრაქციის გარეთ არ გადაედგა მათ თანამოაზრე ქალებს არცერთი ნაბიჯი და იმ დაპირებით, რომ ქალებს ესენი სრული სწორუფლიანობით შემოსავდენ, მათი ამხანაგი ქალებიც სდუმდენ და არა ფიქრობდენ, რომ საჭირო იყო საკუთარი კანდიდატის წამოყენება დამფუძნებელი კრების არჩევნებში თავიანთი სპეციალური დედაკაცური ინტერესების დასაცველად. ქალების ჯგუფ-ჯგუფად დაყოფამ შეუძლებელი გახადა საერთო ქალთა ორგანიზაციის შექმნა ჩვენში და მით, დამფუძნებელ კრებაში ქალთა წარმომადგენლის გაყვანა. მენშევიკებმა ამიერკავკასიაში ქალს მოახვიეს ბოლშევიკური ტაქტიკა იმ ერთადერთი მიზნით, რომ ქალთა საკითხს ჩვენს ქვეყანაში სერიოზული ყურადღება არ ჰქონოდა მიქცეული.

ვნახოთ, როგორ შეასრულებენ თავიანთ დაპირებას მენშევიკები. დააკანონებს თუ არა ამიერკვკასიის სეიმი ქალთა აქტიური და პასიური ხმის უფლებას და სქესთა სრულ სწორ უფლებას თუ არა, ამას მომავალი დაგვანახებს. ჩვენ კი ვიტყვით, თუ რომ ქალებს თავიანთი იმედები არ გაუმართლდათ და როგორც მოსალოდნელია მენშევიკებისგან, ისინიც ყინულზე გაცურებული დარჩენ, იმ ბოლშევიკურ ტაკტიკას, რომელიც მენშევიკებმა დედათა სქესში შეიტანეს ჩვენს ქვეყანაში, ქალები მარტო თავიანთ სქესში არ გაატარებენ. ის ორთავე მხრით მჭრელი გამოდგება და თუ ეს მომავალში მენშევიკებს არასასიამოვნოთ დაურჩეთ, პასუხი

და ბრალი თავიანთ თავს მოჰკითხონ, რადგან, თუ დღეს შეუძლებელია ქალების თანამშრომლობა ერთად, მისთვის საერთოდ გათელილ და დამონებულ ადამიანურ და მოქალაქურ უფლების აღსადგენათ, მით უფრო შეუძლებელი იქნება იმავე ქალებისთვის ბურჟუაზიულ კლასთა მმართველობასთან შერიგება, რომლიდანაც ესენი გამორიცხულნი იქნებიან.

№4, თებერვალი, 1918

ჩემი სიტყვა, რომლის წარმოთქმის უფლება არ მომცა ბ. აკ. ჩხენკელმა ეროვნულ ყრილობაზე 20 ნოემბერს ქ. თბილისში

საქართველოს მოქალაქენო,

აღტაცებული იმ დიდი საისტორიო ნაბიჯით, რომელიც დღეს აქ გადადგეს საქართველოსათვის მებრძოლმა მამულიშვილებმა, მე, როგორც წარმომადგენელს ქუთაისის ინტერპარტიული ორგანიზაციისას, ვალად დამდვეს იმ დროს, როცა ირკვევა ფორმა და საძირკველი ჩვენი ეროვნული ცხოვრებისა, გარდავსცე ეროვნულ ყრილობას გულის თქმა და ზრახვანი ქართველი ქალებისა, რომ განახლებულმა საქართველომ ერთხელ და სამუდამოთ მოსპოს ბარბაროსული ნაშთი ქალთა მონობისა.

საქართველოს მოქალაქენო! ისტორიამ არ იცის უფრო სამარცხვინო მოვლენა, როგორიც არის თავისი უცნაური შედეგით მონობა დედაკაცისა. უდიდესი უბედურება ერისა და კაცობრიობისა არის დავიწყება და უყურადღებობა დედრობითი სქესის ბუნებრივი და მოქალაქური უფლებისა. თქვენ, რომელნიც ებრძვით ძალმომრეობას, იმ ძალმომრეობას, რომელმაც პირველად დედაკაცის ადამიანური პიროვნება დაამონავა, ჩვენ, ქართველი ქალები, დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ საქართველოს განახლებულ ეროვნულ შენობაში ამ სიავეს და უსამართლობას არ შეიტანთ.

ძველმა რევოლიუციებმა თუ რომ დაამსხვრიეს დესპოტიური ფეოდალური წეს-წყობილება და დედაკაცის კარჩაკეტილ ცხოვრებას კარი გაუღეს, სამაგიეროთ, ქალთა უფლებრივი მდგომარეობა მათ ვერაფრით ვერ შესცვალეს, რომლის გამო ფხიზელი ნაწილი დედრობითი სქესისა თავის მწარე ხვედრზე ჩაფიქრებული, დღეს ოდნავ კულტურულ ქვეყანაში ბრძოლას აცხადებს.

ორგვარმა აღზრდამ, ორგვარმა სამართალმა და ზნეობამ იმდენათ განასხვავა ორთავე სქესის ცხოვრება და ადამიანობა, რომ ბუნებრივათ თავი უნდა ეჩინა იმ ანტაგონიზმს მათ შორის, რომელიც მოწინავე ქვეყნების ქალთა მოძრაობამ დაგვანახა. მართალია, არც რუსეთში და არც საქართველოში სქესთა დამოკიდებულება ასეთ სიმწვავემდე არ მისულა, მაგრამ არა მისთვის, რომ იქაც და აქაც ქალები არ ვყოფილიყავით დაინტერესებული ჩვენ ადამიანურ უფლებაზე, არამედ მისთვის,

რომ ქალები იბრძოდენ, განსაკუთრებით რუსეთში, თავიანთ ძმებთან ერთად, იმ სულთამხუთავი რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც ყველას ერთნაირად სულს გვიხუთავდა იმ ერთადერთი მიზნით, რომ ხალხის თავისუფლება ნამდვილ, რეალურ სახეს მიიღებდა და ძმებთან ერთად დებიც პიროვნული და მოქალაქური უფლებით შეიმოსებოდა.

დღევანდელმა განმათავისუფლებელმა რევოლიუციამ და მისმა მთავრობამ არც გაუწბილა ქალებს ეგ იმედი და ქალთა სწორუფლიანობაც გამოცხადდა. მხოლოდ, სიტყვა და საქმე რომ არ სხვადასხვაობდეს და მით, მეოცე საუკუნის რევოლიუციამ თავიდან აიცილოს ის უდიდესი ნაკლი, რასაც ძველი რევოლიუციები ატარებდა ცხოვრების არსებითად შეუცვლელობაში, ქალები მოვითხოვთ აღიარებული ჩვენი უფლების კანონიერ სანქციასაც. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თავისუფალი დემოკრატიის წარმომადგენელნი, რომელნიც ხელს კიდებენ ქვეყნის მართვა-გამგეობას, არ მიბაძავს ქალთა საკითხში იმ დესპოტურ მთავრობას, რომელმაც ქალი და ვაჟი თავის მძიმე უღლის ქვეშ ერთნაირად დასტანჯა და რომლის წინააღმდეგ ჩვენ, ქართველი ქალები, მსგავსად ჩვენი დღევანდელი შეძლებისა და მოხერხებისა, ვიბრძოდით თქვენთან ერთად.

მოქალაქენო! საქართველო ისტორიულად არ იყო ჩვეული ქალთა მონობას. მაშინ, როდესაც მთელ აღმოსავლეთში ქალები უკიდურეს პიროვნულ შევიწროვებას განიცდიდნენ, ჩვენი სამშობლო იმ დროსაც კი, როცა მთელი ქვეყნის არსებობა და ცხოვრება მუშტის ძალაზე იყო დამყარებული და ფიზიკურათ სუსტი სქესის დამონება უფრო გასამართლებელიც, ვიდრე დღევანდელს კულტურულს ცხოვრებაში, ქართველი ქალი შედარებით თავისუფლებით სარგებლობდა როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაში.

ქართველი ხალხის ცოლ-ქმრობა ამხანაგური ხასიათის იყო, რისაც გამომხატველია, თუ ჩვენი დღევანდელი ცხოვრება არა, ჩვენი უძველესი დედა ენა, რომელმაც ასეთს კავშირს სახელად მეუღლეობა უწოდა. ქართველი ქალი არც საზოგადოებრივ მოღვაწეობას იყო მოწყვეტილი და იმ დროს, როცა ჩვენი გმირი მამა-პაპანი ფარ-ხმალს ლესდენ მტრის მოსაგერებლათ, ჩვენი ძველი დედები სამოქალაქო ცხოვრებას ჭირისუფლობდენ, ავრცელებდენ სწავლა-განათლებას, სარწმუნოებას, ექიმობას, აშენებდენ მტრისგან აოხრებულ ტაძრებს, ციხე-სიმაგრეებს და სხვ.

არც პოლიტიკურ საქმეებს უდგნენ ქართველი ქალები განზე და თავიანთი უნარითა და გონიერი მეცადინეობით არაერთხელ შეუერთებიათ დანაწილებული კუთხეები საქართველოსა. ქართველი ქალები ერეოდენ

თვით საგარეო პოლიტიკაში და დიდათ საკეთილოთაც. ჩვენი ქვეყნისთვის საგანგებოთ კონსტანტინოპოლს წასულმა ბაგრატ მეფის დედამ, მარიამმა, იმ მიზნით, რომ შეწყვეტილიყო ბერძენ ქართველთა სისხლის ღვრა, ისეთი დიდი გავლენა მოიპოვა საბერძნეთის მეფის თვალში, რომ უკანასკნელმა არათუ ომი შესწყვიტა, არამედ ბერძენ ქართველთა მოყვრობაც განიზრახა და თავისი ქალიშვილი ლუარსაბ მეფეს მიათხოვა.

მე აქ არ გამოუდგები სხვა მაგალითების მოყვანას, რომელსაც გადმოგვცემს ჩვენი ძველი ისტორია. სანიმუშოთ ესეც კმარა, რომ სანამ ჩვენს ეროვნულ ცხოვრებაში უცხოური გავლენა არ შემოიჭრა, ქართველი ქალი არასოდეს უპიროვნო არსებას არ წარმოადგენდა. მის თვითმოქმედებას არც ოჯახში და არც საზოგადოებაში ხელოვნურად წინ არაფერი არ ეღობებოდა, რომლის გამო, მას როგორც ერთზე, ისე მეორეზე უდიდესი გავლენა ჰქონდა.

ასეთი ფართო სამოქმედო ასპარეზის წინ გადაშლამ ქართველ ქალში ჰარმონიულად შეიზავა ყველა ისე თვისებები, რომელიც ადამიანის სრულს პიროვნებას იმ დროისთვის გამოხატავდა და არა მარტო თვისებები თავისი სქესისა, რისთვისაც მას ქართველმა ხალხმა დედაკაცი უწოდა ე.ი. ქალი-ადამიანი და მით, დედაკაცისა და მამაკაცის პიროვნებას ერთნაირი ზნეობრივი ღირებულობა მისცა, რაც გამოსთქვა კიდეც ჩვენმა უდიდესმა ეროვნულმა მგოსანმა რუსთაველმა თავის „ვეფხისტყაოსანში“.

ასეთი პიროვნული თავისუფლებით ქართველ ქალში განვითარებული იყო ისეთი ძლიერი სულიერი ენერგია, რომელიც ყველა გასაჭირს უმკლავდებოდა. ჩვენი ხალხური ანდაზა ამბობს: „დედაკაცს სანამ ქმარი ყავს, ამირანია და როცა დაქვრივდება, ამირანთ ამირანიო“. ეს ანდაზა იმის გამომთქმელია, რომ ქართველი ქალი გასაჭირში არათუ არ იბნეოდა, არამედ, როცა მარტო, ობლად რჩებოდა, თავის სულიერ ძალას და აქტიურობას აორკეცებდა და თუ ეს ძალა დღეს მიმქარალია და ვიცით, რისი და ვისი მიზეზითაც, მოქალაქენო, თქვენი მოვალეობაა შექმნათ პირობები ამ ძალთა აღდგენისა და განახლებისა.

ჩვენ გვრწამს რაინდული სულის ქართული დემოკრატიისა და იმისა, რომ მისი წარმომადგენელნი ჯეროვანი ყურადღებით გადახედავენ ქალთა საკითხს იმ კანონების გამოცემის დროს, რომლის წინაშე რუსეთისა და საქართველოს მთავრობა მოითხოვს ქალ-ვაჟთა ერთნაირს მორჩილობას. სახეში მიიღებენ იმ სამართლიან მოთხოვნილებასაც, რომ ეგ კანონები ერთნაირად აკმაყოფილებდენ ორთავე სქესის საჭიროებას და უჭრიდეს მათ ერთნაირს სამართალს, ვინაიდან ქალი არის იგივე გონი-

ერი და გრძნობიერი არსება, ავისა და კარგის მომქმედი, როგორც მამაკაცი. ამისათვის, ჩვენ მოვითხოვთ ისეთი მმართველობის ფორმას ჩვენ სამშობლოში, რომელიც უფრო მეტად უზრუნველსა ჰყოფს პიროვნულს და ეროვნულ თავისუფლებას მეზობელ ერებთან სრული სოლიდარობის და ხალხის სუვერენული პრინციპის დაცვით, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და ორთავე სქესის თანასწორი მონაწილეობის მიღებით ქვეყნის მართვა-გამგეობაში.

საქართველოს მოქალაქენო! დღეს ჩვენი სამშობლო ქვეყანა საუკუნოებრივი მონობის ჯაჭვსა სწყვეტს, მაგრამ თქვენ, თავისუფლებისათვის მებრძოლმა გმირებმა უნდა მიანიჭოთ მას ნამდვილი თავისუფლება. თქვენთან ერთად მას წინ აღდგენილი, თავისუფალი მოქალაქე ქართველი ქალი უნდა მიუძღვოდეს. გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოში სწორუფლიან ქალ-ვაჟთა მომავალ თანამშრომლობას!

კატო მიქელაძე

№15, ივნისი, 1918

საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. 117 წლის წინ დამონებულს ერს მონობის ჯაჭვი დააწყდა. ქვეყანა სუვერენული უფლებით შეიმოსა. რა უნდა იყოს ერისთვის ამაზე მეტად საამო და მნიშვნელოვანი, როგორც თავისი საკუთარი ხელმწიფობის მიხწევა და რა უნდა იყოს იმაზე მწვავე, როცა მის ახალ მოპოვებულ სახელმწიფოებას გარეშე მტერი ემუქრება? არაფერი იმ ერისათვის, რომელსაც ღირსეული ცხოვრება სწყურია, იქ, სადაც გაღვიძებულია გრძნობა მოვალეობისა თავისი ადამიანური ცხოვრებისადმი და ქვეყნის კეთილდღეობისადმი. ჩვენში კი რას ვხედავთ? არაფერს ამის მსგავსს! არც დამოუკიდებელს საქართველოს აღუძრავს ქართველი ხალხის გულში აღფრთოვანება და არც მტრის მუქარას გულისტკივილი და აღშფოთება. რითი აიხსნება ასეთი ინდეფერენტიზმი თავის საკუთარი ეროვნული არსებობისადმი ქართველი ერისა? ნუთუ, ის ხალხი, რომელიც, როცა ქვეყანას მტრისგან საფრთხე ელოდა, ოდესღაც თავგანწირული დაიძახებდა: „ვინა სთქვა საქართველოზე, რო დიდი ლომი კვდებაო" და თავგამეტებით ეკვეთებოდა მტრის ლაშქარს, რომ თავისი სიგმირით ეგრძნობინებინა შემოსეული მტრისთვის თავისი ლომური ძალა, დღეს ისე დაკნინდა, ისე დაეცა, რომ ძაღლურ ყეფასაც ვეღარ ბედავს? გერმანელები მფარველობას გვპირდებიან, ოსმალები ჩვენს ქვეყანას შემოსევით ემუქრებიან. საჭიროა, რომ უცხოელნი მოგვეშველებოდნენ. „დაიცავით თავისუფალი სამშობლო" – წერენ ჩვენი ძმების გაზეთებში, ქართველი ხალხი კი ყურსაც არ აპარტყუნებს, თითქოს ეს სიტყვები არც ეხებოდეს მას. მტერი კი თანდათან წინ მოიწევს. ჩვენ არა გვწამს პრუსიელების ჩვენდამი გულწრფელი მოსარჩლეობა, მაგრამ კიდეც რომ დავრწმუნდეთ ამაში, არის იმედი, რომ ესენი ჩვენ მართლაც მოგვეშველებიან იმ დროს, როდესაც ჩვენ დაგვიკარგავს უნარი თავის თავის შველისა? კაცს მაშინ შველიან, როცა ის ზეზე იწევს და არა მაშინ, როცა მას დამბლა ეცემა. ასე ექცევიან ერსაც. ქართველი ერი დღეს დამბლადაცემულია. რისთვის? მისთვის, რომ ქართველ ხალხში ეროვნული გრძნობა 20 წლის განმავლობაში ხელოვნურად ჩაკლეს. მას თავიდანვე საქართველოს დამოუკიდებლობის გამომცხადებელი და გუშინდელი მისი უარმყოფელი მთავრობა ამას ჩასჩიჩინდებდა, რომ „სამშობლო, ეროვნული ინტერესი მღვდლებისა და თავადაზნაურთა გამოჭორილი სიტყვებია, შენ ის არ გეხება, შენი საქ-

მეა მხოლოდ შენ საკუთარ საქმეზე – კუჭზე და ჯიბაზე ფიქრიო", რასაც დიდი ყურადღებით უსმენდენ და უჯერებდენ. ოცი წლის პროპაგანდა, რასაკვირველია, უნაყოფოთ არ დარჩებოდა და დღეს ამ ქვეყნის ყოფნა-არყოფნის დროს მან ისეთი ნაყოფი გამოიღო, რომელიც თვით აკვირვებთ მის მასწავლებელ პროპაგანდისტებს. დღეს ქართველი გლეხი, თუ რომ სამშობლოს სირცხვილსა და გაჭირება-დალხინებას არა გრძნობს, სამაგიეროთ, თავის პირად მოგებაზე ერთობ დიდსა ფიქრობს. ყოფილი სახელიანი მეომარი დღეს ნამდვილი ჩარჩია, რომელიც ერთს კვერცხს ათ შაურად აფასებს და ერთს ფუთს ჭადის ფქვილს 60 მანეთად. ვერცხლის მოყვარეობამ ის იმდენად გაიტაცა, რომ მას ყველაფერი ავიწყდება, თვით ხვალინდელი დღეც. ყოველდღიურ ჩარჩულ ანგარიშით მას არ აგონდება, თუ რა მოელის მომავალში მის ოჯახს, მის ცოლ-შვილს. ვერცხლის მოყვარეობამ და ნივთიერმა ანგარებამ სძლია ყველას და ყველაფერს ჩვენში.

ასეთი იყო სურვილი ჩვენებური მარქსისტებისა და თუ დღეს ამას ნანობენ, სიკვდილის შემდეგ სინანული გვიანღა არის. ათასი „სამშობლო" რომ იძახონ, მათ მიერ გამოფიტულთა გულში, არაფერი არ გაიღვიძებს და ჩვენც ასე ვუცქერით საქართველოს დამოუკიდებლობას, როგორც ფატალურს მოვლენას, რომელიც გულში სიხარულსა და სინანულს ერთნაირად გვიტრიალებს.

№17, ივნისი, 1918

ქართველ ქალებს

თითეულს ერს, თითეულს ხალხს უკავია დედამიწის ზურგზე განსაზღვრული სივრცე, განსაზღვრული მანძილი, განსაზღვრული ალაგი, ანუ ტერიტორია. რაკი ერი იბადება, ვითარდება, საზრდოობს და მრავლდება ერთ ტერიტორიაზე, ამის გამო იგი, თავისთავად, იმსჭვალება ამ ტერიტორიისადმი ისეთივე ბუნებრივი, სათუთი და ცხოველი მიზიდულობით, როგორითაც გამსჭვალულია ხოლმე ყოველი მოსიყვარულე შვილი მშობელი დედ-მამისადმი.

შეგნებული ადამიანისთვის სამშობლო და მშობელი ერთიმეორის ფარდი, ერთიმეორის მაგიერი და სწორი ცნებაა. წესიერათ განვითარებული ე.ი. ცალმხრიობას, სიდუხჭირეს და სიმახინჯეს აცილებული ადამიანის გულში ამოდენივე ალაგი აქვს დათმობილი სამშობლოს, რამოდენიც მშობლების სიყვარულსა და პატივისცემას, მშობლების კეთილდღეობისთვის ზრუნვას და მათი უფლებების დაცვას.

ჩვენ, ქართველები არასოდეს ვყოფილვართ ეულები, უბინადრონი, საკუთარ სამშობლოს მოკლებულნი. ჩვენი სამშობლო ყოფილა და არის დედამიწაზე პატარა ნაწილი, რომელიც ოქროს ხატივით ასვენია შავსა და კასპიის ზღვებს შუა, თვალ-მარგალიტებიან ჩარჩოთ გარს შემორტყმია ბუმბერაზი კავკასიონის ქედი. სიკეთე ჩვენი სამშობლოსი – იშვიათი მოხდენილობა და სიკეკლუცე მისი გარეგნობისა, სისაღე და უებრობა მისი ჰაერისა, საოცნებო სიმდიდრე და უხვი მომცემლობა მისი ნიადაგისა – იზიდავდა ამ ქვეყნისაკენ ყველა მესაზღვრე ერებს და უღვიძებდა მათ გაუნელებელ სურვილს, რომ ხელში ჩაეგდოთ იგი.

ამიტომ, პაწია საქართველოს ხანგრძლივი წარსულის მეტი ნაწილი წარმოადგენს ყოველი მხრიდან მოსეულ მტერთან განუწყვეტელ ბრძოლას და თუ უკანასკნელთ დაელიათ ტყვია და თოფის წამალი, თუ მათ მოუდუნდათ და დაუჩლუნგდათ ხმალ-ხანჯალი, თუ მტრებმა მარტო კალთები ჩამოაცალეს ჩვენ სამშობლოს და დაპყრობა მისი მაინც ვერ შეძლეს, თუ ამ შეუწყვეტელი ხმლის ტრიალში და გამუდმებულ თოფის სროლაში გართული ქართველი არ გაველურდა გონებითა და გრძნობით, თუ, მიუხედავათ სამძიმო პირობებისა, ქართველმა არათუ დაივიწყა წიგნი და მწერლობა, პირიქით მოახერხა საკუთარი კულტურის შექმნა და სისრულის უმაღლეს წერტილამდე აიყვანა ენა და მწიგნობრობა, ამათ უნდა ვუმადლოდეთ ქართველ ქალებს.

არსად, არცერთ ერში ისე გავრცელებული არ ყოფილა ქალისადმი პატივისცემა და სიყვარული, როგორც ჩვენში, საქართველოში. ისტორიას რომ თავი დავანებოთ, თვით უბრალო სიტყვებიც კი დაამტკიცებენ ზემოთქმულ აზრს. ავიღოთ, მაგალითად, სიტყვები დედ-მამა, და-ძმა, ცოლ-ქმარი, ქალ-ვაჟი და სხვა მრავალი. ყველგან, პირველ ადგილზედ ქალი არის დაყენებული. საუკეთესო მოწამეებად ქრისტიანობისთვის ჩვენში შუშანიკ და ქეთევან ითვლებიან. ოქროს ხანათ მიაჩნიათ ქართველებს ის ხანა, როცა თამარი მეფობდა და თუ საქართველო ჯერ კიდევ არ აღგვილა პირისაგან ამ ქვეყნისა, ეს მხოლოდ იმ დედებს უნდა მივაწეროთ, რომელთა შვილები თავგამოდებით იცავდენ სამშობლოს თავისუფლებას, რომელთა ტკბილი ნანა ბავშობიდან უნერგავდა საქართველოს შვილებს თავისი ხალხისა და ერის სიყვარულს.

მაგრამ დაჰბერა ისტორიის ულმობელმა ტალღამ და ჩვენ სამშობლოსაც უბედურობა ეწვია. რუსეთთან შეერთებით გადაწყდა საქართველოს ბედიც და ის თავისუფლება, რომლისთვისაც რამოდენიმე ათასი საუკუნე იბრძოდენ ქართველები, ჩაესვენა შავს სამარეში.

თუ გსურს, რომ რომელიმე ერი, ხალხი დაიმონო, თუ გსურს წაართვა მას ძალა არსებობისა და მოუსპო შეგნება თვითშემეცნებისა, უნდა ეცადო, რომ ქალი გააფუქსავატო, ჩაჰკლა მასში ყოველივე სიყვარული და პატივისცემა სამშობლოსადმი და თუ ეს შესძელი, იმედი გქონდეს, რომ სულ მალე მიაღწევ შენს საწადელს. ჩვენშიაც ასე მოხდა. უპირველესად ქალმა მიიღო და შეითვისა რუსის გამათახსირებელი პოლიტიკა. მშვენიერი „ნანა" „баюшки баю"-ზე შეცვალა და „დედის" მაგიერ, „მამოჩკა" გვესმოდა. ამ იდეაზედ აღზრდილი შვილები, თავისთავად ცხადია, ვერ შეძლებდნენ შეესრულებინათ ის, რაც მამა-პაპათაგან ჰქონდათ ნაანდერძევი და მიჰყვენ თავის ბედს.

ასჩვიდმეტი წლის მონობამ ძირიანად ამოგლიჯა ჩვენი გულის ფიცრიდან ის ჭეშმარიტი გრძნობა, რომელსაც სამშობლოსადმი სიყვარული ეწოდება. მაგრამ ის იმედი, რომელიც ჰყვაოდა ქართველის გულში, გაიფურჩქნა და დღეს კვლავ ვიხილეთ თავისუფლება. თუ ქალმა ხელი შეუწყო ჩვენი ერის გადაგვარებას, ისევ ქალმა უნდა აღადგინოს იგი იმ დროს, როდესაც ქალი სრული ადამიანური და მოქალაქეობრივი უფლებით იქნება შემოსილი საქართველოში. ჩვენა დედებმა და დებმა უნდა განამტკიცონ და ხელიდან არ გაუშვან სისხლით მონაპოვი თავისუფლება.

ამისათვის საჭიროა, უპირველესად ყოვლისა, უფლებათა თანასწორობა. შეუძლებელია იმ ერმა, იმ ხალხმა შეინარჩუნოს თავისუფლება,

სადაც არ არის სქესთა უფლებრივი თანასწორობა. მხოლოდ იმ ხალხს შეუძლია ჩაერიოს თავისუფლების ფერხულში, სადაც არ არსებობს არავითარი მონობა, ჩაგვრა და დამცირება. რას წარმოადგენდა დღემდის ქალი? ყოველივე უფლება მოკლებულ არსებას. მას შემდეგ, რომ მატრიარქალური ხანა შეიცვალა პატრიარქალურად და მამაკაცებმა ძალით ჩაიგდეს ხელში უფლება, ქალი, როგორც ასეთი, გადაიქცა მამაკაცის სრულ საკუთრებათ. ეს უკანასკნელიც მას უყურებდა, როგორც ვნებათა ღელვის დამამშვიდებელ საგანს და საკმარისი იყო, რომ ქალს აღარ დაეკმაყოფილებია მისი მხეცური ინსტიქტი, გარეთ გამოაგდებდენ, როგორც უვარგის ჩვარსა. განვლო დრომ და ქალი თანდათან იგნებდა თავის მდგომარეობას. ბევრი გამოჩენილი პირი იბრძოდა ქალთა უფლების გასაუმჯობესებლად, ბევრი ზეგარდმო მადლით მონიჭებული ნიჭი გაიძახოდა და მოუხმობდა მსოფლიოს თანასწორობისკენ, მაგრამ ხმა მათი დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა... მათ შორის ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში დიდებული ქართველი გაიძახოდა: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადიაო". ეხლა კი, მეოცე საუკუნეში, როდესაც ყველას პირზე აკერია „ძმობა-ერთობა-თავისუფლება", როდესაც თავგამოდებით ქადაგებენ მიწის სოციალიზაციას, საერთაშორისო ძმობა-ერთობას და ათას სხვას, გარდა ერთი-ორი პიროვნებისა, ხმას არავინ იღებს ქალთა სწორუფლიანობაზე. მაშ, ვინ უნდა იზრუნოს თქვენთვის, თუ არა თქვენ, ასულნო საქართველოისავ?

თუ რუსეთის გამათახსირებელმა პოლიტიკამ ჩაჰკლა თქვენში უნარი ბრძოლისა, დე, ახლა, ამჟამს, თავისუფლებისას გაიღვიძოს თქვენში ძველ დედათა მიმალულმა, ძლიერმა სულმა და მთელის თქვენი ძალღონით, მთელის თქვენი სულიერი მისწრაფებით და გულის ჰანგებით შეჰღაღადეთ თავისუფალ ქვეყანას: ჩვენც ადამიანები ვართ და უნდა მოგვეცეს ის უფლება, რითაც ყოველი თქვენგანი სარგებლობს-თქო და იქნებ დღევანდელმა დამახინჯებულმა ქართველურმა სულმა იგრძნოს თავის შეცდომა და განამტკიცოს პრინციპი თავისუფლებისა და სწორუფლიანობისა თავის ქვეყანაში. დიადი მომავალი მოგიწოდებთ ქართველ ქალებს დიადი მოვალეობისადმი, რომლისთვისაც საჭიროა სიფხიზლე, სიფხიზლე და კიდევ სიფხიზლე.

№18, ნოემბერი, 1918

ქალებო, დამფუძნებელი კრება ახლოვდება

დამფუძნებელი კრება ახლოვდება. იქნება ის მოწვეული ბოლშევიკური მთავრობიდან, თუ ახალი მთავრობიდან, ის მაინც ქალთა საკითხის გადაჭრას მოითხოვს. რა უნდა მისცეს დამფუძნებელმა კრებამ ქალებს? უპირველეს ყოვლისა, მან დღევანდელი სიტყვით აღიარებული ქალთა სნორუფლიანობა საქმით ე.ი. კანონით უნდა დააფუძნოს და განამტკიცოს.

რა უნდა მოსთხოვონ ქალებმა დამფუძნებელ კრებას? პირველ ყოვლისა, სრული პიროვნული თავისუფლება, რომელმაც უნდა მიანიჭოს მათ სრული პოლიტიკური უფლება, რომ ქალებს ჰქონდეთ ხმა არჩევნებში და იყვნენ როგორც ამომრჩეველნი ხალხის წარმომადგენლებისა, ისე რჩეულნი ხალხის წარმომადგენლებში. ქალი უნდა შეუდგეს თავისი თავის და თავისი ინტერესის დაცვას, მუშა ქალებს უნდა მიენიჭოთ უშუამავლო ხმა, რადგან მათი ამხანაგები მამაკაცები ამის მაგიერობას ვერ გაუწევენ მათ. ხალხის სუვერენიტეტული პრინციპის მიხედვით ლოგიკურად გამომდინარეობს ორთავე სქესის თანასწორი პოლიტიკური უფლება. სასაცილოა საუბარი პროპორციონალურ წარმომადგენლობაზე, თუ რომ ნახევარი ნაწილი ხალხისა ამ წარმომადგენლობიდან გამორიცხული იქნება, მომავალმა დამფუნებელმა კრებამ უნდა თანასწორად განამტკიცოს ორთავე სქესის აქტიური და პასიური ხმის უფლება ორთავე სქესის თანასწორი უფლება როგორც საზოგადო, ისე კერძო სამსახურში. არსებული ომიანობის გაჭირვებამ საკმარისად დაანახა ქვეყანას, თუ რამდენად, თვით დღევანდელი მოუმზადებელი ქალები პატიოსნათ და ღირსეულად ასრულებდნენ მამაკაცების მაგიერობას როგორც საზოგადო, ისე კერძო დაწესებულებაში.

თანასწორ განათლებასთან და აღზდასთან ერთად, ცხადია, ქალები ვაჟებს არ ჩამორჩებიან ასეთს შრომაში და კიდევ უფრო უკეთ შეასრულებენ მას. ამისათვის, დამფუძნებელმა კრებამ უნდა დააწესოს თანასწორი შრომა და თანასწორი ჯილდო ორთავე სქესისათვის, ერთნაირი სწავლა-განათლება მათთვის. მან უნდა მოსპოს საზარელი მტარვალობა – რეგლამენტაცია პროსტიტუციისა, რომ სხვა ბოროტმოქმედებთან ერთად დასჯილნი იყვნენ ვაჭარნი ქალთა სხეულისა და საროსკიპოების გამგენი.

გაუქმებული უნდა იქნეს პოლიციური ზედამხედველობა პროსტიტუტკებზე, რადგან ასეთი ზედმხედველობა მხოლოდ ერთ სქესზე, როცა მე-

ორე სრული თავისუფლებით ავრცელებს ვენერიულ სენის საწამლავს, ამცირებს მხოლოდ დედაკაცის პიროვნებას და სხვა დადებით შედეგს ვერ აღწევს.

დაარსებული იყოს საკანონმდებლო მფარველობა ყოველი ფორმის ქალთა შრომაზე და შემოღებული ქალთა ინსპექცია სამრეწველო დაწესებულებაზე. დამფუძნებელმა კრებამ უნდა შესცვალოს არსებული საოლქო და სამოქალაქო კანონები და მოსპოს დღეს არსებული სქესთა შორის სხვადასხვაობა სასჯელისა და მოქალაქური უფლებისა. მოსპობილ იქნას მემკვიდრეობითი განსხვავება სქესისა და ოჯახურ ცხოვრებაში პრივილეგია მამის უფლებისა შვილებზე.

ქალებო, გახსოვდეთ, თუ რა უნდა დააბაროთ თქვენს მიერ ამორჩეულთ ხალხის წარმომადგენლებს! მათზეა დამოკიდებული თქვენი სწორუფლიანობის არსებობა!

თითეულ კენჭის ჩაგდებაზე მოაგონეთ მათ, რომ, თუ დამფუძნებელმა კრებამ ქალების უფლება შეკვეცა და არ დააკმაყოფილა ზემო აღნიშნული მათი მოთხოვნილებანი, რომ წყევლა-კრულვით მიეგებებით მათ, როცა ეს წარმომადგენელნი ხალხისა სამშობლოში უკანვე დაბრუნდებიან.

საავტორო სვეტები

№3, აპრილი, 1917

თუ პოლიტიკურად არათავისუფალი ქვეყანა ზღუდავს და ავიწროვებს ინდივიდუალურ განვითარებას, კლავს და ამახინჯებს მის შემოქმედურ ძალას, ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენათ დააწვრილმანებდა და დაამახინჯებდა ორკეცი მონური ცხოვრება დედაკაცის პიროვნებას და მის სულიერ განვითარებას. რა უნდა იყოს ადამიანისთვის ისეთი სასტიკი სასჯელი, როგორიც არის კაცში (ამ უკანასკნელ სიტყვაში მე ვგულისხმობ ორთავე სქესს) მისი სულიერობის ჩაკვლა? როცა საშვალება გესპობა შენი „მეს“ გამოკვლევისა და მისი დამტკიცებისა!

ჩვენ, ქალები საუკუნოებით ჩაყენებული ვართ იმ უბედურ მდგომარეობაში, რომლის გამო წარმოვადგენთ ჯოგს, რომლებსაც საითკენ ესურვებათ, იქეთ გაგვრეკავენ ჩვენი მწყემსნი – მამაკაცები. კიდევ კარგი, რომ ეს მწყემსი თავის ადამიანურ სიმაღლეზე დგას, როცა მას წინ უძღვის პატიოსანი გრძნობა და ნათელი გონება. ამ შემთხვევაში, სანუგეშოთ ის მაინც გვრჩება, რომ ასეთი მწყემსი სადმე ხრამში არ გადაგვჩეხავს და კისერს არ მოგვატეხინებს, მაგრამ ბრალი ჩვენი, როცა ასეთს მწყემსობას ასრულებს თვითგამოურკვეველი, პატივმოყვარე, უზნეო ეგოისტი, რომელსაც არ ძალუძს არც თავისი ნაბიჯის გაზომვა და არც წარმოდგენა აქვს მისი მოქმედების შედეგისა. ასეთი წინდაუხედავი ეგოისტთა რიცხვი მით უფრო მატულობს, რამდენათაც თვით დედაკაცების ადამიანური მხარე მახინჯდება და წვრილმანდება, რამდენათაც სუსტია ცოლ-ქმართა სულიერი კავშირი და დამცირებული დედის პიროვნება, რომლის გავლენა შვილებზე ან სრულიად არ სჩანს, ან უვიცობით უკუღმართია. დღეს ჩვენ ვდგევართ ახალი ცხოვრების ცისკრის წინაშე, რომელიც გვპირდება აღდგენას ადამიანის და მოქალაქის უფლებისას და ჩვენც იმედებით აღვსილი ვეგებებით მას, მაგრამ როგორი უნდა იქნეს ჩვენი გულისტკივილი, თუ არსებულმა რევოლიუციამ დედრობითი სქესი ადამიანისა და მოქალაქის უფლების ღირსად არ ჩათვალა?

საერთო პოლიტიკურ მონობის დროს სქესთა შორის კიდევ არსებობს ერთგვარი სულიერი ერთობა, რამდენათაც თავისუფლების მოსაპოვებლად მათ სჭირდებათ სულიერი ურთიერთდახმარება. დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელსაც დღეს ჩვენ აგრე აღტაცებით მოველით, თუ რომ მოქალაქეობრივი უფლებით შემოსავს მხოლოდ მამრობით სქესს, ის წარმოშობს სულიერად სრულს გათიშვას უფლებიანი სქესისას არაუფლებიან სქესთან. დღევანდელი რევოლიუცია, მარტო ერთი მამრო-

ბითი სქესის სასარგებლოთ დამთავრებული, გვიქადის ქალებს სრულს მოწყვეტას მოქალაქობრივ ცხოვრებიდან. დღეს, პიროვნული და ეროვნული თავისუფლებისთვის მებრძოლი მამაკაცები იმდენათ ეგოისტურად გამოიყენებენ ამ უფლებას ისტორიული ბატონობით წათამამებულნი დედრობით სქესზე, რომ დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა მომავალ სულიერ ტანჯვასთან შედარებით სანატრელი გაგვიხდება. ასეთი პრივილეგია იმდენათ გააყეყეჩებს მამრობით სქესს, რომ არავითარ კავშირს ქალებთან ისინი არ დაიჭერენ, გარდა დედალ-მამლური კავშირისა და რამდენათ საყოველთაო იქნება მათთვის პოლიტიკური და მოქალაქობრივი უფლება, იმდენათ საყოველთაო გახდება დედაკაცების ჩაგვრაც. ამის მაგალითს ჩვენ ვხედავთ იმ ქვეყნებში, სადაც რევოლიუციამ დედაკაცი პოლიტიკური უფლების გარეთ დასტოვა. ჩვენთვის, ქართველი ქალებისთვის ასეთი მდგომარეობა ავტონომიურ საქართველოში მით უფრო საშიშია, რამდენათაც ჩვენი სამშობლო ჩამორჩენილია სხვა კულტურულ ქვეყნებს, რომ ვიპოვოთ სულიერი საზრდო დასაცველად ჩვენი ადამიანური ღირსებისა.

უკანასკნელი დროის არამხანული მწერლობა ერთი იმ ნიმუშთაგანია, თუ რას უქადის ქართველ ქალს თავისუფალ საქართველოში პოლიტიკური მონობა. დღეს ჩვენ გვპირდებიან მოქალაქური უფლებით აღჭურვას და ზოგიერთ გულუბრყვილოს გონია კიდეც, რომ ასეთი უფლება მიღებული აქვთ. ნამდვილათ კი, ჩვენ ვხედავთ, რომ საამისოთ ერთი ნაბიჯი არ გადადგმულა წინ. ამიერკავკასიის ახალი მთავრობის წევრი – ორი სოციალისტიც ხმას არ იღებს ქალთა უფლების შესახებ.

არსად ჩვენი კარჩაკეტილი ცხოვრება, გარდა საპარტიო მიტინგებისა, არ დარღვეულა და ძველებურად, ქალები ათასში ერთი თუ არის დაშვებული ამდენ ახლათ გახსნილ ადგილებზე ადგილობრივ თვითმმართველობაში. არც ქუთაისის და არც თბილისის აღმასრულებელ კომიტეტში, არ ურევია ერთი ქალი. ცხადია, კავკასიის ცენტრი ქალთა საკითხებს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს. ზოგი ამბობს ეს მისთვის მოხდა, რომ მომზადებული ქალები არ გვყვანანო.

ჩვენ ვხედავთ აღმასრულებელ კომიტეტში ისეთ მამაკაცებს, რომლებსაც არავითარი სწავლა-განათლება არ მიუღიათ და თუ ისინი არ ითვლებიან მოუმზადებლათ, ამდენს ინტელიგენტ ქალებში, რომლებსაც თუ არა სხვა, საშვალო სასწავლებელი მაინც დაუსრულებიათ, ნუთუ ორიოდე დედაკაცი არ აღმოჩნდა იმდენად მომზადებული, რომ თავისი მოვალეობა გაეცნო და შეესრულებია, თუ რომ მათ ნამდვილი ამხანაგური გრძნობით მიიწვევდნენ აღმასრულებელი კომიტეტის მამაკაცები?

ეს კითხვა დღეს ყოველი შეგნებული ქართველი დედაკაცის გულში ტრიალებს და ეჭვით ავსებს მას ახალი მთავრობისადმი. კიდევ უფრო ნაკლები იქნება დედაკაცებისადმი ყურადღება, თუ რომ ქართველი ქალები არ შექმნიან ერთს მთლიანს ორგანიზაციას თითეულს გუბერნიაში და საერთო ძალ-ღონით არ შეუდგებიან თავიანთი ადამიანური პიროვნების აღდგენას.

ნეტავ, სხვა რომელი საკითხი უნდა იყოს ქალებისთვის ისეთი მწვავე და ისეთი მნიშვნელოვანი, როგორიც არის ახლო მომავალში ჯერ დამფუძნებელ კრებაზე და მერმეთ, ავტონომიურ საქართველოში წამოყენებული საკითხი – ვიცნოთ თუ არა დედაკაცი ადამიანური უფლების ღირსათო. ნუთუ, ასეთი კითხვის დასმა არ უნდა იყოს საკმარისი ქალთა თავმოყვარეობის აღსაშფოთებლათ და მათ შესაერთებლათ უფლებისთვის ბრძოლაში?

ქალთა მომავალი ადამიანური ცხოვრება დღევანდელს ქალების მოქმედებაზეა დამოკიდებული და ჩვენ მოუწოდებთ ყველას, მათ, ვინც არ შერიგებია სულიერ მონობას და უპიროვნო ჯოგურ ცხოვრებას, შეიკრიბონ ქალთა პოლიტიკურ ორგანიზაციის გარშემო, რომელიც იბრძვის ორთავე სქესის პოლიტიკურ სწორუფლიანობისთვის დემოკრატიული რესპუბლიკის განსამტკიცებლათ, რაიც სასურველი და სასარგებლოა როგორც პარტიული, ისე უპარტიო ქალებისთვის. ქალთა ორგანიზაციის შექმნით ჩვენ შევძლებთ, ერთი მხრივ, გამკლავებას ქალთა უფლების მტერთან, მეორე მხრივ, ღირსეულ დახმარებას ჩვენი მებრძოლი მამაკაცებისას კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაში.

მაშ, ჩვენთან! ვისაც გწყურიათ აღდგენა თქვენი ადამიანური პიროვნებისა და მოპოვება პოლიტიკური და მოქალაქობრივი უფლებისა!

№ 6, მაისი, 1917

დედაკაცების მხრით საკუთარი ნაბიჯის გადაუდგმელობამ და მათმა პიროვნულმა თავდავიწყებამ კიდევ უფრო ფეხი მოადგმევინა ძველს, დახავსებულს შეხედულობას, რომ ქალის საქმე ძიძობა და მზარეულობაა და არა პოლიტიკა და საზოგადო მოღვაწეობა, როცა თანამედროვე ცხოვრების წესწყობილებამ დედაკაცი კარჩაკეტილ ცხოვრებიდან გამოიყვანა და მამაკაცთან ერთად ოჯახის გარეთ, შრომაში ჩააბა, დედრობითი სქესი თავის პოლიტიკურ მონობაზე დააფიქრა და თავის ადამიანური უფლების აღსადგენათ დარაზმა და დღეს, როცა ამ გზაზე ძვე-

ლებური ლათაიები ესმის შესახებ თავისი დანიშნულებისა და მოვალეობისა, მისი გამოფხიზლებული ნაწილი კითხულობს: „რომელი თავისუფლების პრინციპი აძლევს ვისმეს ნებას, სხვას უქადაგოს დანიშნულება?"

პიროვნული თავისუფლება იმაში მდგომარეობს, რომ თითეულს ნორმალურს ადამიანს ჰქონდეს უფლება თავისი სულიერი მოთხოვნისამებრ ცხოვრებისა და მოქმედებისა და ამა თუ იმ საქმის მოსაკიდებლად, არც ერთს მათგანს არ ახალისებდენ და არც აფრთხობდენ, რომ საქმე თავის თავად ხელში ჩაუვარდეთ იმ პირთ, რომელიც უფრო ღირსეულად და წესიერად შეასრულებს მას.

როცა გოგო და ბიჭები ერთად თამაშობენ, მათ შორის არავითარი გონებრივი განსხვავება არა სჩანს. როცა ნამოიზრდებიან და ერთის ნიჭსა და გონებას ისეთის საქმისთვის მიმართავენ, რომელთანაც მეორეს საერთო არაფერი აქვს, რასაკვირველია, რომ მათი აზროვნებაც სხვადასხვა მიმართულებას ღებულობს და თუ ასეთი გავლენა აქვს შრომის სპეციალიზაციას, საუკუნობით სულიერ ცხოვრებას მოწყვეტილი ნახევარი კაცობრიობა, რომელშიც ცხოვრობდა დედრობითი სქესი, რა გასაკვირია, რომ ჩამორჩენილი იყოს გონებრივათ მამრობით სქესს, რომელიც ერთადერთი მმართველია კაცობრიობის ცხოვრებისა, თუმცა ერთობ ცალმხრივი მმართველიც. ჩვენ სწორედ ამისთვის ვიბრძვით, რომ მოისპოს ეს ხელოვნური სხვადასხვაობა სქესთა ინტელექტისა.

ბუნებრივათ, ვინ უფრო ნიჭიერია და შემოქმედია, დედრობითი სქესი თუ მამრობითი, ამის გადაწყვეტა შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ, როცა ორთავე სქესი ისტორიულად თანასწორ პირობებში ყოფილიყო აღზრდილნი და მცხოვრებნი და ასეთს პირობებში, რასაკვირველია, ვინც მეორეს წინ გაუსწრებდა თავისი გონებრივი სიძლიერით, თავისთავად, პირველობა მას დარჩებოდა. ბორკილებგაყრილ ადამიანს რომ სიარულში თავისუფლად მოსეირნე კაცმა აჯობოს და მით უკანასკნელმა სიმარდე დაიკვეხოს, ეს იმდენათ არა კეთილშობილია, რამდენათაც სასაცილო და სანამ დედაკაცები უფლებრივად გათანასწორებული არ იქნებიან მამაკაცებთან, სანამ ხელი ქალსა და ვაჟს ერთნაირად არ მიუწვდებათ ყოველს საჭირო და სასურველ საქმეში, მანამ მამაკაცების მიერ თავიანთ ნიჭისა და განიერების ბუნებრივი უპირატესობის დაჩემებას, ჩვენ ამას ვუწოდებთ ძალმომრეობის სიტრაბახეს.

№7, მაისი, 1917

ვინც ცხოვრებასა და ისტორიას იცნობს, მას არ შეუძლია უარყოს ის, რომ ქალებმა წარმოშვეს თვით იმ უმაღლეს სოციალურ თანამდებობაზეც კი, სადაც დედრობითი სქესი, როგორც ასეთი, დაშვებული არ იყო, დიდათ ნიჭიერი პიროვნებანი. ისტორია იცნობს არა ერთსა და ორს დიადი სახელმწიფოებრივი ნიჭით აღჭურვილს მეფე ქალებს ისე, როგორათაც მრავალ უნიჭო მეფე მამაკაცებსაც, როგორც საქართველოში, ასევე სხვა ქვეყნებშიაც. ქალთა უფლების მტრებმა კარგათ იციან სისუსტე თავიანთი არგუმენტებისა და სადაც ასეთები არა სჭრის, იქ ისენი საკითხს უტილიტარულ ნიადაგზე აყენებენ: სასარგებლოა თუ არა ქალისთვის პოლიტიკური მოღვაწეობაო? და რომ დაგვიმტკიცონ უკანასკნელის მავნებლობა ქალისათვის, გვიცხადებენ:

1) ქალის საზოგადო ასპარეზზე გამოსვლა შეუთანხმებელია დედის მოვალეობასთან,

2) რომ ასეთი გათანასწორება დედაკაცის და მამაკაცის შრომისა ჩაკლავს ქალურს სინაზეს,

3) რომ ასეთი შრომა კიდევ უფრო გაამწვავებს ისედაც გამწვავებულს კონკურენციას და სხვა.

პირველს არგუმენტს, დედის მოვალეობისას განსაკუთრებით ხაზს უსვამენ ჩვენი უფლების მტერნი და მომეტებულ წილათ ისეთი პირები, რომელთაც ღირსეულად არასოდეს არ ქონიათ შეგნებული მამობრივი მოვალეობა, მაგრამ მათი ასეთი მოსაზრებანი რომ გულწრფელი იყოს, ჩვენ შეგვეძლო გადაგვედგა ის ძუძუმწოვარა ბავშვთა დედებისთვის, რომლებსაც დღეს ქალთა პოლიტიკური მონობის დროს, მრავლათ ვხედავთ სხვადასხვა ქიმიურ ფაბრიკებში 10-12 საათის განმავლობაში მომუშავეთ და რომლის წინააღმდეგი სრულიათ არაფერი აქვთ „დედობრივი მოვალეობის" მყვირალ ქალთა უფლების მტრებს, მიუხედავათ იმისა, რომ ასეთ ადგილებში მუშაობა საწამლავათ მოქმედებს დედის ორგანიზმზე, მაგრამ, თუნდაც რომ მიგვეღო დედების მოვალეობის და საზოგადო ასპარეზზე მოქმედების მიზანშეწონილობა, რა უნდა გვეპასუხნა იმ ქალებისთვის, რომლებიც არ გათხოვილან, ან უშვილონი არიან და ან უდროოთ ქვრივი, რომელთაც საკუთარი შრომით უხდებათ თავისი თავისა, შვილებისა და ოჯახის რჩენა? ის, რომ რადგან თქვენ დედები არა ხართ თოთო ბავშვებისა, ამ ქვეყნად ადგილი არა გაქვთო, არსებითად ამას მოითხოვს ქალთა უფლების მტერთა ლოღიკა, მაგრამ რომელმა საღმა მოფიქრებამ სთქვა, რომ, თუ ქალი ერთხელ დედა გახდა, ის მთელს თავის სიცოცხლეში ძიძაობის მეტს არას აკეთებს?

ცხადია, როცა დედას ბავშვი აღსაზრდელი ყავს, ის პარლამენტში სასიარულოთ ვერ მოიცლის და დედაკაცი რაგვარი უფლებიანიც არ იქნეს მასში, იმდენი დედობრივი სიყვარული ყოველთვის ექნება, რომ შვილების ზრუნვაზე მამაკაცების დარიგება არ დასჭირდეს და ამ მხრივ ქალთა უფლების მტერთა შიში, რომ პოლიტიკურათ სწორუფლებიანი ქალები დედობრივ მოვალეობას უღალატებენ, იმდენათ უადგილოა, რამდენათაც ცბიერი.

საპარლამენტოთ მომზადებულს ქალს იმდენი თავმოყვარეობა და მოქალაქური შეგნება ყოველთვის ექნება, რომ თავისი შვილის საზიანო არაფერი ჩაიდინოს, სანამ მისგან ბავშვი მზრუნველობას მოითხოვს. პატივმოყვარეობას შეუძლია მამაკაცებს დაავიწყოს მამობრივი მოვალეობა და ავიწყებს კიდეც, და არა დედებს. ასეთი შეგნება დედობრივი მოვალეობისა მოქალაქურად შეგნებულს და უფლებამოსილ ქალებს კი არ აკლია, არამედ იმ ქალებს, რომლებიც მამაკაცების ტიკინებათ გარდაქცეულან და მათ სქესობრივათ მიზიდვის ცდაში და სავნებატკბილო ფუქსავატობაში შვილებიცა და ოჯახიც დავიწყებიათ.

რა ვუყოთ, რომ დედებს ზოგიერთ შემთხვევაში დრო არ ექნებათ პარლამენტის სკამზე ჯდომისა? განა, ყველა მამაკაცები სახელმწიფო მოღვაწეებათ ითვლება? მომეტებული წილი მამაკაცებისა ისეთ შრომას მოკიდებს ხელს, რომლებიც პარლამენტის კარებს ვერც კი ხედავენ, მაგრამ ასეთი მოუცლელობა, თუ მოუმზადებლობა დემოკრატიულად თავისუფალ ქვეყანაში მათი მოქალაქობრივი უფლების ასაყრელათ არავის არ გამოუყენებია და ვერც გამოიყენებს და ახლა, ჩვენ ვკითხულობთ: რომელმა სამართალმა, სამართლიანობაზე და არა ძალმომრეობაზე დამყარებულმა კანონმა უნდა გაამართლოს მთელი დედრობითი სქესის პოლიტიკური და მოქალაქობრივი მონობა იმ მოსაზრებით, რომ გათხოვილ ქალთა უმრავლესობა წელიწადში ერთხელ, დროებით დედები ხდებიან? შვილები დედებს თავიანთ იმედ-ნუგეშად უნდათ და არა მონობის ჯაჭვების რგოლებათ, რომელშიც უნდა გაიბმეს დედების სულიერი პიროვნება. მოქალაქე დედა სწორედ შვილებს ეჭივრებათ, რადგან მხოლოდ თავისუფალი, სწორუფლიანი მოქალაქე დედა აღზრდის ახალ მოდგმას, რომელსაც ჩაუნერგავს თავისი თავისუფალი სულის სიძლიერეს და მიმართავს მის აზროვნებას უმაღლეს სასიცოცხლო მიზანთან და არა სამუშტიკრივო და საომარ ბრძოლის ველზე ერთი მეორის ამოსაჟლეტათ, როგორც დღევანდელი სახელმწიფოების მონა დედების აღზრდილმა თაობამ ჰქმნა. არსებითად, ქალთა უფლების მტრებს, რომელთა შორის მომეტებული წილი მილიტარისტებია, უფრო

ამის შიში აქვთ და მისთვის უფრთხიან ქალთა სწორუფლიანობას, ვიდრე შვილების გულშემატკივრობისათვის.

№8, ივნისი, 1917

მეორე არგუმენტი ქალთა უფლების მტერთა იმაში მდგომარეობს, რომ თითქო ქალ-ვაჟთა შრომისა და ხელფასის გათანასწორებას შეეძლოს ისედაც გამწვავებული კონკურენციის გაძლიერება. წამოგვიყენებენ რა, ასეთს არგუმენტს, მათ სრულიად ავიწყდებათ ის თვალსაჩინო მოვლენა, რომ ქალთა კონკურენცია დღეს უფრო საშიშარია მამაკაცებისთვის, როცა უუფლებო ქალებს ნივთიერი გაჭირვების გამო მაინც უხვდებათ სამრეწველო დარგში მუშაობა, მიუხედავათ ხელფასის სიმცირისა. ნამდვილათ კი, ხელფასისა და შრომის გათანასწორებით ქალების კონკურენცია არათუ საშიშარი არ არის მამაკაცებისთვის, არამედ დიდათ გამოსადეგარი და დამასუსტებელი თვით კონკურენციისა მისთვის, რომ გაფიცულ მუშების მოთხოვნილებას ქალები უფრო თავგამოდებით მხარს დაუჭერენ და მათ სამათხოვრო ქირით ვერავინ სამუშაოთ ვერ წაიტყუებს, როგორც ეს დღეს ხდება ქალთა შრომის დაუფასებლობით. ქალ-ვაჟთა თანასწორი ხელფასით აიწევს თვით ნივთიერი მდგომარეობა მუშა მამაკაცისა მით, რომ ქალები იქნებიან თანასწორი წვლილის შემომტანი ოჯახში და მაშასადამე, ორთავე სქესი თანასწორი დამხმარენი საერთო გაჭივრებაში ერთი მეორისა.

უფლებიანი დედაკაცები მარსზე და იუპიტერზე ცხოვრებას არ აპირებენ, რომ იქ წაიღონ და გაფლანგონ დედამიწაზე აღებული ხელფასი და მით შეავიწროვონ ცხოვრება მამაკაცებისა. ქალიცა და ვაჟიც, ორთავენი მიწის შვილებია და, ამ შემთხვევაში საერთოთ, მამაკაცები ვერაფერს დაკარგავენ გარდა იმისა, რომ ქალი ცოლი იქნება ის, შვილი, თუ და ოჯახში, ნაცვლად მოსამსახურისა გაუხდება მას სწორუფლიან ამხანაგათ, როგორც თანასწორი უფლებიანი წევრი ოჯახისა.

ქალთა უფლების მტრებს რომ ავხორცული ოცნებისგან შეეძლოთ განთავისუფლება თავიანთ აზროვნებისა, ისენი, ნაცვლად ასეთი ცრუ არგუმენტების წამოყენებისა, ნათლად დაინახავდენ მას, თუ რამდენათ საკეთილოთ მოიხმარდენ ქალები თავიანთი შრომის საზოგადოებისგან დაფასებას. რამდენათ თვით დააფასებდენ ესენი სხვისი შრომით მიღებულს თითეულ გროშს, რომელსაც დღეს უსაქმურ ქალების თვალში

არაფერი ფასი აქვს და რასაც უდარდელათ ფლანგავენ, ხშირათ საზიანოთ მთელი ოჯახისა.

მათ შეეძლოთ დაენახათ ისეც, თუ რამდენათ ხელს მოუმართავდენ ქალები გაჭივრებაში თავიანთ მახლობელ მამაკაცებს, იქნებოდა ის ქმარი, მამა, შვილი, თუ ამხანაგი, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ქალთა უფლების მტრების თვალთახედვას სავნებათტკბილო ბლანდი ახვევია და თითეულს საკითხს ქალთა უფლებისას ისენი ტლანქი სექსუალური ინსტინკტის თვალსაზრისით ზომავენ. მათ რომ შეეძლოთ, გადახედონ ქალთა საკითხს ისე, როგორც ადამიანმა, ან ისე, როგორც მამამ, ძმამ, შვილმა, თუ ამხანაგმა, მათთვის არც ისე ძნელი იქნებოდა წარმოდგენა უუფლებო ადამიანის მდგომარეობისა, გათვალისწინება მისი სულიერი ტანჯვისა, რომლის ძალით შესაძლებელი იყო აღძრულიყო მათში სურვილი ერთხელ და სამუდამოთ დიდი უსამართლობის მოსპობისა.

ასეთ ადამიანურ შემეცნებამდე ჯერ ვერ აღნეულან ჩვენი უფლების მტერნი და აღნიშნულ საკითხის წინაშე ისე სდგანან, როგორც სქესი და არა ისე, როგორც მოაზროვნე არსებანი. სექსუალური ინსტინკტი ფლობს მათ გონებას, ვნება აბნელებს მათ აზროვნებას და ამ სიბნელეში ისენიც სხვადასხვა უზნეო ეგოისტური შეხედულობით თხზავენ სხვადასხვა ცრუ მიზეზებს, გასამართლებლათ თავიანთი ბინიერ ცხოვრებისა და აქედან, დედრობითი სქესის მონობისა და აი, ასეთი მიზნით გამოწვეულია ქალ-ვაჟთა შრომისა და ხელფასის თანასწორობისადმი შიშით.

№9, ივნისი, 1917

მესამე არგუმენტი ჩვენი უფლების მტერთა არის შიში ქალურობის დაკარგვისა. რა არის ეს ქალურობა და როგორი ქალურობის დაკარგვა აშინებთ მათ, ბუნებრივი, თუ ხელოვნური?

მოგეხსენებათ, ადამიანი, როცა იბადება, ქალია ის თუ ვაჟი, თანა სდევს თვისება და ნიჭი თავის სქესის გამოჩენისა, რომელიც წელთა სვლასთან ერთად, თუ ერთი და მეორე რამე სიმახინჯეს არ ატარებს, ორთავეში იღვიძებს მსგავსად თავიანთი სქესური თვისებისა, რომელსაც არავითარი ხელოვნური გამოწვევა არ სჭირდება და ვერც ვერავითარი შრომა, თუ თანამდებობა, ვერ ჩაკლავს მათში, მაგრამ ეს სრულიად არ აკმაყოფილებთ დღევანდელს ვნებააშლილს და თანაც, ფიზიკურად დაცვეთილს მამაკაცების ნაწილს. მათ ეჭირვებათ მეტი შთაბეჭ-

დილობა, მეტი მადიანობის აღძრა, რომელიც უნდა გამოიწვიოს მათში დიაცურმა სექსუალური გრძნობის ქუჩაში გამოფენამ. მთელი თანამედროვე აღზრდა და ცხოვრება დედრობითი სქესისა მიმართულია ასეთი ქალურობის სავარჯიშოთ, რადგან უამისოთ დღევანდელს მონა ქალებს მამაკაცების სქესობრივათ მიზიდვა გაუჭირდებათ და უკანასკნელის მიუღწევლობა კი მათ უქადის მშიერ-მწყურვალ გაჭივრებულ ცხოვრებას.

უფლებისათვის მებრძოლი ქალი სირცხვილითა და ზიზღით უცქერის ასეთს იძულებითს გამოფენას დედაკაცის ინტიმურის თვისებისას, რომელშიც იმალება მისი დედაკაცური თავმოყვარეობა და რომლის დანახვის ნება აქვს მხოლოდ მას, ვინც სულიერად და ხორციელად იზიარებს მის ინტიმურს ცხოვრებას. გარეგნულათ ქალურობის გამოფენა არის შედეგი უსაქმური პასიური ცხოვრებისა, ვიდრე სულიერი სინაზე-სიფაქიზისა. დღევანდელი ცხოვრების მიმდინარეობა და შრომის გასაზოგადოება კი მოითხოვს აქტიურობას, ინიციატივას და თვითმოქმედობას ორთავე სქესისგან, რომელიც წარმოშობს ახალს ცხოვრებას და ახალ სქესთა კავშირს, არა დედალ-მამლურ მიმზიდველობაზე დამყარებულს, არამედ სულიერი ნათესაობით და ერთობით გამოწვეულს, სიყვარულზე დამყარებულს და განმტკიცებულს. არ შეიძლება, რომ ყოველი ქალი ყოველი მამაკაცისთვის სქესი იყოს. სწორუფლიანობისთვის მებრძოლი მამაკაცისთვის სქესი არის მხოლოდ ის ქალი, რომელსაც ის სქესობრივათ დაუკავშირდა, თანაც ამხანაგია მისი, რამდენათაც მასთან აქვს სულიერი ერთობა. დანარჩენებთან მას ასეთივე განწყობილება აქვს, როგორც გარეშე, თუ მახლობელ ადამიანებთან, ქალია ასეთი, თუ ვაჟი, მიუხედავათ ამისა, რომლებთანაც მას თავი უჭირავს, როგორც სწორუფლიან ადამიანს და არა ისე, როგორც სქესს და მათგანაც ასეთივე განწყობილებას მოითხოვს.

№10, ივნისი, 1917

როგორც წინა წერილებში განვიხილეთ, არცერთი წამოყენებული არგუმენტი ქალთა უფლების მტერთა, არ უძლებს სერიოზულს კრიტიკას, მაგრამ ერთი ისეც ვიკითხოთ, მათაგან წამოყენებული არგუმენტები იძლევიან პასუხს ქალთა მონურ ცხოვრებაზე, თუ არა? ჩვენ ვთხოულობთ ადამიანის უფლებას და პასუხსაც ამ საგანზე მოვითხოვთ. ჩვენ ვკითხულობთ: სამართლიანი და წესიერია თუ არა, რომ ერთი ნახევარი ერისა და კაცობრიობისა იყოს მეორე ნახევრის მორჩილობაში და ექსპლოატაციის ქვეშ?

ისენი კი, ნაცვლად იმისა, რომ ამ კითხვებზე გვიპასუხონ, შედეგებს ჩხრეკავენ და გვეუბნებიან: თუ ქალი განთავისუფლდა, ასე და ასე მოხდებაო. რა მოხდება და რა არა, ამის წინასწარმეტყველობა არავის არ შეუძლია. ჩვენ კი ვფიქრობთ, რაც უნდა არ მოხდეს ქალთა სწორუფლიანობის დროს, ამაზე უარესი, რაც დღეს ქალთა მონობის დროს ხდება, არაფერი არ მოხდება და, თუ მაინც, დღევანდელს მდგომარეობას ამჯობინებენ ქალთა უფლების მტერნი, ეს მხოლოდ მისთვის, რომ მათ ასე ესიამოვნებათ. თუ ჩვენ ასეთს მათ კმაყოფილებას ანგარიში არ გაუწიოთ და შევებრძოლოთ, ნუ გაგვირისხდებიან, რადგან ის, რაც მათ სიამოვნებასა გვრის, ჩვენში ზიზღსა და ტანჯვას იწვევს. ადამიანის გონებრივი და ზნეობრივი წინსვლა მოითხოვს არამარტო სქესურს კავშირს ბრძანებელი მამლისას მონა დედალთან, არამედ სულიერსა და ხორციელ კავშირს სწორუფლიან ამხანაგთან. რომ ცოლის გავლენა ქმარზე დიდია თანამედროვე ოჯახში, ამის უარის ჰყოფა არავის შეუძლია და რამდენათ სატანჯველი უნდა იყოს მაღალი მისწრაფების მამაკაცისთვის სულელი, განუვითარებელი, სულით მონა დედაკაცთან ინტიმური ცხოვრება და რამდენათ ხელის შემშლელი მისი შემოქმედებისათვის, ამაზე გთხოვთ, დაფიქრდეთ ყველა გონიერი მამაკაცი.

ქალთა ემანსიპაცია საჭიროა არა მხოლოდ დედაკაცებისთვის, არამედ მამაკაცებისთვის და მთელი ერის და კაცობრიობისათვის. ვინ უწყის, რამდენი საუკეთესო აზრი და გრძნობა ჩაკლა დედრობითი სქესის მონობამ. ვინ იცის, როგორ დატრიალდებოდა ისტორიის ჩარხი, რომ ქალები თავიდანვე სწორუფლიანი ყოფილიყვნენ პოლიტიკურად და მოქალაქობრივად?

დღევანდელი, თავისუფლებისთვის მებრძოლი საზოგადოება და დემოკრატია, რომელსაც სურს ახალი ცხოვრების საძირკველის ჩაყრა და რომელიც ყველასა და ყველაფერს, რაც აგებული იყო ძალმომრეობაზე, სწვავს რევოლუციის ცეცხლში, უნდა ღრმათ ჩაუკვირდეს ქალთა საკითხს და შეიგნოს ის უტყუარი ჭეშმარიტება, რომ ერთი სქესი ვერ იქნება გამომთქმელი საერთო კაცობრიობის საჭიროებისა და ვერც მთლიანად ამომწურავი პიროვნების მოთხოვნილებისა. მათ უნდა გაიგონ, რომ მხოლოდ ორთავე სქესის თანასწორი აღზრდა-განვითარება და თვითმოქმედება გადასწყვეტს საკითხს უკეთესი მომავლისას.

ქალთა სწორუფლიანობაში ჩვენ ერთადერთ რაციონალურს საშუალებას ვხედავთ კაცობრიობის აღდგენა-განახლებისთვის, რომლის განსახორციელებლათ ერისა და კაცობრიობის დედა – დედრობითი სქესი დღეს შეერთებული ძალით იბრძვის. ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ,

რომ ამ ბრძოლაში ქართველი ქალი თავის კულტურულ დებს არ ჩამორჩება.

№21, სექტემბერი, 1917

ქალებო! თქვენ ხედავთ მამაკაცების უთანხმოებამ და პარტიულმა შეხიშპებამ როგორ განსაცდელში ჩააგდო ამდენი ხნის ტანჯვით და ამდენი მსხვერპლის შენირვის შემდეგ მოპოვებული თავისუფლება. ის დიდი ბრწყინვალე თავისუფლება, რომლის მოპოვებას დღევანდელი თაობა ვერც იფიქრებდა და რომელიც აგრე უეცრად, აგრე უსისხლოდ ჩაგვივარდა ხელში. ქალებო, მოვუაროთ ამ ბრწყინვალე, ძვირფას განძს თანხმობით, ერთსულოვნობით. ნუ გავგიჟდებით ორთავე სქესი პარტიული მანიით, გადავხედოთ პარტიის გარეშე ცხოვრებას, გადავხედოთ თვით ჩვენს დედაკაცურ მდგომარეობას და გავითვალისწინოთ ჩვენი და ქვეყნის საჭიროებანი – ის, რაც ჩვენ ძმებს ავიწყდებათ, ის, რაც მათ ჯეროვნათ არ გაუზომიათ, ან ყურადღების ღირსად არ სახავენ. ჩვენ მივსცეთ მათ მაგალითი, რომ შესაძლებელია საერთო და პარტიული ინტერესის ერთად დაცვა, რომ არსებობს საგანი, რომელიც ყველასთვის ერთნაირი საყვარელია და ერთნაირად დასაცავი. ეს არის პიროვნული და ეროვნული თავისუფლება. დღევანდელმა რევოლიუციამ რომ დააკმაყოფილოს საერთო საჭიროებანი და ცალმხრივად, როგორც სხვა ქვეყნების ძველი რევოლიუციის დროს, არ გადაწყდეს მარტო ერთი მამრობითი სქესის სასარგებლოთ, (ნამდვილად კი მათთვისაც საზიანოთ) დიადი საკითხი ქვეყნისა და ხალხის განახლებისა, საჭიროა ქალებმა წამოვაყენოთ ჩვენი მოთხოვნილებანი და განვაცხადოთ ერთსულოვანი პროტესტი იმ უსამართლობის წინააღმდეგ, რომლის წყალობით ჩვენ ასე ხანგრძლივათ დამონებული ვიყავით.

მართლაც, რას წარმოვადგენთ დღეს ქალები კანონისა და სამართლის წინაშე? ჩვენ ვართ მუდმივ მცირე წონათ აღიარებული. ჩვენ არა გვაქვს თანასწორი წილი დედ-მამის ოჯახში და თანასწორი ხმა ქმარ-შვილში, რომლის ძალით შეუძლიათ დედების შვილებიდან მოგლეჯა და გაძევება, თუ ამას უფლებიანი მეუღლე მოისურვებს. თავის უუფლებო მდგომარეობით დედრობითი სქესი სასყიდელ ნივთათ იქცა. უპატრონო ახალგაზრდა ქალიშვილებს და ბავშვებსაც, როგორც მონა ზანგებს, ისე ყიდულობენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ზანგებს სამუშაოთ და მოსამსახურეთ თეთრები ყიდულობდა, დღევან-

დელს უპატრონო ქალებსა და ბავშვებს კი მამაკაცების გარყვნილი ნაწილი ყიდულობს თავისი პირუტყვული ჟინის დასაკმაყოფილებლად, რომლებიც სხვადასხვა ჭირით სნეულდებიან და გაუპატიურებულნი და დამცირებულნი, გადაყრილნი არიან ქუჩაში სამარცხვინო სასიკვდილოთ.

ქალებო, მამაკაცებმა მოსპეს თავისი სქესის პირვნული მონობა და თქვენ კი ამ სამარცხვინო მონობას თქვენის სქესისას სრულიად გულგრილად უცქერით, თითქო ჩვენი დროის თეთრი მონები სხვა, უცხო ჯიშისა იყვნენ და არა თქვენი სახესა და გრძნობის მქონნი. ნუთუ, ქართველ დედათა სქესის თავმოყვარეობა იმდენათ დაჩლუნგებულია, რომ არ შეინძრევა ის თავის ღირსების დასაცველად, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოისპოს ქალთა ადამიანური პიროვნების დამცირება ჩვენს სამშობლოში? არა, ეს შეუძლებელია!

მე მრწამს სიამაყე ქართველი ქალებისა, რომ ისენი პარტიულს შუღლს არ შესწირავენ თავიანთ ადამიანურს თავმოყვარეობას და გადახედავენ თუ არა ცხოვრებას ვიწრო პარტიული მსოფლიოს გარედ, ისენი ჩაფიქრდებიან თავისი სქესის მდგომარეობაზედ და შეიძლება, ყველაზე მეტი აღშფოთებით მათ დაიძახონ: არ გაბედოთ ქალებით ვაჭრობა!

ამხანაგებო, გამოფხიზლიდით! მიმოიხედეთ რა ხდება ქვეყანაზე და ვისგან ხდება! გაითვალისწინეთ რა გეჭივრებათ თქვენ, რა ეჭივრება ხალხსა და ქვეყანას. მამაკაცები პატივმოყვარეობის სიამაყით დათვრენ! პარტიული თავმოყვარეობა ყველაზე მაღლა დააყენეს! პარტიულმა თვითგანდიდებამ დღევანდელ საშიშარ მდგომარეობაზე მათ თვალები დაუბა! ქალებო, ჩვენ მაინც შევერთდეთ, შევერთდეთ ჩვენი საჭიროების ნიადაგზე, რომ ჩვენმა შეერთებულმა და სამართლიანმა ხმამ გამოიყვანოს ისენი პარტიულ ამპარტავნებიდან. ერს ელის პარტიული მანიით სიგიჟე და დავიცვათ იგი ამ სიგიჟიდან, რომ ყველანი ერთად არ ჩავიფერფლოთ რევოლიუციის ცეცხლში. მოაწყვეთ ყველგან, სადაც კი შესაძლოა, ქალთა კავშირები თქვენი უფლებისა და თავისუფლების დასაცველად. გახსოვდესთ, რომ საერთო სოლიდარობა ბრძოლაში შობს საერთო ბედნიერებას. საერთო არევ-დარევა კი საერთო მონობას. თავისუფლებას ებრძვის დღეს შინაური და გარეშე მტერნი, შევერთდეთ მის დასაცველად, რომ საერთო ძალით ვუშველოთ ჩვენს თავს, ხალხსა და ქვეყანას!

№ 22, სექტემბერი, 1917

ერთმა მწერალმა სთქვა: „რუსეთი იღუპება თვითმპყრობელობით, არაყით და პროსტიტუციითო" და ეს სრული ჭეშმარიტებაა. თვითმპყრობელობა დღეს მოისპო, მაგრამ დარჩა ორი საშინელი მტერი მოდგმისათვის: არაყი და პროსტიტუცია, რომელთა საზარელი შედეგი ხრავს თქვენი და თქვენი შვილების ტანმრთელობას, დედებო! რომელსაც მიჰყავს მომავალი თაობა სრულ გადაგვარებამდე და ეს ხდება მისთვის, რომ ქალები კანონის წინაშე ხმაგაკმენდილი მცირეწლოვნები ვართ.

დებო და ამხანაგებო! მას შემდეგ, რაც ქალებმა სწავლა-განათლების გზაზე ფეხი შესდგეს და დაინახეს სიდუხჭირე თავიანთი ცხოვრებისა, მათი უკეთესი ნაწილის ტვინი აღშფოთებით იწვის, მათი გრძნობები იწამლება იმ წარმოდგენით, რომ ისენი ეკუთვნიან იმ სქესს, რომელსაც სიტლანქე, ბინიერება და მუშტის ძალა ადამიანთა წრიდან რიცხავს და ათახსირებს. რაც უნდა ბედნიერი იყოს დღეს დედაკაცი თავის კერძო ცხოვრებაში, თუ მას ადამიანური თავმოყვარეობა გაღვიძებული აქვს, მას არ შეუძლია კმაყოფილი იყოს თავისი ცხოვრებით, იმ წარმოდგენით, რომ ის ეკუთვნის ღირსებააყრილ სქესს. ამ თავმოყვარეობამ უნდა გაიღვიძოს დღეს, მთელი რუსეთის სახელმწიფოში მცხოვრებ ქალებში და ის ხმა, რომლის პატრონი დღესა ვართ, უპირველეს ყოვლისა, დედრობითი სქესის მოქალაქურს და პოლიტიკურ უფლების აღდგენას უნდა მოხმარდეს. ეს ხმა უნდა იყოს ერთსულოვანი ქართველ ქალებში, ჯერ დამფუძნებელი კრებისთვის და შემდეგ ავტონომიურ საქართველოში, სადაც უნდა შემუშავდეს ადგილობრივი კანონები ჩვენი შინაური ცხოვრების მოსაწყობათ. მაგრამ ჩვენ რომ მომზადებულები დაუხვდეთ ერთსაც და მეორესაც, საჭიროა ქალთა კავშირების მოწყობა თვითგამორკვევისათვის და სოლიდარულ მოქმედებისათვის. ასეთს კავშირების მოწყობას კი ქალთა უფლების მტერნი ხელს უშლიან. როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთს შემთხვევაში, დაუჯეროთ მათ, რომელიც სხვადასხვა სოციალისტური პარტიების სახელით ხელს უწყობენ ჩვენი ძალების დაქსაქსვას, თუ დავადგეთ დამოუკიდებელს გზას და თვითმოქმედებას? ორში ერთი – მას, ვისაც სურთ მონათ ყოფნა, დაუჯერებს პირველთ და ვისაც სურს გახდეს სრულუფლებიანი ადამიანი, ხელს შეუწყობს ქალთა ორგანიზაციულად შეკავშირებას და ძალთა შეგროვებას. ამ უკანასკნელს გზას ვადგივართ ჩვენ – წევრები ქუთაისის ქალთა საერთო პოლიტიკური კლუბისა.

ამხანაგებო, თქვენ გეუბნებიან, რომ ჩვენ ბურჟუა ქალები ვართ, რომელთანაც მუშა ქალებს საერთო არაფერი აქვს. ამას ამბობენ თქვენი

ამხანაგი მამაკაცები, რომელნიც გულით დასცინიან ქალთა სწორუფლიანობას. ამას გეუბნებიან ის ქალები, რომლებიც არა თავის ეკონომიური მდგომარეობით გამხდარან პროლეტარის ამხანაგი, არამედ მოდურად და მოქმედობენ არა შინაგანი მოტივებით, არამედ გარედან ხელის ჯიკავით. ასეთი პირები ვერ დაიცავენ პროლეტარ ქალის ინტერესს და ნურც ენდობით მას. დღეს საერთო შენების დროა და არა განხეთქილებისა. ის ბურჟუა ქალი, რომელიც თავისი ადამიანურის უფლების დასაცველად აღმდგარა, ჩვენი ამხანაგია, რადგან ისეც ჩვენსავით მონა ქალია და შეიძლება, უფრო მეტადაც. მას ჩვენ ხელსა ვერა ვკრავთ. მითუმეტეს, მაშინ, როცა ჩვენს სამშობლოში ეგრე მცირეა რიცხვი პროლეტარი მამაკაცებისა. ჩვენ ქალები კი თითქმის ყველანი პროლეტარი ვართ, რადგან საკუთარი ქონება არსად არ მოგვეძევება. ჩვენ ჩვენი უუფლებო მდგომარეობით პროლეტარი და ბურჟუა მამაკაცების სარჩენი ვართ, როგორც შვილები და ცოლები, იმ განსხვავებით, რომ ერთი ღარიბად და მეორე შეძლებულად ვცხოვრობთ. მაგრამ მარტო ერთ ჭამაში და ჩაცმა-დახურვაში ხომ არ არის საქმე?

ჩვენ, ქართველი ქალები ჯერ არ გამოვხარშულვართ ფაბრიკის ქვაბში, რომ ყოველგვარი ეთიკური საკითხი დაგვიწყებოდა. ადამიანური თავმოყვარეობა, როგორც მუშა, ისე ბურჟუა ქალებში ღვივის და ამ თავმოყვარეობამ უნდა შეგვაერთოს ჩვენ იმ მონურ, უუფლებო მდგომარეობიდან გამოსასვლელად, რომელშიაც ერთიცა და მეორეც ვიმყოფებით. შემოკრბით ქალთა საერთო ორგანიზაციის გარშემო, რომ საერთო ძალით შევუდგეთ დამფუძნებელ კრებისთვის მზადებას და ჩვენი ადამიანური უფლების დაცვას. ძირს მაცდურნი მასწავლებელნი და ცბიერი ამხანაგები! ჩვენ გვესმის მათი სისინი, რომელშიაც ჩვენ ვგრძნობთ ჩვენ სიძლიერეს.

№23, სექტემბერი, 1917

ძველი რეჟიმის დროს ხალხი მისთვის იტანჯებოდა ძალმომრეობით, რომ მას არა ჰქონდა არც ხმა ქვეყნის მართვა-გამგეობაში და არც იმ კანონების გამოცემაში, რომლის წინაშე მისგან მორჩილობას მოითხოვდენ. ძველი მმართველნი კანონებს სცემდენ ხალხის დაუკითხველად და არც იცავდა ასეთი კანონები ხალხის ინტერესს. ქალების მდგომარეობა განსაკუთრებით ცუდს პირობებში იყო მით, რომ მესაკუთრე ქალი იხდიდა თანასწორს გადასახადს მესაკუთრე მამაკაცთან მაშინ, როდესაც

მას არა ჰქონდა თანასწორი ხმა უკანასკნელთან. სისხლის სამართალი ქალებს იმავე სასჯელით სჯიდა, როგორც მამაკაცებს და ზოგიერთ შემთხვევაში, უფრო სასტიკადაც, ერთსა და იმავე დანაშაულობისთვის. მაშინ, როდესაც სამოქალაქო სასამართლო ერთსა და იმავე საჭიროებას, მამაკაცისა და დედაკაცისას, სრულიად სხვადასხვანაირად აკმაყოფილებდა და მათ თანასწორად არა სცნობდა. ქალს არ შეეძლო მიეღო თანასწორი ჯილდო სამსახურში და თანასწორი ხელფასი ერთსა და იმავე შრომაში. საუკეთესო ადგილები დღესაც დახშულია ქალებისთვის. საშუალო განათლების ქალებს აძლევდენ იმ ადგილებს, სადაც მხოლოდ მდაბალი განათლების მამაკაცს უშვებდენ და იმასაც მხოლოდ დიდი დამადლებით. მომავალმა დამფუძნებელმა კრებამ უნდა მოსპოს ეს უსამართლობა სქესთა შორის არსებული, რომ ძველი ძალმომრეობის მმართველობიდან არ დარჩეს ეგ ბარბაროსული ნაშთი და თუ ასეთს კანონიერ მოთხოვნილებას ქალებისას, დღეს უფლება მოსილი გუშინდელი მონა – მშრომელი ნაწილი მამაკაცებისა წინ აღუდგება, იცოდენ რუსეთის სოციალისტებმა, რომ ამით ესენი გამოიწვევენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას სქესთა შორის მთელს სახელმწიფოში. დეე, ახსოვდეთ მათ, რომ მეოცე საუკუნის რევოლიუცია, რევოლიუცია მომხდარი უმაგალითო მსოფლიო ომის დროს, სადაც ხალხის მომეტებულს ნაწილს ამა თუ იმ სახელმწიფოში დღეს ქალები შეადგენენ, ვერ დასტოვებს მათ პოლიტიკური სწორუფლიანობის გარეთ, რადგან ეს უქადის სრულს დაჩლუნგებას და დამონავებას სახელმწიფოთა უმრავლესობას.

დიდი სიფრთხილე და წინდახედულობა მართებთ ქართველ სოციალისტებსაც ქალთა საკითხებში და ის პირები, რომელნიც დღეს ქალთა თვითმოქმედებას, ქალთა კავშირების მოწყობას თვითგამორკვევისათვის და თავისი ადამიანური უფლების აღდგენისათვის ხელს უშლიან, სჩანს, ჯეროვნათ ვერ ითვალისწინებენ უდიდეს უსამართლოების მავნებელ შედეგებს.

№24, სექტემბერი, 1917

ქალთა ორგანიზაციულად შეკავშირება სრულიადაც არ ნიშნავს მამაკაცებიდან გამოყოფას და საერთო საქმიდან მოწყვეტას, რადგან შეერთებული ქალები იბრძვიან ადამიანური უფლებისთვის, რომლის აღდგენა მოითხოვს ისეთს სახელმწიფოებრივ ფორმას, რომელიც უფრო მეტად უზრუნველსა ჰყოფს მოქალაქეობრივი ცხოვრების განმტკი-

ცებას. ქალები იბრძვიან არა მხოლოდ თავისი უფლებისთვის, არამედ ორივე სქესთა სწორუფლიანობისათვის. ქალთა ერთობა და მათი დამოუკიდებელი ბრძოლა დაამარცხებს მხოლოდ ქალთა უფლების მტრებს და არა საერთო საქმეს და ვინც ჩვენ ამაში ხელს გვიშლის, მათ ჩვენ არა ვსთვლით არც სოციალისტად და არც ჭეშმარიტს დემოკრატად და ბრალი იმ ქალების, რომლებიც მათი ცდუნების ქვეშ მოექცევიან. ესენი ღალატობენ არა მხოლოდ თავის თავს, არამედ ინტერესს მთელი დედრობითი სქესისა, რომელსაც მომავალი ასეთს შეცდომას არ აპატიებს.

დღეს მთელი ყურადღება თითეული შეგნებული დედაკაცისა უნდა მიექცეს მას, რომ დაიცვას ის უფლება, რომელიც მოგვანიჭა ჩვენ დიდმა რევოლიუციამ და მისმა მთავრობამ. ეს არ არის ნაჩუქარი უფლება, რუსის ქალებმა ის წამებით და თავიანთი სიცოცხლის განწირვით გამოისყიდეს. დღეს ქალებმა მთელი თავისი ენერგიით უნდა დაიცვან არჩევანთა ხმის უფლება. ყველამ გაიგოს, რომ არავის უფლება არ აქვს ეწინააღმდეგოს ქალთა ხმის უფლებას და ვინც ასეთს თავხედობას ჩაიდენს, ის იქნება მოღალატე რევოლიუციისა და თავისუფლებისა. ქალებო, იცოდეთ, რომ ერთი ხმა და ერთნაირი უფლება აქვს ქალსა და ვაჟს დამფუძნებელი კრების არჩევნებში. მდიდარი და ღარიბი, ნასწავლი და უსწავლელი, ყველანი ერთი ხმის პატრონია დღეს. დაიცავით ეს უფლება! იცოდეთ, რომ არავის არა აქვს ნება დასვას კითხვა: „ქალებს მივცეთ თუ არა ხმა არჩევნებშიო?“ და ვინც ასეთ კითხვას დააყენებს, ის ამით არღვევს გადაწყვეტილებას რევოლუციონურ მთავრობისას და არჩევნების კანონიერებას. სასტიკი ბრძოლა ასეთს პროვოკატორებს! პარტიულმა ქალებმა უნდა მოსთხოვონ თავიანთ ამხანაგებს, რომ ამხანაგ ქალების სახელი შეტანილი იყოს კანდიდატთა სიის დასაწყისში და არა ბოლოში, რადგან ქალებს უფლება აქვს არა მარტო არჩევისა, არამედ იმისაც, რომ თვით იყვნენ არჩეულნი. ამასთან ერთად, ქალები უნდა ცდლობდნენ აირჩიონ ისეთი კანდიდატები, რომლებიც დაიცავენ თითეულს მუხლს ჩვენი პროგრამისას, რომელიც გამოცემული იყო ქუთაისის ქალთა საერთო პოლიტიკური კლუბის ბიუროს მიერ და რომლის გაცნობა სავალდებულოა თითეული დედაკაცისთვის. ის პირები, რომლებიც გულით არ ეკიდება ქალთა სწორუფლიანობის საკითხს, ათასი სოციალისტობა რომ დაიჩემონ, ქალთა მიერ არჩეული არ უნდა იქმნეს.

ქალებო! დამფუძნებელი კრების დრო მოახლოვებულია, შეუდექით მისთვის მზადებას! ეცადეთ ამ ხნის განმავლობაში გაეცნოთ თითეული ამხანაგი მამაკაცის შეხედულობას ქალთა საკითხზე, რომ იცოდეთ, ვინ როგორ უცქერის მას და ვინ არის ღირსი არჩევისა. გახსოვდეთ, რომ

დამფუძნებელმა კრებამ უნდა მოსპოს ყველა ის კანონები, რომელიც დღემდე ავიწროებს დედაკაცის ადამიანურს უფლებას და მის პიროვნულ განვითარებას და ეს მოხდება მაშინ, როცა არჩეული იქნება ხალხის წარმომადგენლათ მეტი მომხრენი ქალთა სწორუფლიანობისა.

№25, სექტემბერი, 1917

ქალთა უფლების მტერნი გაიძახიან: ქალებს რომ თავისუფლება მიცეთ შრომაში, განათლებაში და საზოგადო ცხოვრებაში, ოჯახსა და შვილებს დაივიწყებენო. რომ გაუშინჯოთ მახვილი თვალით კბილი მათს წუწუნს, ნათლად დავინახავთ, რომ მათ მართლა აწუხებთ არა ოჯახისა და შვილების დარდი, არამედ ის მოფიქრება, რომ მოქალაქური უფლებით შემოსილ ქალებს, ისინი ტიკინებათ ვერ გახდიან, ვერ შეაცდენენ, ვერ იყიდიან და ვერ გაყიდიან, როგორც დღევანდელ მონა ქალებს ყიდულობენ. თავისუფალი მოქალაქე ქალი უდარდელობითა და ფუქსავატობით კი არ გაიმსჭვალება, არამედ უმაღლესი თავმოყვარეობით და ხასიათის სიმტკიცით, რომელიც აღზრდის ჭეშმარიტ თავისუფალ სულის მატარებელ მოდგმას და გაუწევს ნამდვილ ამხანაგურ მეუღლეობას თავის ქმარს და ოჯახს. თავისუფალი მოქალაქე ქალები, თუ აფრთხობენ ქალთა უფლების მტრებს, სამაგიეროთ, ესენი ეჭივრებიან ერსა და საზოგადოებას მით, რომ ესენი მოსპობენ დღევანდელს უზნეობას და ალაგმავენ იმ ბიწიერებას, რომელიც წარმოშვა დედრობითი სქესის უფლებრივმა მონობამ. თავისუფალი მოქალაქე ქალი მოსპობს კაცთა შორის არსებულ ჟლეტას და სისხლის ღვრას. ის ასე ადვილად არ მოაწერს ხელს საომარს მანიფესტს თავის შვილების სასაკლაოზე გასაგზავნათ, როგორც ამას დღეს ჩადიან უფლებიანი მამები, როცა დედებს არაფერი ეკითხებათ.

ქალებო, ამ დიადი მიზნისთვის ღირს თავის განწირვა. საქართველომ არ იცოდა ქალთა მონობა და როცა გარეშე მტერთა ძალდატანებით ქართველი ქალი მონათ იქცა, ჩვენი სამშობლოც მაშინ დაეცა, ქართველი სული მაშინ დამახინჯდა! დღეს ჩვენი ქვეყანა უნდა აღსდგეს, მაგრამ, რომ სრული აღდგენა და განახლება მოხდეს ჩვენი ტანჯული სამშობლოსა, საჭიროა, რომ მას აღდგენილი თავისუფალი ქართველი ქალი წინ მიუძღვებოდეს.

ქართველი დედა უნდა აღსდგეს, არა ისეთი, როგორიც წარმოუდგენია ჩვენს პატრიოტებს – საომარ ველზე წამხალისებელი თავისი შვილებისა

და მათ აკვანთან საამისო ნანინას მომღერალი, არამედ სრული მოქალაქური უფლებით, როგორც მფარველი და ჭირისუფალი თავისი ქვეყნისა.

ქართველო ქალებო, გაიმსჭვალეთ მოქალაქური შეგნებით, აღინთეთ დიადი რწმენით უმაღლესი იდეალისადმი! ეს რწმენა განამტკიცებს ჩვენს ერთობას და გაგვიორკეცებს ისედაც დიადს დედაკაცურ ზნეობრივ ძალას, რომელსაც ვერავითარი მუშტის ძალა ვერ დასძლევს. წინ, გაბედულად და სიმტკიცით სწორუფლიანობის გზაზე! ვისაც რა უნდა, ისა სთქვას. ჩვენ ჩვენი საქმე ვაკეთოთ შეუჩერებლად და უკან მოუხედველად.

№27, ოქტომბერი, 1917

რომ ჩვენი დიდი ქალაქების ინტელიგენტი ქალები სრულს უნიათობას და დაუდევრობას იჩენენ თავიანთი სქესის უპიროვნო ცხოვრებაზე, ეს ყველასთვის ცხადია. ექვსი თვეა, რაც გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“ არსებობს და ამ ხნის განმავლობაში ამ გაზეთს, მიუხედავათ ათასნაირი ხელის შეშლისა და გაჭივრებისა, ერთხელაც არის, თავის მიზნისთვის არ უღალატნია, ერთხელაც არის მისი გამოსვლა არ შეწყვეტილა. ჩვენ, მის გარშემო მომუშავე სამიოდე ქალი ნიძლავს დავდებთ, თუ რომელიმე ყოველკვირეული ბეჭდვითი ორგანო გასძლებდა ამდენ ხანს, ამ ზღაპრულ სიძვირეში, ასეთი ღარიბი ფონდით, რომელიც ჩვენ რედაქციას ჰქონდა. ამ ხნის განმავლობაში იმ ქალებიდან, რომელიც ჩვენ სამშობლოში პირველ სკამებზე სხედან თავიანთი ქმრების მაღალი სოციალური მდგომარეობით, ერთი თანაგრძნობის ხმა არ მოგვწვდენია. ერთი უბრალო დახმარება მათგან არ გვლირსებია. ჩვენ არ მოგვკარებია არც ის ქალები, რომლებიც კარიერის შესაქმნელად უცხოეთში გამგზავრებულან და სამშობლოში დროებით დაბრუნებულთ, ამა თუ იმ პარტიულ კრებაზე სიარულის მეტი, ამ დიდი რევოლუციის დროს, არაფერი არ გაუკეთებიათ და რომელთ საქმიანობა არცერთ იმ პარტიას, რომელსაც ესენი სიტყვით ეკუთვნიან, ჯერ არ დაუნახავთ.

ჩვენი თანამგრძნობია ქალაქისა და სოფლის ინტელიგენტი ქალების ის ნაწილი, რომლებიც იტანენ ყოველგვარ გაჭივრებას ხალხის სიბნელეში სინათლის შესატანათ და პროვინციის მშრომელი დედაკაცები, რომელთაც ადამიანური თავმოყვარეობა არ დაუკარგავთ ფუქსავატი და მოდური ცხოვრებით. ისენი გვაწვდიან ზნეობრივსა და ნივთიერ დახმარებას, ესენი არიან დაინტერესებული თავიანთი სქესის ინტერესის

დამცველ გაზეთის არსებობაში. რაც უფრო კიდევ მეტად საკვირველია, ჩვენ არ მიგვიღია არავითარი კალმით დახმარება არც ჩვენი პოეტი და ბელეტრისტი ქალებიდან, გარდა საფო მგელაძისა და მარიამ გარიყულისა. თფილისის ქართველ ქალთა საზოგადოება, რომელიც სამი ათას მანეთს თავისი ფონდიდან სწირავს ისეთს ფეხმოდგმულსა და გავრცელებულს გაზეთს, როგორიც „საქართველოა", ერთადერთ ქალთა ბეჭდვით ორგანოს მთელს საქართველოში, როგორც ჩვენი გაზეთია, არათუ რამე დახმარებას არ უწევს, არამედ მისი გამოწერით და კითხვით თავს არ იწუხებს. რას ნიშნავს ყველა ეს? ქართველურს შენ-ჩემობას, თუ სრულს გულგრილობას საკუთარი უფლებისადმი?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ერთსაც და მეორესაც! მაგრამ ამ ერთადერთმა ქალთა გაზეთმა ჩვენს სამშობლოში უნდა იარსებოს ჩვენი დების სიბნელეში მოდუნებულ აზროვნების გამოსაფხიზლებლათ. ჩვენ – ხელმძღვანელი ამ გაზეთისა, რომელიც ვმუშაობთ უჩვეულო პირობებში: სიღატაკეში, შიმშილ-წყურვილში, უძილობაში და ბრძოლაში, რომლებსაც მრავალ მეტიჩარა პირთაგან დაცინვა და ხელის შეშლა გამოგვიცდია და განვიცდით დღესაც, ვაცხადებთ: თუ ვისმეს შეგწევთ უნარი და სურვილი ამ გაზეთის გაძღოლისა, მობრძანდით! ჩაიბარეთ მთელი რედაქციის ფონდი და ინვენტარი, ოღონდ აცოცხლეთ იგი. ჩვენი მხრით, ყოველგვარად დაგეხმარებით, ოღონდ საქმეს გაუძეხით. ჩვენ სრულიად არ გვაინტერესებს მეთაურობა. ჩვენ გვაინტერესებს ჩვენი სქესის უფლების აღდგენა და ვინც ამ უფლებისათვის თავს გამოიდებს, ის ჩვენში ყოველთვის ჭეშმარიტ ამხანაგს იპოვნის.

ჩვენზე ამბობენ, რომ ჩვენი გაზეთი პარტიულია და ამას ამბობენ ის პირები, რომელთაც გულით სურდათ ამ გაზეთის პარტიულ ორგანოთ გადაქცევა და ვერ მოახერხეს. ეხლა თავიანთ გაწბილებულ წადილს ჩვენვე თავზე გვახვევენ. მას ამბობენ მას შემდეგ, რაც ჩვენ ს. რევოლუციონერებისთვის რომ მიეცათ ქუთაისის არჩევნებში ხმა, ქალებს მოუწოდეთ, მაგრამ რისთვის ვამბობდით ამას, ვისაც ყური ჰქონდა, მან უკვე იცის, რადგან იმავე წერილში ვაცხადებდით მას. ყრუსათვის კი ათჯერ არ რეკავენ. ჭიათურიდან გვატყობინებენ, რომ იქ სოციალისტ-რევოლუციონერებს თავის ოც კანდიდატში ერთი ქალიც არ დაუსახელებიათ. რითი აიხსნება ეს? მითი, რომ მათ ქალები არა ყავდათ. თუ ყავდათ და არ ინებეს მათი დასახელება? თუ ჭიათურის ს.რ.-ს ქალები ყავდათ პარტიაში და არ მოისურვეს მათი გაყვანა და ეს, დღევანდელ გაზეთს „ხმა ქართველი ქალისა" ხელმძღვანელთ თავის დროზე გვცოდნოდა, ჩვენ მათ სულ წინააღმდეგათ ქუთათური არჩევნებისა, მოვექცეოდით.

ჩვენთვის ჩვენი ადამიანური უფლების აღდგენის ინტერესი ყოველ პარტიულ ინტერესზე მაღლა დგას, რადგან დედრობითი სქესის მონობის მოუსპობლათ არავითარი სოციალური და ეკონომიკური რეფორმების ნაყოფიერება არა გვწამს.

აი, ჩვენი აღსარება. აი, ჩვენი სიტყვა. თუ არც ერთს ისურვებენ და არც მეორეს იწამებენ, „შენც წახდი, მეც წამახდინეს" მიმდევარნი, ჩვენ, როგორც გვიშრომია, ისე ვიშრომებთ და უკანასკნელ ძალ-ღონემდე გაუძღვებით ჩვენს უწმინდეს გრძნობით ნაშობ ორგანოს და თუ სიღარიბემ და შეუწევნობლამ ის მოკლა, როგორც გაზეთი, იმ იდეას, რომელსაც ის დღეს ემსახურება, ვერავითარი ძალა ვერ ჩააქრობს.

ჩვენ კი ერთგვარი კმაყოფილება მაინც დაგვრჩება იმ მოფიქრებით, რომ ჩვენი მოვალეობა უდიდეს ისტორიულ მომენტში წმინდათ შევასრულეთ.

№29, ნოემბერი, 1917

მიუხედავათ ატეხილ სამოქალაქო ომისა, რომლითაც უკიდურესი მემარცხენე ფრაქციები შეხვდენ დამფუძნებელი კრების არჩევნებს, მოსალოდნელია, რომ ის, მაინც, აღნიშნულს დროს შესდგება.

დამფუძნებელმა კრებამ უნდა გარდაწყვიტოს უდიდესი საკითხი. მან უნდა ჩაუყაროს ახალ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას მტკიცე საძირკველი და შეიმუშაოს ძირითადი კანონები. ჩვენ, ქალების წინ საკითხი დგება: მიიღებს, თუ არა ეს ძირითადი კანონები რევოლიუციის მიერ აღიარებულს ქალთა პოლიტიკურს და მოქალაქეობრივ უფლებას, იცნობს კი მას სამართლიანათ? თუ რომ დამფუძნებელი კრება შეიმუშავებს ასეთ კანონებს, რომელშიაც ორთავე სქესის პიროვნული და მოქალაქობრივი უფლება სრული სწორუფლიანი იქნება, როგორც სახალხო წარმომადგენლობაში, ისე ადგილობრივ თვითმმართველობაში, მაშინ ჩვენი მიზანი მიხწეული იქნება და თანასწორუფლებიანი ქალები შეუდგებიან თავიანთ ამხანაგ მამაკაცებთან ახალი ცხოვრების შენებას. ამით ქალები თავიდან ავიშორებთ მრავალ დავიდარაბას და ენერგიისა და ძალ-ღონის დახარჯვას სწორუფლიანობისთვის ბრძოლაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ რომ დამფუძნებელი კრება უარყოფს ან შეზღუდავს ქალთა უფლებას, მაშინ ჩვენ მოგველის ყოველგვარი შევიწროება, რომელიც გვაიძულებს შევუდგეთ ჩვენი უფლებისთვის თავგანწირულ ბრძოლას.

მომავალი დამფუძნებელი კრება აშკარად დაამტკიცებს, თუ რამდენათ მამაკაცები აფასებდენ დედაკაცების დახმარებას და მათ ღვაწლს განმათავისუფლებელს ბრძოლაში. დღევანდელი სხვადასხვა ფრაქციების წარმომადგენელნი ჩვენ გვანუგეშებენ, რომ ქალები სრულუფლიანები ვართ. შეიძლება, ზოგი მათგანის ასეთი განცხადება გულწრფელი იყოს, მაგრამ მათ ავიწყდებათ ის, რომ, რაც ადვილი გადასაწყვეტია ამა თუ იმ პარტიულ ლიდერისათვის, აგრე ადვილი გადასაწყვეტი არ არის ის ისტორიულად დედრობით სქესზე ბატონობას შეჩვეულ უმრავლესობისთვის. ის, რაც განვითარებამ და შეგნებამ დაანახა პირველს, უვიცობამ და სიბნელემ დაუმალა მეორეს. ამისათვის, მთელი ყურადღება დღევანდელ ძალებისა, ვისაც სურს ადამიანური თავისუფალი ცხოვრება, მიქცეული უნდა იყოს მასზე, რომ მოიპოვონ ხალხში რაც შეიძლება მეტი და მეტი მომხრენი ქალთა უფლებისა. მთელი ყურადღება უნდა მიაქციონ მათ, რომ ხალხის წარმომადგენლებში, რომლებიც ზემოთ აღნიშნულს ძირითად კანონებს შეიმუშავებენ, არჩეულ იქნას მეტი მომხრენი ქალთა სწორუფლიანობისა და ამათ რიცხვში თვით ქალებიც, როგორც უფრო ნათლად გამომხატველი თავიანთი სქესის ტანჯვისა, რომელსაც ისენი განიცდიან უუფლებო ცხოვრებით.

ჩვენ ვიხილეთ ამა თუ იმ ფრაქციის მიერ წამოყენებული კანდიდატების სია, მაგრამ არცერთ ფრაქციას ქალთა კანდიდატები იმ ადგილზე არ აღუნიშნავს, რომელთ არჩევა შესაძლებელი იყოს. ყველანი თითქოს შეთანხმდენ იმაში, რომ ქალები სიის ბოლოში მოექციათ და მით, არც არჩეული ყოფილიყვნენ. დღეს, როდესაც კავკასიაში მცხოვრებ ქალებს უნდა ეთქვათ თავის პირველი სიტყვა და გულისტკივილი, ეს საშვალება მოუსპო მათ სხვადასხვა სოციალისტურმა პარტიებმა, რომელთ გავლენა ეგრე თვალსაჩინოა დღეს ჩვენ ქვეყანაში. მათი წვრილ-წვრილი წარმომადგენელი კი უფრო შორს მიდიან და სურთ ქალებს წაართვან თვით უკანასკნელი ღონისძიება თავისი თავის დაცვისა და სადაც კი გაუვათ, ხელს უშლიან ქალთა კავშირების და ორგანიზაციების მოწყობას ჩვენ დაბა-ქალაქებში. ყველა ეს აშკარად გვიჩვენებს, რომ ქართველ სოციალისტ მამაკაცთა უმრავლესობა არ არის კეთილათ განწყობილი ქალთა სწორუფლიანობისადმი და სრულიად სახეში არ ღებულობენ მას, თუ როგორს ძლიერ ნიადაგს უმზადებენ ქართველ ქალთა მოძრაობას მომავალში.

თუ მათ შესძლეს თავიანთი გულუბრყვილო ამხანაგ ქალების შეჩერება დღეს იმ დაპირებით, რომ, სულერთია, ახლა ქალი და ვაჟი ერთნაირი უფლებით არის აღჭურვილიო, მათ არ უნდა ავიწყდებოდეთ ის უეჭვე-

ლი მოვლენა, რომ თუ დამფუძნებელი კრებისა და რევოლიუციონური მთავრობის აზრი ქალთა საკითხის გარდაწყვეტის დროს არ შეთანხმდა და ქალებისთვის მათი დაპირება არ გამართლდა, რუსეთის და საქართველოს სოციალისტები ამაოთ ფიქრობენ, რომ სოციალიზმის ლოდინით მონობაში დარჩენ და როგორც დღეს მათ გულხელდანჭყლდოვით აცდევინებენ დამფუძნებელ კრებამდე, ასეთი ლოდინით შეაჩერონ ისენი სოციალიზმის განხორციელებამდე.

ცხადია, ქალები, როგორც რუსეთში, ისე ჩვენში, შეუდგებიან თავიანთი ადამიანური უფლებისათვის შეუპოვარ ბრძოლას. ამას აიძულებს მათ უფლებრივი თვითშეგნება, რომლებსაც ისენი მიიღებენ რესპუბლიკალურ სახელმწიფოში და რამდენათ ქართველი სოციალისტები ცდებიან დღეს, რომ ხელს უშლიან ქალთა ორგანიზაციებს, ქალთა მოქალაქურ შეგნებას და საქმიანობას. ამ შეცდომას მათ მომავალი დაანახვებს. ჩვენ კი მოვაგონებთ მათ, რომ სანამ კანონისა და სამართლის წინაშე სქესთა განსხვავება იარსებებს, მანამდე არც შესაძლებელია მათი ინტერესების ერთნაირობაც და თუ მათ სურთ, რომ პროლეტარ ქალ-ვაჟის ინტერესი ერთი და იგივე იყოს, დღეს იმის ცდაში უნდა იყვნენ, რომ დამფუძნებელმა კრებამ ქალები არ დასტოვოს მონობაში იმ დროს, როდესაც ის მამაკაცების სრულ მოქალაქეობრივ თავისუფლებას განამტკიცებს. ასეთს ცდასა და სურვილს მათში ჩვენ, ჩვენი ადამიანური უფლებისთვის დაინტერესებული ქალები, დღეს ვერა ვხედავთ.

№15, ივნისი, 1918

ჩვენ დღეს ნათლად ვხედავთ, თუ რამდენათ თეორიულად აღიარებული ქალთა სწორუფლიანობა პრაკტიკული ნაბიჯის გადადგმის დროს, წინააღმდეგობას ეჯახება. მიუხედავათ ზღაპრული სიძვირისა და ყოველგვარი გასაჭირისა, ქალის შრომა ჩვენს სამშობლოში ძველებურათ მიუღებელი რჩება. ქალთა საზოგადო საქმეში ჩაბმას არცერთი ჩვენში არსებული პარტია ხელს არ უწყობს, რომლის გამო მშიერ-ტიტველი ნაწილი ჩვენი სქესისა ვერ უმკლავდება ცხოვრების გაჭირვებას და თეთრ მონათა წრეში სცვივიან. ქართველი ქალებით დღეს ვაჭრობენ ისე, როგორც არასოდეს. ჩვენი სოციალისტები, სხვადასხვა პარტიისა და ფრაქციისა, რომელნიც ამდენს სწერენ და ლაპარაკობენ მიწის მუნიციპალიზაციაზე, სოციალიზაციაზე, ფედერატიულ და კონფედერატიულ სახელმწიფო ფორმაზე და სხვა, კრინტსაც არ სძრავენ ქალთა სწორუფ-

ლიანობაზე, გარდა ლაკონიურ განცხადებისა: „განურჩევლად სქესთა" და იმასაც, არჩევნების დროს წამოისვრიან ხოლმე, თავიანთ გაზეთებში. ყველა ამ ფაქტების შემდეგ, ჩვენ ვკითხულობთ: ვინ უნდა შეუდგეს ქალთა უფლებისთვის შრომას და ბრძოლას, თუ არა ისევ ქალები? ვინ უნდა მიიღოს თავის თავზე მოვალეობა სიბნელეში მყოფ დათა გამოსაფხიზლებლად, თუ არა ისევ შეგნებულმა მოწინავე ქალებმა? ვინ, რომელმა მომხრემ ქალთა ემანსიპაციისამ უნდა უარყოს ქალების მიერ თავიანთი ადამიანური უფლების აღდგენისათვის შრომა-მეცადინეობა? სხვისი იმედით ვის აუშენებია დარბაზები, რომელ კლასს, რომელ პიროვნებას, რომ ქალებს სოციალისტ მამაკაცების იმედით აგვიშენდეს?

ცხადად ყოფილა საჭირო ქალთა კავშირი ქალთა უფლების და ინტერესების დასაცველად. ქალებს გვაქვს ჩვენი სპეციალური დედაკაცური ინტერესი, რომელიც ეგრე განსხვავდება თანამედროვე მამაკაცთა ინტერესებისგან და ეს ინტერესია დედისა და აღმზრდელისა, რომელიც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ინტერესი იმ პროფესიონალურ კავშირისა, რომლის საწინააღმდეგო ჩვენს სოციალისტებს არა აქვთ რა. სამოქალაქო და ოჯახურ ცხოვრებაში მამაკაცის პრივილეგია იმდენათ თვალსაჩინოა, რომ ძნელი წარმოსადგენია თანამედროვე ზნედაცემულ ცხოვრებაში, მამაკაცები თავის ნებით შეელიონ ამ პრივილეგიას. მათი დღევანდელი ეგოიზმი ერთობ ძლიერია, რომ დაემორჩილოს იმ ჰუმანურსა და რაციონალურს მოსაზრებას და როცა ჩვენს სოციალისტებს პროფესიონალური კავშირის სხვადასხვა ხელოვნებისა და მოსამსახურეთა საწინააღმდეგო არა აქვთ რა და ასეთი კავშირის არსებობას საერთო საქმიდან გამოყოფად არა სთვლიან, რათ აუთვალწუნებიათ ქალთა კავშირი ამ უდიდეს ისტორიულ მომენტში, თუ რომ მათ ქალთა ორგანიზაციული ბრძოლით თავისი სქესის პრივილეგიის მოსპობა არ აწუხებთ?

ამ კავშირით ქალები ცალკე ქვეყანას ხომ არ ვაშენებთ, რომ მამაკაცებს სრულიად გამოვეყოთ და მათი გაჭირვება თუ დალხინება არად მივიჩნიოთ? ჩვენ ჩვენი კავშირით, ვგონებ, ისევ მამაკაცებში ვცხოვრობთ, მხოლოდ იმ აზრით, რომ ჩვენი მათთან საერთო ცხოვრება უფრო სამართლიანათ და სიკეთით მოეწყოს.

№11-29, 1917

საუბარი მუშა ქალებთან

ჩვენს წარსულს თუ დავაკვირდებით, ღრმად დავრწმუნდებით, რომ თუ ქართველი ქალები არა, ქართველი ტომის ხსენებაც არ იქნებოდა ქვეყნიერებაზე. ძლიერი იყო და ეხლაც ძლიერია ქართველი ქალის სული. ის ნაზია, ვით ია და ამავე დროს შეუპოვარი, ვით სალი კლდე. შემდეგშიაც, მე დარწმუნებული ვარ, მათ დამხმარე მონობის ჯაჭვის დამსხვრევისათვის არ ეყოლება. არ ეყოლება იმიტომ, რომ დღეს ასს მამაკაცებში ორი პროცენტი არ მოიპოვება, რომელიც თანაუგრძნობს ქალთა თავისუფლებას. ამავე დროს, ყველა მამაკაცები აღიარებენ ქალთა თავისუფლებას და დრო რომ დადგება, თვით უკიდურესი სოციალისტი, ამის წინააღმდეგი ხთება. გიპასუხებს: „საქმის გაკეთება არ შეუძლია“ და სხვა. მერე, და მართალია ეს? რა თქმა უნდა, რომ არა!

ის საზოგადო საქმე, რომელ საქმეშიაც ქალი ურევია, უფრო მწყობრათ მიდის, ვიდრე იქ, სადაც ქალი არ მუშაობს. პირადათ მე, შემთხვევა მქონდა რკინის გზის ტელეგრაფის განყოფილებაში, სადაც ტელეგრაფისტთა საბჭო შესდგა. ამ დაწესებულებაში ორი ტელეგრაფისტი ქალი მსახურებს. წინადადება მივეცი კრებას, რომ ტელეგრაფისტთა საბჭოში ქალიც შესულიყო. ამ სამართლიანმა წინადადებამ ერთი აურზაური გამოიწვია. მე იმის აღნიშნვას არ შევუდგები, თუ რა შეხედულება იქონიეს მამაკაცებმა ქალებზე ამ დღეს, მაგრამ თამამათ შემიძლია ვსთქვა, რომ ამ წრეში ქალსაც შეეძლო მუშაობა. ამისთანა მაგალითები ბევრია და თუ, აქა-იქ, კანტი-კუნტათ დავინახავთ ქალებს საზოგადო ასპარეზზე მომუშავეთ, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ იქ შემთხვევით მოხვდნენ ქალები და რომ შეეკითხოთ პირნათლათ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას თუ არა ეს ქალები, მათ არ შერცხვებათ, არ გაწითლდებიან, და გიპასუხებენ: „ამისთანა ქალები გამონაკლისია“ და სხვა.

საზოგადოთ, ქალები პარტიულმა ბრძოლამ დაქსაქსა აზროვნებით, ერთი მეორეს დააშორა, საუბედუროდ ჩვენდა. ამასთან ერთად, ქალების მიზანი, მათი წმინდა დროშა, სანამ ისინი მამაკაცებთან ყოველივე უფლებით არ გასწორდებიან, სულ სხვა არის და სხვა რომ არის, ეს დღესაც სჩანს და უფრო ნათელი გახდება, დებო, როდესაც თქვენ, თქვენ წმინდა დროშას ხელში აიღებთ, თუ რა სიმაგრე დაგხვთებათ წინ. თქვენს წინ მამაკაცები დაირაზმებიან, ისინი ქალების მამაკაცების კლანჭებისგან

გათავისუფლებას ვერ შეურიგდებიან და გაჩაღდება იდეური ბრძოლა. ამ ბრძოლაში, მე ღრმადა მწამს, ქალები გამოვლენ გამარჯვებულნი.

მერე, და ვის ევალება ამ მოვალეობის შესრულება? რა თქმა უნდა, მოწინავე ქალებს, რომლებსაც მამაკაცები, ასე თუ ისე, ანგარიშს უწევენ. ამისთანები ჯერ კი ჩვენს ქალებში ცოტა მოიპოვებიან და აქა-იქ, ვით ციცინათელა, ღამის წყვდიადში ანათებენ. მათში ერთმა უკვე შექმნა ორგანო, რომლის გარშემო უნდა მოიყაროს მშრომელმა ქალებმა თავი. ეს ორგანო არის „ხმა ქართველი ქალისა“ და რას ვხედავთ? მაშინ, როდესაც დღემდე მის ირგვლივ ქართველი მშრომელი ქალი უნდა ყოფილიყო სისწრაფით შემორტყმული, კუს ნაბიჯით მიდიან. მე, პირადათ, შემთხვევამ მომცა მშრომელ ქალებისათვის მიმეწოდებია ეს ერთადერთი მათი სულიერი საზრდო – „ხმა ქართველი ქალისა“, მაგრამ იმ რიგათ, როგორადაც მე ვფიქრობდი, არ მოხთა. რით უნდა ავხსნათ ეს? რა თქმა უნდა, შეუგნებლობით!

ყველა თქვენგანი, დებო, ვალდებულია არამც თუ გამოიწეროს ეს გაზეთი, არამედ მას ქონებრივათაც დაეხმაროს და გააფართოვოს ეს ერთადერთი ორგანო, ქალების ინტერესების გამომხატველი. მაშ, გაუმარჯოს ქალების ერთსულოვნებას, მათ მტკიცე კავშირს! ბრძოლა დესპოტ მამაკაცებთან, იმ მამაკაცებთან, რომლებსაც შეგნებულად ქალები გასართობ საგნათ მიაჩნიათ და მათში არ ხედავენ თანასწორ ამხანაგს.

მაშ, შრომის შვილებო, რომ უბრალოთ დრო არ დავკარგოთ, ვისაუბროთ ჩვენს ჭირ-ვარამზე. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ყოველივე წუთი ჩვენთვის დაუფასებელია, დღეს თუ არა, როდის უნდა აღიმაღლოთ თქვენი ხმა? მამაკაცები ცდებიან, როდესაც ხედავენ ქვეყნის ხსნას მარტო თავიანთ მოქმედებაში. ეს უტოპიაა მათი მხრივ და ამას ზოგიერთი მამაკაცები ნათლათ ხედავენ, რომლებიც ითვალისწინებენ, რომ ქვეყნის ხსნა მხოლოდ და მხოლოდ ქალებთან ერთად შეიძლება და ეს ასეც არის! ეს მოვლენა სულ უბრალოთ ასახსნელია. მებრძოლ დედას მებრძოლი შვილი ყავს, ვინაიდან დედა თავის პირმშოს ძუძუსთან ერთად, ხასიათის სიმტკიცეს, ზნე-ჩვეულებას უნერგავს. რვა წლამდე ბავშვი დედის ხელშია და თუ ის კარგი გავლენის ქვეშ არის, მისი ადამიანური ღირსებაც უზრუნველყოფილია. ბავშვებს სასწავლებელი წრთვნის ისევ საბრალო დედის დახმარებით. სად არის ამ დროს მამაკაცები? ბალ-ვეჩერებში კარტი-ლოტო-ნარდს შეექცევიან. ისინი შვილების გაზდაზე ბევრათ არა სწუხთებიან და სახლში ბრუნდებიან მხოლოდ დასასვენებლად.

დააკვირდით, დებო და ნათლად დარწმუნდებით, რომ უმრავლესობა შვილებისა ქალების, მუშა ქალების თაოსნობით იზრდებიან სასწავლე-

ბელში. ასე, ამრიგად, თუ ვიტყვით ქალები უფრო შეხარიან ქვეყნის განახლებას, ვიდრე მამაკაცები. მიუხედავად ამისა, მამაკაცთა უმრავლესობის თვალში, მუშა ქალები ზედმეტად ითვლებიან და ისე გიცქერიან, ვით მონებს, ბუნებრივად გაჩენილთ მონობისათვის, რომლებიც უნდა ემორჩილებოდეთ მათ ბატონობას.

დავფიქრდით, დებო, თქვენს დამცირებულ მდგომარეობაზე, ხმა ამოიღეთ ებრძოლეთ ამ უკუღმართობას და თუ ყველას არა, ბევრს ჩააფიქრებს თქვენი სამართლიანი პროტესტი, ბევრს შეარცხვენს. თქვენს ხელთ არის და თქვენვე შეგიძლიათ მოსპობა მისი. იბრძოლეთ, უჩვენეთ თქვენს ბატონებს, რომ თქვენში არსებობს ადამიანი და არა სუსტი არსება, რომელსაც უმამაკაცოთ ცხოვრება არ შეუძლია.

აი, მაგალითად, დღეს სადმე თქვენ თავმოყრილი ხართ და მოვიდნენ იქ მამაკაცები. სულ მცირე, მათ რიცხვში გაიზიარებს თქვენს სჯა-ბაასს და უმრავლესობა კი, ვით მელა, დაუწყებს თვალიერებას და ლაზღანდარობას იმას, ვინც მას მოეწონება. ვინ მოეწონება ამ ვაჟბატონს? ის, ვინც უფრო მეტათ ხელოვნურათ შეღებილი იქნება. მოეწონება ის, რომელიც ყოველი სიტყვის თქმაზე კისკისითა და პრანჭვა-გრეხით უპასუხებს მას, რომელსაც არ შეეძლება თავისი „მეს" გამოჩენა და მისი დაცვა-დაფასება. მერმეთ, რა შედეგი მოაქვს მის ასეთს საქციელს?

ერთობ ცუდი თქვენი პიროვნების აღდგენისათვის და გამოსადეგი თქვენი უფლების მტერთათვის! დებო, ეწინააღმდეგეთ ამ მოვლენას! შეაგნებინეთ თქვენს ჩამორჩენილს ამხანაგებს, რომ ის არის ადამიანი და არა მარტო უპიროვნო სქესი, რომ ასეთი ქცევით ის ამცირებს თავის ადამიანურს ღირსებას და კარგავს საამისო უფლებას. საზოგადოთ, ხელოვნურ სილამაზეს, ათასნაირი ტუჩების, თუ წარბ-წამწამის ხელოვნურად შეთხუპვნას ადამიანისათვის მავნებლობის მეტი, არა რა მოაქვს.

ის ადამიანი, რომელიც ამ მავნებელ, საზიზღარ საშვალებას არ ხმარობს, უკეთესია სხეულითაც და აგებულობითაც. ასეთი ნაძალადევი სილამაზე და მიმზიდველობა არა თუ არ ალამაზებს ადამიანს, არამედ სულიერად და ხორციელად ამახინჯებს მას. მეორე მხრივ კი, ის ადამიანურ ღირსებას გიკარგავთ მამაკაცების თვალში, რომლითაც თქვენი უფლების მტერნი სარგებლობენ. დებო, მე ვბედავ ამის თქმას მისთვის, რომ თქვენი მოკეთე ვარ და ჩემის არსებით მინდა თქვენი უფლებისათვის თავიც გავწირო.

ერთს საღამოს შემთხვევა მქონდა ერთ მოინტელიგენტო დას სასეირნოთ გავყოლოდი. ისე შეღამებული იყო, რომ მე და ჩემი მეგობარი ერთი მეორეს ძლივს ვარჩევდით. უეცრივ, ჩემს მეგობარ ქალს სიცილი

წასკდა. ეს სიცილი მასში გამოიწვია სახეზე ცხვირსახოცის გადასმამ. სინათლეზე გავედით, ის კვლავ სიცილს განაგრძნობდა.

– რას იცინით? – შევეკითხე მე.

– იმას, რომ თქვენ ვერ გაიგეთ!

– რა უნდა გამეგო? – კვლავ შვეკითხე მას. დავაკვირდი და დიდათ გამიკვირდა, როდესაც ჩემი თანაგზავრის სახე თოვლივით თეთრი ვნახე.

– საიდუმლოება გავიგე – უპასუხე მეგობარ ქალს – მაგრამ რათ დაგჭირდათ ეს, ნუთუ არ გეყოთ სარკის წინ სახლში გალამაზება?

ამ პასუხმა მეგობარი, ცოტა არ იყოს, დააფიქრა, მაგრამ რამდენათ მასზე ეს სიტყვები იმოქმედებს, ეს თქვენ გადაწყვიტეთ!

აი, დებო, რამდენათ შეჩვეულია ზოგი ზოგი ქალები თხუპვნას! წარმოიდგინეთ, გზაშიც, სეირნობის დროს ცხვირსახოცში გახვეული აქვს ფერ-უმარულები! როგორ მოგწონთ?

ასეთი ხელოვნური სილამაზე მშვიდობიან ოჯახსაც ანგრევს. იმ კაცის მეუღლე, რომელიც მუდმივ პრანჭვა-გრეხაში ატარებს დროს და კოხტაობს, არის ნადვილი მტერი ქმარ-შვილის და ოჯახისა, რომელიც თავის საქციელით იწვევს სხვა და სხვა უსიამოვნებას, განხეთქილობას ცოლ-ქმართა შუა და აძლევს შვილებს გამრყვნელს მაგალითს და, განა, გასაკვირია, რომ ასეთს ქალებს მამაკაცები გასართობ საგნათ სახავდენ? თქვენი მოვალეობაა ებრძოლოთ ამ დამღუპველს ზნე-ჩვეულებას. დაიფასეთ თქვენი თავი და სხვებიც დაგაფასებენ! დღეს, ამით ვსწყვეტ თქვენთან საუბარს, ძვირფასო დებო!

დებო, თქვენ ყველას გაგიგონიათ, რომ მამაკაცი საუბრის დროს, როდესაც ის მუშებში აგიტაციას ეწევა, ხშირად განიმეორებს: „მუშებმა უნდა გამოსჭედოს თავისი ხელით თავისი ბედიო“. ეს თქმულება, ძვირფასო დებო, მხოლოდ მამაკაცებს ეხება და მე ვიტყვი ეხლა: მუშა ქალებმა უნდა გამოსჭედოს თავის ბედი თავისი ხელით და თუ ეს ესე დარჩა, მაშინ ათასი წელი დაგჭირდებათ თქვენი უფლებების აღდგენისთვის, ვინაიდან დღეს მამაკაცებში თქვენი უფლების დამცველი დიოგენეს ფანრით საძებარია.

რამდენი მამაკაცებია დღეს თავის ცოლისათვის ჯალათი, რომელიც მას სულს უხუთავს, ადამიანურ გრძნობას უწამლავს და მას უსულო საგნად ხდის? ყველა თქვენთაგანს შეუძლია ამ კითხვას პასუხი გასცეს და თუ ვსწერ მისთვის, რომ დეე, იმ ურწმუნო იუდა ისკარიოტებმა იგრძნონ, რომ მათი არაადამიანური, ჯალათური მოქმედება არ იფარება და წამების ოთახებიდან გარედ გამოდის და მსოფლიოს ეფინება.

ამისათვის, მე ავიღებ მაგალითისათვის დაბა სამტრედიაში მოსამსახურეს, რ.გ. მემენქანეს. არავითარი ჯალათი ისე ადამიანს არ მოეპყრო-

ბა, როგორითაც ეგ „რაინდი" თავის ცოლს, თავის ერთგულ მოსამსახურეს, რომელსაც დღე და ღამე მოსვენება არ აქვს და უნდა რამენაირად თავის ბატონს არ აწყენინოს, რათა ოჯახის მთლიანობა არ დაირღვეს, რომ ბავშვებს, რომელზედაც საბრალო მშრომელ დედას გული შეტკივა, არა მოაკლდეს რა. ვინ იცის, მკითხველო, რამდენი სევდა-ვარამი ამ საბრალო, ულმობელ ცხოვრების მსხვერპლს აწუხებს? დებო, თქვენ ეს მაგალითი არ შეგაკრთობს, ვინაიდან ეს თქვენთვის არ ახალია, ძველია და მრავალი თქვენთაგანი ამაზე უარესსაც განიცდის. ამ ვაჟბატონმა პირველი ცოლი საიქიოს გაისტუმრა, შემდეგ უმანკო ადამიანზე დაიწერა ჯვარი, რომელიც დააჭირიანა, გასტანჯა და დღეს ჩვარივით გადაგდებას უპირობს და ახალ მიჯნურს დაეძებს. ის კი, ამ ვაჟბატონს ავიწყდება, თუ სად უნდა წავიდეს ეს დასნეულებული ადამიანი, ვის უნდა შეაფაროს თავი, ვინ უნდა უპატრონოს მას.

თქვენ წარმოიდგინეთ, ეს მხეცი, თუ ასე შეიძლება ვსთქვა, სოციალისტურ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრია. ეს ვაჟბატონი იბრძვის თავისუფლებისათვის, როცა სახლში ჯალათობას ეწევა და რა გასაკვირია, რომ ასეთი წევრები პარტიასა და ქალთა ორგანიზაციებს ხელს უშლიდნენ? ვინ უნდა გაარჩიოს ეს საქმე? მე თქვენ გეკითხებით, მშრომელო დებო. თუ მამაკაცებმა გაარჩიეს, გაარჩევენ ისე, როგორათაც მათ მოესურვებათ, როგორათაც მათთვის ხელსაყრელი იქნება. ვინაიდან ქურდი ქურდს ვერ დასჯის და არც არა აქვს ამის უფლება. თუ ქალებმა გაარჩიეს, რა თქმა უნდა, სიმართლეს აღადგენენ, მაგრამ შეიძლებთ კი ამას, როდესაც ორგანიზაციულათ შეკავშირებული არა ხართ? მაშ რა არის საჭირო, დებო? რა თქმა უნდა, ქალთა კავშირი!

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც მეორე ამბავი მოხთა. ჩემს მახლობლათ ერთი ვაჟბატონი ღვინით გაჟღენთილი მოვიდა სახლში და მიუხედავად იმისა, რომ ცოლი კარგათ შეხვთა, ალერსი დაუწყო, ამ ვაჟბატონმა ცოლის ზურგზე ოთურმას თამაში დაიწყო და საბრალო ქალის წივილი ცას აყრუებდა. როცა ეს შემთხვევა გავიგე და ერთ მამაკაცს მივმართე, რომ ქალი ეხსნა ამ წვალებისაგან, მან მიპასუხა: „ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევსო".

ერთხელ, სულით მდიდარს, თავისუფალ ცხოვრების მოტრფიალე დაქალს ვეკითხები: სირცხვილია, რომ ამდენ ხანს ქალთა ორგანიზაცია ვერ შექმენით ქალებმა! მიპასუხა: „სოცდეკების ორგანიზაციაში ვმუშაობ, (იგულისხმება მენშევიკები) დავეკითხები მათ, მომცემენ თუ არა ნებასო". დარწმუნებულია ჩემი და-ქალი, რომ მათგან სწორ პასუხს მიიღებს, მაგრამ, ამავე დროს, ავიწყდება, რომ ბატონობის დათმობა, მისი

უარის ყოფა, არც ისე ადვილია. თვითმპყრობელობის დასამხობად ქალი და კაცი რამოდენიმე ათეული წელი იბრძოდა და ძლივს, შეერთებული ძალით ძირს დასცეს.

დღეს, ყველა დედაკაცს, ჯალათი თვითმპყრობელის მზგავსი კი არა, ბატონყმობა ხომ გაგიგონიათ, იმისთანა ბატონი ყავს სახლში და ერთი მითხარით მშრომელო დებო, ეს ვაჟბატონები შეკვეცენ თავის ბატონურ უფლებას? არა! და ამისათვის არის საჭირო ქალთა ორგანიზაცია!

ავიღოთ თვით რკინის გზა. აქ მუშა ქალების ხელი დღითი დღე მატულობს და რას ვხედავთ? თქვენ ეგების ფიქრობთ, რომ ესენი მამაკაცებთან გათანასწორებულია? სრულიადაც არა! მათში ადამიანებს არც კი ხედავენ, ესენი მხოლოდ გასართობათ მიაჩნიათ. იმავე დროს ქალი მშრომელი, რომელიც მამაკაცებს მუშაობაში არ ჩამოუვარდება, თავს იმცირებს, თავის „მეს" კარგავს და ათასნაირ პრანჭვა-გრეხით თავს ევლება, ელოლიავება, რომ ვაჟის გული მოიგოს. დაბა სამტრედიაში სადგურის უფროსის თანაშემწის თავგასულობა იმ ზომამდე მივიდა, რომ გულწრფელი მშრომელი ენერგიით სავსე თანამოსამსახურე ქალი კინაღამ წუთისოფელს გამოასალმა. საბრალო მსხვერპლმა ამ ულმობელი, გულქვა ადამიანის მოქმედებას ვერ გაუძლო, სიტყვიერათ ვერა შეკადრა, ყოველი სევდა-ვარამი გულში ჩაიკლა და უდროოთ წუთისოფელს კინაღამ დაშორდა.

ერთ „სოციალისტ" მამაკაცს შევეკითხე: მეგობარო! მიზეზი რა არის იმის, რომ ქალებს ქალთა კავშირის ნებას არ აძლევთ მეთქი. პასუხს ვღებულობ: „გზას დაშორებიხარ, ქალებს მიეცი შენ თავისუფლება და კაი რამეს დაინახავ. მაშინ არის, რომ ოჯახი აგიფორიაქდება და ცხოვრება შეუძლებელი გაგიხთება". ო, ეს სიტყვები სასაცილოა და იმავე დროს სატირალი. ამ ვაჟბატონს ავიწყდება ის, რომ თავისუფალი ადამიანი, რომელიც ადამიანურ უფლებებს არ არის მოკლებული, ღირსეულად და მწყობრად განაგებს ოჯახს. წესიერად ზრდის შვილებს და სიყვარულით არის ქმართან და იმ ადამიანს კი, რომელსაც ცოლი ჩაკეტილი ყავს და იმონებს მას, ეს მონა არსება მას უსასტიკეს მტრათ უხთება. ამისთანა არსება ქმარს გველური ალერსით ელოლიავება და ამ ალერსში ყოველივე საქმეს ფარულად აკეთებს. მას ოჯახზე გულიც უცრუვდება, არ აინტერესებს, როგორც მონას არ აინტერესებს ბატონყმობის დროს ბატონის ოჯახი. ამისთანა არსება ყოველთვის ლამობს ჯალათის სახლიდან წასვლას, რომ თავისუფლად სული მოითქვას, რომ თავისუფლად ვინმეს დაელაპარაკოს, გაერთოს, ან რა გასაკვირია, რომ ქალები ასე იქცეოდნენ, როცა ასში ერთი პროცენტი მამაკაცები ძლივს ეწევა ადამიანურ

ოჯახურ ცხოვრებას, დანარჩენები კი საროსკიპოებში, სამიკიტნოებში ღვინით ილეშებიან. მათთვის არ არსებობს არავითარი კანონი. ისინი ამ უფლებით აღჭურვილი არიან.

ამავე დროს, საკმარისია ამისთანა ვაჟბატონმა თავისი ცოლი პირმღიმარე დაინახოს შეკრებულებაში, რომ საბრალო არსებას მოსვენება არ მისცეს და ბუზღუნით სიცოცხლე გაუმწაროს, შენ ვის უცინოდი და ვინ მოგცა ამის უფლებაო. ყველა თქვენგანი ამას განიცდით, უარესსაც და ამავე დროს სდუმხართ და ხმას არ იღებთ.

ზოგიერთ ქალს, რომელსაც მონური დისციპლინა ძარღვებში აქვს გამჯდარი, იმას სასაცილოდაც არ ყოფნის ქალთა წრის დაარსება. ეს მოვლენა სამწუხაროა, მაგრამ არც ისე, რომ მისი წარმავლობის იმედი არ გვქონდეს, ვინაიდან მას თავად ცხოვრება დაანახვებს არის თუ არა საჭირო ქალთა ერთობა. დებო, დაეშურეთ ორგანიზაცურად მოქმედებას. საჭიროა ქალთა ორგანიზაცია თვითგამორკვევისათვის! ის შესძლებს ქალთა მონობის მოსპობას და მაშინ სამშობლო მხარეც აყვავდება და განთავისუფლდება! გაუმარჯოს ქალთა ორგანიზაციას და მის მჭიდრო კავშირს! ძირს მამაკაცების თვითნებობა, ძირს ფარისეველთა რჩევა–დარიგება!

დიდი ხანია, დებო, თქვენთან არ მისაუბრია, დღეს კი შემთხვევა მეძლევა თქვენთან ვიბაასო და გადმოგცეთ ის, თუ რა ხდება თქვენს ირგვლივ. ყველამ კარგად უწყის თუ როგორ დაიწყო ძლევამოსილი დიდი რუსეთის რევოლუცია. მიუხედავათ იმისა, რომ მასში დიდი წილი ქალებს ედვა, მამაკაცები მოექცნენ სათავეში და დაიწყეს მართვა სახელმწიფოსი. მართალია, აქა-იქ ერია თითო ოროლა ქალიც, მაგრამ ეს უფრო სანიმუშო იყო, რომ უფლებააყრილ სქესს გული არ დასწყვეტოდა და მეტი არაფერი.

ასე თუ არა, რა ძალას წარმოადგენს 20-25 მამაკაცების ხმებში ერთი, ან ორი ქალის ხმა? სრულიადაც არაფერს! და ქალი, რარიგ ჭკუა-გონებით არ იყოს აღჭურვილი, მისი სამართლიანი სიტყვა ამა თუ იმ კითხვაზე, უნაყოფოთ ჩაიარს, ვინაიდგან მას არავინ მხარს არ დაუჭერს. განა, შეიძლება საღ აზრს დედაკაცისას მამაკაცმა მხარი დაუჭიროს? მე კი ვიტყვი, რომ არა! ყველა მამაკაცები თვისი „მეს" ირგვლივ ტრიალებენ, დედაკაცებმა კი ის „მე „მამაკაცების გავლენით დიდი ხანია დაკარგეს და მამაკაცების მახინჯ და სასტიკ აზრის გარშემო, ვით ჯარა, ტრიალებენ.

დღეს რას ვხედავთ? იმას, რომ სოციალისტები ქვეყნის გამგენი ამა თუ იმ პარტიისა, ერთი მეორეზე ილაშქრებენ და ამ საზარელ სურათის

წინაშე თქვენ სდგეხართ, მშრომელნო დებო, დედებო! თქვენ ანგარიშს არავინ გიწევთ და განა, შეიძლება თქვენი დაფასება? ანგარიშის გაწევა? არა! რომ დაგაფასონ, თქვენ რომ ანგარიში გაგიწიონ, თქვენში ძალას უნდა ხედავდნენ. ძალა კი ერთობაშია, მთლიანობაში. თქვენში ამის დაგვარი, ჯერ-ჯერობით, არა არის რა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში აქა-იქ უფერულ, მკრთალ ქალთა კავშირებს, რომლებსაც მოპირდაპირე სქესი, ვით მშიერი ძერა წიწილას, ისე შესცქერის და ლამობს მის ჩაქრობას. მათ რა გაუმტყუნო. ისინი ხომ თავის ბატონობის დაცვას და მის ხელიდან გაშვებას ელიან. ეს ასეც უნდა იყოს, აქ გასაკვირვალი არა არის რა.

მაგრამ, რა უნდა ვსთქვა იმ მოღალატე დედაკაცების პიროვნებაზე, რომლებსაც თავისი „მე" დიდი ხანია დაუკარგავთ და დღეს კი, საერთოდ სხვების წმინდა სახელს შეურაცყოფენ? მათ არ იკმარეს ის, რაც ჩაიდინეს და დღეს მამაკაცებთან ერთად, ქალთა წრის გაქრობას ლამობენ. აი, ამ მოღალატე ქალებზე მინდა სულ მცირე რამ გაგაცნოთ და თავი დავანებოთ იმ უმაღლეს დანიშნულებაზე საუბარს, რომლებსაც მათი ჭკუა-გონება ვერ მისწვდება.

ყველამ კარგათ იცით, მშრომელო დებო, დედებო, რომ, რა სულშემხუთავი ძველი მთავრობა დაეცა, განადგურდა, მოხთა კრება ქ. მოსკოვში რკინის გზის დელეგატებისა, სადაც მოსამსახურე ქალები, თუ არ ვცდები, სულაც არ იყო არჩეული. ყველა რკინის გზების მოსამსახურეები რუსეთისა ამ დელეგატთა სიეზდმა დაყო 14 ნაწილად. სხვათა შორის, პირველ ნაწილში მოსამსახურე მამაკაცს ეძლევა 60 მანეთი, ხოლო ამავე ნაწილში მოსამსახურე ქალს 40 მანეთი, ესე იგი, 20 მანეთით ნაკლები.

თქვენ მოგეხსენებათ და თვალითაც ყველა თქვენგანს უნახავს ქალი კონდუქტორი, რომელიც მის მოვალეობას პირნათლად ასრულებს. მათი რიცხვი მრავლად იყო, თითქმის უმეტესობა მამაკაცებზე და დღეს რას ვხედავთ? იმას, რომ მათი რიცხვი დღეს თითზე ჩამოითვლება. ნუ იტყვით, თურმე მათ თანდათანობით აკლებენ და არის განკარგულებაც, რომ მათი ადგილი მამაკაცებით შეიმსოს. სადაც მსახურობენ ქალები, აქა თუ იქ, კანტორებში, აქაც დაფასება არა აქვთ. ათ-თერთმეტ თვეს მსახურობენ და დღესაც ვერ მოასწრებენ შტატებში ჩარიცხვას.

ზემო მოყვანილი სიტყვების შემდეგ, გეკითხებით, ქალბატონებო, რომლებიც ყიდით თქვენს დებს და მარტო მამაკაცების პიროვნების აღსადგენად შრომობთ, რომლებიც ფიქრობთ თქვენი შეგნებული დების წინსვლის შეჩერებას, გაქვთ უფლება მონიჭებული? გაქვთ უფლება, რომელიც გათანასწორებთ მამაკაცებთან ერთად?

თქვენ ამაზე პასუხს ვერ მიგებთ! და თანაც უფლებიანი მამაკაცების ჯაშუშობას კი ეწევით! მშრომელო დებო, დედებო, თქვენ ყველას გაგეგებათ გაზეთი „ხმა ქართველი ქალისას" მეოხებით, თუ რა პირობებში შეიკრა ქალთა კავშირი დაბა სამტრედიაში. მოწინავე ქალებმა წამება განიცადეს. ზოგს საყვედური გამოუცხადეს, ზოგს პარტიიდან გაძევებას დაემუქრნენ და ვინ იცის, რით არ გაუმასპინძლდნენ, მაგრამ მათმა უანგარო შრომამ ნაყოფი გამოიღო და ქალთა წრეს საძირკველი ჩაეყარა. მტრები ჩაქრნენ.

მოწინავე დებმა განაგრძეს უანგარო მუშაობა პარტიაში მამაკაცებთან ერთად, დიადი ბრწყინვალე რევოლუციის სასარგებლოდ. ხოლო თავისუფალ დროს, ვით პირმშოს დედა, თავს დასტრიალებდნენ ქალთა კავშირს და სცდილობდნენ მას გაძლიერებას. მათ ფული არ ქონდათ. საწევრო ფული, 18 მანეთის მეტი, არ შეუკრებიათ. საჭირო იყო ბინა ქალთა კლუბისთვის, მისი მოწყობა, ქალთა კავშირის ბეჭედი და ქალთა სწორუფლიანობის გამომთქმელი წმიდა დროშა.

ამისათვის, გამგეობამ მოიწვია პატივცემული კატო მიქელაძე, რომელსაც თავისი პირადი „მე" დავიწყებული აქვს ქალთა სწორუფლიანობისათვის. პატივცემულმა ლექტორმა ქალმა ლექცია წაიკითხა, ხალხი ბევრი დაესწრო, შემოსული თანხის ნახევარი 80 მანეთი სამტრედიის ქალთა კავშირს გადასცა. შემდეგ გამგეობამ მოაწყო წარმოდგენა საღამოსი, რაიც დედებულათ ჩატარდა და წმინდა შემოსავალი 495 მანეთი დასტოვა. ასე, ამრიგად, დღეს სამტრედიის ქალთა კავშირის კასაში სხვა შემოწირულობასთან ერთად ინახება 628 მანეთი.

ამ გამოსვლამ თავისი გავლენა იქონია და კვლავ ააწრიალა ქალთა უფლების მტერნი მამაკაცები. შეიქმნა ამა თუ იმ ორგანიზაციებში, განურჩევლად პარტიისა, განგაში, დაიწყო წამება, კვლავ პარტიიდან გაძევების დამუქრება, კვლავ ჯვარზე გაკვრა.

ეს მოსალოდნელი იყო და არის მამაკაცების მხრით, მაგრამ ამ სტრიქონების დამწერი ვწითლდები, როდესაც ორ დედაკაცის სამარცხვინო საქციელს გავითვალისწინებ. პირველმა ორმა, თავიდანვე, ქ. სამტრედიაში ქალთა კავშირის საძირკველის ჩაყრას ირონიულად შეხედა. უკანასკნელი ორი, დღეს უკვე ფეხმოდგმულ კავშირის ჩაქრობას ლამობს. ვინ არიან ეს ქალბატონები? და რა ყრია მათში? ესმით კი, თუ რას ჩადიან? სრულიად არაფერი!

მათ, შენი-ჩემის მეტი, არა გაეგებათ რა, მაგრამ მაინც დავეკითხოთ: რათ დასჭირდათ გამგეობის წევრთან მისვლა და ქალთა კავშირის წევრების ჩამოწერა? ქალბატონებო, ასეთს საქციელს ხომ დახავსებული

ძველი რეჟიმის დროს ჟანდარმერია ეწეოდა და დღეს ამას თქვენ იმეორებთ? სად წაიღეთ სია? პარტიაში? რომ უფლებიან მამაკაცებს დააბეზღოთ თქვენი დები? ჰოი, სირცხვილო, სად არის შენი სიწითლე?!

ჩაგრულო დებო, დედებო, თქვენთვის მომინდია ამისთანა უღირსი დების გასწორება, თქვენ შეგიძლიათ მათ მსჯავრი დასდოთ. ღრმად უნდა გწამდეთ, რომ ამისთანა გამოსვლა ვერა რას დაგაკლებთ და მე კი ვეტყვი, რომ ეს გამოსვლები თქვენ უფრო შეგაკავშირებთ და მტერ-მოყვარეს დაგანახვებთ.

ბოლოს მინდა გაუწყოთ, რომ ამ დღეებში ქ. სამტრედიის მუშა ჩაგრული დების წმინდა დროშაც აფრიალდება. შეუერთეთ მას თქვენი მჭექარე, ხან კი ბულბულისებური ტკბილი ხმა.

მაშ, წინ, მუშა დებო! წყევლა და კრულვა მათ, რომელიც თქვენს სამართლიანს ბრძოლას ხელს შეუშლის!

გაუმარჯოს ქალთა სწორუფლიანობას!

მიზეზი ქალთა მონობისა და ქალთა მოძრაობისა

№17–31, 1917

თუ ვისმეს აქვს უფლება თავის გაჭივრებაზე ლაპარაკისა, თავისი კლასობრივი, თუ წოდებრივი ინტერესის დაცვისა, მით უფრო მეტი უფლება გვაქვს ქალებს და მეტი საბუთიც ჩვენი საერთო ტანჯვა-მონობის წინააღმდეგ ამხედრებისა, ჩვენი ადამიანური პიროვნების აღდგენისათვის ბრძოლისა და ამ ბრძოლაში შეკავშირებისა, რადგან ქალებზე უფრო დაჩაგრული დედამიწაზე არავინ არა ყოფილა და ქალებივით ხანგრძლივად არავინ არ დაუჩაგრავს მამაკაცთა მიერ გამოწვეულ უსამართლობასა და ძალმომრეობას. დიახ, მამაკაცისა მიერ, რადგან მთელი ისტორია არის ისტორია მამაკაცებისა: მათი ომებისა და რევოლუციისა, მათი შუღლისა და ამბოხებისა, სადაც დედრობითი სქესი პოლიტიკურ და მოქალაქურ ცხოვრებაში უკანასკნელ ხანამდე არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა. ქალები წარმოადგენდნენ მოსამსახურე კლასს, რომლებსაც ძალაუნებრივად მონაწილეობა უნდა მიეღოთ მამაკაცების ჭირსა და ლხინში, თუ საჭირო იყო თავი გაეწირათ მათთვის, მაგრამ არავითარი ხმა და უფლება მათ არ ჰქონდათ, არც ოჯახში და არც საზოგადოებაში.

ასეთ ძალმომრეობას და დედაკაცების დაბეჩავებას ისე შეეჩვივნენ სხვადასხვა წრისა და წოდების მამაკაცთა უმრავლესობა, რომ დღესაც მათთვის სადაო ხდება, იცნონ თუ არა ქალები ადამიანური უფლების ღირსად? ლეგიონი ქალთა უფლების მტერთა დედაკაცების პიროვნული მონობის ბუნებრივობას თავისი ძალმომრეობის გასამართლებლად უკანასკნელ ხანამდე სხვადასხვა საბუთებით ადასტურებდა და მეცნიერულად სცდილობდენ დაკანონებას იმ აშკარა უსამართლოებისას, რომლის ქვეშ ყოფნას არც ერთი მათგანი არ მოისურვებს და რომლის წინააღმდეგ მამრობითი სქესი ისტორიულად სისხლსა ღვრიდა. რა იყო და რა არის დღესაც მიზეზი იმ აშკარა ჭეშმარიტი გაუგებრობისა, რომ ქალებიც ადამიანები ვართ და ღირსი ადამიანური უფლებისა? ნუთუ, ჩვენ ჩვენი მამების, ძმების და შვილების წინაშე იმ ბუნების გამონაკლისს შევადგენთ, რომლისთვისაც მოსამატებელი არ არის ადამიანური უფლება? ნუთუ ქალთა მათდამი უსაზღვრო სიყვარული და ამაგი მეტი დასაფასებელი, მეტი ყურადღების ღირსი არ არის მათგან?

მიზეზი ის არის, რომ ქალთა უფლების მტრებს დავიწყებული აქვთ ყოველგვარი ზნეობრივი მოვალეობა-სიყვარული წინაშე ქალთა საკითხი-

სა. მათ არ აგონდებათ ამ საკითხის გადაწყვეტის დროს არც აღმზრდელი დედები, არც თან შეზრდილი დები და არც აღსაზრდელი შვილები, მათ ახსოვთ მხოლოდ ქალი, როგორც სქესი, რომელზედაც ბატონობას ისტორიულად შეეჩვიენ და რომლის უფლებრივი გათანასწორება თავიანთ სქესთან მათ შიშსა და გულისწყრომას გვრის. ამ საიდუმლო შიშს ისინი ოსტატურად მალავენ და შვილებისა და ოჯახის საკეთილდღეოდ თავს გვახვევენ სამუდამო მონობას და რომ შეგვარიგონ მონურ უპიროვნო ცხოვრებას, ერთი მათგანი ტვინის სიმძიმით გვიმტკიცებს ქალთა ბუნებრივ ჭკუანაკლულებას, მეორენი ტვინის აპკის ხვეულით და მესამენი ფიზიოლოგიური თვალსაზრისით და ფიზიკური ძალის სიჭარბით გვარწმუნებს თავიანთ ბუნებრივ უპირატესობას. მიუხედავათ მათი ასეთი არგუმენტების გაბათილებისა, ესენი მაინც თავისებურ ლათაიებს იმეორებდენ, რომელთაც ხმა მხოლოდ არსებულ მსოფლიო ომის სისხლის მორევმა და მისგან გამოწვეულმა ქალთა შრომის საჭიროებამ საზოგადო ასპარეზზე ჩააკმენდინა. ჩვენ ვეცდებით სათითაოდ განვიხილოთ მათ მიერ წამოყენებული ჩვენი ბუნებრივი ჭკუათხელობის დამამტკიცებელი საბუთები, რომ ვიცოდეთ, თუ რამდენად მეცნიერული მნიშვნელობა და ფასი აქვთ მათ.

დავიწყოთ ფიზიკური ღონის სიჭარბიდან, მიუხედავათ მისი ინტელექტუალურ უმნიშვნელობისა, რადგან ცნობილი ფაქტია და დიდი ხნის გამოკვლეული, რომ იქ, სადაც ინტელექტუალური ძალა სჭარბობს, ფიზიკური ნაკლებია და იქ, სადაც ფიზიკური ძალა მეტია, ინტელექტუალური ნაკლებია. ამ დებულების ჭეშმარიტებას ამტკიცებს როგორც დიდ ხერხემლიან ცხოველთა და ადამიანის შედარება ღონითა და გონებით, ისე ველურ და ცივილიზაციურ ხალხისა და ინტელეგენციისა და ფიზიკურად მომუშავეთა. მიუხედავათ ამისა, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ დღევანდელი დედაკაცების ფიზიკური სისუსტის მიზეზი ისტორიულია და არა ორგანიული და ამის დამამტკიცებელ ფაქტებს ჩვენ ვხედავთ როგორც ბუნებაში, ისე სოციალურ ცხოვრებაში.

თანამედროვე ბუნების მეტყველთაგან ცნობილი და აღიარებულია ცხოველთა შორის დედლის მამალზე სიძლიერე. მიუხედავათ იმისა, რომ დედალს ყოველ წლობით და ხან კი რამოდენჯერმეც და თანაც, ცუდ პირობებში უხდება მშობიარობა, ის მაინც გაცილებით უფრო მეტის ამტანია ფიზიკურად, ვიდრე მამალი. მართალია მიხტომითი გამბედაობა მამალს მეტი აქვს, მაგრამ ეგ გამბედაობა ერთობ ხანმოკლე და წარმავალია, მაშინ, როდესაც დედალი მეტის სიფრთხილით, მაგრამ თანდათანობით უმკლავდება მტერს, რომლის შეხვედრას უფრთხის კი-

დეც ყოველი გაწაფული მონადირე. ადამიანი, რამდენითაც თავისი ორგანიული შენობით ცხოველთა შთამომავალია, იმდენათ საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ასეთი ძალა შეასწავლა მამაკაცთან შედარებით იმ დედაკაცს, რომელმაც პირველათ იხილა ჩვენი მშვენიერი პლანეტა.

რაც შეეხება ტვინის სიმძიმეს, მის მეცნიერულ მნიშვნელობას თვით თანამედროვე ანატომიური ცნობები ამტკიცებს, რომლის გამო კვლევითი გენიოსის ტვინი გაცილებით ნაკლებს იწონიდა იდიოტის ტვინზე. ვალტერის[10] ტვინის სიმჩლატემ გაკვირვებაში შეიყვანა იმდროინდელი მედიკები. ტვინი ცნობილი მეცნიერი ბიშობისა, რომელიც ამტკიცებდა დედაკაცების ჭკუის სიმჩლატეს, მით, რომ მათი ტვინი მამაკაცების ტვინისაზე ნაკლებს იწონიდა, გაცილებით უფრო ნაკლები აღმოჩნდა წონით, ვიდრე ის საშუალო ტვინი, რომელიც მაინც გამოიყვანა ქალთა ტვინის საზომათ.

მიუხედავათ ამისა, ჩვენ მაინც მოვიყვანთ ცნობილი ფრანგი ანთროპოლოგი მანუვრიეს[11] აზრს შესახებ ტვინის სიმძიმის მნიშვნელობისა. ამ მეცნიერის აზრით, მნიშვნელობა აქვს მხოლოდ პროპორციონალურს წონას და თუ შევადარებთ მამაკაცების ტვინის წონას მთელს მათ წონასთან, ამბობს იგი, მამაკაცების ტვინი უფრო ნაკლებია წონით, პროპორციონალურად, ვიდრე დედაკაცებისა და თუ დიდ თავის ქალაში მეტი ტვინი დევს და მეტს იწონის, ეს არავითარ განსაკუთრებულ ღირებულობაზე არ ლაპარაკობს.

რაც შეეხება ტვინის აპკის სხეულს, რომელზედაც ბოლო დროს დაიწყეს საუბარი ანტიფემინისტებმა, მისი სირთულე, რამდენადაც ადამიანის განვითარებაზეა დამყარებული, ცხადია ის ტვინი უფრო მდიდარი იქნება ხვეულით, რომლის პატრონი უფრო მეტი მცოდნე და განვითარებულია. რადგან ისტორიულად სულიერი ცხოვრება, სწავლა-განვითარება და პრაკტიკული სოციალურ-პოლიტიკური გამოცდილება მამაკაცების მონოპოლია იყო, ჩვენ ძრიელ გვიკვირს, რომ მათი ტვინი მეტს ხვეულს არ ატარებს და ყოველი დედაკაცის ტვინის ხვეულს არა სჭარბობს.

დედაკაცის და მამაკაცის ორგანიულ შენობაზე თანამედროვე ანატომია შემდეგ ფაქტებს გვაწვდის. ჩონჩხი მამაკაცისა უფრო მაღალია და სრული, ვიდრე დედაკაცებისა, შედარებით და არა აბსოლუტურად, რასაკვირველია. მამაკაცის ჩონჩხი წელზევით უფრო მდაბალია და ბოლოში გრძელი. დედაკაცის ჩონჩხი კი, წინააღმდეგ, წელზევით უფრო მაღალია და ბოლოში კი მოკლე. ხერხემალი დედაკაცის ჩონჩხისა უფ-

10 ვოლტერი (1694-1778) – ფრანგი მწერალი, დრამატურგი და ფილოსოფოსი.

11 ლეონს პიერ მანუვრიე (1850-1927) – ფრანგი ანთროპოლოგი.

რო ფართოა, ძვლები უფრო წვრილი და დაწმენდილი აქვთ, ვიდრე მამაკაცებს. მკერდი მამაკაცის ჩონჩხისა უფრო ფართოა, რომლის გამო ფილტვები და გული უფრო დიდი აქვთ, ვიდრე დედაკაცებს. ღვიძლი ქალებს უფრო დიდი აქვთ და სქესობრივი ორგანოები გაცილებით რთული. კუნთების ქსოვილი მამაკაცებს უფრო განვითარებული აქვთ, ქონის ქსოვილი კი დედაკაცებს. რიცხვი წითელი სისხლის სორსლებისა ერთს კუბიკურ მილიმეტრში მამაკაცის სისხლისა 5. 000 000 მილიონს უდრის, დედაკაცისა კი 4,500 000 მილიონს. ლეიკოციტები ანუ სისხლის თეთრი სორსლები და ლიმფატიური ჭურჭლები დედაკაცებს გაცილებით მეტი აქვთ და აქედან, ტვინიც უფრო მძიმე. სავნებო გრძნობიერება დედაკაცს დიდი ტვინის ნაწილად აქვს დაკავშირებული ე.ი. აზროვნების სფეროში, მაშინ, როდესაც იგივე მგრძნობიარობა მამაკაცს დაკავშირებული აქვს ტვინის პოლიგონალურს ნაწილში, რომლის გამო მის ვნებითი გრძნობიერებაც ნაკლებ თავშეკავებულია, ვიდრე დედაკაცისა.

როგორც ვხედავთ, ეგ ანატომიური განსხვავებანი მამაკაცების სასარგებლოთ თითქმის არას ლაპარაკობს მიუხედავათ დედრობითი სქესის ათასი წლობით სპეციალურად მონური ცხოვრებისა და თუ შეძენილს თვისებებს სამემკვიდრე ხასიათი აქვს, დედაკაცების სპეციალურ ცხოვრებას თავისი ცუდი გავლენა უნდა მოეხდინა და ეგ ანატომიური განსხვავება კიდევ უფრო მეტად უნდა გაეღრმავებინა, თუ რომ ბუნებაც ხელს უწყობდეს მამრობითი სქესის უპირატესობას.

ჩვენ განვიხილეთ მეცნიერული ღირებულება ქალთა უფლების მტერთა ზოგიერთ არგუმენტებისა და დავინახეთ, თუ რამდენად მიუდგომლად ადამიანი ბუნებას ორ სქესად გაუყვია როგორც დედაკაცი და მამაკაცი. თუ ეს ასეა, თუ რომ ბუნებას მამაკაცი არავითარი განსაკუთრებული ღირსებით არ დაუჯილდოვებია, მაშ, რამ წარმოშვა ქალთა მონობა? ვეცდებით ამის განხილვასაც, თუ რა როლს თამაშობდა დედაკაცი პირველყოფილ საზოგადოებაში და რა პირობებში აეყარა მას უფლება და მონათ გახდა.

დღევანდელს მსოფლიო ომის დაწყებამდე სტატისტიკურ ცნობით გამოკვლეული და საყოველთაოთ ცნობილი იყო, რომ მამაკაცების რიცხვი მთელს მსოფლიოში 15 1/5 მილიონით აღემატებოდა დედაკაცების რიცხვს. პირველყოფილ საზოგადოებაში, რომ დედრობითი სქესი გაცილებით ნაკლები იყო მამრობით სქესზე, ამის დამამტკიცებელს საბუთებს ჩვენ თვით ისტორია კულტურისა და თანამედროვე სოციოლოგია გვაწვდის.

ცნობილი ფრანგი სოციოლოგი რენე ვორმსის სტატისტიკური გამოკვლევით მტკიცდება, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკური კე-

თილდღეობა საკმარისად განვითარებულია ხალხში, დედრობითი სქესის დაბადება სჭარბობს მამრობითი სქესისას და იქ, სადაც ასეთი ცხოვრება განუვითარებელია, მამრობითი სქესის დაბადება მეტია დედრობით სქესზე. მაგალითისთვის მას მოყავს ინგლისი, რომელშიაც მას შემდეგ, რაც ის ეკონომიურად გაძლიერდა, დედრობითი სქესის დაბადებამაც მამრობითი სქესისას გადააჭარბა. ასეთივე მოვლენა აღმოაჩინა მან საფრანგეთის იმ ადგილებში, სადაც ხალხის კეთილცხოვრებამ იმატა. ყოველი ომიანობის დროს, რომელიც ხალხის საერთო სიღატაკეს, გაჭივრებასა და სიბრაზეს იწვევს, მამრობითი სქესის დაბადება მატულობს. ვისაც აღნიშნულ მოვლენაზე ეჭვი შეეპარება, მას შემთხვევა ეძლევა გამოიკვლიოს მისი სიმართლე-სიმტყუნე ომის დასრულების შემდეგ.

მამრობითი სქესის სიმრავლეზე ზოგი მეცნიერი იმ აზრისაა, თითქო ეგ სიმრავლე გამოწვეული იყოს ხალხის სურვილით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი მოვლენის გამოსაწვევათ მარტო ერთი სურვილი არ კმარა. იქ, სადაც მოქმედებით უძლურია ადამიანი, ცარიელი სურვილით ვერას განახორციელებს. ეს რომ შესაძლებელი იყოს, სხვა მრავალი საერთო სურვილიც შეუსრულდებოდა მათ, თუნდაც ისეთი სურვილი, როგორიც არის სიცოცხლის გახანგრძლივება, რომელსაც ერთნაირად ნატრულობს ყველა და რომელიც საერთო სურვილის წინააღმდეგ მომატების ნაცვლად, კლებულობს კიდეც ჩვენს დროში. აქ, უეჭველია, სხვა მიზეზებია, როგორც სულიერი, ისე ეკონომიური, რომელიც რთულსა და ფაქიზი ორგანიზმის წარმოშობას ხელს უწყობს და არა ამა თუ იმ პირის მოსურვეობა. ზოგი იფიქრებს: თუ ეს ასეა, მაშინ მდიდარ ოჯახში, სადაც სხვადასხვა მარგებელი საჭმელები მზადდება, სულ ქალები უნდა იბადებოდეს და სადაც კი ღარიბი ოჯახია – ვაჟებიო. ერთი მხრით, თუ გნებავთ ესეც მართალია, რომ ღარიბ ხალხში უფრო მეტი ვაჟები იბადება, ვიდრე ქალები, მხოლოდ როცა საზოგადო მოვლენაზე გვაქვს საუბარი და არა გამონაკლისზე. თანაც, უნდა გვახსოვდეს სირთულე იმ მიზეზისა, რომელიც ასეთს მოვლენას იწვევს. ამისთვის მარტო ერთი სამზარეულოში ჩახედვაც არა კმარა, თუ ვის ოჯახში როგორი საჭმელები მზადდება. ამასთან ერთად, უნდა ვიკითხოთ, თუ როგორი მადით იკვებებიან ესა თუ ის მომავალი დედები და როგორ სულიერ განწყობილებაში გრძნობენ თავს.

ზემოაღნიშნული მიზეზის სიმართლეს ამტკიცებს არა მარტო სტატისტიკა, არამედ თანამედროვე ბიოლოგიაც, რომლის გამოკვლევით ნაყოფის ჩამსახველი კვერცხს დედაკაცისას საოცარი სისწრაფით ეძებს

ზემო დასახელებულ პასიურათ მოძრავ უჯრედთან შესაერთებლათ. ამ ორი ბიოლოგიური ელემენტის მიხედვით ქალთა უფლების მოწინააღმდეგეთ ის აზრი გამოაქვთ, რომ დედაკაცი ბუნებრივათ პასიურია, მამაკაცი კი აქტიური, რომლის გამო პირველის მოქმედება ოჯახით უნდა იზღუდებოდეს და მეორეს კი სავარჯიშოთ მთელი მსოფლიო გარდაშლილი უნდა ჰქონდესთ. ისეთი კეთილშობილი და თავისებურად დამცველი დედაკაცის ღირსება, როგორც ფილოსოფოსი ალფრედ ფულეა[12], ამ ბიოლოგიური ელემენტების მიხედვით ამტკიცებს, რომ ინიციატივა წარმოადგენს მამაკაცის თვისებას, ხოლო სოლიდარობა კი დედაკაცისასო. ასეა თუ ისეა, ცხადია, რომ დედრობითი სქესის სიმრავლე მოითხოვს უკეთესი ცხოვრების პირობებს, საზოგადო ცხოვრების წინ სვლას, რომელიც პირველყოფილ საზოგადოებას არ მოეპოვებოდა და მაშინდელი რიცხვმცირე დედრობითი სქესი ძალა უნებურად უნდა გასწვდენოდა იმ დროინდელს რიცხვით მეტს მეორე სქესს. ამ მოსაზრებას, სხვა რომ არა იყოს რა, მაშინდელი პოლიანდრია (მრავალქმრიანობა ამტკიცებს).

პირველყოფილი დედაკაცი თავისი ფიზიკური ძალით რომ მამაკაცზე სუსტი არ იყო, ამას თვით პირველყოფილი მატრიარქატის არსებობა ამტკიცებს, რადგან ძნელი წარმოსადგენია, რომ სუსტი, უძლური და თანაც მცირერიცხოვანი სქესი თავისზე ძლიერსა და მრავალრიცხოვანს სქესს სოციალურ ცხოვრებაში გაბატონებოდა. მით უმეტეს, მაშინ, როცა ძველი გადმოცემები და მითები მრავალ გმირ ქალებზე მოგვითხრობენ. ამაზონკების გარდა, სხვებიც იყვნენ ცნობილი თავიანთი სიმარდე-სიძლიერით. მაგალითად, ძველი რუსის ბილინები მრავალ შესანიშნავ მოისრე ქალებს ასახელებდენ. თვით ისტორიულ ხანაშიც კი არსებობდა ქალთა ლაშქარი, რომელიც თავის სიგმირით მამაკაცებს არ ჩამოუვარდებოდა. თვით ამაზონკების ბრძოლა წარმოადგენდა ბრძოლას უკანასკნელ ღონიერ დედაკაცთა, რომლის გამო, წარმოსადგენია, რომ მათი თანამემამულე წინა მოდგმანი უფრო ძლიერი და ღონიერი იქნებოდა და თუ პირუტყვთა შორის ეგ ძალა დედლებმა შეინარჩუნეს და ადამიანთა შორის კი დედაკაცი ფიზიკურად დაუძლურდა, ამის მიზეზი დევს პირველად იმ უწესო და ზედმეტ სქესურ კავშირში, რომელიც პირველ ყოფილ პოლიანდრიულ საზოგადოებაში არსებობდა და შემდეგ ისტორიულად ამ ორ სქესთა შორის შრომის დანაწილებაში და სპეციალურ აღზრდა ცხოვრებაში.

---

12 ალფრედ ფულე (1832-1912) – ფრანგი ფილოსოფოსი და სოციოლოგი.

სანამ ცარიელი ინსტინქტით ცხოვრობდა ადამიანი და მარტო ერთი ფიზიოლოგიური მოთხოვნილება იზიდავდა სქესობრივად მამაკაცს დედაკაცისადმი და სიყვარულის ესთეტიკური გრძნობიერება გაღვიძებული არ იყო, სქესობრივი მოთხოვნილება ორგანიულ ძალასთან დაკავშირებული, თავშეუკავებელი და დაუზოგველი იყო, რასაც თავისი ცუდი გავლენა უნდა მოეხდინა იმ დროინდელ რიცხვით მცირე დედაკაცებზე. ამასთან, თუ მივიღებთ მხედველობაში პირველ ყოფილი დედაკაცის უმწეო მდგომარეობას, თუ რა ცუდს პირობებში უხდებოდა მას ამ უდიდესი ფიზიოლოგიური აქტის შესრულება, ჩვენ ნათლად დავინახავთ პირველ მიზეზს დედაკაცის ფიზიკურად შესუსტებისა.

მატრიარქატის დროს დედაკაცი იყო უმთავრესი მარჩენალი, უმთავრესი მებრძოლი ბუნებასთან, მან დაღვარა პირველი ოფლი მიწაზე, მან დაამუშავა და გამოაღებინა მას პირველი ნაყოფი, რომელსაც სახელად დედამიწა ეწოდა. შვილები ღებულობდნენ მის სახელს, მის მემკვიდრეობას და არავითარ კავშირს არ ხედავდენ მამებთან. მამაკაცი თვით სიბერემდე ცხოვრობდა თავისი გონიერი დედის ოჯახში მატრიარქატის დროს და როგორც მოზრდილი ბავშვი, ღებულობდა სარჩოს დედის ოჯახიდან და როგორც სამართლიანათ შენიშნავს ცნობილი ფრანგი სოციალისტი პოლ ლაფარგი[13], ის ბავშვის ტვინი, რომელსაც დღეს ქალებს გვასაკუთრებენ ქალთა უფლების მტერნი, თვით მათი საკუთრება ყოფილა პირველყოფილ საზოგადოებაში. რომ პირველყოფილი დედაკაცის შრომის უნარი არა, იარსებებდა თუ არა კაცობრიობის ჯიში, ეს კიდევ დიდი საკითხია.

პირველყოფილი დედაკაცის გონიერებას თავის თანამედროვე მამაკაცზე ამტკიცებს თვით პირველყოფილი სარწმუნოება, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთი ქვეყნისა, სადაც პირველად ხალხი თაყვანს სცემდა არა ვაჟ-ღმერთებს, არამედ ქალღმერთებს. რისთვის იყო ეს, თუ არა მისთვის, რომ ერთადერთი მფარველი და პატრონი მოდგმისა მხოლოდ დედაკაცები იყვნენ, რამდენათაც მათში ზნეობრივი გრძნობა უფრო ადრე იყო გაღვიძებული დედობრივი სიყვარულისა გამო, მაშინ, როდესაც მამაკაცს წარმოდგენაც არ ჰქონდა იმ დროს ვინმესთვის მზრუნველობაზე და წინდახედულობაზე. ის იმდენად ფიქრობდა თავის საკუთარ თავზედაც, რამდენადაც მას დღიური სარჩო მოაკლდებოდა. პირველყოფილი ადამიანის სიზარმაცეს ამტკიცებენ როგორც თანამედროვე ფილოსოფოსები, ისე ეთნოგრაფები და ამ ორ ზარმაცთა

13 პოლ ლაფარგი (1842-1911) – ფრანგი სოციალისტი, საფრანგეთის მუშათა პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი.

შორის რომ უფრო მეტად ზარმაცი და უდარდელი მამაკაცი იქნებოდა, ვიდრე დედაკაცი, ამის მაგალითს გვიჩვენებს როგორც ველურ ხალხთა, ისე ზოგიერთ აღმოსავლეთის ხალხის ცხოვრება, სადაც მაძღარი მამაკაცები მხარს თეძოზე წამოწოლილიყვნენ და დედაკაცები კი შრომით იწყვეტდნენ წელს. ბებელს თავის წიგნში „დედაკაცი და სოციალიზმი" მოჰყავს ერთი ჩრდილოეთელ ამერიკელ ინდიელთა ბელადის სიტყვა, რომელმაც სთქვა: „დედაკაცი გაჩენილია სამუშაოთ. მას შეუძლია ორი იმდენი ტვირთის აწევა, რამდენსაც ორი მამაკაცი ასწევსო".

თვით ბუნებაში ცნობილია, თუ რამდენათ ეგოისტი და უდარდელია პირუტყვთა შორის მამალი. დედაკაცის ბუნებრივი სიუძლურე და სიზარმაცე კი არ მტკიცდება და ის კი მტკიცდება, რომ აღზრდითა და სპეციალური ცხოვრებით და შრომის დანაწილებით შესაძლებელია ორთავე სქესში ფიზიკური და პსიხიური სხვადასხვაობის გამოწვევა. ამ მხრივ ერთობ საყურადღებოა პოტანინის[14] სტატია, რომელიც ნ. მიხაილოვსკის[15] მოყავს თავის შესანიშნავ ნაწარმოებში. ნიკოლსკის მაზრაში, წერს პოტანინი, არსებობს ქვრივები, გაუთხოვარი ქალები, რომლებიც ღებულობენ ნადელს, იხდიან ხარკს და მამაკაცებთან ერთად თვითონვე ამუშავებენ მას. ესენი ასრულებენ განსაკუთრებით ვაჟურ საქმეს. ასეთ ქალებს შეხვდებით ნიჟეგოროდის გუბერნიაშიც. ამ ადგილებში, თუ ოჯახში ყველა გოგოებია, ერთს მათგანს გლეხის ოჯახი მამაკაცის საქმისთვის ნიშნავს. მას ვაჟურად აცმევენ და თავის ტოლ ბიჭებში თამაშობს და თუ სახელად ელისაბედი ჰქვია, ელისეიკას დაარქმევენ. შეხვდებით აგრეთვე წინააღმდეგს. იმ ოჯახში, სადაც ყველა ვაჟებია, ერთს მათგანს ქალურად გამოაწყობენ და ქალის საქმისთვის ნიშნავენ. ასწავლიან მას ჭრას, კერვას, რთვას, ქსოვას და სხვას და ვაჟურს საქმეს ხელს სულ არ კიდებს.

აი, ასეთს გავლენას ახდენს თვით მოკლე ხანშიაც კი შრომის დანაწილება და სპეციალური ცხოვრება ადამიანზე და რა უნდა იყოს გასაკვირი, რომ მუდმივი მონური ცხოვრებით და განსაკუთრებული აღზრდაჩვეულებით დედაკაცების ფიზიკური ძალ-ღონე შესუსტებულიყოს და მამაკაცებს ჩამორჩენოდნენ? რაც შეეხება ფიზიოლოგიური თვალსაზრისით ამ ორ სქესთა შორის ბუნებრივ განსხვავებას, რამდენათაც მას სქესობრივი განსხვავება იწვევს, ეს განსხვავება გამოიხატება მხოლოდ სქესობრივ კავშირში და არა გარეშე ამ კავშირისა, მათ ბუნებრივ სულიერ და სხვადასხვაობაში, რადგან სქესობრივი განსხვავება სრულია-

14 გრიგორი პოტანინი (1835-1920) – რუსი ნატურალისტი, მკვლევარი.

15 ნიკოლაი მიხაილოვსკი (1842-1904) – რუსი სოციოლოგი და პუბლიცისტი.

დაც არ ასხვაფერებს ამა თუ იმ სქესის ადამიანურს მხარეს, რომელთაც ბუნებრივად ერთნაირად სწყურიათ ამაღლება და უკეთესობა. ესე რომ არ იყოს, ერთისა და მეორის სულიერი პიროვნება სრულიად გამოუცნობელი და გაუგებარი იქნებოდა ერთმანეთისთვის. ნამდვილად კი ჩვენ იმასა ვხედავთ, რომ ერთნაირ პირობებში აღზრდილს ქალ-ვაჟს შეუძლიათ არა მარტო სქესური კავშირის დაჭერა, არამედ თვით სულიერი მეგობრობაც ურთიერთ შორის. ამის მაგალითებით სავსეა თვით ჩვენი თანამედროვე ცხოვრება, როგორც რევოლუციონერთა, ისე მშვიდობიან მცხოვრებთა შორის.

ამისთვის იმ ბიოლოგიური ფაქტების მიხედვით, რომელზედაც ფულიე და სხვა ამტკიცებენ დედაკაცის ბუნებრივ პასიურობას და მამაკაცის ბუნებრივ აქტიურობას, ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ შემდეგი: დედაკაცის ორგანიული კონსტრუქცია იმდენად პასიურია, რამდენადაც მეტია მასში პოტენციალური ძალა, რომლის გამო მას ბუნებრივათ შეუძლია მეტის ატანა და მეტი თავის დაჭერა, როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად. მამაკაცი იმდენად მოძრავია, რამდენადაც ეგოისტი, რომლის გამო ის ნაკლებად თავდაჭერილია და ნაკლების ამტანიც ბუნებრივათ. აქედან, მამაკაცს აერთებს დედაკაცთან პირადი საჭიროება, მაშინ, როდესაც დედაკაცი უერთდება მას როგორც პირადი, ისე კაცობრიობის არსებობის საჭიროებისთვის ნორმალურ თანაბარ პირობებში, რასაკვირველია, და არა ერთისა თუ მეორის ანგარიშებით ლტოლვაში. მაგალითისთვის ავიღოთ თვით შეყვარებული საქმრო-საცოლოს სულიერი განწყობილება, როცა პირველი მხოლოდ პირად ბედნიერებაზე ოცნებობს, მეორე მხოლოდ ამ ბედნიერებასთან ერთად თავის მომავალ დედობასაც ითვალისწინებს. რომ ზნეობრივი ძალა მეტია დედაკაცში, ვიდრე მამაკაცში, ეს ერთობ თვალსაჩინოა ყოველი გონიერი ადამიანისთვის, ვისაც ფხიზელი თვალი უჭრის და ერთსა თუ იმ მაგალითს არ გაასაზოგადოებს, ის აშკარად დაინახავს, თუ რამდენი დაბრკოლების, რამდენი მწუხარების ატანა შეუძლია დედაკაცს, თვით უკიდურეს სულიერ მარტოობის დროსაც. მარტოხელი მამაკაცი, ხშირად ნივთიერად უზრუნველყოფილი, დიდს მწუხარებაში სრულიად იბნევა და ეძლევა თავდამავიწყებელს გართობას, რომელიც მას სულიერად და ფიზიკურად ამახინჯებს. ეს ზნეობრივი ძალთა სიჭარბე დედაკაცში, რომელსაც ვერ უარყოფენ თვით ავტორიტული მოწინააღმდეგენი ქალთა უფლებისა, როგორც ოგუსტ კომტია[16], გამომდინარეობს მისი ალტრუისტული ბუნებიდან, რომელსაც ეგრე საჭიროებს, როგორც თავშესაკავებლად,

16 ოგიუსტ კომტი (1794-1859) – ფრანგი ფილოსოფოსი, სოციოლოგი, პოზიტივისტი.

ისე აღსადგენად მამაკაცების ეგოისტურად მოძრავი, ხან კი მაღალი ძალღონე. აქედან, რამდენათ დედაკაცისთვის ბუნებრივად ადვილია უმამაკაცოთ ცხოვრება, იმდენად მამაკაცისთვის ძნელია უდედაკაცოთ არსებობა. ამის მაგალითი შესანიშნავათ დასურათებული აქვს ჩვენს ნიჭიერ მწერალს მარიამ გარიყულს ერთს თავის მოთხრობაში, რომელიც ჩვენი გაზეთის მე-10 ნომერში დაიბეჭდა.

„სულზე ხელი დაიდევ და სთქვი, ეკითხება ახალგაზრდა ღენტორი თავის მამას, ვინ უფრო სძლებს უერთმანეთოთ, ქალი თუ ვაჟი? ელისაბედი რომ დაქვრივდა სამი ბაღანეი დარჩა, ახალგაზრდა ქალი იყო, არ გათხოვდა, სამი ქცევა ყანას ყოველთვის მუშაობდა, ბოსტანიც ჰქონდა, საქონელიც ყავდა, დახვეტილიც იყო მისას და დაწმენდილიც, კერა არ ჩაუქრია და დღეს შვილებიც წამოესწრო. მაქსიმეი რომ დაქვრივდა, მიაყარა ჩინჩან, დეიბღილა, დეიბღილა, ბაღნები მეზობლებში კნაოდა, ძროხა მგელმა დაუხია და ქათმები ტურამ წაზიდა".

ვინც იფიქრებს, რომ ეს ავტორის გამოგონილი ფანტაზიაა და არა სინამდვილე, ის ვერასოდეს ფაქტებს ანგარიშს ვერ გაუწევს. აქ ჩვენ გვყავს ერთსა და იმავე პირობებში მყოფი ქალ-ვაჟის ზნეობრივი ძალა, რომ ასეთ შემთხვევაში დედაკაცის სულიერი ძალა მამაკაცისას სჭარბობს. ეს იმდენათ თვალსაჩინოა, რომ ვერ დაიჩრდილება ყალბი არგუმენტებით. თუ რომ ასეთია ღირსება, ნაკლი ორთავე სქესისა, მაშ, რამ აყარა დედაკაცს ადამიანური უფლება და რათ გახდა ის მონათ? ამაზე შემდეგ წერილში მოგილაპარაკებთ.

წინა წერილებში ჩვენ განვიხილეთ, თუ რამდენად განგებას მიუდგომლად ადამიანი ორ სქესად გაუყვია, რომლის ნახევარს უსამართლოდ და არაბუნებრივად მოწყობილი სოციალური ორგანიზაცია ხელოვნურად თანდათან უფრო აწვრილმანებს. ეხლა ჩვენ წინ საკითხი დგება: რამ წარმოშვა ეს უკუღმართი მოვლენა, რომ აყარა დედაკაცს უფლება და დაამონა იგი? უვიცობით გამოწვეულმა გაჭირვების შედეგმა, გეტყვით ჩვენ! რამდენათაც იმდროინდელმა ადამიანმა არ იცოდა ბუნების ექსპლოატაცია და არსებობისთვის მხეცურ ბრძოლას შეუდგა.

ხალხის სიმრავლესთან ერთად, როცა ეკონომიკურმა გაჭირვებამაც იმატა, მამაკაცი უდარდელ, ლაღ ცხოვრებიდან იძულებული შეიქნა გამოსულიყო და დედაკაცებთან ერთად შრომაში ჩაბმულიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას სიკვდილით შიმშილი ემუქრებოდა, რადგან მარტო ერთი სქესის შრომის უნარი მომრავლებული ხალხის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა. ამ დღიდან ერთდება ორთავე სქესის შრომა და მამაკაციც ოჯახს უახლოვდება, სადაც მან უკვე დაიწყო თავისი წვლილის

შეტანა. ასეთმა დაახლოვებამ მამაკაცს აღუძრა სურვილი შვილებთან დაკავშირებისა და მამობრივი გრძნობის გამოსახატავად შემოღებული იყო ეგრეთ წოდებული კრუხობა (кувада), რომელზედაც მოგვითხრობენ გუსტავ ლებანი[17] და სხვა და რომლის ნაშთები დღესაც არსებობენ ზოგიერთ ველურ ხალხში.

ეგ კრუხობა იმაში გამოიხატებოდა, რომ დედაკაცის მშობიარების დროს ქმარიც ლოგინათ ვარდებოდა და წარმოიდგენდა ყველა იმ ტანჯვასა და ტკივილებს, რასაც მისი მეუღლე განიცდიდა და ღებულობდა ყველა იმ მოვლას და მოლოცვას, რასაც მისი მოლოგინებული ცოლი. ამგვარად, დამტკიცდა მამობრივი გრძნობა როგორც კარიკატურა დედობრივი ტანჯვისა. ხალხის თანდათან ზრდასთან ერთად, მიწის სივიწროებამაც იმატა და წინად გასართობად და თავმოსაგერებლათ ბუნებასთან მებრძოლი ერთი მეორეს შეაჯახა. აქ უკვე მუშტი-კრივმა იჩინა თავი და კაცთა შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდა.

ის პირველი გმირი, რომელიც გარეშე თემს მიუხტა და დაიპყრო, პირველი მბრძანებელი გახდა. ბუნებრივად თანდაყოლილ მხეცური ინსტინქტის გამარჯვებამ ამაყური მეომარი მისწრაფება აღძრა გამარჯვებულ მამაკაცებში და შურისძიება დამარცხებულებში. ამგვარად ჩაეყარა საძირკველი უდიდეს ძალმომრეობას ომიანობის სახით, რამაც გამოიწვია დედაკაცის და მამაკაცის სულიერი გათიშვა და სქესთა ბატონყმობა.

რამდენათ უფრო გაბედული იყო ვინმე მათგანი და ღონიერი, იმდენადათ მდიდარი იყო ის ქონებითა და მონა ცოლებით, რომლის გამო ხალხი პოლიანდრიულ ცხოვრებიდან ალაგ-ალაგ პოლიგამიაში (მრავალცოლობაში) გადავიდა და მატრიარქატიც ალაგ-ალაგ დაირღვა. შვილები, დაბადებული პოლიგამიურს კავშირში, მამის სრულს საკუთრებათ ხდება, რომელთაც მამა თავის სურვილისამებრ წვრთნის და უცქერის ისე, როგორც საექსპლოატაციო საგანს. ცენტრალურ აფრიკაში, ამბობს გუსტავ ლე ბონი, არსებობს ხალხი ფანტი, რომლებიც ირთავენ რაც შეიძლება მეტს ცოლებს შვილების მოსაშენებლად და წამოიზრდებიან თუ არა, ბავშვებს კარგ ფასში ყიდიან.

პოლიგამიურ ცხოვრებიდან იწყება დედაკაცის ადამიანური უფლების აყრა, როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაში. შრომის დანაწილება აქ ღებულობს სრულს მონურს ხასიათს დედაკაცის მხრივ, რომელსაც თავზე აწევს ყოველი მძიმე, მდაბალი და პიროვნების დამამცირებელი შრომა და მამაკაცს კიდევ ყოველივე საპატიო და თავის დროისათვის სავარჯიშო.

---

17 გუსტავ ლე ბონი (1841-1931) – ფრანგი სოციოლოგი, სოციალური ფსიქოლოგი.

რამდენათაც უფრო და უფრო გაბატონდა ტლანქი ძალა საზოგადოებაში და უკვე ამ ხანებში დედაკაცის ჩაწყვეტილი ფიზიკური ძალა საერთო ძალმომრეობასთან მფარველობას მოითხოვდა, იმდენათ თანდათან გამოეცალა მას პიროვნული თავისუფლება და დედის უფლებაც მამის უფლებაზე შეიცვალა. ამგვარად, წარმოიშვა პატრიარქატი, რომელმაც დედაკაცის პიროვნება სრულიად დაიმონა და უკანასკნელიც შეურიგდა მას. რამდენათ უფრო განუვითარებულია ადამიანი, იმდენათ უფრო ეგუება ის ყოველგვარ დამცირებას, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის იძულებულია და მცირე სარგებლობასაც გამოელის მისგან.

ამგვარად ჩაეყარა საძირკველი ქალთა მონობას და ერთი მხრით უვიცობამ და მეორე მხრით ფიზიკურმა სისუსტემ ქალებიც დაუმორჩილა მას. სანამ ომიანობის სისასტიკით საკუთრებისადმი მისწრაფება და მბრძანებლობა ეგრე რიგათაც განვითარებული არ იყო მამაკაცებში, პატრიარქიც თავის პირველ ნაბიჯში დედაკაცს ლმობიერად და პატივისცემით ექცეოდა ძველი ინდოეთის რიგ-ვედიდან[18], რომელიც არსებობდა 35 საუკუნის წინად ბრამანიზმის კასტიურ სარწმუნოებად გადაქცევამდე. ელიზ რეკლუს[19] მოჰყავს იმ დროინდელი პატრიარქალური ოჯახის მაჩვენებელი ნიმუშები, სადაც ახალგაზრდა ცოლს ქმარი შემდეგი სიტყვებით უხვდება: „ყველაფერი აყვავდება ოჯახში შენი გადმოხედვით, როგორც ადამიანი, ისე ცხოველი. შენ მოგვიტან ჩვენ ყველას უდიდეს სიხარულს, იყავ დაჯილდოებული ათი ვაჟით და ვიყო მე, შენი ქმარი, მეთერთმეტე მათ შორის". ცხადია, ცოლს ამ დროს წინანდელი მნიშვნელობა მფარველი დედისა წარხოცილი არა ჰქონდა, როცა ქმარი ეუბნება მას „და ვიყო მეთერთმეტე შენს შვილთა შორისო". ამ ადგილებში, სადაც ჩვეულება გეოგრაფიული გარესკნელით ვითარდებოდა, ამბობს რეკლუ, ქალი თავისუფალი უნდა ყოფილიყო, რადგან მას უხვდებოდა ბრძოლა როგორც გარეულ მხეცებთან, ისე ყაჩაღებთან და იმდროინდელი ნაშთები გადმოგვცემენ კიდეც, რომ ქალი ამ ხანებში დიდი პატივისცემით სარგებლობდაო. მაგრამ, თუ ქალი რომ აგრე პატივცემული იყო, რად ევედრება ინდუსი ქმარი წმინდა ინდრას, რომ ის იყოს დაჯილდოვებული ათი ვაჟით და არა ქალით? უეჭველია მისთვის, რომ მეომართა რიცხვი მომრავლდეს, რათა უფრო ადვილად დაიცვან თავი გარეშე ტომის მოხტომიდან და ასეთს შემთხვევაშიც, უპირატესობა ვაჟებს ეძლეოდათ, რომლის მრავლად ყოლა ეგრე სასურველი იყო

18 რიგვედა – უძველესი ვედური ჰიმნების ერთობლიობა.

19 ჟაკ ელიზ რეკლუ (1830-1905) – ფრანგი გეოგრაფი და ანარქისტი.

თითოეული ოჯახისათვის. მიუხედავად ასეთი უპირატესობისა, იმდროინდელი ინდუსთა სარწმუნოება ქალისადმი მაინც დიდ პატივისცემას მოითხოვდა. „არ დაკრა ცოლს არასოდეს თუნდაც ყვავილი! ერთი დედა ათას მამათა ღირს, სრული ადამიანი მხოლოდ ქალ-ვაჟიდან და ბავშვიდან შესდგება“ ამბობს მანუს კანონი.

როცა საზოგადოებამ სახელმწიფოებრივი ფორმა მიიღო და მილიტარიზმი იმდენად გაძლიერდა, რომ უმაღლეს სოციალურ ფუნქციათ აქცია, მაშინ წარმოიშვა როგორც თავისებური სარწმუნოება, ისე სამართალი და იერარქიულად დაწყობილ სოციალურ ორგანიზაციაში დედაკაცის უუფლებობაც ღვთისაგან და კაცისგან დაკანონდა. ამ ხანებში ცოლს ბატონი ქმარი ისე უცქერის, როგორც საკუთარ ნივთს, რომელსაც სურვილისამებრ ხმარობს: უნდა მოკლავს, უნდა გაყიდის და გააჩუქებს. ამის მაჩვენებელია ინდუსთა შემდეგი სარწმუნოება, რომელმაც წარმოშვა უსასტიკესი კულტი. მანუს კოდექსში სიტყვა მამა, მეუღლე და მესაკუთრე ერთმნიშვნელოვანია. ძველ რომში და საბერძნეთში ლახვარი საკუთრების სიმბოლოდ ითვლებოდა და რასაკვირველია, მესაკუთრე ბატონიც იქნებოდა, ვინც ამ ლახვრით სარგებლობდა.

ამგვარად, ომიანობის გავრცელებასთან ერთად, ქალთა მონობაც ვრცელდება. ლაშქრობა გახდა ერთადერთ ღირსეულ საქმედ და იერარქიულად დაწყობილ საზოგადოების სათავეში ხმალამოღებული ბრძანებელი მეომარი დადგა, რომელმაც ყველაზე უწინ დედაკაცის პიროვნება გასრისა და როგორც გაბატონებულმა წოდებამ აღიარა თავისი სისხლის ბუნებრივი უწმინდესობა დამონებულ წოდებასთან, ისე გაბატონებულმა სქესმა თავისი შემოქმედური ნიჭის უძლიერესობა დამონებულ სქესზე, იმ განსხვავებით, რომ უკანასკნელს ბატონი და ყმა მამაკაცი ერთნაირი სიამაყით დასცქერდა.

ამგვარად, მილიტარიზმის გაძლიერებასთან ერთად ქალთა მოძრაობაც ძლიერდება. რამდენათაც სასტიკი და მეომარი იყო ესა თუ ის ხალხი, რამდენათაც მეტი დამპყრობელი, ლტოლვის მატარებელი, იმდენათ ის მეტად სჩაგრავდა ქალებს და თანაც მეტს პატრიოტულს გრძნობას იჩენდა. მთელს აზიაში ასირო-ბაბილონელები ცნობილნი იყვნენ თავისი სისასტიკით, სამხედრო ლტოლვით და პატრიოტული გრძნობით. ბაბილონის მრავალ ღმერთებთა შორის ეროვნული ღმერთი ყველაზე მაღლა იდგა, რომლის წარმომადგენელი დედამიწაზე მისი მოადგილე მეფე მამაკაცი იყო. სანამ ასურადონი საომრად წავიდოდა, მან მიმართა ეროვნების ღმერთს და თავის ქვეშევრდომთ შემდეგი აუწყა: ღმერთებმა ისმინეს ჩემი ხმა და თავიანთი ერთგული მოწყალებით მომივლინეს

წინათგრძნობა: „წადი, ნუ დაიხევ უკან, ჩვენ ვიცლით შენს გვერდით და დაგიმარცხებთ მტერს!"

ცხადია, ეს ეროვნების ღმერთი მას ქალთა სასარგებლოთ არას ამხელდა და იმ ადგილებშიაც, სადაც ქალი მეტად იჩაგრებოდა, ის ნაკლებს ეროვნულს გრძნობასაც იჩენდა და ასეთ ადგილებში არც ვხვდებით ქვეყნისათვის თავგანწირულს ქალებს. იმდროინდელს დესპოტიურ სახელმწიფოში ოჯახის შინაურ ცხოვრებაში სრული სიტლანქე მეფობდა. აქ ადგილი არა ჰქონდა ცოლ-ქმართა სიყვარულით შეუღლებას. მეომარ ძველ ბერძენ-რომაელთა ქორწინებას საფუძვლად მხოლოდ კერის კულტი (du foyer) იხ. (La Religion Assyro-Babyloni. par. P. Dhorma, et Maspero) ედვა, რადგან თითეულს ბერძენსა და რომაელს თავისი ოჯახური სარწმუნოება ჰქონდა. თავისი საკუთარი ღმერთები – წინაპართა სული, რომლის წინაშე სამსახურის ღირსი მხოლოდ უფროსი ვაჟიშვილი იყო და არამც და არამც ქალიშვილი, თუნდაც ის თავის დღეში არ გათხოვილიყო. ოჯახი რომ უვაჟოთ, უმემკვიდრეოდ დარჩენილიყო, მიცვალებულის სული უჭმელობით დაიტანჯებოდა და ავსულად გახდებოდა, რადგან მას საჭმელის მიმტანი არავინ ეყოლებოდა. სული სჭამდა მხოლოდ ბრინჯს, კარაქსა და თაფლს. ოჯახის პირველი მამამთავარი უმთავრეს ღმერთად ითვლებოდა, რომლის წარმომადგენელი კერის ცეცხლი (Agni) იყო. მიცვალებულ დედაკაცების სულს არც საჭმელი ეჭივრებოდა და არც ლოცვა. უნდა ვიფიქროთ, რომ ქალებს უსულოდა სთვლიდნენ.

როგორც ბერძნები, ისე რომაელები და ინდოელები თაყვანს სცემდნენ ამ კერის ცეცხლს, ამბობს ფუსტელ დე კულანჟი[20], რომლის დამამტკიცებლად რიგ-ვედიდან მას მოჰყავს ჰიმნი, რომლითაც ვაჟი კერიის ცეცხლს მართავს: „ჰო-აგნი! შენ ხარ ჩვენი მფარველი მამა! მოგვეც ჩვენ სიცოცხლე! ჩვენ ვართ შენი ოჯახი. ჰყავ მიწა ჩვენთვის ნაყოფიერი, მიგვახწევინე მოხუცებულობამდე ისე, როგორც მზე ახწევს თავის ჩასვლას". და სხვა. ცხადია, ამბობს ფუსტელ დე კულანჟი, რომ ინდოელები ბრამანიზმის დროს კერის ცეცხლს ყველა ღმერთებზე უწინ თაყვანსა სცემდენ.

ამგვარად, ცოლ-ქმრობა საჭიროებაზე იყო დამყარებული და არა სიყვარულზე. ჩვენ მისთვის ვირთავთ ცოლებს, ამბობდა დემოსვენი, რომ მოვიპოვოთ კანონიერი შვილები და ერთგული დარაჯი ოჯახისა. გეტერები გვეჭირვება სატრფიალო გრძნობების დასაკმაყოფილებლადო. მილიტარიზმის გაძლიერებამ თუ რამდენად წარუხოცა დედაკაცს პი-

20 ფიუსტელ დე კულანჟი (1830-1895) – ფრანგი ისტორიკოსი.

როვნება, ამის ნიმუშებს ჩვენ ვხედავთ მეომარი საბერძნეთის ცხოვრებაში, სადაც ბერძნის ცოლი სრულიად დამოკიდებულია ქმარშვილთაგან და გამოუჩენელი სტუმრებთან. მისი ბინა სახლის უკან იყო მიდგმული, რომლის ერთადერთ საზოგადოებას მხოლოდ მონები შეადგენდნენ.

„გასწი აქედან და მიხედე წესისებრ ოჯახს, კერე და ქსოვე, ყური უგდე კარგათ მონებსა, ბჭობა არ არის ქალის საქმე, არამედ ქმარის, ეხლა კი ჩემი, დიახ, ჩემი, რადგან ოჯახში, მხოლოდ მე დავრჩი მბრძანებელი, ბატონ-პატრონი („სოციალიზმი და დედაკაცი“ ბაბელიდან[21]) ეუბნება სტუმრებთან გამოსულს დედას ბერძენი ტელემაკი. ამგვარად, ქალს ქმრის მერე ბატონათ ვაჟიშვილი უხდებოდა. „საუკეთესო პატივისცემის ღირსია ის ქალი, ამბობდა ფუკიდიდი[22], რომლის შესახებ მისი ოჯახის გარედ არც ავი ისმის და არც კარგიო“. მხოლოდ ერთი, პროსტიტუცია ანიჭებდა ბერძნის ქალს თავისუფლებას და მონა ქალებთან ერთად წარჩინებული ოჯახის ქალებიც ემსახურებოდნენ სიყვარულის ღმერთს. ეს ის დრო იყო, როცა სარწმუნოება ირღვეოდა, როცა სილამაზის ღმერთმა ე.ი. ტანის სიშიშვლემ დასძლია ყველა ღმერთები, რისი განახლება მეოცე საუკუნის საქართველოში ეგრე გულით მოიწადინეს „ახალი პოეზიის“ მოძღვრებმა და მზგავსი წმინდა ხელოვნების დამცველ დეგენერატებმა[23].

არ იყო ქვეყანა, სადაც ომი არ არსებულიყო და ამისთვის არ იყო ხალხი, რომელსაც დედაკაცი მეტ-ნაკლებად არ დაეჩაგრა. ებრაელების თვალში ცოლი ქმრის მოსამსახურეა, ისლამი დედაკაცს უმდაბლეს არსებათა თვლის, რომელიც გაჩენილია მამაკაცების ტლანქი ჟინის დასაკმაყოფილებლად. თუ რამდენად წარუხოცა პატრიარქალურმა ოჯახმა დედაკაცს პიროვნება, ამას ჩინური ანდაზა გადმოგვცემს: „თუ გაყვები ცოლად ჩიტს, ამბობს გასათხოვარი ჩინელი ქალი, მე უნდა დავიწყო მასთან ფრენა, თუ გაყვები ცოლად ძაღლს, მე უნდა დავიწყო მასთან რბენა, თუ მიყვები ცოლად მინაში ჩაგდებულ ნაფოტს, მე უნდა დავჯდე მასთან და ვუდარაჯო მას“.

როგორადაც არ უნდა ექცეოდეს ჩინელს ქალს ქმარი, ის სიტყვის ამოუღებლად უნდა ემორჩილებოდეს მას. ცოლს არ შეუძლია შველა შესთხოვოს არც მთავრობასა და არც თავის მშობლებს ქმრის სისასტიკის წინააღმდეგ. მას ნება აქვს მხოლოდ წავიდეს ტაძარში, იქ ჩამოკიდოს

21 აუგუსტ ბებელი (1840-1913) – გერმანელი თეორეტიკოსი, მარქსისტი, მწერალი.

22 თუკიდიდე (ძვ. წ. აღ. 460-395) ბერძენი ისტორიკოსი, პოლიტიკური რეალიზმის ფუძემდებელი.

23 ავტორი გულისხმობს ცისფერყანწელებს (1916-1930-იანი წლები) – სიმბოლისტ მწერალთა და პოეტთა გაერთიანებას.

თავუკუღმა სურათი მისი ქმრისა და შესთხოვოს მოწყალება ღვთაებას, რათა შესცვალოს მან გული მისი მეუღლისა, რომელიც თავის ნამდვილ ალაგზე არა ჰფეთქს.

ჩინელს თავის ცოლზე ლაპარაკი არ უყვარს, მაგრამ როცა მას მოიკითხავს ვინმე ახლობელი, ის მოწყალე სახით უპასუხებს „საწყალი, შინაური ჩერჩეტი“. ჩინეთში, როგორც ინდოეთში, ცოლის სულიერი არსებობა სრულიად დამოკიდებული იყო ქმარზე, რომლის სიკვდილის შემდგომ ცოლს თავი უნდა მოეკლა, ან დაეწვათ იგი ცოცხლად. უკანასკნელი ინდოეთში ხდებოდა. ეგ ჩვეულება, დიდი ხანი არ არის, რაც ჰოლანდიისა და ინგლისის მთავრობამ ძალათ გადააგდებინა მათ. ძველ პატრიარქალურმა ოჯახმა თავისი უმაღლესი განვითარების წერტილს ძველი მცნების პატრიარქატში მიაღწია ე.ი. აბრაამის ოჯახში. შემდეგ ის ღებულობს კანონიერს მონოგამიურს ფორმას და აღწევს ჩვენს დრომდე. ქრისტიანულმა უმაღლესმა სარწმუნოებამ, თუმცა ის ყოველგვარს ძალმომრეობას და კაცისგან კაცის დაჩაგვრას ზნეობრივად წინ აღუდგა, მაგრამ არსებითად ვერ შეცვალა ვერც ძველი იერარქიული სოციალური წყობილობა და ვერც დედაკაცის მდგომარეობა. მართალია, პირველყოფილმა ქრისტიანობამ დედაკაცსა და მამაკაცს ერთნაირი ღირებულობა მისცა სულიერად, მით რომ ორთავესათვის ღვთიური მეფობა ცაზე და დედამიწაზე მისაწდომი გახდა, მაგრამ მას შემდეგ რაც ის ოფიციალურ სარწმუნოებათ იქცა და წამებულთა ნაცვლად, მწვალებელნი მფარველად აღმოუჩნდა, წინანდელი წარმართული შეხედულობა ცხოვრებაზე და დედაკაცზე ახალი სახით დაკონონდა.

სახარებისა და ბიბლიის ერთად არევით ებრაელთა ძველი პატრიარქატი კვლავ აღსდგა და ერთს დროს გაბატონებული დედის უფლება სრულიად გააქარწყლა მეომარმა სახელმწიფომ. ქრისტიანულს სახელმწიფოს ის მფარველობა აღმოუჩინა, რომ დესპოტი იჰეღოვასა და უაღრესად კაცთმოყვარე ნაზარეველის ცნებას სინთეზი გაუკეთა და თავისი ძლევამოსილობით შეძლო შეურიგებელთა შერიგება. ქრისტიანულ ქვეყნებში წარმართულ კერპების ნანგრევებზე ებრაელთა ძველი ღმერთი დადგა, რომელმაც დედაკაცი სიბინძურისა და სიბოროტის ხატად განასახიერა და თავისი უმაღლესი ღვაწლი კაცობრიობის წინაშე ცოდვის შესანანებელ აქტად დაუსახა. ამგვარად, ის ცნება, რომელიც მოითხოვდა ადამიანის სულიერი პიროვნების აღდგენას და გონების ვნებაზე გაბატონებას უმაღლესი ზნეობრივი იდეალის რწმენით და სულიერი ნებისყოფის სიძლიერით, კაცთა შორის ურთიერთ ნდობა სიყვარულის გასამეფებლად ცარიელ ფიქციათ იქცა. სამაგიეროთ, ის ძველი მცნება,

რომელიც მოითხოვდა ძველებურად ლოცვა-შესაწირს, ამა თუ იმ საჭმლის მოთმენას, რამდენათ ადვილი შესასრულებელი იყო, იმდენათ ადვილი გასაგებიც, იმდროინდელ ზნეობრივად ტლანქს საზოგადოებაში მიღებული და განმტკიცებულიც იქმნა.

ამ ორმა, ერთიმეორის საწინააღმდეგო მცნებათა ერთმანეთში არევამ კიდე უფრო განამტკიცა კაცთა შორის არსებული მონობა, ბატონობა. ერთის მორჩილობა და მეორეს მბრძანებლობა იმ განსხვავებით, რომ უფრო დაჩაგრულთ და დატანჯულთ სამოთხის კარის გამღებათ საიქიოს კეთილი მაცხოვარი დაუხვდებოდა. უფრო ძლიერსა და გალაღებულთ მრავალი შეწირულების შემდეგ ძლიერი იჰელოვა მიიღებდა. განა, ტყვილა აძლევდა რომის პაპა ინდულგენციას? მას საწყალი კაცი ვერ ელირსებოდა, ამისთვის ქონება იყო საჭირო! კათოლიკეთა სასულიერო წოდებამ, რომლის ძლევამოსილობა სახელმწიფოში თვით მეფესაც იმორჩილებდა, სულის საცხონებელ უმთავრეს საშუალებათ ასკეტიზმი დაისახა, რომლის წყალობით შემოღებულ იქნა სხეულის წკეპლა და ათასნაირი ტანჯვა ხორცისა სქესობრივი გრძნობის ჩასაკლავად.

მსოფლიურ ცხოვრებაში კი ცოლ-ქმართა კავშირი, როგორც ძველად ყოველს გვარს სიყვარულს მოკლებული, ადამიანის ბუნებრივად ცოდვილი მოთხოვნილების შედეგად იქცა, როგორც დაკმაყოფილება მბრძანებელი მამლის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებისა მონა დედალთან, ვისაც ღმერთმა დაუწესა ტანჯვა-წვალებით შობა შვილთა თვისთა, თუ რომ ძლევამოსილმა იჰელოვამ დედაკაცები მით დასაჯა ასეთი სასჯელით, რომ ევამ ადამს მისგან აღკრძალული ვაშლი შესთავაზა და აცდუნა. ქრისტიანი მღვდელ-მთავრები ერთხელაც არ დაფიქრებულან იმაზე, თუ რისთვის დაისაჯა ასეთივე აქტით დანარჩენი ცხოველები დედამიწაზე, რომლებიც ქალებზე ნაკლებ არ იტანჯებიან მშობიერების დროს და რომლებსაც არც ვაშლი მოუწყვეტიათ სამოთხის ბაღში და არც ატამი, რომ მით დიდი იჰელოვა გაებრაზებინათ. მაგრამ არა თუ ასეთ კითხვებზე არ იწუხებდნენ თავს, არამედ ერთს მსოფლიო საეკლესიო კრებაზე კითხვა დასვეს: „ადამიანია თუ არა დედკაციო?“ და მხოლოდ იმის წყალობით, რომ იესო ქრისტე თავის თავს ადამიანის შვილს ეძახდა და ასეთი ადამიანი მისთვის დედა მარიამი იყო, დიდი დავის შემდეგ აღიარეს, რომ ქალი ადამიანათ ეცნოთ.

ამგვარად, ცოლ-ქმრობა ყოველ სიყვარულს მოკლებული, დაუძლეველ ცოდვილ მოთხოვნილებათ იქმნა მრევლისთვის აღიარებული და ნებადართულიც. დასავლეთ ევროპაში საშუალო საუკუნეში სიყვარული შეეძლო მხოლოდ გაუთხოვარს ქალს, რომელიც გათხოვების შემდეგ

კარგავდა თავის სატრფოს. ამ ხანებში იჩინა თავი მწერლობაში მისტიკო-რომანტიულმა მიმართულებამ, გაჩაღდა ეგრეთ წოდებული Course d'amour, როცა ტრუბადურები და პოეტები ლექსებით ამკობდენ თავიანთ მიჯნურებს. ასეთმა მოვლენამ, თუ რომ მეომართა შორის წარმოშვა რაინდობა, მით, რომ მხედარი თავის სატრფოს წინაშე თავმოსაწონებლად მრავალს სიგმირეს იჩენდა. სამაგიეროთ, ასკეტების სულიერი სიმშვიდე ერთობ დაარღვია. თუ მხედრისთვის სექსუალური ინსტინქტის გაღვიძება ერთგვარი იმპულსია სამხედრო სიგმირისათვის, როგორც იმპულსი გამაძლიერებელი მიხტომითი ინსტინქტისა. სამაგიეროთ, ასკეტებისთვის ის სულის წამწყმედი და დამღუპველია და აი, ამ წაწყმენდის შიშით დამფრთხალმა სასულიერო წოდებამ დედაკაციც ეშმაკის კერძათ აღიარა, როგორც მათი სულმოკლეობის მაცთუნებელი არსება. მეომარი და ასკეტი – აი, ორი პატივცემული პიროვნება საშუალო საუკუნისა და როცა პირველი გაურბოდა ქალს, მეორე შიშში საგმირო აღმაფრენას ეძებდა და თაყვანსა სცემდა. საშუალო საუკუნეში დედაკაცის მდგომარეობა მით უფრო სატანჯველი იყო, რომ ერთი მხრით მოითხოვდენ მისაგან: სავნებათტკბილო სინაზეს, მიმზიდველობის განვითარებას, რომ თავისებური პასიური სექსუალური ტემპერამენტის (женственность) გამოფენით უფრო მეტად გაეღვიძებინა აქტიური სექსუალური ტემპერამენტი (мужественность) მამაკაცებისა; და მეორეს მხრით, სასტიკად დევნიდნენ მათ, ამავე ქალურობის შედეგისათვის. რაც საჭირო იყო მეომრებისათვის, ის საზიანო იყო სამღვდელოებისთვის. ქალებს კი ერთიც და მეორეც უნდა დაეკმაყოფილებინა. როგორ უნდა მოეხერხებინათ ეს, თუ არა თვალთმაქცობით, ამას იმდროინდელი საზოგადოება არა ჰკითხულობდა. არავითარი სულიერი საზრდო, არავითარი გონებრივი წინსვლა ქალებისათვის, გარდა სექსუალური მიმზიდველობისა და ცოდვის მოსახდელად ლოცვა მარხულობისა.

მე-11 და მე-12 საუკუნეში ქრისტიანულმა მეომარმა საზოგადოებამ ქალებს კუდიანობა დასწამა და ათასობით ჩასწვეს ცეცხლში. თუ რომ ძველ დესპოტიურ სახელმწიფოში დედაკაცის ერთადერთ სკოლად ოჯახი ითვლებოდა, საშუალო საუკუნეში ასეთ სკოლად მონასტერი გახდა მისთვის და ისეც მხოლოდ მაღალი წოდების ქალებისთვის.

სიმხეცე და ცოდვის შენანება, აი, ორი სახელმძღვანელო მისწრაფება საშუალო საუკუნის ვაჟკაცისა. „მე ბედნიერი ვარ ძლიერი რაინდის ხილვით", ამბობს საშუალო საუკუნის მეომარი, „რომელიც მიისწრაფვის თავისი მეომარი ლაფშათი ომში. როცა თავზარდაცემული ხალხი და ჯოგი მირბის, როცა მათ ყვირილით მისდევს ჯარი, როცა ინგრევა

სიმაგრეები, როცა მინდორში გაშმაგებით მიმორბიან მოკლულ რაინდთა ცხენები, არც ძილი, არც საჭმელი და სასმელი არ მანუგეშებს მე ისე, როგორც სამხედრო საყვირი ორთავე მხრით: „წინ!" როცა დაბურულ ტყიდან მესმის მხედართ დაკარგულ ცხენთა ფრუტუნი, სადაც აქა-იქ წევს გაშლილი ცხედარი მეომრისა, რომელშიაც მოსჩანს ჩარჭობილი მახვილის ტარი".

ასეთს სიმხეცეს იმ დროინდელი ქრისტიანული საზოგადოება დიდს ღირსებათ სთვლიდა, რომელსაც უმაღლეს სიგმირეს ეძახდა და აი, ჩვენც ვხედავთ, თუ რამდენად თავმომწონეა მეომარი თავისი სიგმირით. ცხადია, ყველა ის, ვინც ასეთს სისასტიკეს არ გამოიჩენდა, დაჩაგრულს კლასს ეკუთვნოდა სასულიერო წოდების გამოკლებით და ყველაზე მეტად ჩაგრულნი, ამ შემთხვევაშიც, ქალები იყვნენ, რადგან მათ თავიანთ ბუნებრივი თვისებით ყველაზე ნაკლებად შეეძლოთ ასეთი სიგმირის გამოჩენა და მზგავსი სურათით კმაყოფილების მიღება. ყველა ზემოთქმულიდან, ჩვენ ნათლად ვხედავთ მიზეზს ქალთა დამონებისას, რომელშიც ის იმყოფება აღორძინების ეპოქამდე. აღორძინების ეპოქამ კი ოდნავ კარი გაუღო ქალთა სულშეხუთულს ცხოვრებას, მაგრამ მხოლოდ დიდათ წარჩინებულ ოჯახის ქალებს. ამ ხანებში შემოიღეს სასახლეებში ქალ-ვაჟთა ერთად სწავლა ჰუმანისტების ხელმძღვანელობით და აი, იმ დროს, ჩვენ ვხედავთ ქალებს, რომლებიც ღებულობენ მონაწილეობას ხელოვნებაში და მეცნიერებაში. ამ ხანებში, თითქმის მთელს ევროპაში თავს ამოყოფს პოეტი, ლინგვისტი, იურისტი და თეოლოგი ქალები, რომელთა მოვლენამ მორწმუნე ფანატიკოსები ერთობ აღაშფოთა.

მეორე მხრით, იმ დროინდელი საუკეთესო მოაზროვნე მამაკაცები, რომლებიც იყვნენ პირველი ჰუმანისტები, მოითხოვდენ ქალთა განთავისუფლებას და მათ სწორუფლიანობას, რომლებიც უერთებდენ თავიანთ პატიოსან ხმას იმ დროინდელს ქალთა მოძრაობის პიონერ ქალებს. რამდენათ თანაგრძნობით მიეგებებოდა ამ პირველს მერცხლებს იმ დროინდელი საზოგადოება, ამას ბევრად უფრო შემდეგი თაობის სულიერი ავლადიდება გვიჩვენებს, რომელსაც გადმოგვცემს დიდი რევოლუციის გმირი ქალი ქ-ნი როლანი[24]. ერთს მშვენიერს დღეს, ამბობს ქ-ნი როლანი, ბებიაჩემს აზრად მოუვიდა ქ-ნი ბუამორელის ნახვა. ერთი მისთვის, რომ ენახა იგი და მეორე მისთვის, რომ ეჩვენებინა თავისი შვილიშვილი. უფროსმა მოსამსახურემ მოახსენა მას ჩვენი მოსვლა და ჩვენც შევედით სასტუმროში. ქ-ნი ბუამორელი თავისი წლოვანებით და

24 მადამ როლანი (1754-1793) – ფრანგი რევოლუციონერი.

გარეგნობით ძრიელ წააგავდა ბებიაჩემს. ის იჯდა თავისი ფინიათი სავარძელში და დიდ-კაცური პოზით ქარგავდა. მას ისეთი მკაცრი გამოხედვა ჰქონდა, რომ თითეულს შეხედვაზე თავს მახრევინებდა.

– ჰა, გამარჯობა შენი მადმუაზელ როტისე, წამოიძახა ქალბატონმა ბუამორელმა და წამოიწია ჩვენს მიახლოვებაზე.

– M-elle?, გავიფიქრე გულში, როგორ ბებიაჩემი აქ გაქალიშვილდა?

– მართალი გითხრათ, ძრიელ მასიამოვნეთ თქვენი ნახვით. ეგ მშვენიერი ბავშვი თქვენი შვილიშვილია, არა? ჰო, ეგ ერთობ ლამაზი იქნება! მოდით, გაკოცოთ, საყვარელო ბავშვო! თქვენ, რასაკვირველია, მორწმუნე იქნებით!

– მე ვცდილობ შევასრულო ჩემი მოვალეობა!

– ძრიელ კარგი, თქვენ უთუოდ მონასტერში შეხვალთ, არა?

– მე ჯერ არ ვიცი რა ვიქნები და არც მიფიქრია ამ საგანზე.

– როგორი გონიერი პასუხია! M-elle როსიტე, თქვენი შვილიშვილი წიგნებს კითხულობს?

– მაგისთვის კითხვა დიდი კმაყოფილებაა. თითქმის სულ კითხვაში ატარებს თავის დროს.

– ჰო, ეს ძრიელ საშიშარია, უფრთხილდით, რომ არ გადაიქცეს სწავლულ ქალად, ეს ერთობ სამწუხარო იქნება.

თუ ამდენათ უფრთხოდენ ქალთა განათლებას მე-18 საუკუნის მიწურულში, ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი თანაგრძნობით შეხვდებოდენ სწავლულ ქალებს მე-15-მე-16 საუკუნის საზოგადოება; ლოცვა, ვედრება, აი, ერთადერთი განათლება ქალებისა, რომელსაც მათ მონასტერი აძლევდა და რომლიდანაც ქალების გამოსვლას ეგრე უფრთხოდენ.

მე-18 საუკუნის ფილოსოფოსთა გავლენით, როცა ინდივიდუალურმა სულმა დაიქრიალა, ფართო ნაწილი მოწინავე საზოგადოების ქალებისა თავისი სქესის მდგომარეობაზე ჩააფიქრა, თუმცა ქალთა უფლების სასარგებლოთ არც ერთ მათგანს სიტყვა არ დაუძრავს, გარდა რუსოსი[25] და ისიც მხოლოდ სიყვარულსა და დედობაზე ქადაგობდა, რომლის აზრით მშობლები კი არ უნდა ირჩევდენ თავიანთი ქალიშვილებისათვის ქმრებს, არამედ უკანასკნელის გული. ვოლტერი და მონტესკიე[26] სრულიად უარყოფდნენ ქალის შემოქმედებასა და სხეულის სილამაზის მეტს, მასში არასა ხედავდენ.

ამგვარად, მე-18 საუკუნის ფილოსოფოსნი საკაცობრიო საკითხის გადაწყვეტის დროს დედაკაცის პიროვნებას უარჰყოფდენ და არავითარ

25 ჟან-ჟაკ რუსო (1712-1778) – ფრანგი ფილოსოფოსი და განმანათლებელი.

26 შარლ ლუი დე მონტესკიე (1689-1755) – ფრანგი ფილოსოფოსი.

ანგარიშს არ უწევდენ იმ საკვირველს მოვლენას, რომ ქალებმა თავისი უკიდურეს მონობის დროს, ძველსა და საშუალო საუკუნეში, მრავალი შესანიშნავი ნიჭიერი პიროვნებანი წარმოშვეს, რომელთა მზგავსი მამრობით სქესს სოციალურ და ეროვნულ მონობის დროს იშვიათად გამოუჩენია.

დიდი რევოლუციის ადამიანისა და მოქალაქის უფლების დეკლარაციამ სამართლიანობის სახელით ქალებიც აალაპარაკა. ამ დროს სცენაზე გამოდის სიცოცხლით სავსე ოლიმპია დე გუჟი[27], რომელმაც გამოსცა „დეკლარაცია ქალთა უფლებისა". „ქალი დაბადებულია ისეთივე უფლებით, როგორიც მამაკაცი", ამბობდა იგი, „და მიზანი თითეული საკანონმდებლო საზოგადო ორგანოსა მდგომარეობს იმაში, რომ დაცული იყოს უფლება ორთავე სქესისა: თავისუფლება, პროგრესი და უშიშარი მდგომარეობა. ერი არის დედაკაცები და მამაკაცები ერთად და კანონმდებლობა უნდა იყოს გამომხატველი საერთო ქალ-ვაჟთა სურვილისა, რომლიდგანაც შესდგება ერი. ყველა მოქალაქეს, ქალია ის, თუ ვაჟი, თავისი უნარის მიხედვით ერთნაირად უნდა მიუწვდებოდეთ ხელი ყოველ გვარ თანამდებობაზე და ხელობაზე. მხოლოდ ნიჭი და ზნეობა უნდა გახდეს საზომარი მათი არჩევისა. თუ რომ ქალსა აქვს უფლება ავიდეს ეშაფოტზე, მასვე უნდა ეკუთვნოდეს ღირსება სახალხო ტრიბუნაზე ასვლისა".

რა პასუხი მისცეს „ძმობა, ერთობისა და თავისუფლებისთვის" მებრძოლმა მამაკაცებმა ქალებს? აი, ეს პასუხი: „ბუნებამ უთხრა ქალს დარჩი ქალად! შვილების აღზრდა, ოჯახზე ზრუნვა, საამური ინსტინკტი დედობისა – აი, სამეფო შენი შრომისა". ბ. შომეტმა[28] სთქვა: „ამისათვის მიმაჩნიხარ შენ ღვთაებათ ოჯახის ტაძარში, რა სიგიჟეა სურვილი ვაჟათ გადაქცევისა? თქვენ მეფობთ ჩვენს გრძნობას, კანონმდებელნი თქვენ ფეხთა ქვეშ არიან, თქვენი დესპოტიზმი ერთადერთია, რომელსაც ვერ იმორჩილებს ჩვენი ძალა, რადგან ეს სიყვარულის დესპოტიზმია. ბუნების სულისათვის, დარჩით მათ, რაცა ხართ და ნუ ეხარებით ჩვენს მდგომარეობას" იყო პასუხი „თანასწორობისათვის" მებრძოლ ორატორისა.

„დარჩით მათ, რაცა ხართ" ე.ი. დარჩით მონებათ და უვიცებათო, რომელშიაც ბ. შომეტის აზრით იხატებოდა ქალის ბუნებრივობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქალები სიგიჟეს დაამტკიცებდნენ მით, რომ ვაჟად გარდაქცევას მოინდომებდენ! რადგან მისი აზრით ბუნებას ცოდნა, თავისუფლება და ადამიანისა და მოქალაქის უფლება მხოლოდ მამა-

27 ოლიმპია დე გუჟი (1748-1793) – პოლიტიკური აქტივისტი და ფემინისტი საფრანგეთის რევოლუციის დროს.

28 პიერ გასპარ შომეტი (1763-1794) – ფრანგი რევოლუციონერი.

კაცებისთვის მიუნიჭებია. მოდით, ეხლა და ნუ დაუჯერებთ ქალები ასეთს ბრძენს რევოლუციონერს, რომელიც ყოველ ეპოქაში მოიპოვება. „კანონმდებელი თქვენ ფეხთ ქვეშ არიან", ეუბნებოდა ბ-ნი შომეტი უფლებისათვის მებრძოლ ქალებს, იმ ქალებს, რომლებსაც სურდათ გამოეყვანათ თავიანთი დები უვიცობიდან, ცრუმორწმუნეობიდან და მონობიდან და რომელშიაც მათი დაჭერა ბ-ნ შომეტს აგრე გულით სურდა, რომ მზად იყო ყველაფერი შეეწირა მისთვის, ან არ უფიქრდებოდა ამ სიტყვებს, რომელსაც ქალების გულის მოსარბილებლად ისროდა. თორემ, განა შესაძლებელია რაიმე სამართალი დაამყაროს იმ კანონმდებლობამ, რომლის გამომცემელთ სურთ უვიც, მონა, ფუქსავეტ ქალების ფეხქვეშ ყოფნა?!

ბ. შომეტის ქათინაურებმა ვერ დააცხრეს მებრძოლი გულისცემა მისი თანამედროვე ქალებისა. ამ ხანებში ქალთა კარჩაკეტილი ცხოვრება ირღვეოდა, რომლის გამო ღარიბ ხალხის შვილებს ოჯახის გარედ უხდებოდათ შრომა და მათი მდგომარეობა მით უფრო უმწეო იყო, რამდენათაც ისინი მოკლებული იყვნენ ცოდნასა და მოქალაქურ უფლებას. ქალებს მფარველად გამოუჩნდა ფილოსოფოსნი. ქალებმა დააარსეს თავიანთი კლუბები, ჟურნალ-გაზეთები, დაიწყეს პეტიციების გზავნა როგორც მეფესთან, ისე კონვენტთან. „თქვენ, რომლებმაც გააუქმეთ ყველა პრივილეგია, გააუქმეთ თანაც პრივილეგია მამრობით სქესისა!" სწერდენ ქალები კონვენტს. კონვენტი თითქმის თანაგრძნობით მიეგება მათ, შეიმუშავა კოდექსი, სადაც ცოლსა და ქმარს თანასწორ პირობებში აყენებდა, გამოსთქვა სურვილი ერთგვარი სკოლების გახსნისა ორთავე სქესისათვის, მაგრამ ტერორის გაძლიერებამ და იმ ექსცესებმა, რომელიც წარმოშვა დიდმა რევოლუციამ, ეს კეთილი განზრახვა უკუაგდებინა მათ და რაც ტერორმა დააკლო, ის ნაპოლეონის სისხლიანმა ხელმა გაანიავა.

და, ვინ იცის, დღევანდელის რუსეთის დემოკრატიის უთანხმოებით, რა ბედი ეწევა დროებითი მთავრობის მიერ აღიარებულ ქალთა სწორუფლიანობას, თუ რომ ქალები თავისი ენერგიით არ შეუდგენ თავიანთ ქმრების და ძმების შეთანხმებების გზაზე გამოყვანას. რომ ქალებსა აქვს გავლენა თავიანთ მახლობელ მამაკაცებზე, ეს უდაო ფაქტია და ეს გავლენა ქალებმა დღეს ერთიორად უნდა გამოიჩინონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ის დესპოტი, რომელიც საერთო არევ-დარევით ისარგებლებს, ყველაზე მეტად ქალების უფლებას დააზიანებს ისე, როგორც ეს ჩაიდინა ათასი უდანაშაულო მსხვერპლთა ცხედრებზე ამხედრებულმა ნაპოლეონ პირველმა, რომელმაც დაიდგა თავზე გვირგვინი თუ არა, თავის საბრძანებელში თავისი გემოვნების კოდექსი გამოსცა, რომელსაც

დღესაც არ დაკარგვია ძალა საფრანგეთში ქალთა უფლების მიმართ. ამ კოდექსს სახელად ნაპოლეონის კოდექსი ეწოდება, რომელიც სავალდებულო საგნათ ითვლება იურიდიულ ფაკულტეტზე მთელს მხარეში. ამ კოდექსში, სხვათაშორის, სწერია: „თუმცა კანონი და სამართალი ღებულობს სხვადასხვა სისტემას ცოლ-ქმართა ქონებრივ დამოკიდებულებაში, მაგრამ, როგორიც უნდა იყოს ეგ სისტემა, იქნება ეს საერთო ქონება, თუ გაყოფილი ქონება, ცოლს მაინც ნება არა აქვს ქმრის გარეშე მისი განკარგულებისა". ქმარი არის ოჯახის თავი, რომელსაც ცოლი უნდა ემორჩილებოდეს. ღალატისათვის ცოლი დაისჯება 2 წლამდე ციხეში დაპატიმრებით, მაშინ, როდესაც ასეთი დანაშაულობისათვის ქმარი არავითარ სასჯელს არ იხდის. სიქვრივის დროს დედის უფლება გადადის აპეკუნზე, რომელსაც ირჩევს ქმარი, ანუ ოჯახის თათბირი, შემდგარი ქმრის ნათესავებიდან. აკრძალულია მამის ძებნა. ყოველი ბავშვი დაბადებული ქორწინების გარეშე ითვლება უმამოთ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მამა თვითვე არ მოისურვებს შვილის ცნობას. მამაკაცი, რომელიც ქალწულს შეაცდენს, არავითარ ვალდებულებას არ ღებულობს არც დედის, არც შვილის წინაშე. დაპირება ჯვარის წერისა, თუნდაც წერილობითი საბუთით, არაფერს არ ავალებთ მათ. ერთად ცხოვრება კიდევ არ ამტკიცებს შვილის გაჩენას.

ასეთი იყო სამართალი დიდი მოლაშქრისა, რომლის ბრძანებლობის დროს ქალთა მოძრაობა თავის პირველ ნაბიჯში საფრანგეთში მეხდაკრული გახდა. თუ რა მტრული თვალით უცქერდა ნაპოლეონი განვითარებულსა და მაღალ ნიჭიერ ქალებს, ამის მაჩვენებელია მისი განწყობილება ქ-ნ დე სტალთან[29].

ნაპოლეონის გაძევების შემდეგ ქალთა მოძრაობა ისევ ფეხზე დგება. 1830 წლის ივლისის რევოლუციის დროს არსდება გაზეთები ქალთა მეთაურობით. ამ ხანებში მათ მოსარჩლედ გამოდის დიდი ფილოსოფოსი სენ-სიმონი[30]. 1848 წელს კონსიდერანს[31] შეაქვს პარლამენტში წინადადება და მოითხოვს ქალთა არჩევით უფლებას, მაგრამ სხვადასხვა ამბოხებამ და ზოოლოგიურმა ბრძოლამ, ქალთა უფლებების მოსარჩლენი აქაც დაამარცხა.

ამ ხანებში ქალებს მოსარჩლეებთან ერთად, მოწინააღმდეგეებიც უჩნდებათ. მათზე იერიში მიაქვს უმადურს მოწაფეს სენ-სიმონისას, ოგ. კონტს,

29 მადამ დე სტალი (1766-1817) – ფრანგი მწერალი.

30 ანრი სენ-სიმონი (1760-1825) – ფრანგი ფილოსოფოსი, უტოპიური სოციალიზმის სკოლის დამაარსებელი.

31 ვიქტორ კონსიდერანი (1808-1893) – ფრანგი უტოპიური სოციალისტი.

რომლის პოზიტიურმა ფილოსოფიამ თანდათანობით გავლენა მოიპოვა მთელს ევროპაში და რამდენათ დღევანდელი საფრანგეთის რესპუბლიკა აჩქარებით გახდა მოწყობილი, იმდენათ ბევრი შერჩა მას ძველი მონარქიული ჩვეულებანი, რომლის 47 წლის არსებობას დღესაც არ გაუქვრია მონარქიული, ანტიფემინისტური სული საფრანგეთში და მის სატახტო ქალაქში.

მხოლოდ, როდესაც, თვით ოჯახში ცოლ-ქმართა შუა აზრთა სხვადასხვა სახით უთანხმოება ჩამოვარდა, ქალთა განათლების სასარგებლოთ თვით მამაკაცების მიერ საკითხი აღიძრა. აქ სცენაზე გამოდიან კარნო, ჟულფერი, ბრონა[32] და სხვანი, რომელნიც აცხადებდნენ: „მონასტრის სკოლებიდან ჩვენი ქალები გამოდიან სრულიად უვიცნი და თანაც მე-12 საუკუნის შეხედულობით ცხოვრებაზე, რომელიც თავისებურ გავლენას ახდენს შვილებზეო". ისინი იმდენად ქალთა უფლების საკითხზე არ იყვნენ დაინტერესებული, რამდენათ იმ წარმოდგენით და შიშით, რომ მორწმუნე ქალთა გავლენით კვლავ არ აღმდგარიყო მონარქია და ხელიდან არ გავარდნოდათ ქვეყნის მართვა-გამგეობა. 1880 წელს დაამტკიცეს კანონი ქალთა სამი ტიპის სკოლის დასაარსებლად. პირველ დაწყებითი სკოლა, საშვალო სკოლა – ქალთა კოლეჟი და სამასწავლებლო სემინარია. ამასთან ერთად, მათ გაუღეს უნივერსიტეტის კარებიც, რომელთაც ფრანგი ქალები იმდენათ ეტანებიან, რამდენათაც იქაური საზოგადოება და ოჯახი ხელს უწყობს ქალთა უმაღლეს განათლებას. ფრანგ უნივერსიტეტში, არსებული ომის დაწყებამდე, უფრო მეტი წილი უცხოელი ქალები იყვნენ მსმენელნი, ვიდრე ადგილობრივი და ეს მისთვის ხდებოდა ეგრე, რომ, მიუხედავად ოთხი რევოლუციისა, ძველი ჩვეულება და ტრადიციები იქ ქალთა მიმართ არაფრით არ შეცვლილა.

ამგვარად, თავისუფლებისთვის მებრძოლმა საფრანგეთის მესამე წოდებამ დედაკაცები ყოველგვარ მოქალაქურ და პოლიტიკურ უფლების გარეთ დასტოვა, რომელიც არეულობის დროს გამოიჩინეს ფრანგებმა.

მე აქ არ გამოუდგები ყველა იმ სიმხეცის აღწერას, რაც ხდებოდა პარიზის ქუჩებში სხვადასხვა რევოლუციის დროს. ვიტყვი მხოლოდ, რომ „ძმობა, ერთობის და თავისუფლების" მქადაგებელები თვითვე გახდნენ უსასტიკეს ტირანებათ, რომელთა წყალობით ბრალიანი და უბრალო ასობით იგზავნებოდა გილიოტინაზე.

ჰო, რა სასტიკი იყო თქვენი ბედი, რომელსაც კაცმოყვარეობის და ჭეშმარიტების მაძიებელთ შეგასვათ ამდენი სისხლი, გულმტკივნეულად ამბობს ჟორესი დიდი რევოლიუციის გმირებზე. (იხ. ისტორია სოციალიზმისა.)

---

32 ფრანგი რევოლუციონერები.

ბრბოს სიმხეცეს ხომ მთლად საზღვარი არა ჰქონდა. მათ გაამართლეს ლათინური ანდაზა, რომელიც ამბობს homo homini lupus. მაგალითისთვის მოვიყვან შემთხვევას პრინცესა ლამბალისას.

– თქვენი სახელი? – ეკითხება მას რევოლუციონერი მსაჯული.

– მარიამ ლუიზა, პრინცესა სავოიისა.

– რა იცით სასახლის შეთქმულობაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა 10 აგვისტოს?

– არსებობდა თუ არა ეგ შეთქმულობა, მე არ ვიცი, მაგრამ მე ვიცი მხოლოდ, რომ არავითარი წარმოდგენა არ მქონია მასზე.

– მიიღეთ ფიცი თავისუფლების, ერთობისა და ძმობის წინაშე, როს თქვენ გეზიზღებათ დედოფალი, მეფე და მისი მმართველობა – უთხრა თავმჯდომარემ.

– მე თავს ვიხრი პირველის წინაშე, მაგრამ მე არ შემიძლია შემოგფიცოთ მეორეზე, რადგან ეს იქნება წინააღმდეგი ჩემი რწმენისა.

– გაანთავისუფლეთ ქალბატონი, სიმბოლურად გამოაცხადა მსაჯულმა, რაიც ნიშნავდა მის სასიკვდილოდ წაყვანას.

ეს საბრალო ქალი ჯერ ერთმა იქვე მდგარმა „რაინდმა" ხმლით თვალზევით დასჭრა, შემდეგ გულშეწუხებულს მოკიდეს მკლავში აქეთ-იქეთ ხელი და ქუჩა-ქუჩა მკვდრებზე ატარეს. ამ სურათის დანახვაზე ერთი ვიღაც დაიყვირებს:

– გაწითლდით სირცხვილისგან უბედურნო! მოიგონეთ, რომ თქვენცა გყავთ დედები და დები! ერთი წუთის მერე ბრბომ ეს კაცი ლუკმა-ლუკმა აქცია.

როცა ტარებით მოღალდენ, ამ ქალს თავი მოსჭრეს და სანამ ტანს სისხლი სდიოდა, სიცილ-ხარხარით ამ სისხლში ხელის ბანა დაიწყეს. შემდეგ ამოჭრეს ძუძუები, გაუჭრეს მუცელი, ამოიღეს წელები, რომელიც ერთმა მათგანმა ყელზე შემოიხვია, მეორემ გული ამოსჭრა და უკბინა.

თუ რა სასტიკათ მოექცა ფრანგი ბურჟუა დამარცხებულ კომუნარებს, ამას უკანასკნელის ისტორია გვაუწყებს. ციხეები ავსებული იყო სხვადასხვა წრის ქალებით, რომლებსაც გაუპატიურების შემდეგ გილიოტინაზე აგზავნიდნენ. საერთო არეულობით ქალი და ვაჟი რევოლუციურმა ნევროზმა იმ დონემდე გაიტაცა, რომ სრულიად გაამხეცა. რევოლიუცია, რომელიც ასეთს ბარბაროსულს ფორმას ღებულობს, წარმომშობია უფრო მეტი რეგრესისა, ვიდრე პროგრესისა და გამოვიდა თუ არა საფრანგეთის მესამე წოდება გამარჯვებული, ამდენი სისხლის ღვრიდან მას ყოველი სულიერი იდეალი შემოეცალა და თავის უმაღლეს მიზნათ ოქრო და ვნებით ტკბილობა დაისახა. რევოლიუციის დროს შურისძიების

სადიზმი პარიზელებისა, მშვიდობიან დროს საავხორცო სადიზმათ იქცა და საფრანგეთის ბურჟუაზიამ ქალთა ემანსიპაციის ნაცვლად პროსტიტუციის ემანსიპაცია აღიარა და განამტკიცა. ამგვარად, რევოლიუციის დროს გაღვიძებული მხეცური ინსტინკტი მშვიდობიან დროს ლირწებათ გადაიქცა, რომელმაც ფუფუნება-სიღატაკის ზრდასთან ერთად გამოიწვია ის უცნაური ექსცესები, რომლითაც ეგრე მდიდარია პარიზი და რომელსაც, ამ მხრივ, სამართლიანად, თანამედროვე ბაბილონს ეძახიან. ამ ნიადაგზე აქ პირველად ამოყობს მთვრალი მუზა დეკადენტებისა ხელოვნებაში და პოეზიაში. მათ, ნათელი წმინდა აზრის ნაცვლად, შეიტანეს ბოდვა ტლანქი ეროტიული სიზმრებისა. და რამდენათ მოქალაქისა და ადამიანის უფლების დამცველნი, სხვა პოლიტიკურად დაჩაგრული ქვეყნებისათვის ტონის მიმცემი გახდენ, იმდენათ ყველაფერში მიბაძეს პარიზელებს და მათი ცუდი და კარგი თვისებები სხვა ქვეყნებშიც გადავიდა, რომლებმაც ევროპიელ ქალთა მონობას თუ ხელი არ შეუწყო, არ შეუშალა.

მართალია, ფრანგ ქალებში არ ჩამქრალა სწორუფლიანობისადმი მისწრაფება, მათ აქვთ თავიანთი კავშირები და სხვა, მაგრამ ინგლისელ, ამერიკელ ქალებთან შედარებით, დღესაც ისინი ერთობ დაბლა სდგანან და ვინ იცის, რა ცვლილებას შეიტანს მათს ცხოვრებაში დღევანდელი ევროპიული ომი, რომელმაც მათ ამდენი მწუხარება მიაყენა.

სულ სხვაა მდგომარეობა ამერიკელ ქალისა. სამშობლოდან დევნილი ევროპიელი ემიგრანტები, მომეტებულ წილათ ინგლისელები, აქ ახალ ნიადაგზე აჩაღებენ ცხოვრებას. მხოლოდ რამდენადაც სრულიად ვერ გათავისუფლდნენ ისენი ძველი სამშობლოს გავლენიდან, ჩრდილოამერიკელ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას საძირკვლად ინგლისელი ადათური სამართალი დაედვა და ქალი აქაც პოლიტიკურ უფლების გარედ დარჩა. სამაგიეროთ, აქ სოციალური მდგომარეობა დედაკაცებისა გაცილებით მამაკაცებზე მაღლა იდგა, ცოლი ოჯახში და საზოგადოთ, ქალი საზოგადოებაში ამერიკაში წარმოადგენს ისეთს პატივსაცემ არსებას, რომლის წინაშე მამაკაცი ერთობ თავაზიანად უნდა იქცეოდეს. ოჯახშია ქალი, ქუჩაში, შეკრებილობაში, თუ მატარებელში, მას იქაური მამაკაცები უკეთეს ადგილს უთმობენ. ამერიკელი ქმრის მოვალეობას შეადგენს მოაწყოს ოჯახური ცხოვრება თავისი ცოლის სურვილისამებრ და არა თავისი ნებისამებრ, როგორც ეს მიღებულია ევროპასა და აზიაში. ამერიკელ ქალში თავის თანასწორ პიროვნებასა ხედავს, რომელსაც ესაუბრება არა ქათინაურებით, როგორც ეს სჩვევიათ ევროპიელთ, არამედ დიდი მორიდებული კილოთი. შეურაცყოფილ ქალიშვილებს იქ

ესარჩლება როგორც საზოგადოება, ისე სამართალი. მას შეუძლია მოსთხოვოს მაცდუნებლს არა მხოლოდ სარჩო თავის ბავშვისთვის, არამედ გადაახდევინოს შეძლებისდაგვარი ჯარიმა, თვით ჯვარის წერის დაპირების დარღვევისთვის.

მაგრამ ასეთი მაღალი სოციალური მდგომარეობით, ამერიკელი ქალები სრულიად არ შერიგებიან პოლიტიკურ უუფლებობას. ჯერ კიდევ 1776 წელს, როცა კონტინენტალურს კონგრესს კონსტიტუციის შესახებ თათბირი ჰქონდა, შეერთებული შტატების პირველს პრეზიდენტს თავისი ცოლი შემდეგი შინაარსის წერილსა სწერდა: „თუ რომ მომავალი კონსტიტუცია ჯეროვან ყურადღებას არ მიაქცევს ქალთა უფლებრივ საკითხს, ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს მოვახდინოთ არეულობა და არავითარ ვალდებულად არ გავხდით თავს დავემორჩილოთ იმ კანონებს, რომელიც ჩვენ ინტერესებს არ დაიცავსო“ (Современное положение женщин в Европе и Америке, Б. Брить.) და მათ გაამართლეს კიდეც ეს მუქარა მით, რომ შექმნეს ისეთი დიდი მოძრაობა, რომლის წინაშე ქალთა უფლების მტერს თავი უნდა მოეხარათ. დღეს მათთვის ხელმისაწვდომია როგორც ყოველგვარი სწავლა-განათლება, ისე ყოველგვარი თანამდებობა. იქ არსებობს საყოველთაო ქალ-ვაჟთა პირველ დაწყებითი სკოლა. იქ შეხვდებით სხვადასხვა თანამდებობების ქალებს, მასწავლებელთ, ექიმთ, ვექილთ, მსაჯულთ, პროფესორებს, მღვდლებს, უნივერსიტეტის რექტორებს, ბანკის დირექტორებს და მრავალ სამრეწველო ფირმათა გამგეთ. ერთი ამერიკელის გამოკვლევით, მთელი ამერიკის მილიონების ერთი მეათედი ქალების ხელშია.

ამერიკელი ქალები დღემდე კიდევ განაგრძობენ ბრძოლას აქტიური და პასიური ხმის მიღებისათვის და ზოგიერთ შტატებში მიიღეს კიდეც, რომლის საყოველთაოდ მიღებისთვის ესენი თავგამოდებით იბრძვიან. ამ მიზნით მათ აქვთ ურიცხვი კავშირები და პროფესიონალური ორგანიზაციები, მრავალი ჟურნალ-გაზეთები, საკუთარი ფაბრიკები, აგებული კოოპერატიულ პრინციპზე და სხვა.

ქალები შედიან მამაკაც მუშათა პროფესიონალურ კავშირებში და სადაც ასეთი კავშირები აქვთ მუშა ქალ-ვაჟს, თავის დევიზად აცხადებენ: „ერთნაირი შრომა და ერთნაირი ხელფასი“. ასეთ კავშირთა წევრებს შრომის რაინდებს ეძახიან, რომლებიც მოითხოვენ ქალ-ვაჟთა თანასწორობას ქვეყნის მართვა-გამგეობაში. ჩვენ არ გამოუდგებით ინგლისელ ქალთა მოძრაობის აღწერას, რადგან მათ შესახებ უკვე რამოდენიმე წერილი იყო დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში.

თუ ასეთს წინააღმდეგობას ხვდებოდა ქალთა მოძრაობა ევროპა-ამერიკაში, სულ სხვა ბედი ეწვია მას ახალ ზელანდიაში, მაგრამ ამაზე შემდეგ[33].

ხუთი ათას პროსტიტუტკებში, რომელთანაც მქონდა შემთხვევა მიზეზის გამოკითხვისა, ამბობს პარიზელი ექიმი პირან დუ-შატლე,1440-ს მათგანს პირდაპირი გაჭირვებისა გამო მოუკიდნიათ ხელი ამ სამარცხვნო ხელობისთვის. 1250 უპატრონო ობლები ყოფილა, 80-ს მშობლების სარჩენათ. 140 საყვარლებისგან მიტოვებულნი. 400 ჯარისკაცთაგან და აფიცრებისგან მოტყუებით პარიზში გატაცებული და იქ უსახსროთ დარჩენილნი. 280 ფეხმძიმობის დროს საქმროთაგან მიტოვებულნი. უკანონო შობილთა და ბავშვთა მკვლელობა ყოველ წლობით 17 000 აღემატება პარიზში. ამგვარად, უუფლებო დედაკაცები თანამედროვე ევროპაში მამაკაცების სქესობრივი სიამოვნების მსხვერპლი ხდებიან. ფუფუნებისა და სიღატაკის ზრდამ მოხუცი და ახალგაზრდა, მდიდარი და ღარიბი ერთნაირად გარყვნა სქესობრივათ, რომლის გამო ზნეობრივათ იხრწნება თანამედროვე როგორც ოჯახი, ისე საზოგადოება. ბავშვთა გახრწნა, ამ ბოლო დროს, საშინლათ გავრცელებულია, ამბობს ბებელი, („დედაკაცი და სოციალიზმი".) აღნიშნულს დანაშაულობისათვის გერმანიაში 1902 წელს დაისაჯა 58 სული. 1907 წელს – 72. იტალიაში ზნეობის წინააღმდეგ დანაშაულებათა რიცხვი იყო: 1887 წ. – 4590 ანუ ასი ათას მცხოვრებზე 19,44. 1903 წელს – 8461 – 25,67. ასეთი მოვლენა ემჩნევა ავსტრიასაც.

თუ რამდენად მძვინვარებს ვენერიული სნეულება თანამედროვე საზოგადოებაში, ამაზე მედიცინის ავტორიტეტნი საკმარის ფაქტებს გვაწვდიან. ექიმი ბლაშკოს გამოკვლევით ბერლინში ყოველ წლობით მეხუთედი ნაწილი იქაური ახალგაზრდა მამაკაცებისა დასნეულებულია სუსუნატით და 2/4 სიფილისით. ეს ავადმყოფობა ყველაზე მეტად გავრცელებულია ჯარში და მეზღვაურებში. საგარყვნილო ინსტიტუტის წყალობით 80% მამაკაცებისა ამ სენით დასნეულებულია, რომლებიც ღუპავენ თავიანთ ტანმრთელობას და თავიანთ ცოლშვილისას. რამდენად დღევანდელი ცოლქმრობა უბედურ ნიადაგზე დგას, ამის მაჩვენებელია რიცხვი ცოლ-ქმართა გაყრისა, რომელიც დღითი დღე მატულობს მთელს ევროპაში. 1884 წელს, ამბობს ბრანდტი, ბერლინში გათიშული იყო 754 შეუღლება და ამ რიცხვში 238 ღალატისათვის, 210 განზრახ მიტოვებული, 36 გალახვისათვის, 34 შეშლილობისა გამო, 9 ავადმყოფობის მიზეზით, 17 მძიმე შეურაცხყოფისათვის. ბელგიაში ცოლ-ქმართა გაყრის რიცხვმა იმდენად იმატა, რომ თვით ვექილები კითხულობენ ამის საწინააღმდეგო კონფერანსებს.

---

33 გაზეთის „ხმა ქართველი ქალისა" 1917 წლის 28-ე ნომერი, სადაც სტატიის შესაბამისი ნანილი დაიბეჭდა, შემორჩენილი არ არის.

1917 წელს ბრიუსელში მე თვით დავესწარი ერთი ვექილის მოხსენებას, რომელიც აღნიშნავდა განსაცვიფრებელს ზრდას გათიშვის რიცხვისას და ურჩევდა ხალხს მეტს მოთმენასა და შეგუებას შვილთა საკეთილდღეოდ და ეს რჩევა მოთმენისა, რასაკვირველია, ქალებისადმი იყო მომართული, რადგან, უმეტეს შემთხვევაში, გაყრის მიზეზი არის ქმრის ცუდი ყოფა-ქცევა და ამ მხრივ საჩივარი ქალების უფრო მეტია. ყველა ეს ხდება მისთვის, რომ დღევანდელი შეუღლება დამყარებულია მომეტებულ წილად ვაჭრულ ანგარიშზე და არა სიყვარულზე. მათ აერთებთ მხოლოდ ოქრო, ნივთიერი ქონების რაოდენობა და არა ნლოვანებისა. ხნით, ხასიათით და ჯანსაღობით შეუფერებელთა ანგარული კავშირი არის ჩვეულებრივი მოვლენა თანამედროვე შეუღლებისა. ცხადია, ასეთი ოჯახი ვერ იქნება წარმომშობი საღი და შემოქმედი თაობისა და ვერც ვხედავთ მას. არსებული საერთაშორისო ქაოსი და სისხლის ღვრა აშკარათ გვიჩვენებს შემოქმედებით ძალთა სისუსტეს დღევანდელი ევროპიელთა თაობისას.

თანამედროვე დედაკაცის სულიერი „მე" როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაში განიცდის ჯოჯოხეთურ ტანჯვას. კაპიტალისტური ცხოვრების განვითარებამ და მისგან წარმოშობილმა თავისუფალმა კონკურენციამ ადამიანში ჩაკლა სურვილი სუბიექტური სიმდიდრის შეძენისა და მდიდარი და ღარიბი და მოხუცი და ახალგაზრდა ნივთიერ შეძენისა და გარეგნული ძლევამოსილების მისწრაფებით აღჭურვა, რომლის გამო გაჩაღდა ერთი მხრით, უცნაური ეგოიზმი და პირადი სიამტკბილობის ძიება და მეორე მხრით, უკიდურესი პატივმოყვარეობა. „ყოველი მისწრაფება დღევანდელი ადამიანისა", ამბობს დიდი მწერალი ქალი პოლონელი ოჟეჩკო[34], „ნივთიერი შეძენილობის თვალსაზრისით იზომება და ფული და გაღმერთებულ ოქროს ტაძრის წინაშე საერთო ცეკვაა, რომლის გამო შეიარაღებულია თითეული ერთი მეორის საწინააღმდეგოთ. ამხანაგურ განწყობილებაში – სიცბიერე და ღალატი, სოციალურ დამოკიდებულობაში – ფუფუნება და ექსპლოატაცია, საერთაშორისო დამოკიდებულობაში – თოფ-ზარბაზნებით შეიარაღებული მილიონობით ჯარი ერთი მეორეს ამოსაწყვეტათ. არასოდეს კაცობრიობას არ ჰქონია გულზე იმდენი მუწუკები და პირზე იმდენი ჩივილი, როგორც ჩვენ დროში" ამბობს ეგ დიდებული ქალი. აი, შედეგი იმ თავისუფალი კონკურენციისა, რომელმაც ყოველ დარგში და ყოველ სფეროში შეიტანა ჯიბრი და წარმოშვა როგორც ეკონომიკური, ისე გონებრივი ანარქია. ბურჟუაზიულმა მეცნიერებამ ეგ შეჯიბრება თვით სიცოცხლის დედააზრად აქცია, რომელმაც ჩუმი და ცხადი ბრძოლა კაცთა შორის არ-

34 ელიზა ოჟეჩკო – პოლონელი მწერალი მე-20 საუკუნის დასაწყისში.

სებობის მიზნათ დაისახა და ამ ბრძოლაში გამარჯვებულთ სახელად მან უფრო მოხერხებული დაირქვა, რომელსაც ამ სოფლად სამეჯლიშო სუფრა გაუშლია. დამარცხებულთ კი მოუხერხებელი უწოდა, რომელთაც შიმშილით სიკვდილი მიუსაჯა ევოლიუციის პროგრესის ბრძანებელი მოთხოვნილებისა სახელით.

ამგვარად, უვიცობით გაღვიძებულმა სიმხეცემ ადამიანში თანდათანი შეგნებული ხასიათი მიიღო, რომელიც თანამედროვე მეცნიერებამ თავისებური საბუთებით დააკანონა და დღეს ბურჟუაზიული მეცნიერები სრულიად გულცივად და გაბედულად გვიცხადებენ კაცთა შორის სისხლის ღვრის მუდმივობას, რადგან, მათი აზრით, ბრძოლა წარმოადგენს ცხოველთა ძირითად თვისებებს, რომ ყველა ძალნი ბუნებისა ურთიერთ შორის განუწყვეტელ ბრძოლაშია ახალი და უფრო უნაკლულო ძალთა წარმოსაშობათ. კაცობრიობა, როგორც მისი ნაწილი, ამავე კანონს ემორჩილება, რომლის გამო ომიანობაც მუდმივ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს. ამისათვის, ისე როგორც კლასთა შორის, ისე ერთა შორის ბუნებრივ თვისებას წარმოადგენს არა რწმენა და ძმური სიყვარული, არამედ ურთიერთ შიში და უნდობლობა. ყველა ის ფილოსოფოსები და მორალისტები, რომელნიც ომიანობას უარსა ჰყოფენ და ხალხთა შორის ძმობა-ერთობას ქადაგებენ, მათი აზრით, უბრალო მეოცნებე, უტოპისტები არიან, რომელთაც დაკარგული აქვთ საღი მეცნიერული მოსაზრება.

ასეთია ეთიკა თანამედროვე გაბატონებულ მამაკაცების მეცნიერებისა, რომელმაც დაიმორჩილა საზოგადო აზრი და კაცთა გულში ყოველი სიბრალული და სათნოება აღმოფხვრა, რომლის შედეგი მთელი თავისი სისასტიკით თვალწინ გადაგვიშალა დღევანდელმა უმაგალითო ომმა. აი, ნაყოფი ისტორიულად განვითარებული მილიტარიზმისა, რომელიც წარმოშვა ერთი სქესის აგრე ხანგრძლივათ ბატონობამ მსოფლიოში. მიუხედავად სხვადასხვა დიპლომატიური მასლაათობისა, დღეს ჩვენ ვხედავთ სრულს სიკოტრეს თანამედროვე პოლიტიკისას, საერთაშორისო სამართლისას და სისასტიკეს სამხედრო ხელოვნებისას. რომ შევადაროთ თანამედროვე ჰარიელთა დღევანდელი მოქმედება უძველეს ჰარიელთა სამხედრო უწყების დადგენილობას, ჩვენ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ზნეობრივი მხრით პირველს დიდად უკან დაუწევიათ. „არ მოკლა არც ერთი მტერი, რომელიც ემალებოდეს მაღლობს. არც ერთი მათგანი, რომელიც მოითხოვდეს შებრალებას, ან იარაღის აყრას. არც ერთი გაქცეული, არც ერთი დამჯდარი, არც ერთი მათგანი, ვინც დაიძახებს: „„მე შენი ტყვე ვარ“. არ მოკლა მძინარე არც ომის გარეშე მდგარი მაყურებელი, არ მოკლა ხმალგადატეხილი მტერი! მოიგონე მოვალეობა

მხედრისა, რომელსაც თანასწორი იარაღით ბრძოლას ავალებს კანონი" (იხ. Человекъ и Земля, Реклю).

ასეთს სამხედრო კანონებს ამუშავებდა ის უძველესი საზოგადოება, რომელიც კარჩაკეტილს ცხოვრებას ეწეოდა. ჩვენ დროში კი, როცა საერთაშორისო მიმოსვლამ ელვის სისწრაფით იმატა, როცა დღევანდელს ადამიანს შეუძლია თავის მსოფლიოს მოქალაქეთ ჩათვალოს, როცა ერთა შორის სავაჭრობა-მრეწველობამდე, დღეს ეგ ერთი მეორეს ნაცნობი ხალხი ურთიერთ ამოსაყლეტად უსასტიკეს საშუალებას ხმარობენ და სრულიად გულცივად და მოფიქრებულად. რამდენია დღეს თითეულ მეომარ სახელმწიფოში ისეთი ჯარისკაცი, ისეთი აფიცერი, რომელსაც ტყვიით გაეგმიროს უიარაღო მტერი, რომელსაც მისთვის დაეყვიროს „მე შენი ტყვე ვარ!" და როგორ ექცევიან უიარაღო და უდანაშაულო მცხოვრებლებს შესეული, თუ გამოქცეულნი დღევანდელნი ჯარისკაცნი, ამას დღევანდელი გაზეთები გვაუწყებენ!

მეოცე საუკუნის მამაკაცთა სანაქებო ცივილიზაციამ მხოლოდ ფორმა შეუცვალა პირველყოფილი ადამიანის სიმხეცეს მაშინ, როდესაც არსებითაც უფრო გაასასტიკა და გაამედიდურა იგი. თანამედროვე მეცნიერები გვიმტკიცებენ, რომ პატივმოყვარეობა უფრო მეტად უკულტურო ველურ ხალხში არსებობს, ვიდრე კულტურულ, ცივილიზაციურ ხალხშიო.

ესეც ერთგვარი სიცბიერე და დაჩემებაა სულიერი უბრალოებისა, რომელსაც ჩვენ, დღევანდელს კულტურულ მამაკაცებში ვერსად ვერ ვხედავთ. რომელი ველურის პატივმოყვარეობა უნდა შეედაროს, მაგალითად, ლ. ტოლსტოის „ომი და ზავის" გმირ ანდრია ბალკონსკის პატივმოყვარეობას, რომელიც ამბობს: „მე არავის წინაშე არასოდეს არ ვიტყოდი ამას, მაგრამ, ღმერთო ჩემო! რა ვქნა, რომ მე არაფერი არ მიყვარს ისე, როგორიც სახელის მოხვეჭა, ხალხის მოწონება. როგორი ძვირფასი არ არიან ჩემთვის დედა, მამა, ცოლი, მე მათ ყველას გავსწირავდი ერთი წუთის დიდებაზე ხალხზე სადღესასწაულოთ. იმ ხალხის სიყვარულის მოსაპოვებლად, რომელსაც მე არ ვიცნობ და არც არასოდეს მეცნობაო".

ველურის პატივმოყვარეობას ერთი რომელიმე გარეული ნადირის მოშინაურება სრულიად დააკმაყოფილებს, ან რომელიმე ზიზილ-პიპილას ჩამოკიდება, დღევანდელი იმპერიალისტებისას კი მილიარდი ეწირება. ცხადია, პატივმოყვარეობას იწვევს სულიერი ფუქსავატობა, მაგრამ ისეც ცხადია, რომ თანამედროვე კულტურული კაცის სული ველურზე არანაკლებ გამოფიტულია. მხოლოდ სხვა მიზეზით. ველური უვიცობით და დღევანდელი კულტურული ადამიანი კი თავისი განუსაზღვრელი ეგოიზმით და ვნებათა აშვებულობით და თუ ველური თავის გულუბრყვილობით ამ თვისებას ვერ

ფარავს და აშკარად იჩენს, დღევანდელი კულტურული მამაკაცი გულუბრყვილობას დიდად დაშორებულია, განსაკუთრებით ევროპიელები, რომლებიც ცხვარის ტყავში გახვეული მგლების გულით მიმოდიან ცხოვრების მოედანზე.

ჩვენ საკმარისად დავინახეთ, თუ როგორ ფიზიკურ და ზნეობრივ გახრწნილობამდე მიიყვანა თანამედროვე ოჯახი და საზოგადოება ერთი სქესის უპასუხისმგებლო ბატონობამ. ისტორიულად ცნობილი ფაქტია, რომ ის ეპოქა, რომელიც უფრო მდიდარია ავხორცობით, მდიდარია აგრეთვე სისასტიკით, რადგან ეგ ორი ვნება ერთიმეორეს განუყრელი თანამგზავრია.

ადვილად წარმოსადგენია ვის უფრო დასჩაგრავდა ის ეპოქა: დედაკაცს, ამ ხანებში ფიზიკურად დასუსტებულს და იურიდიულად უფლება აყრილს არსებას, თუ მამაკაცს – ღონიერსა და პიროვნული თავისუფლებითა და მოქალაქური უფლებით აღჭურვილს? რასაკვირველია, პირველს! და ყველაზე მეტად იმ ღარიბ, მარტოხელა ქალს, რომელიც ასეთს უთანასწორო პირობებში ვერ უმკლავდება საარსებო ბრძოლაში უფლებიან მამაკაცის კონკურენციას. განა, ბევრი შესძლებს ისეთი სიგმირის გამოჩენას, რომ გადალახოს ცხოვრების ათასნაირი უკუღმართობანი და ის დაბრკოლება, რომელიც მას ხელოვნურად წინ ელობება? ძრიელ ცოტა!

და აი, ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ გაჭირვებაში ჩავარდნილი ქალები ბიწიერებას მსხვერპლად ეწირება, რომელშიაც ერთხელ ჩავარდნილს არავინ ხელის გამწოდებელი და პატიოსანს გზაზე ამომყვანი არ უჩნდება. როდესაც დიდმა ბრიტანიამ და საერთაშორისო ფედერაციის განყოფილებამ გამსბურგში 1899 წელს მოაწყო პროსტიტუტკების შეკითხვა – განაგრძნობდნენ ესენი თუ არა გარყვნილებას, სხვანაირად რომ შესძლებოდეთ თავის რჩენა? შემდეგი პასუხი მიიღო მათგან: „რა საქმე უნდა ვიშოვნო, როდესაც ყველას ვეზიზღები?“ მეორე სწერდა: „საავადმყოფოში ყოფნის დროს ყველას ვევედრებოდი შველას“. მესამე სწერდა, რომ მას „დედობილის“ 700 მარკა მართებს და სანამ ამ ვალს არ გადაიხდის, მას არცერთი სახლის პატრონი სახლში არ შეუშვებს! და სხვა. ჩვენმა გაზეთის მკითხველმა უწყის, თუ როგორ სასტიკათ უჭირავს გარყვნილებას თავის გამხრწნელს ბრჭყალებში თეთრი მონები საპოლიციო საექიმო ზედამხედველობისა და პროსტიტუციის რეგლამენტაციის წყალობით.

ერთი სიტყვით, ქალთა ზნეობრივად დასაღუპათ ყოველგვარი ცხადი და ფარული ნიადაგია მომზადებული თანამედროვე საზოგადოებაში, მაგრამ არავითარი პირობები მისი ადამიანური პიროვნების და შემოქმედებითობის განვითარებისთვის. ბიწიერებასა და სიგარყვნილეს კი დედაკაცისთვის განსაკუთრებით ვნება მოაქვს მით, რომ დედაკაცის სქესობრივი გრძნობი-

ერება დაკავშირებულია ტვინის აზროვნების ნაწილთან, მაშინ, როდესაც მამაკაცის იგივე გრძნობიერება ტვინის პოლიგონალურს ნაწილში დევს, ე.ი. არა აზროვნების სფეროში და თუ ასეთი კავშირი ვნებისა აზროვნების ნაწილთან სასარგებლოა დედაკაცისთვის მით, რომ მას შეუძლია ვნებათა ლტოლვის შეკავება მამაკაცზე მეტად, სამაგიეროდ აეხორცობას მამაკაცისთვის ინტელექტუალურად იმდენი ზიანი არ მოაქვს, რამდენიც დედაკაცისთვის, რადგან განუწყვეტელი ვნებათა აშლილობა და ხელოვნურად გაღიზიანებული ვნებითი გრძნობიერება ფლობს დიდი ტვინის ნაწილს, აჩლუნგებს მის ნიჭს აზროვნებისას, რომელსაც მიყავს ქალი გონებრივ და სულიერ გამოთაყვანებამდე. ამის მაგალითს ჩვენ ვხედავთ როგორც უმაღლესი წრის კურტიზანკებში, ისე პროსტიტუტკებში, განსაკუთრებით მათში, ვინაც ფიზიკურად მომწიფებამდე შესდგომია ამ დამღუპველს გზას.

ამ საშინელს მოვლენას კაცობრიობისთვის, რამდენათაც დედრობითი სქესის ინტელექტუალური სიჩლუნგე, მასაც სიჩლუნგეს უქადის, „დედის უწმინდეს მოვალეობის" მყვირალნი ანტიფემინისტები არათუ ყურადღებას არ აქცევენ, არამედ პროსტიტუციის იდეოლოგებათაც გამოდიან და გვარწმუნებენ, რომ როსკიპობა არის ბუნებრივი მდგომარეობა დედაკაცისა და რომ სცდებიან ის სოციოლოგები, რომელნიც მას ეკონომიური მიზეზით ხსნიანო. საყოველთაო ზნედაცემულობამ მიიყვანა მამაკაცების უმრავლესობა იმ დასკვნამდე ყველა ქვეყნებში, რომ ქალების ერთი ნაწილი უნდა იყოს მუქთი, უპიროვნო მოსამსახურენი თავიანთი ქმრებისა და მეორე ნაწილი კი შეწირული საზოგადო ტემპერამენტის მსხვერპლად. ცხადია, ასეთს მდგომარეობას თავისი სქესისას და ძალმომრეობას კანონმდებელ მამაკაცებისას გულგრილათ ვერ გადახედავდენ უკეთესი მოაზროვნე ნაწილი დედაკაცებისა და აი, იფეთქა კიდეც აღშფოთებულმა თავმოყვარეობამ ჩრდილოეთ ამერიკის და დიდი ბრიტანიის მოწინავე ქალებისამ, რომელთა მოძრაობის გასროლილი, ძლიერი ტალღა მთელს მსოფლიოში გაიტყორცნა და თითქმის, დღეს ყველგან, ოდნავ კულტურულ ქვეყნებში, ქალები თავის ადამიანური უფლებისა და პიროვნების დასაცველათ აამხედრა.

აი, მიზეზი ქალთა მოძრაობისა, რომლის მიზანია დაიცვას თავისი სქესი იმ გახრწნისაგან და გონებრივი გადაგვარებისგან, საითკენაც ასე ურცხვად და ტლანქათ ისვრიან ხოლმე გაჭირვებაში მყოფ ქალებს უზნეო ეგოიზმით დაბრმავებული ნაწილი მამაკაცებისა.

რჩევა და დაპირება დღევანდელი სოციალისტებისა, რომ ქალები განთავისუფლდებიან სოციალიზმში, პროლეტარიატის განთავისუფლებასთან ერთად, ჩვენ თვალში ამართლებს იმ ანდაზას, რომელიც ამბობს „პეტრეს

მოსვლამდე პაელეს ტყავი გააძვრესო“ და ამისთვის ვდგამთ რა დამოუკიდებელს ნაბიჯს, ჩვენ განვაგრძობთ ჩვენი უკეთეს შორეული დების არჩეულ გზაზე სვლას. იმედია, რომ ქალები განთავისუფლდებიან პროლეტარიატის დიქტატურის დროს. კიდევ შესაძლებელი იქნებოდა გვქონოდა, რომ პროლეტარი ქალ-ვაჟი ერთნაირ პირობებში დაგვენახა დღეს უფლებრივათ. დღევანდელი ქალთა მონობით სარგებლობს არა ერთი რომელიმე კლასი მამაკაცებისა, არამედ ყველა კლასის მამაკაცების უმრავლესობა ერთნაირათ. ჩვენ ვერსად ვერ ვნახეთ ისეთი გლეხი და მუშა, რომელსაც უერყოს თავისი უფლებრივი პრივილეგია მამისა და მემკვიდრისა თავიანთი დებისა და ცოლის წინაშე. თეთრი მონებით სარგებლობენ არა მარტო ბურჟუები, აგრეთვე თვით ქალთა „განმათავისუფლებელი“ პროლეტარიატი და მშრომელ გლეხთა შვილები, ჯარისკაცნი. ქალთა უპიროვნო ცხოვრება და მოქალაქური უუფლებობა იმდენათ მწვავეა ყოველი შეგნებული დედაკაცისთვის, რომ ჩვენ ვფიქრობთ, მისი სიმწარე ოდნავ მაინც რომ ხვდებოდეს მამაკაცის გულს, თანამედროვე სოციალისტები ასეთ რჩევასაც არ მოგვცემდენ, რომ სოციალიზმის განხორციელებამდე მონების უღელი მოთმინებით სწიეთო. უფლებრივ საკითხში ქალებსა გვაქვს საერთო ინტერესი და სანამ ქალ-ვაჟთა პოლიტიკური და მოქალაქური უფლება არ იქნება თანასწორად სწორუფლებიანი, მანამ არ იქნება შესაძლო ამ საერთო ინტერესის უარისყოფა და ქალთა მოძრაობის ამა თუ იმ პარტიულ სიაში მოთავსება.

საერთო ბრძოლამ ქალებისამ გასტეხა ინგლისის პარლამენტის კარები, რომელსაც იქაური მთავრობა აგრე შეუპოვრად ურაზავდა ქალებს და გახადა ისენი სწორუფლიანი და საერთო მოძრაობა მოგვანიჭებს ჩვენც ადამიანისა და მოქალაქის უფლებას, თუ რომ ქართველი და რუსის ქალები უუფლებოთ დაგვტოვა მამაკაცების დამფუძნებელმა კრებამ ახლო მომავალში.

ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ თანდათანობით დაამონა დედაკაცის პიროვნება მილიტარიზმის განვითარებამ. ქალთა სწორუფლიანობის განმტკიცების დროს თავისუფალი მოქალაქე დედრობითი სქესი პირველ თავის ძალას და უფლებას გამოიჩენს ამ ბარბაროსული სახელმწიფოებრივი ფუნქციის აღმოსაფხვრელად, რომელსაც მისგან ნაშობი კაცობრიობა მსხვერპლათ ეწირება. მილიტარიზმმა დაამონა დედაკაცი და თავის განთავისუფლებასთან ერთად დედაკაცი მოსპობს მას, რომელმაც ამდენი სიმხეცე და ბოროტება შემოიტანა და დასთესა კაცთა ცხოვრებაში. თავისი ხანგრძლივი ტანჯვის სამაგიეროთ, ამ სიკეთით გარდაუხდიან მამაკაცებს უფლებიანი ქალები.



შიო მღვიმელის იუბილე, ქუთაისი, 1916 წ.

სხვადასხვა
"ხმა ქართველი ქალისა"

№1, აპრილი, 1917

ქალთა კლუბის წესდება

1. ქალთა კლუბის მიზანია მოიღოს ყოველი საშვალება ქალთა პოლიტიკურ და მოქალაქობრივ უფლების განსამტკიცებლად და ყოველი ზომები რევოლუციონურ პარტიებთან ერთად კონტრრევოლუციის მოსაგერებლად.

2. კლუბის წევრებათ ირიცხება ყველა მომხრენი ქალთა სწორუფლიანობისა ერთი წევრის რეკომენდაციით, არანაკლებ ჩვიდმეტი წლისა. მამაკაცებში მიიღებიან წევრათ ის პირნი, რომლის მიღების წინააღმდეგ არ აღმოჩნდება სამი ხმა.

3. კლუბის გამგეობა ბარდება თხუთმეტ წევრს, ამორჩეულთ დამფუძნებულ კრების მიერ, განურჩევლად სქესთა.

4. კლუბის აღმასრულებელი ბიუროს, ანუ კომიტეტის მოვალეობას შეადგენს ბინის მონახვა, პროპაგანდისტების გზავნა სოფლად და ქალაქებში ქალთა სწორუფლიანობის საჭიროების ხალხში შესატანათ, ლექციების მოწყობა, საზოგადო კრების მიერ დადგენილების სისრულეში მოყვანა, გამგეობა კლუბის შემოსავლისა, ზრუნვა კლუბის შემოსავლის გადიდებაზე და საამისო საშუალების გამონახვა, ბეჭდვითი ორგანოს განმტკიცება, მოწვევა საზოგადო კრებისა და წლიური ანგარიშის და კლუბის მოქმედების მოხსენება საზოგადო კრების წინაშე.

5. აღმასრულებელ ბიუროს კრება მოხდება საჭიროების მიხედვით, არანაკლებ თითო კვირის განმავლობაში, თუ მოისურვებენ და მიიწვევენ კერძო ბინაზედაც.

6. საერთო წევრთა კრებას კლუბის აღმასრულებელი ბიურო იწვევს ყოველს კვირას, სადაც წაიკითხება მოხსენებანი, თუ რა გააკეთეს კვირიდან კვირამდე კომიტეტის წევრებმა. იქვე წაიკითხება ლექციები და რეფერატები.

7. კლუბი დააარსებს საკუთარ ბეჭდვით ორგანოს, სადაც დაცული იქნება საკითხი ქალთა სწორუფლიანობისა ყოველი პარტიული მიმართულების გარეშე.

8. სარედაქციო კოლეგია არჩეული იქნება აღმასრულებელ ბიუროს წევრთა შორის არანაკლებ ხუთი კაცისა. ქალთა კლუბის წევრები იყოფა სამ ნაწილად: ნამდვილი წევრები, საპატიო წევრები და თანამშრომელნი. ნამდვილი წევრი იხდის წლიურად არანაკლებ ორ მანეთისა. დამფუძნებელნი კლუბისა ყველა ნამდვილ წევრებად ითვლებიან. საპატიო

წევრათ ითვლებიან ის პირნი, არჩეულნი საზოგადო კრების მიერ, რომლებმაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუტანეს კლუბს. თანამშრომლად, ანუ დამხმარე წევრებად ირიცხებიან ის პირნი, რომელნიც იხდიან წელიწადში არანაკლებ სამ მანეთისა.

კლუბის აღმასრულებელ ბიუროში შედის 1) თავმჯდომარე, 2) მისი თანაშემწე, 3) ხაზინადარი. მდივანი და მათი კანდიდატები არჩეულნი არიან საზოგადო კრების მიერ ერთი წლის ვადით. თავმჯდომარის ავადმყოფობისა, ან ქალაქიდან გასვლის დროს მის ადგილს იჭერს მისი თანაშემწე; და თუ ესეც არ იმყოფება, ბიუროს ეძლევა ნება ამოირჩიოს თავისი წრიდან დროებითი თავმჯდომარე. მდივანი განაგებს კლუბის მოქმედების წერას, ადგენს ოქმებს ბიუროს ბჭობისა და საზოგადო კრებისას. კრეფს ბიუროდან გასულ ქაღალდებს და წლიურ ანგარიშებს კლუბის მოქმედებისას.

ხაზინადარი ღებულობს კლუბის შემოსავალს ნივთით თუ ფულით, აწარმოებს ბიუროს მიერ დადგენილს განკარგულებას თავმჯდომარისას, ახდენს ფულის ოპერაციებს. შეაქვს ყველაფერი ანგარიში გასავალ-შემოსავლიან წიგნში და ადგენს წლიურ ანგარიშს. კლუბის შემოსავალია: საწევრო ფული, შემოწირულება, კლუბის მიერ გამართული წარმოდგენები, საღამოები, ბაზრები, ლექციები და სხვა.

თითეულ კლუბის წევრს უფლება აქვს სიტყვიერად ან წერილით შემოიტანონ თავიანთი აზრი კლუბის სასარგებლოთ, რასაც დაინახავენ.

8. სარევიზიო კომისია. სარევიზიო კომისიის უფლებაში შედის შეამოწმოს ჯამი შემოსავლისა, წიგნები, დოკუმენტები კლუბისა და მისი წლიური შემოსავალი. სარევიზიო კომისიაში შედის: წევრნი, რომელიც არჩევენ ერთმანეთს შორის თავმჯდომარეს და მდივანი. მდივნის მოვალეობაა მთელი ბიუროს საქმეების წარმოება. სარევიზიო კომისია იკრიბება ყოველ საჭიროების დროს, არანაკლებ 8 თვის განმავლობაში.

№ 6, მაისი, 1917

ქუთაისის საერთო ქალთა პოლიტიკური კლუბის პროგრამა

1) ვლებულობთ რა მხედველობაში, დედრობითი სქესის უუფლებო მდგომარეობით გამოწვეულს დამღუპველ მოვლენას, როგორც ოჯახისთვის, ისე საზოგადოებისთვის და მოდგმისათვის, ქუთაისის საერთო ქალთა პოლიტიკური კლუბი თავის მიზნათ ისახავს ორთავე სქესის პიროვნულად სრულს გათანასწორებას კანონისა და სამართლის წინაშე. ქალთა პოლიტიკური და მოქალაქური უფლების აღსადგენათ და ამ უფლების პრაქტიკულ ცხოვრებაში გასატარებლათ ქუთაისის ქალთა კლუბი უკეთეს საშვალებათ რიცხავს თანამოაზრეთა ორგანიზაციულ შეერთებას.

2) ქალი არის ისეთივე გონიერი და გრძნობიერი არსება, როგორც მამაკაცი და უნდა სარგებლობდეს ადამიანის სრული უფლებითაც.

3) ვლებულობთ რა მხედველობაში, დღევანდელს ისტორიული მომენტის სიდიადეს, ჩვენ რევოლუციონერ პარტიებთან ერთად, მხარს ვუჭერთ ისეთს პოლიტიკური წეს-წყობილების ფორმას, რომელიც უფრო მეტად უზრუნველსა ჰყოფს ადამიანის პიროვნულს თავისუფლებასა და მის მოქალაქობრივ უფლებას. ისეთი მმართველობის ფორმათ კი მიგვაჩნია მხოლოდ დემოკრატიული რესპუბლიკა. ამისთვის, დამფუძნებელ კრების არჩევნებში ჩვენ მთელი ენერგიით მოვითხოვთ დაცვას და განმტკიცებას დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველობისას საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და დაფარული კენჭის ყრის უფლებით განურჩევლად სქესისა.

4) თითეული ნორმალური სრული წლოვანი ადამიანი მცხოვრები რომელიმე სახელმწიფოში ხანგრძლივათ, რომლიდანაც მოითხოვენ კანონის წინაშე მორჩილებას, უნდა სარგებლობდეს ხმის უფლებით.

5) მოვითხოვთ, რომ ქალებს მიენიჭოს იგივე ხმა არჩევნებში და იყოს არჩეული ისევე, როგორც საკანონმდებლო კრებაზე, ისე პროვინციალურ და სათემო მმართველობაში, როგორც ყოველივე მოქალაქე მამაკაცი, რომელიც რაიმე ბოროტმოქმედებისთვის, ან სნეულებით არ არის უფლება აყრილი.

6) მოვითხოვთ, რომ თითეულმა არსებულმა პარტიამ, რომლებიც გამოდიან სამართლიანობის, თანასწორობის და პროგრესის დამცველად, თავის დროშაზე დააწეროს „თანასწორობა წინაშე სამართლისა, განურჩევლად სქესთა“ და დაიცვას ასეთი თანასწორობა ისეთივე სურვილითა და ენერგიით, როგორც სხვა რომელიმე მათ მიერ წამოყენებული საჭირო მოთხოვნილება.

7) მოვითხოვთ ყველა იმ პარტიებიდან, რომლებიც აღიარებენ არჩევანთა უფლებას, განურჩევლად სქესთა, რომ თითეული მათგანის საარჩევნო სიაში შეტანილი იყოს თავიანთ პარტიულ ამხანაგ მამაკაცის სახელთან ერთად ამხანაგ ქალის სახელიც.

8) მოვითხოვთ მომავალ დამფუძნებელ კრებაზე კონსტიტუციის შემუშავებაში ქალებიც ღებულობდენ მამკაცებთან თანასწორ მონაწილეობას.

9) ვღებულობთ რა მხედველობაში, რომ ყოველივე საპატიო და სასარგებლო თანამდებობის მიღების იმედი არის საუკეთესო სტიმული ადამიანის განმანათლებელ გზაზე დადგომისა, რადგან შეუძლებელია ცოდნის წყურვილის აღძრა და შეძენილი ცოდნის გამოყენება, თუ რომ ადამიანს არა აქვს სრული უფლება მისი მოხმარებისა, მოვითხოვთ თითეული ქალვაჟის თანაბრათ ხელის მიწდომას ყოველგვარი სამოქალაქო და ოფიციალურ თანამდებობაზე, შესაფერად მათი მომზადებისა.

10) ვღებულობთ რა მხედველობაში, აშკარა უსამართლობას, რომელსაც იწვევს სქესთა პიროვნული უთანასწორობა კანონისა და სამართლის წინაშე, მოვითხოვთ ხელახლა გადახედვას როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სასამართლო კანონებისას და გაუქმებას მამრობითი სქესის პრივილეგიისას და სქესთა სასჯელის სხვადასხვაობას ერთსა და იმავე დანაშაულზე.

11) ვღებულობთ რა მხედველობაში, პროსტიტუციის საშინელს გავლენას ოჯახისა და საზოგადოებისთვის, რომელსაც მიჰყავს ერი და კაცობრიობა გადაგვარებამდე, მოვითხოვთ ამ სამარცხვინო ინტიტუტის რეგლამენტაციის გაუქმებას.

12) ვღებულობთ რა მხედველობაში, ერთი სქესის გარყვნილი ცხოვრების უპასუხისმგებლობის სიავეს, როცა მეორე სქესს ასეთი ცხოვრებისათვის უსასტიკეს პირობებში აყენებენ, დაუყოვნებლივ მოვითხოვთ პროსტიტუტ ქალთა ძალდატანებითი შემოწმების მოსპობას.

13) მოვითხოვთ, რომ გაუქმებული იყოს მემკვიდრეობითი პრივილეგია, რომ ქალსა და ვაჟს ერთნაირი წილი ედვას მემკვიდრეობით ქონებაზე.

14) მოვითხოვთ ცოლ-ქმართა თანასწორ უფლებას შვილებზე და თავიანთ შინაურ ცხოვრებაზე.

15) მოვითხოვთ ერთნაირ აღზრდა-განათლებას ორთავე სქესისათვის, როგორც დაწყებით სკოლებში, ისე საშვალო და უმაღლეს სასწავლებლებში.

16) მოვითხვოთ თანასწორ ხელფასსა და ჯამაგირს ორთავე სქესისათვის ერთსა და იმავე შრომაში და თანასწორ მონაწილეობას სარგებელში და ჯილდოში ყოველგვარ საწარმოო საქმეში.

17) მოვითხოვთ თანასწორ მონაწილეობას ადმინისტრაციაში და კანონმდებლობაში, როგორც სამუნიციპალიტეტო, ისე სახელმწიფო და საერო მმართველობაში საკანონმდებლო კრებებით, სასამართლოებითა და აღმასრულებელი თანამდებობით.

მოუწოდებთ რა, ერთობისაკენ ქალებს, განურჩევლად ეროვნებისა, ეკონომიური კატეგორიისა და პარტიულ მიმართულებისა, თავიანთი სპეციალური დედაკაცის ინტერესის დასაცველად და მათი ადამიანური უფლების აღსადგენათ, ჩვენ არ ვივიწყებთ მნიშვნელობას კლასთა ბრძოლისასაც, როგორც უკანასკნელის არსებობამ არ უნდა დაგვავიწყოს უფლებრივი ბრძოლა სქესთა შორის არსებული.

ამისთვის, ვაცხადებთ პროლეტარ ქალთა საყურადღებოდ, რომ ქალთა პოლიტიკური და მოქალაქური უფლების აღსადგენათ და განსამტკიცებლათ, თავი მოიყარონ საერთო ქალთა ორგანიზაციაში და ეკონომიკურ ნიადაგზე ატეხილ ბრძოლაში კი იმოქმედონ თავიანთ ძმებთან ერთად, შესაფერად მათი კლასობრივი ინტერესისა.

ჩვენ ვთხოვთ მუშა ქალებს გაიგონ ის, რომ სანამ დედაკაცები უფლებრივათ მამაკაცების ქვეშევრდომები იქნებიან, მანამ არცერთი მოწინააღმდეგე კლასთა დედაკაცები არ წარმოადგენენ ერთმანეთისათვის ფაქტიურად შეურიგებელს მტრებს, რომელსაც არ ესმოდეთ ერთმანეთის ადამიანური პიროვნებისა და ღირსების დამცირება და თუ საერთო გაჭივრების დროს, იქნება ეს გაჭივრება ეროვნული, თუ პოლიტიკური ხასიათისა, შესაძლოა სხვადასხვა კლასთა შეერთება საერთო უბედურობის მოსაგერებლათ, რომლის მაგალითს დღეს გვიჩვენებს რუსეთის რევოლიუციის ფხიზელ ბელადთა მოქმედება და ჩვენ წინ გადაშლილი არსებული ომი, მით უფრო შესაძლებელი და მისაღებია საერთო დედრობითი სქესის დამცირებული ცხოვრების გამო სხვადასხვა ეკონომიური კატეგორიის ქალთა შეერთება იმ სამარცხვინო მონური ჯაჭვის გასაწყვეტათ, რომელიც საუკუნეობით შემოუხვევია მათთვის მამრობითი სქესის ძალმომრეობას, რომელიც ერთნაირად ხუთავს მათს პიროვნულს და ინდივიდუალურს განვითარებას და რომლითაც აგრე შეუნანებლათ სარგებლობს სხვადასხვა ეკონომიური კატეგორიის მამაკაცების უმრავლესობა.

ჩვენ ღრმათა გვწამს, რომ მხოლოთ საერთო ორგანიზაციული ქალთა ბრძოლა, უფლებრივ ნიადაგზე ატეხილი, ბოლოს მოუღებს სქესთა ბატონყმობას და მთელი ჩვენი მისწრაფებით მოუწოდებთ ჩვენს დაჩაგრულს დებს ერთობისაკენ თავიანთი ადამიანური პიროვნების აღსადგენათ.

15 იანვარი, 1918

პროგრამა ქუთაისის ინტერპარტიული ქალთა ლიგისა

ინტერპარტიული ქალთა ლიგის პროგრამა

ვღებულობთ რა მხედველობაში, დღევანდელი ისტორიული მომენტის სიდიადეს და საშიშროებას, რომელიც ემუქრება საერთო თავისუფლებას და კერძოთ, ჩვენს ეროვნულ არსებობას იმ არევ-დარევით, რომელიც გამოიწვია ზოოლოგიურმა ბრძოლამ სამოქალაქო ომის სახით, ერთ-ერთ წყაროთ მოსალოდნელი უბედურობის თავიდან ასაცთენათ, როგორც ჩვენი სამშობლოსთვის, ისე მთელი რუსეთის სახელმწიფოსთვის, მიგვაჩნია დამფუძნებელი კრების მოწვევა, რომელიც განამტკიცებს რევოლიუციის მიერ წამოყენებულ პრინციპებს. ამისათვის, მოვითხოვთ ისეთი მართველობის ფორმას, რომელშიაც დაცული იქნება ხალხის სუვერენიული უფლება ორთავე სქესის საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და დაფარული ხმის მიცემით.

ინტერპარტიული ქალთა ლიგა კონსტიტუციის შემუშავების დროს დამფუძნებელი კრებიდან მოვითხოვთ შემდეგს:

1) ვინაიდან თითეული ნორმალური სრულწლოვანი ადამიანი მცხოვრები რომელიმე სახელმწიფოში ხანგრძლივათ, რომლიდანაც კანონის წინაშე მოითხოვენ მორჩილობას, უნდა სარგებლობდეს ხმის უფლებითაც ამა თუ იმ კანონის გამოცემაში. ამისათვის, მოვითხოვთ ორთავე სქესის აქტიური თუ პასიური ხმის უფლების დაკანონებას, რომ ქალებს მიენიჭოს იგივე ხმა არჩევნებში და იყოს არჩეული, როგორც საკანონმდებლო კრებაზე, ისე პროვინციალურ და სათემო მართველობაში, როგორც ყოველივე მოქალაქე მამაკაცი, რომელიც რაიმე ბოროტმოქმედებით, ან ბუნებრივი ნაკლით არ არის უფლება აყრილი.

2) მოვითხოვთ დამფუძნებელ კრებაში ქალთა წარმომადგენელთა დაშვებას, რათა ქალებს საშვალება ექმნეს თავის სპეციალური დედაკაცური ინტერესის დაცვისა.

3) მოვითხოვოთ, რომ მუშა ქალებს მიენიჭოს უშუამავლო ხმა თავისი ინტერესების დასაცველად.

4) ვღებულობთ რა მხედველობაში, რომ ყოველი საპატიო და სასარგებლო შრომისა და თანამდებობის მიღების იმედი არის საუკეთესო სტიმული ადამიანში შრომისმოყვარეობისა და ცოდნის წყურვილის აღძვრისა, რადგან შეუძლებელია შრომის უნარისა და ცოდნის სურვილის

აღძვრა, თუ რომ ადამიანს არ აქვს სრული უფლება მისი მოხმარებისა, მოვითხოვთ, რომ თითოეულს ქალ-ვაჟს თანაბრად მიუწვდებოდეს ხელი ყოველგვარს პროფესიონალურ შრომაზე და სამოქალაქო და ოფიციალურ თანამდებობაზე შესაფერად მათი მომზადებისა.

5) მოვითხოვთ ერთნაირ აღზრდა-განათლებას ორთავე სქესისათვის, როგორც დაწყებით, ისე საშვალო და უმაღლეს სასწავლებელში.

6) მოვითხოვთ თანასწორ შრომას, ხელფასსა და ჯამაგირს ორთავე სქესისათვის ერთსა და იმავე შრომაში და თანასწორ მონაწილეობას სარგებელში და ჯილდოში ყოველგვარ თანამდებობაზე და წარმოებაზე.

7) მოვითხოვთ თანასწორ მონაწილეობას ადმინისტრაციაში, როგორც სამუნიციპალიტეტო, ისე სახელმწიფო და საერობო მმართველობაში საკანონმდებლო კრებებით, სასამართლოებით და აღმასრულებელი თანამდებობებით.

8) მოვითხოვთ კანონის ძალის მფარველობას ყოველი ფორმის ქალთა შრომაზე და შემოღებას ქალთა ინსპექციისა.

9) მოვითხოვთ იმავე წილს მშრომელ ქალთათვის, რა წილიც მიენიჭება მშრომელ მამაკაცს მომავალ სამეურნეო რეფორმებში.

10) მოვითხოვთ ცოლ-ქმართა თანასწორ უფლებას ოჯახურ ცხოვრებაში და აღდგენას დედის უფლების პრივილეგიისას შვილებზე.

11) მოვითხოვთ გაუქმებას ყოველგვარ პრივილეგიისას მამრობითი სქესისას კანონისა და სამართლის წინაშე და ხელახლა გადახედვას სამოქალაქო სისხლის კანონებისას.

12) ვღებულობთ რა მხედველობაში, პროსტიტუციის საზარელს გავლენას ოჯახისა და საზოგადოებისათვის, ზნეობის ტანმრთელობისათვის, რომელსაც მიყავს ერი და კაცობრიობა გადაგვარებამდე, მოვითხოვთ ამ სამარცხვინო ინსტიტუტის რეგლამენტაციის დაუყოვნებლივ გაუქმებას.

13) ვღებულობთ რა მხედველობაში, ერთი სქესის უზნეო ცხოვრების უპასუხისმგებლობის სიავეს, როცა მეორე სქესს ასეთი ცხოვრებისათვის უსასტიკეს პირობებში აყენებენ, დაუყოვნებლივ მოვითხოვთ პროსტიტუტ ქალთა ძალდატანებით შემოწმების მოსპობას და გაუქმებას საექიმო პოლიციურ ზედამხედველობისას პროსტიტუტ ქალებზე. მოხსნან ისეთი ზედამხედველობა მხოლოდ ერთ სქესზე, როცა მეორე სრული თავისუფლებით ავრცელებს ვენერიული სენის საწამლავს, ამცირებს მხოლოდ დედრობითი სქესის ადამიანურს ღირსებას და სხვა დადებით შედეგს ვერას აღწევს.

ჩვენ, ვცნობთ რა ზემოაღნიშნულ მოთხოვნილებათა დაცვას, ერთნაირათ საჭიროთ ყველა ქალებისთვის და მოუწოდებთ რა ერთობისაკენ

ქალთა მასას თავიანთი სპეციალური დედაკაცური ინტერესის დასაცველად და ქალთა ადამიანური უფლების აღსადგენათ, ჩვენ არ ვივიწყებთ მნიშვნელობას კლასთა ბრძოლისას, როგორც უკანასკნელის არსებობამ არ უნდა დაგვავიწყოს უფლებრივი ბრძოლა სქესთა შორის არსებული.

ამისთვის, ვაცხადებთ პროლეტარ ქალთა საყურადღებოთ, რომ ქალთა პოლიტიკურ და მოქალაქური უფლების აღსადგენათ და განსამტკიცებლათ თავი მოიყარონ საერთო ქალთა ორგანიზაციაში და ეკონომიკურ ნიადაგზე ატეხილ ბრძოლაში კი იმოქმედონ თავიანთ ძმებთან ერთად, შესაფერათ მათი კლასობრივი ინტერესისა.

ჩვენ ვთხოვთ მუშა ქალებს, გაიგონ, რომ სანამ დედაკაცები უფლებრივად მამაკაცების ქვეშევრდომნი იქნებიან, მანამდე არცერთი მოწინააღმდეგე კლასთა დედაკაცები არ წარმოადგენენ ერთმანეთისთვის ფაქტიურად შეურიგებელს მტერს, რომელთაც არ ესმოდეთ ერთი მეორის ადამიანური პიროვნებისა და ღირსების დამცირებისა.

თუ რომ საერთო გაჭირვების დროს, იქნება გაჭირვება ეროვნული, თუ პოლიტიკური ხასიათისა, შესაძლებელია სხვა და სხვა კლასთა მამაკაცების საერთო მოქმედება, რაც დაგვანახა არსებულმა მსოფლიო ომმა, მით უფრო შესაძლებელი და მისაღებია საერთო მდედრობითი სქესის დამცირებული და დაჩაგრული მდგომარეობისა გამო სხვა და სხვა ეკონომიკური კატეგორიის ქალთა სოლიდარული მოქმედება იმ სამარცხვინო მონური ჯაჭვის გასაწყვეტად, რომელიც საუკუნობით შემოუხვევია მათთვის მამრობითი სქესის ძალმომრეობას და რომლითაც აგრე შეუნანებლად სარგებლობს სხვადასხვა ეკონომიკური კატეგორიის მამაკაცთა უმრავლესობა.

ჩვენ ღრმათა გვრწამს, რომ მხოლოდ საერთო ქალთა ბრძოლა, უფლებრივ ნიადაგზე ატეხილი, ბოლოს მოუღებს სქესთა ბატონყმობას და მთელი ჩვენი ენერგიით მოუწოდებთ ქალებს ერთობისაკენ ამ საერთო მსხვრევისა და შენების დროს, თავიანთი ადამიანური პიროვნებისა და უფლების აღსადგენათ.

ინტერპარტიული ქალთა ლიგა

№1, აპრილი, 1917

რედაქციისგან

თუ რომ საუბრის დროს საჭიროა ერთისათვის მეორე ადამიანის ვინაობის ცნობა, მით უფრო საჭიროა საზოგადოებისათვის გაგება ყოველივე ახლათ გამოსულ ბეჭდვითი ორგანოს მიმართულებისა. ამისათვის, ვაცხადებთ საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ჩვენი გაზეთი სდგას ყოველ პარტიულ მიმართულების გარეშე და თვალყურს ადევნებს არსებული პარტიების ნაკლსა და ღირსებას და სცდილობს მათ შორის ატეხილს უთანხმოებაში, ერთი რომელი შემაერთებელი ძაფის გამონახვას და გაბმას. ვიცავთ რა, ასეთს უპარტიო პრინციპს, ეს იმას კიდევ არ ნიშნავს, რომ ჩვენ გარკვეული შეხედულობა არ გვქონდეს ცხოვრებაზე და მისგან წამოყენებულს საჭირბოროტო კითხვებს და საზოგადო მოვლენას ანგარიშს არ ვუწევდეთ.

ჩვენ არ გვსურს მხოლოდ რომელიმე, ერთი პარტიის თვალსაზრისით აღვნუსხოთ ესა თუ ის საყურადღებო მოვლენანი და ჩვენი მსოფლიო მხედველობა დაუქვემდებაროთ მას. ერთი მისთვის, რომ ასეთი გარედან ნასესხები თვალთახედვა ადამიანს საშვალებას უსპობს საკუთარი აზროვნებისას და მოქმედებისას და მეორე მისთვის, რომ შეუძლებელად მიგვაჩნია ადამიანის მსოფლიო მხედველობა და სულიერი მოთხოვნილება ერთმა რომელიმე პოლიტიკურმა პროგრამამ დააკმაყოფილოს, რარიგად სრული არ უნდა იყოს იგი. ვიტოვებთ რა თავისუფლებას დამოუკიდებელი აზროვნებისთვის, ჩვენ ვადგავართ იმ საერთო საჭიროების ფართო გზას, რომელიც გაგვიჭრა ჩვენმა მოქალაქეობრივათ დაცარიელებულმა უუფლებო ცხოვრებამ, რომლის აღდგენა არის ჩვენი უმთავრესი მიზანი. არავითარი აზრი და არავითარი დებულება, რომელი პარტიიდან არ უნდა მომდინარეობდეს ის, დღევანდელს ისტორიულ მომენტში, საზოგადო საკითხზე ჩვენგან განუხილველი არ დარჩება და რამდენათ ჩვენი მიზნის საწინააღმდეგოთ დავინახავთ, იმდენათ სასტიკი კრიტიკის ქარცეცხლში გავატარებთ მას.

ჩვენ გვსურს შევაერთოთ დღეს დაქსაქსული ქალთა ძალა და დაწვრილმანებულ პიროვნებას მოუპოვოთ საზოგადოებრივი ცხოვრება.

ჩვენ ვიბრძვით ჩვენი ადამიანური პიროვნების აღდგენისათვის და ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის. დედაკაცის უფლებრივათ მონური ყოფა და ჩვენი სამშობლო ქვეყნის ადგილობრივი საჭიროებანი იმდენათ მნიშვნელოვანია და იმდენათ მწველი, ყოველი გონიერი ქართველი ქალისათვის, რომ დარწმუნებული ვართ სურვილი ერთისა და მეორეს აღდგენისა, განამტკიცებს ჩვენს ერთობას.

მოქალაქენო!

დღევანდელი უდიდესი ისტორიული მომენტი, რომლის წინაშე ჩვენ ვდგევართ, მოითხოვს ჩვენგან გამორკვევას არა მარტო ადამიანის ბუნებრივი უფლებისას, როგორიც არის თავისუფლება სიტყვისა, გადასვლა-გადმოსვლისა, კრებისა, და სხვა და სხვა, არამედ მასთან ერთად ჩვენი კოლექტიური პოლიტიკური ცხოვრების საკითხის გადაწყვეტასაც.

დღეს გვეძლევა საშვალება გამოვსთქვათ ჩვენი უახლოესი საჭიროებანი, როგორც პოლიტიკური, მთელი ერისა, ისე ეკონომიკური, მშრომელი ხალხისა და ყოველი შეცდომა ამ საკითხზე დაშვებული, გაუსწორებელ, გაუმართლებელ დანაშაულათ ჩაგვეთვლება მომავალი თაობის წინაშე.

ჩვენ მისთვის ვეტრფით თავისუფლებას, რომ ის ხელს უწყობს პიროვნების აღდგენას. პიროვნება კი შესძლებს თავისი ინდივიდუალურობის განვითარებას და ამაღლებას კულტურულ-ფსიხოლოგიურ თავისებურებების ნიადაგზე, რომელშიც ის დაიბადა და აღიზარდა.

ადამიანს მხოლოდ მაშინ შეუძლია შედარებითი ბედნიერების მიღწევა, როცა მისი აღმზრდელი საზოგადოება მოქალაქობრივათ თავისუფალი, ტანმრთელი და წინმიმავალია და ასეთს საზოგადო ცხოვრებას კი იძლევა მხოლოდ ეროვნულად დამოუკიდებელი, ნამდვილი დემოკრატიული მმართველობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, პიროვნული განვითარება დამახინჯებულია და პოლიტიკური თავისუფლება მისთვის გამოუდეგარი. რად უნდა მას თავისუფლება სიტყვისა, თუ რომ მისი დედაენა, ეს ერთდაერთი იარაღი აზრისა და გრძნობისა, ისე დაბეჩავებულია, რომ ესპობა მას საშვალება ამ ენაზე განვითარებისა და ცოდნის შეძენისა? რათ უნდა სამართლიანი კანონი, თუ რომ მოსამართლე გასაგებ ენაზე ვერ აუწყებს მას, მისი სამართლე-დანაშაულის განჩინებას? რად უნდა სახელი მოქალაქისა, თუ რომ სამშობლოში ვერ მოიწყობს სასურველ მოქალაქეობრივ ცხოვრებას?

ძველი რეჟიმის ხელში ჩვენი ადამიანური პიროვნება დატყვევებული იყო მით, რომ ის ნებას არ გვაძლევდა ჩვენი ჭირისა და ლხინის გამოთქმისას. თავისუფალ რუსეთში კი, თუ რომ მოკლებული ვიქნით ეროვნულ აღზრდა-განვითარებას, ჩვენი მდგომარეობა ემსგავსება იმ ბუნებრივ ნაკლის მქონეთა მდგომარეობას, რომელნიც ყველაფერს ხედავენ,

გრძნობენ, აზროვნებენ, მაგრამ შესაფერად ვერ მოქმედობენ და ვერ მეტყველობენ. ან იმ უბედურ ბავშვთა მდგომარეობას, რომელნიც შიმშილისაგან მუდამ სტირიან და ყვირიან, მაგრამ კაცი კი ყურადღებას არ აქცევს და ბრალი ჩვენი, თუ რომ ასეთს ხელოვნურ სიდუხჭირეს და სულიერ სისაწყლეს გვიქადის დღევანდელი პოლიტიკური თავისუფლება!

რამდენათ უფრო მწველი, რამდენათ უფრო ადვილი იქნება მაშინ ჩვენი ეროვნული სახის წარხოცვა? ჩვენი სამშობლო მიწაწყლის ჩვენივე ფეხებთან გამოცურება და მთელი ეროვნული ცხოვრების უფსკრულში გადავარდნა?

რა მოელის მაშინ ქართველ ხალხს? ნივთიერად ღარიბს, მრეწველობა-ვაჭრობაში ახალფეხადგმულს, კულტურულათ თანამედროვე ცხოვრებისათვის მოუმზადებელს? აბარგება, თავის გუდა-ნაბადის ზურგზე აკიდება და ცა ქუდად და დედამიწა ქალამნად – სხვადასხვა მხარეს ხეტიალი და შიმშილით სიკვდილი! ნუთუ, ამისთვის ვეტრფოდით ჩვენ საერთაშორისო ძმობას? განა, ამისთვის ვართ ჩვენ სოციალისტები, რომ ყველაზე უწინ ჩვენი ეროვნული ცხოვრება ვამსხვერპლოთ მას? არა, ჩვენ სოციალიზმი გვინდა ქართველი ხალხისთვის და არა ქართველი ხალხი სოციალიზმისთვის, შაბათი კაცისთვის და არა კაცი – შაბათისთვის. ამისათვის, სახეში გვაქვს რა, კაპიტალისტური წესწყობილების დღევანდელს პირობებში მოუსპობლობა და ვითვალისწინებთ რა, ყველა იმ უკუღმართობას, რომელიც წარმოშობს მისი განვითარება-მომწიფებას მთელს სახელმწიფოში, ჩვენ მოვითხოვთ დღეს ისეთი პირობების შექმნას ჩვენ სამშობლოში, რომელიც საშვალებას მოგვცემს თავი მოვიგერიოთ მის უკუღმართი შედეგებისგან და ასეთი პირობების შესაქმნელად ჩვენ მოვითხოვთ ქართველი ერის შინაურ მოქალაქეობრივ ცხოვრებაში სრულს დამოუკიდებლობას და ასეთს უფლებიან ცხოვრებას ერისას სახელად ვუწოდებთ ტერიტორიალურ ავტონომიას, რომლის განხორციელება, არათუ არ მოსწყვეტს საქართველოს რუსეთს, არამედ კიდევ უფრო განატკიცებს ქართველი მშრომელი ხალხის რუს მშრომელ ხალხთან ერთობა-სოლიდარობას. ჩვენ მოვითხოვთ ერისათვის უფლებას და რომ საქართველოს კანონიერ შვილებათ მამაკაცებთან ერთად, იყვნენ დედაკაცები. ჩვენი სამშობლო შვილების გამორჩევას ისტორიულად ჩვეული არ არის და ქალებს ისეთივე ხმა და ადგილი უნდა მიეცეს მეოცე საუკუნის თავისუფალ საქართველოში, როგორც მამაკაცებს. ჩვენ ვებრძვით ყოველგვარ ბატონობას და დაუმსახურებელ პრივილეგიას, იქნება ეს სქესი, კლასი, თუ ერი და ამ ბრძოლაში განვამტკიცებთ კიდეც ჩვენს უფლებას.

ის აურზაური, რომელიც დღეს ატეხილია ადგილობრივ პარტიათა შორის, ჩვენ წარმავალ მოვლენათ მიგვაჩნია და დარწმუნებული ვართ, თითეული პარტიის წარმომადგენელი გულის ტკივილით შესცქერის მათ შორის ამტყდარ განხეთქილებას. ამისათვის, ვიმედოვნებთ, რომ ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ ამ პოლიტიკურ შენების დროს თითეული პარტია შეეცდება შემაერთებელი ხიდის აგებას, რომ საერთო ძალღონით აღადგინონ და განამტკიცონ ქართველი ხალხის მოქალაქობრივი ცხოვრება. ნურავინ ნუ იფიქრებს მას, რომ საქართველოს ავტონომია რომელიმე პარტიის მონაპოვარია!

დღეს, ყველა პარტიებში არის ავტონომიის მომხრე და რომელ პარტიას მეტი შრომა და ღვაწლი მიუძღვის ხალხის გათვითცნობიერებაში და გათავისუფლებაში, ამის დამფასებელი იქნება ისტორია და ის მომავალი თაობა, რომელიც დღეს წინდებულ დროთა სივრციდან მოგვიწოდებს ერთობისაკენ ყველას. ასეთს ძახილს კი უფრო დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს იმ პარტიამ, რომელიც დღეს უფრო მეტად გავლენიანად და მოქმედათ სთვლის თავის თავს. წინააღმდეგ შემთხვევაში, რამდენად მათ უფრო მეტი მოეთხოვებათ, იმდენად სასტიკ ბრალს დასდებს მათ ისტორია მომავალში. ჩვენ გვწამს გონიერება აღნიშნული პარტიის მეთაურებისა, რომ ესენი სასაყვედუროთ არ დაუტოვებენ თავიანთ სახელს მომავალ თაობას და ამ იმედით ჩვენც სიხარულით მოველით ქართველი მშრომელი ხალხის სურვილისამებრ მონყობილს საქართველოს ავტონომიას.

№1, აპრილი, 1917

რას მოვითხოვთ ჩვენ

1. ვღებულობთ რა მხედველობაში, დღევანდელს უდიდეს მომენტს ისტორიისას და ქალთა უუფლებო მდგომარეობას თანამედროვე კაპიტალისტურ წესწყობილებაში, ჩვენ მიზნად ვისახავთ დედაკაცის პოლიტიკურ და მოქალაქური უფლების აღდგენას და ქალთა ემანსიპაციის იდეის გავრცელებას საქართველოში და თანამოაზრეთა ორგანიზაციულ შეერთებას.

2. ქალი არის ისეთივე გონიერი ადამიანი, როგორც მამაკაცი და უნდა სარგებლობდეს ადამიანის სრული უფლებით.

3. ქალს უნდა მიენიჭოს იგივე ხმა არჩევნებში და იყოს არჩეული, როგორც საკანონმდებლო კრებაზე, ისე პროვინციალურ და კომუნალურ მმართველობაში, როგორც ყოველი მოქალაქე მამაკაცი, რომელიც რამე ბოროტმოქმედებისათვის, ან ბუნებრივი ნაკლით, თუ სნეულობით არ არის უფლებააყრილი.

4. გაუქმებული იქნას დღევანდელი სამემკვიდრეო პრივილეგია მამაკაცისა და თითეულს შვილს, ქალია ის თუ ვაჟი, ედვას თანასწორი წილი დედ-მამის ქონებაზე.

5. აღდგენილი იქნას დედის უფლება შვილებზე.

6. ერთი და იგივე ხელფასი თანასწორი შრომისათვის

7. ხელახალი გადახედვა სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და გაუქმება სქესობრივი პრივილეგიისა და სასჯელის სხვადასხვაობისა. მოსპობილ იქმნას რეგლამენტაცია პროსტიტუციისა და ძალდატენებითი შემოწმებისა ბიწიერების მსხვერპლთა.

8. ერთნაირი აღზრდა და განათლება ორთავე სქესისას ყველა ამ მოთხოვნილების განსახორციელებლათ. აუცილებელ საჭიროებათ ვრაცხთ დედაკაცების ხმისა და ადგილის მინიჭებას მომავალს დამფუძნებელ კრებაზე, სადაც უნდა შემუშავდეს რესპუბლიკანური კონსტიტუცია. ამისათვის, ხელს შევუწყობთ რა, დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცებას რუსეთი სახელმწიფოში, ჩვენ რევოლუციონურ მშრომელ ხალხთან ერთად მთელი ჩვენი მოხერხებით და ძალღონით შევებრძოლებით კონტრ-რევოლუციას, თუ ასეთი სადმე თავს ამოყოფს ჩვენში.

რა არის დემოკრატიული რესპუბლიკა? დემოკრატიული რესპუბლიკა არის ისეთი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც ხელმწიფურს უფლებას ასაკუთრებს ხალხს (მთელს ერს), სადაც ქვეყნის მართვა-გამგე-

ობა გადადის ხალხის წარმომადგენელთა ხელში და რომელიც უზრუნველყოფს თითეული ადამიანისა და მოქალაქის უფლებას და დაიცავს მის ინტერესს და პიროვნებას ძალმომრეობისაგან და მით განამტკიცებს ადამიანის პიროვნულს თავისუფლებას.

თავისუფლების საზღვარი არის კანონი, რომლის გადაბიჯება არავის დაუსჯელათ არ შეიძლება. ის, რაც კანონისგან არ არის აკრძალული, ნებადართულია. რესპუბლიკანური კანონი არის გამომხატველი ხალხის საერთო სურვილისა, რადგან თითეულს მოქალაქეს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ნება აქვს პირადათ, ან მისმა წარმომადგენელმა მიიღოს მონაწილეობა კანონის შემუშავებაში და, თუ ყველა კანონი, როგორც დამცველი, ისე დამსჯელი არ არის თანასწორად ყველასათვის, თუ რომ ხალხს განურჩევლად სქესთა, არ ექნება ნება მონაწილეობა მიიღოს მის შემუშავებაში, ასეთი კანონი არ იქნება გამომხატველი ხალხის საერთო სურვილისა და არც დამცველი მისი ინტერესებისა. ასეთი ცალმხრივი კანონი რესპუბლიკანურ სახელმწიფოში კიდევ უფრო გააბატონებს მამაკაცებს და დეე, ყველამ გაიგოს და იცოდეს, რომ მეოცე საუკუნის დედაკაცები და კერძოთ, ქართველი ქალები ასეთს სქესურ ბატონობას ვერ აიტანენ და მთელი თავისი ზიზღით შეებრძოლებიან მას.

№1, აპრილი, 1917

რა არის კონსტიტუცია

კონსტიტუცია ჰქვია იმ ძირითადს კანონებს, რომელიც ხსნის, თუ რა პირობებში ღებულობს მოქალაქე მონაწილეობას თავისი ქვეყნის მმართველობაში.

ნამდვილი კონსტიტუცია აქვს იმ ქვეყანას, სადაც დაცულია ორი ძირითადი პირობა: 1. ადამიანის ბუნებრივი უფლების უზრუნველყოფა ყველა მოქალაქისთვის. 2. სხვადასხვა მმართველობა სახელმწიფოში იყოს განცალკევებული.

მმართველობის გაყოფა მდგომარეობს შემდეგში: განცალკევებული უნდა იყოს სასამართლო კანონმდებელთაგან ე.ი. წარმომადგენელთა პალატიდან და აღმასრულებელი მთავრობა ე.ი. მმართველობა რესპუბლიკის პრეზიდენტისა, მინისტრებისა და მოხელეთა, რომელთაც მოჰყავთ კანონი სისრულეში. იმ საზოგადოებაში, სადაც არ არსებობს გარანტია სამართლისა და გარკვეული გაყოფა საზოგადო მმართველობისა, არ არის კონსტიტუცია.

ასეთი დაყოფა მმართველობისა მით არის საჭირო, რომ სხვადასხვა მოხელეებს, რომელთა მოვალეობა მხოლოდ ამა თუ იმ დანაშაულის აღნიშნვაა, ნება არ ქონდეს მოქალაქის დასჯისა, რისაც ნებას მათ აძლევდა ძველი რეჟიმის მთავრობა.

№1, აპრილი, 1917

მოწოდება

ქართველო ქალებო, განურჩევლად მდგომარეობისა და მიმართულებისა, დაივიწყეთ ყოველი ძველი უთანხმოება, თუ უსიამოვნება თქვენს შორის ატეხილი და შეუდექით ერთსულოვნებით საკუთარი ორგანიზაციების მოწყობას სოფლად და ქალაქებში. გააძლიერეთ ნივთიერად ეს ორგანიზაციები, დაგზავნეთ სოფლად და ქალაქებში პროპაგანდისტები თქვენი უფლების დასაცველად, დაეხმარეთ ახლად ფეხადგმულ გაზეთს. იცოდეთ, რომ ეს ერთადერთი ბეჭდვითი ორგანოა, რომელიც თქვენს სულიერ გაჭირვება-დალხინებას ყურად იღებს. მოგვაწოდეთ კორესპონდენციები დაბა-სოფლებიდან და ქალაქებიდან. გთხოვთ, მწერალ ქალებს, გამოგვიგზავნონ თავიანთი ნაწარმოები. განმეორებით გთხოვთ, გაზეთის სასარგებლოთ ნუ დაიშურებთ თქვენი წვლილის გამოღებას, რომელიც ჩვენ გამოვეცით ყოვლად ცუდ პირობებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ იძულებული ვიქნებით გაზეთის გამოცემა შევაჩეროთ! ნუ იზამთ ამას!

№1, აპრილი, 1917

სალამი აღდგენილ ქართველ ქალს

ბევრი სასიხარულო ამბავი შემოგვჭიკჭიკა 1917 წლის მერცხალმა, მაგრამ ყველაზე უფრო ტკბილხმოვანათ შემოგვესმა ეს ჭიკჭიკი, როდესაც მან გვიმახარობლა ქართველი ქალის ხანგრძლივი ძილისგან გამოფხიზლება. დიდი ხანია ქართველი ქალი, მძიმე მონობის უღელქვეშ მყოფი, ხმა ამოუღებლივ მიაბიჯებდა ეკლით შემოსილ გზაზე და ვერ მოეხერხებინა მისი გაკაფვა, მაგრამ დღევანდელმა ქართველ ქალმა ამაყად წარმოსთქვა: „კმარა დუმილი, კმარა ამდენის ხნის მონობა!" მართალია, წინ დიდი შრომა და გაჭირვება გვიძევს, მაგრამ აღფრთოვანებული მომავლის იმედებით, ჩვენ აღვიჭურვოთ ენერგიით და სულის სიმტკიცით და მალე დადგება ისეთი ჟამი, როდესაც თამამად გადავსდგამთ ნაბიჯს მშვიდობიან გზაზე. ეს სიტყვები სიტყვებათ არ დარჩება და ჩვენ უკვე ვხედავთ დიდებულ ნაბიჯს, პირველად გადადგმულს აღდგენილი ქართველი ქალისგან, ნაბიჯს, რომელმაც გამოუთქმელ აღტაცებაში მოგვიყვანა და მრავალი იმედები ჩაგვისახა გულში!

მაშ, თამამად, ქართველნო ქალნო! არ შედრკეთ! მუყაითად შეუდექით მუშაობას, არ შეგაშინოთ მარტოობამ, რადგან სულ მალე ამოგიდგებით მხარში და ხალისით განვაგრძობთ თქვენ მიერ დაწყებულ დიდ საქმეს. გწამდეთ, რომ თქვენი შრომა უნაყოფოდ არ ჩაივლის და საქართველო კვლავ იხილავს თავისუფალი ქალის სახეს, რომელიც ჩვენი მესამოცე წლის პოეტებს მხოლოდ სიზმარში ელანდებოდათ. კიდევ ერთი გულწრფელი სალამი, წინსვლა და სიცოცხლე თქვენს პირმშოს!

ქართველი მოწაფე ქალთა ერთი ჯგუფი

№1, აპრილი, 1917

ქალთა მანიფესტაცია

19 მარტს ქალთა სწორუფლიანობის ლიგამ პეტროგრადში მოაწყო გრანდიოზული მანიფესტაცია ქალაქის საბჭოდან, სადაც თავს იყრიდენ ვერა ფიგნერის[1] წინამძღოლობით. მანიფესტაცია გაუდგა გზას მწყობრი რიგებით, რომელთა წითელ დროშებზე შემდეგი წარწერა მოსჩანდა: „არჩევანთა უფლება ქალებს", „ომი ბოლომდის", „საარჩევნო უფლება ქალთა უმონაწილეოთ არ არის საყოველთაო" და სხვა. მეორე საათზე მანიფესტაცია მიადგა სახელმწიფო სათათბიროს კარებს.

მუშათა საბჭოს და ჯარისკაცთა დეპუტატების მისალმების შემდეგ გამოვიდა თავმჯდომარე ქალთა სწორუფლიანობის ლიგისა შიშკინა-იავეინი, რომელმაცა სთქვა, რომ ქალებს უნდა მიენიჭოთ არჩევანთა უფლება დამფუძნებელ კრებაზე. ქალთა უმონაწილეოდ არჩევნებს არ ექნება საყოველთაო ხასიათი, რადგან იქ წარდგენილი იქნება მხოლოდ მცხოვრებთა ნახევარი ნაწილი. მართალია, ახალმა მთავრობამ გამოაცხადა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, დაფარული ხმის მიცემა, მაგრამ დასავლეთ ევროპის მწარე მაგალითებმა გვასწავლეს ჩვენ, რომ არ ვერწმუნოთ ბუნდოვან ფორმულებს. აი, ამისათვის მოველით აქ და არც წავალთ აქედან, სანამ კატეგორიული ფორმით არ იქნება გამოცხადებული ქალთა არჩევანთა უფლებები და მისი მონაწილეობა დამფუძნებელ კრებაზე.

გამოდის თავმჯდომარე მუშათა კავშირისა და ჯარისკაცთა დეპუტატების კ. ჩხეიძე[2], რომელმაც ქალებს მიმართა შემდეგი სიტყვებით: „ჩვენ არ გვეჭირვება მტკიცება იმისა, რომ ქალებმაც მიიღონ ისეთივე უფლება, როგორც რუსის ყველა მოქალაქემ. ეს კითხვა ჩვენში არასოდეს ეჭვს არ იწვევდა. ჩვენ ვიცავთ თქვენს უფლებას არა მისთვის, რომ კეთილათ განწყობილი ვართ თქვენთან, არამედ მისთვის, რომ პროლეტარიატი დაინტერესებულია ყველა რუსის მოქალაქის სწორუფლიანობაზე. ჩვენ ვერ მოვითმენთ მას, რომ თავისუფალ რეჟიმში ქალები დარჩენ უუფლებო მონებათ. მუშათა საბჭოს და ჯარისკაცთა დეპუტატების სახელით ვაცხადებ, რომ ჩვენ ვიბრძოლებთ ქალთა სწორუფლიანობისთვის".

გამოდის როძიანკო[3], რომელსაც ქალთა სწორუფლიანობის ლიგის თავმ-

---

1 ვერა ფიგნერი (1852-1942) – რუსი რევოლუციონერი, ნაროდნიკი.

2 კარლო ჩხეიძე (1864-1926) – ქართველი სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე.

3 მიხაილ როძიანკო (1859-1924) – რუსი პოლიტიკოსი.

ჯდომარე შემდეგი სიტყვებით მიმართავს: „ჩვენ ვიყავით თქვენთან, როცა თქვენ იბრძოდით რუსეთის თავისუფლებისთვის. ბევრი ჩვენგანი, სხვა რუს მოქალაქეებთან ერთად, ციხეში იჯდა. აქ ჩვენთან არის ვ. ხ. ფიგნერი, რომელიც მთელს თავის სიცოცხლეში იბრძვის რუსეთის თავისუფლებისათვის და ეხლა, როცა თქვენი და ჩვენი ძალ-ღონით მოვიპოვეთ თავისუფლება, ჩვენ მოვითხოვთ კატეგორიულად ქალების ხმისა და ადგილის მიცემას დამფუძნებელ კრებაზე. ჩვენ მოვითხოვთ, რომ სიტყვებზე: საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული, დამატებული იყოს „განურჩევლად სქესისა".

„მე ძველი საზოგადო მოღვაწე ვარ" უპასუხა მათ როძიანკომ „და მიჩვეული ღრმა პატივისცემას და დაფასებას საზოგადო ასპარეზზე ქალების თავგანწირულებისას. მე ძრიელ კარგად ვიცი, თუ როგორ ბევრი გააკეთეს რუსის ქალებმა და ორივე ხელებით მოვაწერ ჩემს თანხმობას იმ სიტყვებზე, რაც ჩემ წინ ილაპარაკა ჩხეიძემ".

№1, აპრილი, 1917

ქალთა ყრილობა

(ჟურნალ-გაზეთთა ცნობა)

ბესტუჟევის კურსებზე დანიშნულია ქალთა მიტინგი, რომელიც წინადაწინ გვაუწყეს აფიშებმა. აღნიშნულ დროს კურსების შენობისკენ ყოველი მხრით თავს იყრის სხვადასხვა ქალთა ბრბო. მუშები, ხელზე მოსამსახურენი, მოდისტკები, მანდილოსნები და კურსისტკები. შენობის შესავალში ხალხი თავმოყრილია, შიგნით კი დარბაზი სავსეა და შესვლა სჭირს.

– ამ დიაცებმა ყველაფერი გატენეს – გულით გაკვირვებული წაილაპარაკა ერთმა სალდათმა.

– რას იზამთ – დინჯათ უპასუხა ერთმა ხანში შესულმა ქალმა – ყველაფერი თქვენი, მამაკაცების საკუთრება ხომ არ იქნება? თუ რა თავისუფლებაა, ყველასთვის უნდა იყოს. განა, ცოტა ინავარდეთ ჩვენს კისერზე? გეყოფათ!

დარბაზი ისე გაჭედილია, რომ ძლივს ახერხებთ შესვლას. კრების შემადგენლობა იმდენად ჭრელია, რომ არ იცით როგორ მონახოთ ყველასათვის გასაგები სიტყვა, მაგრამ ეს სიტყვები მოინახა. მიუხედავათ წლოვანების, მდგომარეობის, ტანისამოსის განსხვავებისა, ამ მრავალფეროვან ბრბოს აქვს ერთი საერთო, გასაგები საგანი – თავისი დედაკაცური ტანჯვა, მისი უუფლებობა და გაჭირვება, რომლისგან სურთ თავი დაიხსნან და ეზიარონ საერთო დღესასწაულისთვის.

კათედრაზე რიგ-რიგათ ადის შაბალი, რაბინოვიჩი, შჩეპკინა და სხვა. რაბინოვიჩის საბუთიანი სიტყვის შემდეგ ხალხს მღელვარება ეტყობა. ჰკითხულობენ ორატორის ვინაობას.

– ყოჩაღ! რა მართალი სთქვა! – მხურვალი ტაშით აჯილდოვებენ გათეთრებულ მოხუცი შჩეპკინას სიტყვას, რომელმაც გაიყვანა პარალელი ბატონ-ყმურ ფსიხოლოგიასა და დედაკაცების უუფლებო მდგომარეობას შუა. ხალხს თანდათან დარბაზის გარემო აწვება და მოითხოვს შესვლას. ისეთი ჩივილით ხვეწნაა, ისეთი წყურვილი სიტყვების მოსმენისა, არატორებს ოთხი აუდიტორია უჭირავთ. ილაპარაკეს ქუჩებშიაც. წავიდნენ. ხალხი კიდევ არ იშლება. ღელავს, დაობსა და სჯის. პირდებიან ერთმანეთს მანიფესტაციაზე წასვლას. აუწყებენ ამხანაგებს ორატორების სიტყვებს უბრალოდ, თავისებურად.

– ამბობდენ, რომ ქალის მწუხარება ქალს უფრო ესმისო, რომ ცალცალკე ჩვენ დაჩაგრულები ვართ, მაგრამ შეერთებულათ კი ვერავინ

დაგვძლევსო, რომ საჭიროა სათათბიროში წასვლა ჩვენი უფლების მოსათხოვათო, რომ ახალი კანონები შევადგინოთო, დღევანდელი სიბნელიდან უნდა გამოვიდეთ და უნდა ვისწავლოთო, რომ ეხლა ყველაფერი ახალია და თავისუფალიო. „ახალი და თავისუფალი!" დაცარიელებულ ქუჩებში დიდხანს ისმოდა ზუზუნი ამ სიტყვებისა, თითქო უფერული სახლები ყურადღებით ისმენდენ ასეთს დაპირებას.

№2, აპრილი, 1917

მოწოდება

ქართველო ქალებო!

გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა" თქვენი უფლების დამცველია. მისი მოვალეობაა ჩვენი პრაკტიკულ მუშაობის იდეური ხელმძღვანელობა. ამ მოვალეობას ჩვენ შევასრულებთ თქვენი ნივთიერი და ზნეობრივი დახმარებით. შემოკრიფეთ თქვენი ძალ-ღონე და დაგვეხმარეთ წერით და საქმით. გამოგვიგზავნეთ კორესპონდენციები დაბა-სოფლებიდან, გააძლიერეთ გაზეთის ფონდი. აღიჭურვეთ მხნე სურვილით, რომ ამ უდიდეს ისტორიულ მომენტში, ამოღებული ხმა ქართველი ქალისა არ ჩასწყდეს. ჩვენი მამაკაცები არ მოელოდენ ამ ხმას. დღეს მათ მოისმინეს იგი. ვეცადოთ ხანგრძლივი იყოს „ხმა ქართველი ქალისა". მოგვეხმარეთ!

ჩვენ იძულებული ვიყავით გაზეთი გამოგვეცა პატარა ფორმატის ქაღალდზე, რის გამოც გაზეთის ფასი დაკლებულია.

რედაქცია

№2, აპრილი, 1917

კავშირი ქალთა დემოკრატიულ ორგანიზაციებისა

გაზეთიდან „დელო ნაროდა"

რევოლიუციის პირველ დღეებში დაიბადა აზრი ფართო დემოკრატიულ ნიადაგზე ქალთა ორგანიზაციის მოწყობისა, რომლის მიზანია არსებულ ისტორიულ მომენტში ქალების მონაწილეობის მიღება ახალი ცხოვრების განსამტკიცებლათ რუსეთში. ასეთს აზრს დიდი თანაგრძნობით შეხვდნენ არამარტო ცალ-ცალკე ქალთა ჯგუფები, არამედ მთელი ორგანიზაციები. ქალთა დემოკრატიულ ორგანიზაციათა კავშირის მოწყობა დღეს უკვე მიღებული და გარდაწყვეტილია. კავშირთა საორგანიზაციო კომიტეტის სურვილია, რომ ამცნოს საზოგადოებას როგორც მისი მიზანი, ისე ის პრინციპები, რომელზედაც ის დამყარებულია.

ქალთა კავშირი თავის მიზნათ ისახავს ქალთა ორგანიზაციულად შეერთებას რუსეთის პოლიტიკურ თავისუფლების განსამტკიცებლად, რომლის დროშაზე „დემოკრატიული რესპუბლიკა" სწერია. გარდა ამ საერთო მიზნისა, ქალთა უმრავლესობის პოლიტიკურ ცხოვრებისთვის მოუმზადებლობა კავშირს უყენებს სპეციალურ საკითხსაც: ა) ფართო პროპაგანდა დემოკრატიული ღირებულებებისა, ბ) გავრცელება საჭირო ცოდნისა საზოგადო ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებათ, გ) განმარტება დღევანდელი ისტორიული მომენტისა, დ) მოქალაქობრივი სულის აღდგენა და განვითარება ქალში. ამ მიზნის მისახწევათ კავშირი საჭიროთ სცნობს პროპაგანდისტ ქალთა ლაშქარის შექმნას, რომელნიც შეკავშირებულნი იქნებიან განსაკუთრებულ სააგიტაციო განყოფილებაში. აზრათა აქვთ მოაწყონ დემოკრატიული იდეების გავრცელება იმ ქალებშიაც, რომელნიც არავითარ პროფესიონალურ ორგანიზაციებს არ ეკუთვნიან, როგორიც არიან, მაგალითად, მეოჯახე ქალები. ასევე სასოფლო ორგანიზაციების მოწყობა და ამ ორგანიზაციებში მიზიდვა ადგილობრივ ინტელიგენტ ქალთა, მაგალითად, ბებია ქალებისა, ექიმი და მასწავლებლებისა.

ასეთი არაპარტიული ორგანიზაცია აერთებს დემოკრატიულ დროშის ქვეშ პროფესიონალურ კავშირებს და პარტიულ ორგანიზაციებსაც.

პ.ს. ნეტავ, როდის შეიგნებენ ჩვენი პარტიული ფანატიკოსები, რომლებმაც ამდენი აურზაური ატეხეს ქუთაისის ქალთა კლუბის გარშემო, ასეთი ორგანიზაციის მოწყობის საჭიროებას.

№ 3, აპრილი, 1917

რა მნიშვნელობა აქვს საყოველთაო თანასწორი, პირდაპირი და ფარული ხმის მიცემას

საყოველთაო არჩევანთა უფლება მისთვის არის სამართლიანი მოთხოვნილება, რომ ყველა მოქალაქე, მდედრია ის, ღარიბი, ნასწავლი, თუ უსწავლელი ერთნაირად ემსახურებიან სახელმწიფოს. ამისათვის, ყველა ის პირი, რომელნიც იხდიან თავიანთ მოვალეობას სახელმწიფოს წინაშე, უნდა სარგებლობდეს ერთნაირი უფლებით, რათა სახელმწიფო სათათბირომ ახალი კანონების შემოღების დროს არ გამოსცეს ისეთი კანონები, რომელიც შეავიწროვებს მცხოვრებთა რომელიმე ნაწილს.

ყოველი ნორმალური ადამიანი, რომელიც რაიმე სენით და ბოროტმოქმედებით არ არის დასჯილი, 21 წლიდან უნდა სარგებლობდეს არჩევანის უფლებით, განურჩევლად სქესისა. საკმარისი არ არის მარტო ერთი საყოველთაო არჩევანთა უფლება, საჭიროა აგრეთვე ეს უფლება იყოს თანასწორი ე.ი. რომ ყოველ მოქალაქეს არჩევის დროს ჰქონდეს ერთნაირი ხმა, რადგან შესახედავათ შესაძლოა მისცენ საყოველთაო უფლება, მაგრამ, თუ ადამიანს ერთი ხმა ექნა და მეორეს ათი, ეს, თავისთავად ცხადია, რომ დამრღვევია თანასწორი უფლებისა. ინგლისში, თუმცა საყოველთაო არჩევანთა უფლება არის, მაგრამ თანასწორობა მით არის დარღვეული, რომ იმ პირთ, რომელსაც რამოდენიმე ოლქში აქვს სახლები და მიწები, თითეულ ოლქში მას ხმის უფლება აქვს, რომლის გამო, ღარიბთან შედარებით, ის მრავალი ხმის პატრონია. რომ ასეთი უთანხმოება მოისპოს, საჭიროა, რომ არავის არ ჰქონდეს ნება საყოველთაო არჩევნების დროს სხვადასხვა არჩევანთა კრებაზე იყოს არჩეული სახელმწიფო სათათბიროს წევრად, რომ თითეული წევრი სათათბიროსი იყოს მხოლოდ ერთი რომელიმე არჩევანთა კრებაზე არჩეული და არა სხვადასხვა ადგილას. ამას გარდა, ორ პალატიან სისტემაში უმრავლესობის ინტერესის დასაცავად საჭიროა არ იყოს დაშვებული კანონმდებლობაში ისეთი პუნკტი, რომლის ძალით სახელმწიფოს სათათბიროს ე.ი. ხალხის წარმომადგენელთა მიერ მიღებული კანონების შეცვლა, ან უარის ჰყოფა შეეძლოს უმაღლეს პალატას ე.ი. სახელმწიფო საბჭოს.

ფარული ხმის მიცემა მისთვის არის საჭირო, რომ სუსტ ადამიანს, ან ღარიბ კაცს ყოველი შემძლები უსიამოვნების თავიდან ასაცდენათ საშუალება ექნეს ამოირჩიოს საიდუმლოთ ის, ვისაც უფრო ენდობა.

პირდაპირი ხმის მიცემას თხოულობს ის ხალხი, რომელსაც ცხოვრებიდან წელი გამაგრებული აქვს და არავის მომდურება არ ეშინია. ასეთი პირდაპირი ხმის მიცემის უფლება არსებობს პრუსიასა და ავსტრიაში.

№7, ივნისი, 1917

ჩვენი გაზეთი

არ ვიცი, რომ რომელიმე მიმართულების პრესას იმდენი ამბავი გამოეწვიოს საზოგადოებაში, როგორიც ჩვენმა გაზეთმა „ხმა ქართველი ქალისამ" გამოიწვია. მრავალი სხვა და სხვა აზრები ტრიალებს ამ გაზეთის შესახებ. ზოგი ამბობს, გაზეთი უპარტიო არ უნდა იყოს, ეხლა უპარტიობა არ შეიძლებაო, ზოგი – რა საჭირო იყო ქალებისგან ცალკე გაზეთის დაარსება, განა გაზეთები ცოტაა, სადაც შეგიძლიათ მონაწილეობის მიღება, ქალებსაცო, ზოგი – დაიქცა, ბატონო, ოჯახი, ქალები გაზეთებსა და კლუბებს უნდებიან და სახლ-კარისთვის ვისღა სცალიანო, ზოგს კიდევ ქალების სინაზისა და მომხიბვლელობის დაკარგვის ეშინია, გაზეთებისა და კლუბების მეოხებით! ყველა ამას ამბობენ, საუბედუროდ, არა მარტო შეუგნებელნი, არამედ განათლებულებს რომ უწოდებენ თავის თავს, ისეთებიც! ამას ამბობენ არა მარტო ზოგიერთი მამაკაცები, ჰოი, საკვირველებავ, ქალებიც კი! ყველა ამ ცნობისმოყვარე სხვა და სხვა კატეგორიის ხალხს ჩვენ ცალ-ცალკე პასუხს მივცემთ ერთხელ და სამუდამოდ. პირველს – ქალების გაზეთი უნდა იყოს სწორედ უპარტიო, როგორიც არის დღეს ის იმიტომ, რომ ყოველ ქალს, რა წრესაც უნდა ეკუთვნოდეს იგი, აქვს თავისი განსაკუთრებული ტკივილი – ქალთა საკითხი, რომლის გარშემო უნდა შემოკრბენ ყველა ქალები განურჩევლათ პოლიტიკური რწმენისა, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ამ გაზეთის თანამშრომლებს არ ჰქონდეს თავისი განსაზღვრული პოლიტიკური მსოფლმხედველობა!..

მეორე, სწორეთ საჭირო იყო ქალებისგან ცალკე გაზეთის დაარსება, რომ მეტის ინტერესით მოეკიდონ თავის საქმეს და სწერონ განსაკუთრებით თავიანთ ჭირ-ვარამზე. ქალთა საკითხი, ისე როგორც მუშათა საკითხი, ცალკე წამოაყენა ცხოვრებამ და თუ კი ამ უკანასკნელისათვის აუარებელი ჟურნალ-გაზეთები არსებობს, რა მოხდა, რომ პირველისათვის ერთი გაზეთი არსებობდეს?! რად მიაჩნიათ ეს გასაკვირალად ზოგიერთებს?! განა, ქალების გაზეთი, როგორც მას უწოდებენ, იმას ნიშნავს, რომ შიგ მამაკაცებმა მონაწილეობა არ მიიღონ? პირიქით, ჩვენ მოხარული ვიქნებით, თუ მამაკაცები იდეურ დახმარებას გაგვიწევენ.

მესამე, არა, ბატონებო, ქალების კლუბებისა და გაზეთების დაარსებით ოჯახი კი არ დაიქცევა, აშენდება. შეგნებული ქალი უფრო კარგად, გონივრად მოუვლის ოჯახს, ვიდრე შეუგნებელ-უვიცი; შეგნებული ქალი უფ-

რო კარგ აღზრდა-განათლებას მისცემს შვილებს, ვიდრე შეუგნებელ-უვიცი. შეგნებული ქალი უფრო გრძნობიერად-გონივრად მოეპყრობა თავის ქმარს, უფრო გაიგებს მის ტკივილებს, ვიდრე შეუგნებელ-უვიცი! ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა იცხოვროს ყოველმხრივად გონება განვითარებულმა მამაკაცმა ერთ ჭერქვეშ გონებადახშულ, ბნელ ქალთან? როგორ უნდა ამოირჩიოს ასეთი ქალი ცხოვრების ამხანაგად და არ სცდილობდეს მის გონებრივ განვითარებას? რომელიმე სასწავლებელში კურსის დამთავრება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ყოველ მხრივ გონებით განვითარებას. მარტო მშრალი სასწავლო წიგნები ბევრ არას აძლევენ ადამიანს!

მეოთხე, ქალის სინაზე და მომხიბვლელობა, ეს ბუნებრივი თანდაყოლილი თვისება არ იკარგება გონებრივ განვითარების მიღებით. ბუნებრივობას მასში ვერ მოსპობს ვერავითარი ძალა! არც კაცებიდან გამოყოფას (ავტონომია რუსეთიდან გამოყოფას ნიშნავსო იმასსავით!) ნიშნავს ქალების მიერ გაზეთებისა და კლუბების დაარსება, არამედ მათი საშვალებით ამაღლებას მამაკაცების გონებამდე. დასასრულ, ვიტყვით, რომ ეს დაუსრულებელი მითქმა-მოთქმა ქალების შესახებ იმის მიზეზია, რომ საზოგადოების ფართო ნაწილი ჯერ კიდევ მოუმწიფებელია, ვიწროა მისი აზროვნების ჰორიზონტი და ვერ შესჩვევია, ვერ წარმოუდგენია ქალის აქტიური გამოსვლა ცხოვრების ასპარეზზე. ქალი ქალათ უნდა იყოს, იმუშაოს ოჯახში და საზოგადოებაში მამაკაცებთან ერთად, რომელიც იზრუნებენ მისთვისაცო, ამბობს მისი ლოღიკა, ჩვენ კი ამაზე ვუპასუხებთ მწერლის ბრძნული სიტყვებით: „тому, кто сам молчит, и эхо не ответит".

ნინო ნადირაძე



მარცხნიდან მარჯვნივ:
კატო მიქელაძე, საფო მგელაძე, ნატო მესხი,
ეფემია მესხი. დაბა ნაღვერი, 1918 წელი.

№8, ივნისი, 1917

ქალები იუსტიციის სამინისტროში

14 იანვარს 1871 წ. უმაღლესი უკაზით აკრძალეს ქალების მიღება როგორც კანცელარიულ, ისე სხვა თანამდებობაზე ყველა მთავრობისა და საზოგადო დაწესებულებაში. პირველად უმაღლესი ორგანოები ზედამხედველობისა, იუსტიციის მინისტრი და შეერთებული ერთი კასაცია უმაღლესი სენატის დეპარტამენტისა, არა თუ სასტიკათ თვალყურს ადევნებენ აღნიშნულ უკაზის დაცვას, არამედ ფართო განმარტებას აძლევდენ მას უფრო მეტად გასავრცელებლად. ამ უკაზის ძალით იუსტიციის მინისტრმა 30 აპრილს 1875 წ. #-4953-ით აკრძალა სასამართლოებში მიეცათ ქალებისათვის მოწმობა სხვისი საქმის შუამდგომლობისა და შეერთებულმა საკასაციო დეპარტამენტმა, უმაღლესი სენატისამ 27 მარტს 1886 წ. ამავე უკაზის ძალით განაცხადა, რომ მომრიგებელ მოსამართლის ცოლებს აკრძალული აქვთ დაიჭირონ ადგილი მწერლის სასამართლოში.

ოთხმოციან და ოთხმოცდაათიან წლებში, განსაკუთრებული კანონის ძალით ქალები დაშვებულნი იყვნენ სხვა და სხვა მთავრობის დაწესებულებაში მხოლოთ ქირით და ისეც გადასაწერ და საანგარიშო ნაწილებში. განათლებული ქალები შედიოდნენ ასეთ კანცელარიულს სამსახურში, სადაც ვერ შეხვდებოდით ერთს განათლებულს მამაკაცს. გაუნათლებელ კანცელარისტებში ხვდებოდით ზარმაცებს და მექრთამეებს. განათლებული ქალები სინდისიერად ეპყრობოდნენ თავიანთ სამსახურის მოვალეობას, მშვენივრად აწარმოებდნენ კანცელარიის საქმეს, რომელთა ლოთობაზე და მთხოვნელთა ფულის დატყუებაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელი იყო. სრულიად ბუნებრივია, რომ ასეთს პირობებში სასამართლოს უწყების მოხელეებმა, წინააღმდეგ კანონისა, დაიწყეს სარგებლობა ქალთა შრომით. ჯერ ნატარიუსებმა დაუშვეს ქალები თავიანთ კანტორაში, შემდეგ სასამართლოს თავმჯდომარეებმა თავიანთ კანცელარიებში. ამგვარათ, 1886 წ. მესამე დეპარტამენტის ხარკოვის სასამართლოს პალატის გახსნისას დაშვებული იყო სამი ქალიშვილი, ერთი მათგანი გადმოსული იყო ახალ თანამდებობაზე ხარკოვის ერთ-ერთი ნატარიუსის კანტორიდან.

გაზეთების ცნობით, ოთხმოცდაათიანი წლების მიწურულში ქალები მსახურობდნენ სატახტო სისხლის სასამართლოს კანცელარიებში (იხ. Юрид. газета 1900 N 82 ст.-1) და იუსტიციის სამინისტრო და უმართე-

ბულესი სენატი ამ მოვლენას თვალზე ხელაფარებით უცქერდა. ბოლოს, წასულ საუკუნის დამლევს მთავრობამ გადასწყვიტა დაეთმო და მინისტრთა საბჭომ 9 მაისს, 1900 წ. გადასწყვიტა დედრობითი სქესის ქირით დაშვება ცენტრალურს მმართველობაში იუსტიციის სამინისტროსა, ადგილობრივ უწყებებში და უმართებულეს სენატის კანცელარიებში, მხოლოთ მიუნიჭებლათ რაიმე უფლებისა და წარმატებისა. ამგვარად, შტატ გარედ სამსახურში ქალები დაშვებული იყვნენ. იუსტიციის მინისტრს დავალებული ჰქონდა განმარტება, თუ რა ადგილებში შეეძლოთ ქალებს სამსახური, რომლის ძალით მან გამოსცა 2 ნოემბერს 1900 წ. წესდება შესახებ ქალების სამსახურისა მისდამი რწმუნებულ დაწესებულებებში. ამ წესდების მიხედვით, დედრობითი სქესი დაშვებულია ყველა დაწესებულებაში იუსტიციის სამინისტროსი, როგორც კოლეგიალურს, ისე ცალკე უწყებებში.

ქალებს მიენიჭებათ აღნიშნულ დაწესებულებაში იგივე სამუშაო, რომელსაც ასრულებენ კანცელარიის მოხელეები. ე. ი. გადამწერნი, ქაღალდზე მბეჭდავნი, ანგარიშის მწარმოებელი, კორეკტორები, ბიბლიოთეკის გამგენი და სხვა. ამგვარად, ქალებისთვის გაიხსნა ყველა შტატის გარეშე არსებული ადგილები. მიუხედავათ ამისა, იგივე წესდება აცხადებდა, რომ ქალთა რიცხვი აღნიშნულ ადგილებში არ უნდა აღმატებულიყო საერთო მოსამსახურეთა რიცხვის ნახევარს. ასეთმა წესმა გააჩაღა ერთგვარი შეზღუდვა ქალების შრომის უფლებისა და გამოიწვია უთანასწორობა სხვა და სხვა სქესთა მოხელეთა შორის ერთსა და იმავე მოვალეობაში. ასეთი შეზღუდვა ქალთა რიცხვისა სახელმწიფო სამსახურში დაცულია კანონისა მიერ დღესაც, თუმცა დღეს, ფაქტიურად, ეს კანონი დარღვეულია მამაკაცების ომში გაწვევით. ჯერ კიდევ ძველი მთავრობის დროს გაზეთ „Право"-ს გადმოცემით ამუშავებდნენ საკითხს ზოგიერთ შტატის თანამდებობაზე ქალების დასაშვებათ.

ახალ სამინისტროს, ამ მხრივ, ჯერ არც ერთი კანონი არ შეუცვლია, მიუხედავათ რამოდენიმე ქალის ნაფიც ვექილთა სიაში ჩარიცხვისა.

№8, ივნისი, 1917

ქ. სამტრედია

25 მარიამობისთვე ქ. სამტრედიაში საძირკველი ჩაეყარა პირველს ქალთა კლუბს, ამორჩეული იქნა ათი ქალი, რომელსაც თაოსნობა უნდა გაეწიათ ამ კლუბის მოწყობისათვის. მოსალოდნელი იყო, რომ სამტრედიის ქალების თვითმოქმედებას სიხარულით შეხვდებოდნენ ჩვენი ამხანაგი მამაკაცები, მაგრამ თანაგრძნობის ნაცვლად, ვაი, ამ ათი ქალის ბრალი, რომელთ საწინააღმდეგოთ გაილაშქრეს არამარტო მამაკაცებმა, არამედ მათი თუთიყუშივით ამყოლმა ქალებმაც და ყოველნაირად ცდილობდნენ ამ საქმის ჩაშლას. ზოგი მამაკაცები გაიძახიან: რას მიქვია ქალთა ორგანიზაციები, ვინ გაიგონა ქალების თავისუფლება? ზოგი მათგანი იძახის: რა საჭიროა ცალკე ქალების ბრძოლა, ჩვენთან ერთად იმუშაონ და ჩვენ მივანიჭებთ უფლებას და თავისუფლებასო.

უკანასკნელთ სრულიად ავიწყდებათ ის, რომ ჩვენ უარს არა ვყოფთ მათთან მუშაობას, რამდენათაც ეს საჭიროა მათთვის და ჩვენთვისაც, როცა საქმე მუშათა და საზოგადოთ, მშრომელთა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას ეხება, ან საერთო პოლიტიკურ თავისუფლებას. ამ საქმეში ჩვენ მათთვის მრავალი უპიროვნო დახმარება გაგვიწევია და შეიძლება, ამითაც იყოს გამოწვეული ეგ გულმავიწყობა. ამ უკანასკნელ ხანებში მამაკაცების გულგრილობამ ქალთა საკითხისადმი და ჩვენმა სპეციალურმა დედაკაცურმა გაჭივრებამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა ორგანიზაციულად შეერთება, რომ გამოვარკვიოთ ჩვენი სადღეისო მოთხოვნილებანი, დავანახოთ მამაკაცებს, რომ ქალებიც ვარსებობთ და თვალყური ვადევნოთ მას, თუ როგორ გულწრფელად ისინი იცავენ ჩვენს ინტერესებს და, სადაც ისეთი ავიწყდებათ, თუ განგებ ივიწყებენ, იქ შეერთებულმა ადგილობრივმა ქალთა ხმამ მოაგონოთ მათ ჩვენი სჭიროებანი. რა უნდა ჰქონდეს ასეთი პატიოსანი მიზნით დაარსებულ ქალთა კავშირის საწინააღმდგო იმ ამხანაგებს, რომელთ პარტიულ პროგრამაში ქალთა სწორუფლიანობა აღიარებულია, თუ რომ ეს მუხლი თავიანთ პროგრამისა მკვდარ ასოებათ არ სურთ დარჩეს და მის ცხოვრებაში გატარებას არ ეწინააღმდეგებიან?

მათი ამყოლი ქალები, განსაკუთრებით, ის პირები, რომლებიც თავიანთ თავს მაძღრათა გრძნობენ, ურცხვად გაიძახიან: „ჩემი ქმარი კარგი ხასითისაა, მე არასფერს არ მაკლებს და არც მიშლის და სხვას რას დავეძებო“. ასეთი ტლანქი ეგოიზმისათვის და ვიწრო შეხედულობისთვის

არაფერი არგუმენტი არ არსებობს. იყავით, ქალბატონებო, თქვენთვის, განაგრძეთ თქვენი პირადი კმაყოფილი ცხოვრება, მაგრამ ისეც მოიგონეთ, რომ ყველა ქალები თქვენებრ ბედნიერ ვარსკვლავზე არ იბადებიან და არიან სასტიკათ დაჩაგრულნიც, მრავალი უსამართლოებისა და ძალმომრეობის გამოვლილნი. შორს რომ არ წავიდე, თვით სამტრედიაში არა ერთი მაგალითი არის ამისი, რომელსაც თქვენ და თქვენი კეთილი ქმრები თვალებზე ხელაფარებით უცქერთ. მოგაგონებთ, თუ არ გახსოვთ. განა, დიდი ხანია მას აქეთ, რაც ერთს პატარა ბავშვების პატრონს ქვრივს ერთი მაწანწალა გასაუპატიურებლათ სამჯერ თავზე დაეცა, რომელსაც სახლში ერთი გროშის შემომტანი, არც მფარველი არავინა ყავს? ამ ქალმა სამივეჯერ თავი გმირულად გადაირჩინა და როცა კომიტეტში საჩივარი შეიტანა, რომ ეგ მხეცი ჩამოეშორებინათ მისთვის და ბავშვები შიშით ჭკუიდან შეშლისგან დაეფარათ, რა პასუხი მისცა მას მამაკაცების სამართალმა? ისა, რომ ეს ვაჟბატონი არხეინათ დასეირნობს და კიდევ უფრო მუქარას უთვლის მას და საბრალო მშრომელ დედას დღესაც გული შიშით უსკდება!

მეორე მაგალითი გნებავთ? განა დიდი ხანია, რაც ეს ამბავი გავიგეთ, რომ ერთ ვაჟბატონს ქალი შეურთავს, რომელიდანაც ფულები ბლომათ აუღია და როცა ეს ფულები ქეიფში შესჭამა, ცოლი უპატრონოთ და უსახსროთ დასტოვა და გაიქცა? რა სამართალი გაუჩინეთ ამ საბრალო, შეურაცყოფილს დედაკაცს?

მესამე მაგალითი გნებავთ? ამასაც მოგაგონებთ, თუმცა შვილებზე მზრუნველთ ის არ უნდა დაგვიწყებოდათ, რადგან არც ეს არის დიდი ხნის ამბავი. ერთმა ქვრივმა მამამ ცოლი შეირთო და იმის მიზეზით, რომ გერი და დედინაცვალი ვერ შეეთვისენ ერთი მეორეს, მამამ 14 წლის ქალიშვილი სახლიდან უპატრონოდ გააძევა და დღეს ეს საბრალო ბავშვი სხვისა და სხვის კარებზე დაწანწალებს. რა ყურადღება მიაქციეთ მას? დღეს ეგ ქალიშვილი მძიმე ავადმყოფი სხვის სახლში წევს და რომელმა თქვენგანმა უასაყვედურეთ ამ სასტიკ მამას და აიძულეთ ის თავის შვილის მოვლაზე?

ცალ-ცალკე ქალების სიტყვას და საჩივარს რა გავლენა აქვს, ეს თქვენ მრავალჯერ დაგვანახეთ და თუ ჩვენს დღეს გარდავწყვიტეთ ორგანიზაციულად შეკავშირება, მხოლოდ მისთვის, რომ ასეთი უსამართლოებიდან თავი მოვიგერიოთ, რომ ქალთა ჩივილს თქვენც მეტი ანგარიში გაუწიოთ.

აი, რისთვის ჰყოფილა თურმე საჭირო ქალთა კავშირები! ჩვენ გვეუბნებიან მუშა და ბურჟუა ქალს საერთო არაფერი აქვსო. ეს რამდენათ

მართალია, ამაზე არას ვიტყვი. მხოლოდ სამტრედიის ქალთა კავშირში ისეთი ბურჟუა ქალები არ ჩაწერილან, რომლისთანა ამა თუ იმ სოციალისტურ პარტიაში არ ეწერებოდნენ. კავშირში თავს ვიყრით სხვა და სხვა მიმართულების ქალები ერთად ერთი მიზნით, რომ დავიცვათ ჩვენი სპეციალური დედაკაცის ინტერესი, რომელიც ერთნაირად ითელება ყველასათვის მამაკაცების სიტლანქით და რომელი პარტია ამისათვის ჩვენ თავის წრიდან გაგვაძევებს, ნეტავ იმ პარტიის მომავალს! ქალებო, გამოფხიზლდით! გაბედულად შემოკრბით ჩვენი პატიოსანი დროშის გარშემო თქვენი ადამიანური უფლების დასაცველად!

ძირს გულგრილობა! ძირს ბოროტი ქალ-ვაჟნი!

№9, ივნისი, 1917

მოქალაქე რედაქტორო!

თქვენ დაარქვით თქვენ გაზეთს „ხმა ქართველი ქალისა“, მაგრამ მისწრაფებით, იდეური სივრცითა და ენერგიით, რომლითაც თქვენ ეწევით ბრძოლას სწორუფლიანობისთვის განურჩევლად ეროვნებისა და მიმართულებისა, ნახევარი კაცობრიობის ჩაგრულთათვის, ის ღირსია უფრო მოკლე ფორმის, მაგრამ უფრო ფართო შინაარსის სახელწოდებისა: „ხმა დედაკაცისა“.

თქვენ პირველი ხართ მთელს კავკასიაში, რომელმაც გაბედულად და მოურიდებლად ახსენით ფარდა ყველა იმ სულიერ სიღატაკეს და მონობას, რომელსაც შეაჩვია დედაკაცები ჯავშნოსანმა მუშტმა სასტიკი მბრძანებელი მამაკაცებისამ და რომლისთვისაც თქვენ ღირსი ხართ უღრმესი მადლობისა. უსაზღვრო და მუდმივ მეფობამ და გამარჯვებულმა თვითნებობამ დესპოტი მამაკაცისამ წაართვა ქალებს ღვთაებრივი სახე და ჩამოიყვანა იგი პირუტყვი დედლის საფეხურამდე, რომელსაც აქვს მხოლოთ უფლება შვილოსნობისა და ცივი სამარისა.

მთელი ისტორია მიმდინარეობს მამაკაცების ბრძოლაში თავისი პირად უფლებისთვის, თავისი „მეს“ განთავისუფლებისთვის საუკუნოებრივი მონობისგან, მაგრამ იგივე მამაკაცი ახრჩობდა და ახრჩობს თვით მორიდებულ ცდას ქალებისას მონურ ცხოვრებიდან გამოსასვლელად, რომ მოიპოვონ იგივე სისრულე ცხოვრებისა, რომელზედაც შეიძლება მას უფრო მეტი უფლება აქვს, ვიდრე მის სასტიკს და გონიერს მეტოქეს და იმ დროს, როცა განმათავისუფლებელი ტალღა სცემს ჩვენ სამშობლოს, მიუხედავათ ხმის უფლების ბოძებისა, ყოველი ცდა და სურვილი ქალებისა უკეთესი ცხოვრებისადმი, ეჯახება ან გაკვირვებას და ან მბრძანებელს ყვირილს: „ხელებიო შორს!“ გუშინდელი მონა, მიმღები მოქალაქის უფლებისა, წინააღმდეგია გაუყოს ეს უფლება იმ არსებას, რომელიც კანკალითა და გულის ფრიალით ელოდება უკეთეს დღეებს თავისი სიცოცხლისას. ამ გარდამავალ ეპოქაში თქვენ აღიმაღლეთ თქვენი პატიოსანი და მოუსყიდველი ხმა ფიზიკურად და სულიერად მივიწყებულ ქალთა უფლებისათვის.

ბასრი, დაუზოგველი დანით თქვენ ამოსჭერით მიუხედავი, უსინათლო მხარე მონობაში ჩამხრჩვალ ქალთა ხვედრისა და სცემთ საყვირს თქვენი დების მკვდრეთით აღსადგენათ. გამსჭვალული ღრმა რწმენით თქვენი იმედების დღესასწაულისადმი და თავისუფლების სიმღერის გამარჯ-

ვებისადმი, ამ ამონგრეულს ძველს სახელმწიფოებრივ საძირკვლებზე, გთხოვთ მიწილადოთ ადგილი თქვენს გაზეთში გამოსარკვევად ზოგიერთი პირობებისა და იმ კითხვებისა, რომელიც მჭიდროდ გადაბმულია ქალის სწორუფლიანობაზე.

ექიმი ა. მაჭავარიანი

p.s. ჩვენთვის დიდი კმაყოფილებაა იმის წარმოდგენა, რომ ჩვენმა ახლათ ფეხადგმულმა გაზეთმა აგრე დიდი ყურადღება მიიქცია საზოგადოებისა. როდესაც ვფიქრობდით მის გამოცემას, ჩვენ გათვალისწინებული გექონდა ყველა ის სიძნელე, რომელიც წინ დაგვიხვდებოდა ჩვენს დუხჭირ საზოგადო ცხოვრებაში, მაგრამ ყველა ამ სიძნელის დაძლევას გვიადვილებდა რწმენა, რომ ყოველი პატიოსანი და კეთილშობილი გული გაიმსჭვალებოდა თანაგრძნობით დედაკაცის უბედური ხვედრისადმი, რომელშიაც ის ჩააგდო ისტორიულმა ძალმომრეობამ, გაჩაღებულმა მამაკაცთ შორის და თუ ჩვენ გაზეთს სახელად დავარქვით „ხმა ქართველი ქალისა“ , მხოლოდ იმ აზრით, რომ ქართველი ქალიც თანამედროვე საქართველოში თავისი უცხოელი დების ტაფაში იხრაკება და რომ ესეც უერთებს ხმას ამ დიად ისტორიულ მომენტში მთელი ქვეყნის უფლებისათვის მებრძოლ დებს. მიუხედავათ მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეთა, ჩუმი, თუ ცხადი პროტესტისა, ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ იმ ქვეყანაში, სადაც უძველეს დროიდან ქალთა კულტი მეფობდა, რა გვარათაც არ დამახინჯებულიყო ჩვენი ეროვნული ცხოვრება, აქაიქ დიადი ქართველი სული კიდევ ტრიალებდა. ჩვენ არ მოვსტყუვდით ამაში და ასეთ კეთილშობილ ქართველთა ხმა თანდათან გვწვდება. ეს ხმა ჩვენთვის განსაკუთებით ძვირფასია მით, რომ ა. მაჭავარიანი ერთი იმ კეთილშობილი პიროვნებათაგანია, რომლის უმწიკვლო ზნეობას და სპეციალურ ერუდიციას კარგათ იცნობს ჩვენი საზოგადოება.

კატო მიქელაძე

№9, ივნისი, 1917

წერილი სამტრედიიდან

კვირას, 28 მაისს დ. სამტრედიაში მოხთა ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტის არჩევნები. ასარჩევი იყო ოცდაერთი წევრი აღმასრულებელი კომიტეტისა და ექვსი მათი კანდიდატები. კრების თავმჯდომარემ, გ. დუნდუამ გამოაცხადა, რომ არჩევნები მოხთება თავისუფალი, ფარული კენჭისყრით, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს ორივე სქესის სრულწლოვანნი და გამოაქვეყნა რა, უკვე შემუშავებული წევრთა და კანდიდატთა სია, თანაც დასძინა: ეს დასახელებული პირნი უნდა იქნეს არჩეულიო. არ შემიძლია აქვე არ ავღნიშნო, რომ ამხანაგ თავმჯდომარის სიტყვები „უნდა იქნეს", ჩემი ფიქრით, არ ნიშნავდა ძალადაუტანებლობას, მაგრამ ეს, სხვათა შორის...

გარდა ამისა, როცა არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებას ორივე სქესს აძლევდენ, მე დარწმუნებული ვიყავი, რომ აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაც ორივე სქესიდან იქნებოდა, მაგრამ, წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როდესაც სია გამოქვეყნდა, წევრთა შორის ერთი დედაკაციც არ იქნა დასახელებული! ძლივს, მეხუთე კანდიდატათ შეერიათ ერთი ქალი და ალბათ, იმ მოსაზრებით, რომ მას ერთხელაც არ შეხვდება კომიტეტში შესვლა, თუნდაც მთელი საუკუნე დარჩეს ეს კომიტეტი თავის თანამდებობაზე. მიკვირს, ღმერთმანი, ასეთი დაცინვა რად დავიმსახურეთ ქალებმა! იმ ჯგუფში, სადაც 26 მამაკაცი ამორჩეულია, ნუთუ ერთი ქალი არ უნდა გაერიათ? ერთი ქალი და ისიც კანდიდატთა რიცხვში? წევრთა სიაში მაინც ყოფილიყო შეტანილი! გვიყიჟინებენ ცოდნაა საჭირო, მუშაობა, პრაკტიკაო. უმუშევრად პრაკტიკა? არ მესმის, რა პრაკტიკას შევიძენთ ქალები, თუნდაც ისევ ის აღმასრულებელი კომიტეტი რომ ავიღოთ! მომავალშიაც უთუოთ ამ პასუხით გაგვისტუმრებენ!

ერთი, ეს მიბრძანეთ, ბატონო მამაკაცებო, (ვგულისხმობ სამტრედიისას, რადგან, შეიძლება, სხვაგან უფრო ყურადღებით ექცევიან დაბეჩავებულს სქესს), თქვენ სწავლულნი დაიბადეთ? თუ სად შეიძინეთ ეგ პრაკტიკა, რომელზედაც ჩვენ გვიყიჟინებთ, იქნება თქვენ მეორე ნაბიჯის გადადგმა უპირველოდ იცით? მეც გამიგონია თეორია უპრაკტიკოდ არ ვარგაო. პრაკტიკაც დაწერილია? მე ვერ ვნახე! არა, ბატონებო, სურვილი არა გაქვთ. გამოტყდით, რომ წინააღმდეგი ხართ სქესთა უფლებრივი გათანასწორების, თორემ რა ისეთი რამ მოუხეში გავხდით

ქალები, რომ ვერაფერი ვისწავლოთ! დალოცვილებო, პირუტყვს ასწავლიან მუშაობას, თორემ ჩვენ, ადამიანებს, რა შეიქნა ამისთანა? ერთი ჰაერით ვსუნთქავთ, მზე არ გაქვთ საკუთარი და მთვარე! ჩვენებრ ორ ფეხზე დადიხართ. ტვინი, მეცნიერების გამოკვლევით, ქალს თუ მეტი არა აქვს, არც ნაკლები აქვს მამაკაცზე, მაგრამ, რათ გვინდა ტვინი, თუ საშვალება არ გვექნება ავამუშავოთ, განვავითაროთ იგი, თუ საქმეში არ გაგვირევთ. იმის მაგივრად, რომ გვერდში ამოგვიყენოთ, თქვენთან ერთად გვამუშაოთ, გვეუბნებით: თქვენ არ ვარგიხართ სამუშაოთ კომიტეტშიო. (ჩვენთვის ყველა დაწესებულება კომიტეტია) რადგან ასეა, ნურას უკაცრავათ, მამაკაცებთან კვირის შეცდომა კვლავ არ განვიმეოროთ. მუშაობა თუ არ უნდათ, ჩვენი რა შეიქნა ისეთი სამუშევარი, რომ მისი სწავლაც არ შეიძლებოდეს. როცა დაგჭირდებათ ყულაბებჩამოკიდებული ძალიან დაგვახრიგინებთ ბაზარ-ბაზარ? ანდა, ხმის მისაცემათ ყუთებზე კარგად გაგვარჩევინეთ თეთრი და შავი!

რამდენი იქნებოდა ისეთი დედაკაცი, რომლებიც ვერ ისარგებლებდნენ ასეთი ყუთით, მაგრამ ერთსაც არ აუშორებია კენჭი. ხან იმასაც გვეუბნებით, შეიძლება ღამე წასვლა შეგიხვდეთ სადმე, დარაჯობა და სხვა ამისთანაო. არ მესმის, ღმერთმანი, რა საფრთხობელა რამ თქვენა ყოფილხართ! ჩვენ თუ ვისმეს გვეშინია, ისევე თქვენი, მამაკაცების, თორემ ტყე არ გვახლავს ახლო ისეთი, რომ მგლები და ტურები გადმოცვინდნენ ღამე და დაგვჭამონ. ძაღლები თქვენზე ნაკლებად გვერჩის ჩვენ. თუ ფიზიკურ ღონეზეა საქმე, ძალმომრეობა ხომ არ არის?

არა, ქალებო, ჩანს, რომ ხსნა არ არის. ჩვენი საქმე ისევ ჩვენ უნდა ავიღოთ ხელში. ბრძოლაა საჭირო. (არავის შეეშინდეს, თოფ-იარაღით გამოსვლას არავის მოუწოდებთ) ჩვენ სისხლის მღვრელნი არა ვართ, საჭიროა ცოდნით შეიარაღება, შეკავშირება. დავივიწყოთ პარტიული კინკლაობა. ამ შემთხვევაში ჩვენ ყველანი ერთ პარტიას ვეკუთვნით. გვახსოვდეს, რომ ძალა ერთობაშია. მაშინ მამაკაცები ავტომატათ ვერ გამოგვიყენებენ, პირიქით, შეგვეხვეწებიან, მობრძანდით და იმუშავეთო.

სამტრედიელი ქალი

№9, ივნისი, 1917

როგორ სდევნიდენ წინათ ქალს და როგორ სდევნიან ახლა

რუსეთის იმპერიაში ამ ცხრა-ათი წლის წინათ ქალი, ქალის ვექილათ რომ წარსდგა მსაჯულთა წინ, სასამართლო დაჰხურეს, ქალს დამცველობის უფლება არა აქვსო. კავკასიაში ერთი პოეტის იუბილეზე, განურჩევლათ ეროვნებისა, გლეხების მიერ გამოგზავნილ ქალს მისივე ერის ინტელიგენტი კაცები უკრძალავდნენ იუბილართან მისვლას, ქალის საპატიო პირათ ამორჩევა მამაკაცების შეურაცყოფად მიიღეს. რკინის გზებზე უარყოფდენ ქალების სამსახურს, ქალს ცულლუტობა-არშიყობის მეტი არ ძალუძსო. რომ სხვადასხვა მაგალითები არ მოვიყვანო, ეს სამი ფაქტიც ნათლად ადასტურებს, რომ ქალს ყოველ საპატიო დარგიდან სდევნიდნენ და, თუ რომელიმე დაწესებულებაში ქალის შრომას შესაფერ ღირსეულ ალაგს მიაკუთვნებდნენ, მისი სქესისადმი მოვალეობა კი არ აფიქრებინებდათ, არამედ ან ქმარი უნდა ყოლოდა რაიმე საქმით ცნობილი, ან მეგობარი და ან ჩამომავლობით მაღალი ხარისხი.

რასაკვირველია, ეს გონიერების დამამხობელი სიბეცე წარსულ ისტორიას ეკუთვნის, მაგრამ დღეს ნაკლებ სულისკვეთებას არ განიცდის ქალი, როდესაც ცხოვრების ღერძის ბრუნვა ძირფესვიანად გადატრიალდა: დამონავებული ძლიერს ამოუყენა მხარში, გლეხი თავადს გაუთანასწორა, ქალი უფლებით მამაკაცს დაუპირდაპირა და მსოფლიო არსებობის საჭის ერთი ნახევარი ქალს მისთავაზა, მაგრამ მამაკაცის დამცინავი, ბრაზმორეული ხმა მაინც გაისმის:

– ტრამვაიებზე ქალებს ზამთრის სუსხი მუხრუჭს რომ მოუჭერს, მალე მონახავენ ბუნაგს.

– მატარებლებიდგან ძირს რომ ლაზათიანად გადაკოტრ-გადმოკოტრიალდებიან, მაშინაც განაგრძონ მამაკაცისადმი ფიზიკური მეტოქეობა.

– ომში წასული კაცები დაბრუნდებიან და მათ ადგილებზე გამოჭიმულ ქალბატონებს სულ ფაცხა-ფუცხით მიაბძანებენ და სხვა.

აი, რა ფრიად მწუხარებით აღსანიშნავია და მასთან, განსაცვიფრებელი, რომ ახალმა სიოს ძალუმმა ქროლვამ ჯერ ვერ წარიტაცა მამაკაცის ძარღვებში გამჯდარი დედაკაცისადმი მონობის შთაბეჭდილება, მაგრამ დრო გაივლის და გონზე მოსული მამაკაცი ქალის პიროვნების წინ მოიხრის ქედს.

მაშინ ახალი ადამიანი ახალ ცხოვრებას ახალ მრავალჟამიერს უგალობებს და ჟამსა დასასრულ სიცოცხლისას, ნეტარების ღიმილით განისვენებს ახალ სამარის ნათლოვან ჯურღმულთა შინა.

ანეტა კაპანაძისა

№10, ივნისი, 1917

არა, ჯერ ჩვენ კიდევ არა ვართ ადამიანები (ვ. ლემეშოვისა)

თითეული, ვინც წაიკითხავს ჩემი წერილის სათაურს, გაიკვირვებს და შეიძლება, ზოგი ერთობ არა კეთილის თვალით შემომხედავს ასეთი დამტკიცებისათვის, მაგრამ, ნება მიბოძეთ, რომ დაგეთანხმოთ, რომ ჩვენ ადამიანები ვართ, მაგრამ მხოლოდ ორგანიზაციით და იმ ადგილით, რომელსაც ჩვენ ვიჭერთ ზოოლოგიურ კიბეზე. ჩვენ, შეიძლება ვსთქვათ, რომ ადამიანები ვართ შემთხვევით, უფრო ნათლათ რო ვსთქვათ, ჩვენი სხეულით, ნიჭით, რომელითაც ჩვენ პირუტყვებიდან გავირჩევით, მაგრამ არა ჩვენი ყოფა-ქცევით, რომელიც ეგრე არ შეეფერება ჩვენს წმინდა ადამიანურს ნიჭს.

ჩვენ მაშინ ვიქნებით ღირსი ადამიანის სახელისა, როცა ვიმოქმედებთ თანახმათ ადამიანური თვისებისა. ეს კი არ გვაქვს ჩვენ და ამისთვის კატეგორიულად ვამტკიცებ: არა, ჩვენ არა ვართ ჯერ ადამიანები. ასეთი მტკიცების სამართლიანობაში დარწმუნება ადვილია. რასაკვირველია, უცნაური და სამწუხაროა, რომ კაცობრიობა, რომელსაც სამემკვიდრეოთ დარჩა მთელი გონებრივი ტვირთი დიდებული ხალხისა, გენიოსებისა, რომელნიც ესწრაფებოდნენ რელიგიოზური რწმენით, მეცნიერული დოქტრინით და ფილოსოფიური სისტემით ხალხის გაადამიანებას, რომლებმაც ასწიეს მთელი კულტურა იმ სიმაღლემდე, რომელზედაც ვერ შეფრინდებოდა მთელი ფანტაზია პირველყოფილ ადამიანისა და დაიმორჩილეს რა, თითქმის ყველა სასტიკი მოვლენა მსოფლიოსა, რომელიც აფრთხობდა პირველყოფილი ადამიანის ბავშვურ გონებას და მოიგო რა ცხოვრების გაუმჯობესებაში, თუმცა შედარებით მთელი მსოფლიოს მცხოვრებთან უმნიშვნელო პროცენტმა, მიუხედავათ ამისა, მზგავსად პირველყოფილი და მხეც ხალხისა, კაცობრიობამ ვერ დაიმორჩილა პირუტყვი.

თუმცა, დიდებულმა პიროვნებებმა და გენიამ საშვალება მოგვცა გაგვეგო ჭეშმარიტი ბუნება ადამიანისა, დაგვიდგა პირველი საფეხური გასაადამიანებლათ, მაგრამ ეს არ კმაროდა, საერთო კაცობრიობის კრიტერიის უმისოთ, მარტო ერთი შენობა არ კმარა. მხოლოდ საერთო საკაცობრიო კრიტერიას, როგორც კონტროლს და რეგულატორს ჩვენი აზროვნებისას და ყოფაქცევისას, შეუძლია სრული გაადამიანება. საერთო საკაცობრიო კრიტერია კი არის ადამიანის თვისებიდან გამოყვანილი

საკაცობრიო ზნეობრივი დებულება და მისი შესაფერი ცხოვრების წყობილება. დანარჩენი, რომელსაც საფუძვლად არ უდევს ეგ ზნეობრივი დებულება, იქნება მზგავსი თანამედროვისა, რომლის საფუძველი არის ბრძოლა და ბრძოლა კი, როგორც ვიცით, არის ნიშანი პირუტყვობისა. დიახ, ჩვენ ჯერ ვერ დავიმორჩილეთ პირუტყვი და ასეთს პირობებში კი როგორი ადამიანები ვიქნებით, ამას ერთობ ნათლად გვისურათხატებს არსებული მსოფლიო ომი, რომლის მოთავე და წინამძღოლი ვილჰელმ მეორე[4] ბრძანდება. მან დაგვიმტკიცა და გვიჩვენა, თუ როგორ შეუძლია თანამედროვე არანორმალურს ცხოვრებას გარდაქმნას ადამიანი ნამდვილ მხეცათ და მან, ამ ვილჰელმ მეორემ, განსაზღვრა დედაკაცის მოქმედება კლასიკური ოლქებით: „კინდერ, კუხე, კირხე[5]".

ჰო, დედაკაცები რომ ყოფილიყვნენ პოლიტიკურად და სოციალურად სწორუფლიანი მამაკაცებთან და მჯდარიყვნენ თანასწორად მათთან საკანონმდებლო პალატაში, დარწმუნებით შეგვეძლო გვეთქვა, რომ ვილჰელმ მეორე ვერ ჩაითრევდა ხალხს საერთაშორისო პირუტყვულ ბრძოლაში. ის დღეს შევიდა ისეთს განდიდების მანიაში, რომ თანამედროვეებს გამოუცხადა, რომ არავის არ სცნობს, გარდა ერთი ღვთისა, რომელთანაც ის პასუხს აგებს. ეს სიტყვები იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ ერთს, ღმერთს შეუძლია მოსთხოვოს მას ანგარიში და არა სხვა ვინმეს. თანამედროვე ხალხი კი იმდენათ ზნეობრივად მახინჯია და იმდენათ მდაბლად დგანან ზნეობრივი განვითარების საფეხურზე, რომ ბრმათ მიყვებიან ასეთს ბელადს და ადიდებენ მას.

რომ დაუკვირდეთ ჩვენი ცხოვრების პირობებს, არა თუ არ მიხვალთ სამწუხარო დასკვნამდე, რომ მძიმე შრომით მიღებული შეგნება, მთელი გონებრივი სიმდიდრე – გარეშე პრაკტიკულ მოქმედებისა ე.ი. ჩვენი სოციალური შენობა არათუ არ არის დამყარებული მასზე, არამედ აშკარად ეწინააღმდეგება ზნეობრივ შეგნებას. პირდაპირ გიკვირს, თუ როგორი ელასტიურია ჩვენი დროის ზნეობრივი შეგნება, მაშინ, როდესაც, ზნეობა იგივე ადამიანობაა, რომლის თანახმად, კაცობრიობის ორგანიზაცია უნდა იყოს ერთი ყველასთვის. დღეს კი წარმოუდგენელი ქაოსია ზნეობრივი შეხედულობისა.

ხალხი გაყვეს სხვადასხვა ჯიშათ, როგორც პირუტყვები და თითეული ჯიშისთვის შექმნეს საკუთარი უფლებები. ბოლოს და ბოლოს, ხალხმა დაკარგა თვისში ადამიანი, გაეყვნენ თვით თავიანთ თავსაც და შეუდ-

4 ვილჰელმ II (1859-1941) – გერმანიის უკანასკნელი იმპერატორი, პრუსიის მეფე.

5 Kinder, Küche, Kirche – ბავშვები, სამზარეულო, ეკლესია, გერმანული გამოთქმა, რომელიც ასახავს ქალისთვის განსაზღვრულ როლს პატრიარქალურ სამყაროში.

გენ ძიებას გამოუცნობელისას. ჩვენ არ გვაქვს დღეს ადამიანური თანაცხოვრების პირობები. ჩვენა გვაქვს მხოლოდ მონარქიულ, კონსტიტუციონური და რესპუბლიკანური წყობილება. ჩვენ ისე შევეჩვიეთ პირუტყვობას, რომ ვერც კი ვამჩნევთ წინააღმდეგობას ჩვენი აზრისას და მოქმედებისას. თანამედროვე ხალხი, მიუხადავათ თავიანთი გონებრივი განვითარებისა, არ გრძნობენ და თუ გრძნობენ, ვერ ბედავენ დარღვევას, ისეთს არაადამიანურ ცხოვრებისას და ბრმათ, სტიქიურათ ემორჩილებიან მას სრულიად შეუმჩნევლათ იმისა, თუ რამდენათ ასეთი ცხოვრებით შორდებიან ადამიანს და უახლოვდებიან პირუტყვს.

ასეთი ცხოვრებიდან გამოსასვლელად დაუყოვნებლივ საჭიროა პოლიტიკური და სოციალური სწორუფლიანობა ქალებისა. მხოლოთ სქესთა სწორუფლიანობა თავდებია ხალხის გაადამიანებისა. მე ვფიქრობ, რომ ამტყდარმა საერთაშორისო ომმა უნდა დაარწმუნოს არამარტო ქალები, არამედ მამაკაცებიც, რომ უფლებათა უთანასწორობამ გააჩაღა ეგ მსოფლიო ომი და სანამ არსებული უფლებრივი უთანასწორობა არ მოისპობა, მანამ, დიახ, ჩვენ არა ვართ ადამიანები!

№14, ივლისი, 1917

ცრუ სახელწოდება

7 ივლისს „ქალთა საზოგადოების" სახელით მოხდა ქუთაისში ყულაბებით ფულების შეგროვება. ჩვენ გვაინტერესებს, თუ რომელი ქალთა საზოგადოება არის ეს საზოგადოება? რადგან საზოგადოება ჰქვია, იდეურად და ორგანიზაციულად შეკავშირებულს წევრებს და ჩვენ გვინდა გავიგოთ არსებობს თუ არა ასეთი, საზოგადოთ ქალთა ორგანიზაცია დღეს ქუთაისში, გარდა „საერთო ქალთა პოლიტიკური კლუბისა". ჩვენ ვიცით, რომ თვითმპყრობელობის დროს არსებობდა ქ. ქუთაისში ეგრეთ წოდებული ქალთა საზოგადოება. მათ გახსნეს სკოლა ე.ი. ჭრა-კერვისა, რომელიც ყოველთვის სულსა ჰღაფავდა. მას თაოსნობდა ქ-ნი ოლღა ქორქაშვილი და რამდენათ ის მსურველია ეს სკოლა ფეხზე დააყენოს, იმდენათ თანაგრძნობის ღირსია ის და ყოველი ჩვენგანი ვალდებული, რომ დავეხმაროთ მას, მაგრამ როცა ამ სკოლის სასარგებლოთ ფულის შეგროვება ქალთა საზოგადოების სახელით ხდება, ჩვენ ვკითხულობთ, მართლაც საზოგადოება არის ეს, თუ ნაშთი იმ გარდაცვლილი საზოგადოებისა, რომელმაც ამდენი მწუხარე ცოდნა დასტოვა.

ყველამ უწყის ქუთაისში, თუ რა განხეთქილობა შემოიტანა ამ საზოგადოების არსებობამ. ოც მარტს საერთო ქალთა საგანგებო კრებაზე, თვით დემოკრატ ქალთა შუა, სადაც ერთი ნაწილი დემოკრატიული ქალებისა მოითხოვდა ძველი საზოგადოების გამგეობის ცოდვების განხილვას და ამას თხოულობდენ მისთვის, რომ ოც მარტს ეყრებოდა საძირკველი დღეს არსებულს ქ. ქუთაისში „ქალთა საერთო პოლიტიკურს კლუბს" და შიშობდენ ახალი საზოგადოების სათავეებთან ძველი, ცოდვილი გამგეობის წევრები არ მოქცეოდა. ასეთი მოთხოვნილება საგანგებო კრებაზე სრულიად უადგილო იყო, რამაც გამოიწვია უთანხმოება და გუშინდელი მეგობრები დღეს ერთი მეორეს ჩამოაშორა. ძველი საზოგადოებიდან დარჩენილი გამგეობის წევრებს ჩამოშორდა როგორც წევრები საზოგადოებისა, ისე წევრები გამგეობისა და ისენი დღეს თავის თავს საზოგადოებას უწოდებენ. ამ გამგეობის წევრებს და მათ თავმჯდომარეს წლიური კრება არ დაუნიშნავთ, მიუხედავათ ვადის გადასვლისა, სადაც შესაძლებელი იყო განხილვა მათი მოქმედების.

ჩვენ მოვითხოვთ უბრალო წესიერებას, რომელსაც ყოველი წესიერი საზოგადოების გამგეობა და მისი თავმჯდომარე უნდა ასრულებდეს, ან დანიშნონ წლიური კრება, რომელიც გადასწყვეტს მათი საზოგადოების

ყოფნა-არყოფნის საკითხს და ან ხელი აიღონ ცრუ სახელწოდებაზე იმ სკოლის, რომელიც დაუარსებიათ და სკოლისავე სახელით მოუარონ და არა „ქალთა საზოგადოების“ სახელწოდებით.

№17, აგვისტო, 1917

ამხანაგებო და მოქალაქენო!

მომავალ კვირას ქუთაისის ქალაქის საბჭოს ხმოსნების არჩევნებია. თითეულმა პარტიამ უკვე გამოაქვეყნა თავისი კანდიდატების სია. თითეული პარტია იკვეხის ხალხის სამსახურსა და თავის დიად ღვაწლს მშრომელთა და ჩაგრულთა საკეთილდღეოდ. ამხანაგებო, მოიგონეთ დიდი პოეტის სიტყვები: „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უდის დიდი ზღვარიო". მოიგონეთ ეს სიტყვები და გამოიჩინეთ ნამდვილი მოქალაქური წინდახედულობა! გაარჩიეთ თქვენი მტრები და მოყვრები! გადაათვალიერეთ თითეული პარტიის კანდიდატთა სია, ნახეთ, სად უფრო მეტი ქალებია წარდგენილი, რომ იცნოთ მტერი და მოყვრები ქალთა უფლებისა, რომ გაიგოთ, რომელი პარტია უფრო ხელს უწყობს ქალთა საზოგადო ასპარეზზე გამოსვლას და მათ თვითმოქმედებას.

საქართველოს უძველეს პარტიაში, სადაც ურიცხვი მუშა და ინტელიგენტი ქალები მუშაობს, სოც-დემოკრატიულმა პარტიამ მხოლოდ ორი ქალის სახელი გვამცნო თავის კანდიდატთა სიაში. არც ერთს პარტიას ჩვენში, გარდა ნაციონალ დემოკრატებისა, ასე არ შეუზღუდავს ქალ კანდიდატთა რიცხვი. ეს პარტია ყველაზე ნაკლებ იცავს ქალთა სწორუფლიანობას. მათი არაკეთილი განწყობილება ქალთა უფლებისადმი იქედანაც ჩანს, რომ არც ერთს პარტიას ქუთაისის ქალთა საერთო პოლიტიკური კლუბისთვის და ჩვენი გაზეთისთვის იმდენი წინააღმდეგობა არ გაუწევია, როგორც ამ პარტიის წევრებმა. პირველი იერიში ჩვენზე მათ მოიტანეს. მათი ჩემდამი არაკეთილგანწყობილებით ყოველი ფეხის გადადგმაზე ჩვენ წინააღმდეგობას და დაბრკოლებას ვეჯახებით. ამხანაგებო, ყველა ეს მიიღეთ მხედველობაში და ისე მოიქეცით! გახსოვდეთ, რომ დიდი რევოლუციის ეპოქაში სოც-დემოკრატები ქალთა ორგანიზაციებს გარეშე პარტიისა წინ აღუდგენ!

სოციალ-დემოკრატი მენშევიკები, რომელიც სოციალიზმის დაბადებას მოელიან კაპიტალიზმის ევოლუციის გზით, რომლის ყველა უკუღმართ შედეგებს, როგორიცაა პროლეტარიზაცია ხალხისა, მშიერი არმია მუშებისა, დეგრადაცია და სხვა მრავალი უბედურობანი, აუცილებელ მოვლენათა სთვლიან და რომლიდანაც თავის მოგერიებას მხოლოდ ორგანიზაციულად შეერთებულ ქალაქის პროლეტარიატისთვის რაცხავენ შესაძლებლათ, ვერ იქნება დამცველი ქალთა უფლებისა და ჩვენ არ

გვაკვირვებს მათი ჩვენდამი არა კეთილი განწყობილება და არც მათ მიერ წამოყენებული უმნიშვნელო რიცხვი კანდიდატი ქალებისა.

ამხანაგებო, საქართველოში ნორჩი პარტია, მაგრამ უგმირესი და უძლიერესი პარტია მთელი რუსეთისა ჩვენს გამოსვლას თვითმოქმედების გზაზე, დანარჩენების დუმილში, სიხარულით და მოლოცვით შეხვდა. მათი გმირი ჯარისკაცები ერთადერთია ჩვენში, რომელნიც თავიანთი ძარღვიანი ხელით ატარებენ დროშას ქალთა სწორუფლებიანობისას. ამხანაგებო, პატივი ეცით ჩვენი ადამიანური პიროვნების დამცველ, ჩვენი გამოფხიზლებისა და თვითმოქმედების მოსურნე ხელის შემწყობ პარტიას. ესენი ჩვენს უფლებას ვერ უღალატებენ! ვერ უღალატებენ იმ გმირი ქალების სახელის პატივისცემით, რომელნიც დიდების შარავანდედსა ფენს მას და არც ღალატობს ჩვენს უფლებას. მათი გულწრფელი სურვილი ქართული ძალების სამოქალაქო ასპარეზზე გამოყვანაა და მიუხედავათ იმისა, რომ მათ ყველა არსებულ პარტიებზე ნაკლები ქალები ყავთ, ყველაზე მეტი რიცხვი ქალებისა მათ წამოაყენეს კანდიდატებათ მომავალი ქალაქის არჩევნებში.

ამხანაგებო, ჩვენი ადამიანური უფლების დაცვა გვავალებს, რომ მხარი დავუჭიროთ სოციალისტ რევოლუციონერების პარტიას. გახსოვდეთ, სია ნომერით ორი არის დამცველი ქალთა უფლებისა და მას მიეცით ხმა! ამის თქმას, ასეთი რჩევის მოცემას თქვენთვის მე მავალებს არა პარტიული ინტერესი, არამედ ინტერესი დედრობითი სქესის მოქალაქური ცხოვრებისა და თუ რომელიმე სხვა პარტია გამოიჩენს ქალთა კავშირებისადმი და უფლებისადმი მათებურს კეთილგანწყობილებას, ჩვენ მათაც ეგრე მოვექცევით.

№19, სექტემბერი, 1917

პარტიული მტაცებლები

მაისის პირველ რიცხვებში დ. ღანირის ორკლასიან სასწავლებლის მასწავლებელ ქალს მ. ამაღლობელს თავისი სკოლის ბავშვებისთვის გამოუცხადებია, რომ შეეგროვებინათ თავისი წვლილი ქალთა გაზეთის „ხმა ქართველი ქალისა" ფონდის გასაძლიერებლათ. ბავშვებს სიამოვნებით თანხმობა გამოუცხადებიათ და მეორე დღესვე მოუტანიათ 40 მანეთი და რაღაც კაპეიკები. მასწავლებელ ქალს ეს ფული უფროსი მოსწავლე ქალებისთვის გადაუცია იმ აზრით, რომ მათ თვითონვე გაეგზავნათ ეს ფული რედაქციისთვის. ამ დროს შემობრძანებულა სკოლაში ზედამხედველი სასწავლებლისა მელქისედეგ ბალავაძე და უკითხავს, თუ რისთვის იყო დანიშნული ამ ფულის შეგროვება. მასწავლებელ ქალს მოუხსენებია მისთვის, რომ ეს ფული ეგზავნება ჩვენს რედაქციას. ბატონი ბალავაძე ერთობ შემწყრალა, თუ როგორ გაბედეს და ფული მისი დიდი პერსონისა და კომისარის დაუკითხავათ შეაგროვეს. ეს ამბავი მას მსწრაფლ კომისარისთვის უცნობებია. კომისარს მილიციისთვის და უკანასკნელიც შემოსულან სკოლაში და მასწავლებელ ქალისათვის მიუმართავთ საყვედურით, რომ მას ნება არ ჰქონდა მათ დაუკითხველად ფულის შეგროვებისა.

კომისარს ეს ფული ბავშებისათვის ჩამოურთმევია და ამგვარად, ორთავე სატრაპებს, ბალავაძესა და კომისარს რუხაძეს თავიანთი მოვალეობა შეუსრულებიათ. ამაღლობელის ქალი მოვიდა ჩვენს რედაქციაში და გვამცნო ეს ამბავი. გუბერნიის კომისარის გრ. გიორგაძის რჩევით რედაქციამ ის გაგზავნა მაზრის უფროსთან, მაზრის უფროსის თანაშემწემ აღუთქვა მას, რომ გაგზავნის ქაღალდს ღანირში და მოსთხოვს კომისარს ფულის რედაქციისთვის დაბრუნებას. მას აქეთ თითქმის ერთი თვეა და ფული კი არა სჩანს.

ერთი კვირის წინათ შემოვიდა ჩვენთან მასწავლებელი ქალი ღანირის სკოლისა და გვამცნო შემდეგი: მე ვიყავ ღანირში. ვნახე პირადათ კომისარი და როცა დავეკითხე უგზავნის თუ არა ის ფულს რედაქციას, შემდეგი პასუხი მომცა: „მიუხედავათ იმისა, რომ მაზრის უფროსიდან ქაღალდი მივიღე, ფულს რედაქციას მაინც ვერ გაუგზავნითო".

– რისთვის? – დაკითხებია ამაღლობელის ქალი.

– მისთვის, რომ ჩვენ კრება გვქონდა და უმრავლესობამ გადაწყვიტა ეს ფული სკოლას შესწიროსო.

ამგვარი პასუხით გამოუსტუმრებია ბატონ კომისარს ჩვენი ამხანაგი ქალი. ბატონ ბალავაძესა და კომისარ რუხაძეს ჩვენი გაზეთი პარტიულ გაზეთათ მოუნათლავთ და აღნიშნულ კრებაზე დამსწრე პირთა გადმოცემით ხალხს ერთხმათ უარი განუცხადებიათ რაიმე დახმარების აღმოსაჩენათ ფედერალისტების გაზეთისათვის. დღეს ეს საქმე მუშათა საბჭოსა და ჯარისკაცთა დეპუტატებს განსახილველად გადაეცა. ბატონ ბალავაძეს ამ საქმისათვის პასუხს ჩვენ კიდე სხვა გზით მოვთხოვთ. ნუთუ, ასეთი დაბრმავებულია პარტიული შურითა და კინკლაობით ადამიანი, რომ საერთო თავისუფლების დროს ბედავს კერძო ინიციატივის შეზღუდვას, უნდა უდგეს სათავეში ჩვენი სოფლის მოზარდი თაობის აღზრდა-განვითარებას?

რედაქცია

№22, სექტემბერი, 1917

პატივი ეცით ქალის ნიჭს

რომ მამაკაცის ეგოისტურმა ინსტინკტმა შექმნა ყოველი გვარი უკუღმართი მოვლენა ცხოვრებაში და დედაკაცის პიროვნება გათელა, ეს უდაო ფაკტია. მხოლოდ, როცა დღეს ამ საერთო განახლების და თავისუფლების დროს ქალთა განთავისუფლება და სწორუფლიანობა სადაო ხდება, ეს ერთობ ჩამაფიქრებელია ჩვენთვის, ქალებისთვის. ჩვენ დღეს უნდა გადავხედოთ ჩვენს წასულს და აწმყოს, რომ ვიქონიოთ წარმოდგენა მაზე, თუ რა უნდა ვყოფილიყავით და რანი ვართ დღეს, რომ მომავალშიც არ ჩავრჩეთ დუხჭირ ცხოვრებას თავის გამხრწნელს ბრჭყალებში.

წასულიდან დღევანდლამდე ჩვენ ვხედავთ, როგორ თან და თანობით მამაკაცებმა ქალები თავისი პირუტყვული სიამოვნების მსხვერპლად გაიხადეს. ქალს, რაც ბუნებამ მისცა, ის მამაკაცების კანონმა წაართვა. ასეთს მდგომარეობაში ჰყოფნა შეუძლებელია და დღეს, ისე როგორც არასოდეს, ქალები უნდა წინ აღუდგეთ არსებულს უსამართლო კანონებს. დღეს ქალებმა უნდა ვაგრძნობინოთ მამაკაცებს ჩვენი ზნეობრივი და გონებრივი ძალა. ჩვენ უნდა აღვიჭურვოთ სულიერი სიძლიერით და ერთობით, რომ მით დავსძლიოთ ტლანქი ძალა.

ჩვენმა ერთსულოვნურმა მოქმედებამ უნდა დაანახოს მამაკაცებს, რომ შესაძლებელია სამართლიანობის ნიადაგზე უსისხლოთ ბრძოლა და გამარჯვებაც. ჩვენი ერთობით, ჩვენ შევსძლებთ ჩავახედოთ მამაკაცები თავიანთ საქციელში და ავღძრათ მათში სინდისის ქენჯნა მათ მიერ შექმნილ უსამართლობაში. ჩვენი ძალა – ჩვენი ერთობაა! ხასიათის სიმტკიცე და სულიერი სისპეტაკე – აი, ჩვენი ერთადერთი იარაღი, რომელიც ყოველ მახვილზე უფრო მჭრელია. მხოლოდ დავიცვათ ეს ერთობა, ნუ დავქსაქსულვართ და ნუ ჩავმხრჩვალვართ პარტიულ შუღლსა და ქიშპობაში. ქართველი ძველი დედები თავიანთი სულიერი სიძლიერით და გონებრივი სიმაღლით მამაკაცებს თავს ახრევინებდნენ და ისენი იძულებული იყვნენ სიმართლე ეთქვათ მათზე და ამბობდნენ კიდეც. ისტორია თამარ დედოფალს „სწავლულთა მასწავლებლათ, მოსამართლეთა ბჭეთა ბჭეთ, სამართლისა და სამჯავროს ლარადა" სთვლის. ჩვენ, თანამედროვე ქალებიც შევსძლებთ ამ სიმართლის მხილებას, რომ დღევანდელმა, ეროვნულად სულ შეცვლილმა ჩვენმა ძმებმა, თავი დახარონ ჩვენს წინაშე და იცნონ სამართლიანი მოთხოვნილება დღევანდელი ქართველი ქალებისა.

ქართველმა ქალებმა დღეს ერთხმათ უნდა შევძახოთ მამაკაცებს: ნუ დევნით ქალთა ნიჭს, რომელიც თქვენზე ნაკლები მათ არ აქვთ. ნუ დევნით იმ ქალებს, რომელთაც მოვალეობა თავის ადამიანური პიროვნებისა და ქვეყნის წინაშე, თქვენზე ნაკლებ არ ესმით. გაიგეთ, რომ მარტო მამაკაცებს არც ქვეყნისა და არც ხალხის კეთილდღეობის მოწყობა არ შეგიძლიათ! დღეს ქართველი ქალები ფეხს ვდგამთ სამოქალაქო ასპარეზე და ერთსულოვანი იერიშის მიტანაა საჭირო მათზე, ვინც ჩვენ ამ გზაზე წინ გადაგვეღობება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასეც იქნება.

გაუმარჯოს ქართველ ქალთა ერთობას!

მარიამ აბაშიძე
ს. სავანე

№22, სექტემბერი, 1917

ღია წერილი
(ქ. სამტრედიის ზოგიერთი მამაკაცების მიმართ, განურჩევლათ პარტიისა)

ქ. სამტრედიის ქალთა ორგანიზაციას 25 მარიამობისთვეს ჩაეყარა საძირკველი. სიმპატიურს ორგანიზაციას, რომელსაც შეუძლია დაბეჩავებულ, დამონებულ ქალების „მეს" აღდგენა.

ჩვენის დაკვირვებით მამაკაცებში, სოციალისტებს შორის, მიუხედავათ მათი მიმართულებისა, ჩვენ ვერ ვხედავთ დამონებული ქალების სწორუფლიანობის დამცველებს და ჩვენ დავრწმუნდით, რომ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია საკუთარი ძალებით ჩვენი თავების განთავისუფლება.

მიუხედავათ იმისა, რომ თქვენ ჩვენ სრულუფლებიანობას არ იცავთ, ჩვენ, მშრომელი ქალები, მაინც სულით და გულით თქვენთან ვართ და ვიბრძოლებთ თქვენთან ერთად დიადი თავისუფლებისთვის უკანასკნელ ღონემდე. ყველა ჩვენთაგანი ამ რწმენით არის აღჭურვილი დღეს და იქნება შემდეგშიაც.

ჩვენი ორგანიზაცია უპარტიოა. ჩვენ, ტანჯული მუშა ქალები აქ თავს ვიყრით ყველა პარტიიდან და ჩვენს პარტიულ რწმენას გარეთ ვტოვებთ და ის ქალთა საერთო ოჯახში არ შეგვაქვს. ჩვენ ამ საერთო ოჯახში ერთი ვართ, ერთი აზრით გამსჭვალულნი, რომ აღვადგინოთ ჩვენი ადამიანური უფლება.

თქვენც გაქვთ უფლება აქ შემოსვლის, თქვენთვისაც ჩვენი ორგანიზაციის კარები მუდამ ღიაა და შეგიძლიათ მობრძანდეთ. მხოლოდ, უნდა გახსოვდეთ ის, რომ ჩვენს საერთო ოჯახში რომ მობრძანდებით, თქვენი პარტიული მიზანი გარეთ უნდა დატოვოთ.

აქა-იქ ჯგუფ-ჯგუფად საყვედური გაისმის. შემთხვევაც იყო, ერთი ჩვენი წევრი იძულებული გახადეთ ბოდიში მოეხადა. ნუთუ, ეს საკადრისია? თქვენ გეკითხებით, ძმაკაცებო! თქვენში ჩვენ ვერა ვხედავთ ჩვენი უფლების დამცველებს. თქვენმა ჩვენს წინაშე დარაზმვამ ნათლად დაგვანახა თქვენი სულისკვეთება ჩვენი უფლებების აღდგენისადმი. დღეს თქვენ ეს აშკარად დაგვანახეთ და თუ ეს ასეა – ცდებით, თუ ამ ძალმომრეობით ფიქრობთ ჩვენი ერთობის დაშლას.

ჩვენ შეკავშირებული ვართ და ამ კავშირს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დავიცავთ და მასთან სასტიკ პასუხს მოგთხოვთ ჩვენი სიმპატი-

ურ ორგანიზაციის აბუჩად აგდებისთვის. დღეს თავს ნებას არ ვაძლევთ იმ ვაუბატონების სახელი აღვნუსხოთ და თუ შემდეგში კვლავ განმეორდა, შევეცდებით ფართო საზოგადოებას ვაუწყოთ მათი სახელი და გვარი და მათი არაადამიანური მოპყრობა ჩვენდამი.

შორს ჩვენგან ის მამაკაცები, რომლებიც აღუდგნენ ჩვენს ნორჩს კავშირს. ჩვენ მოუწოდებთ იმ მამაკაცებს, რომლებიც იცავთ ჩვენს ინტერესებს, ხელს უწყობთ ჩვენს ერთობას, დაგვეხმარეთ ისე, როგორათაც ჩვენ თქვენ გეხმარებით და გამოგვიწოდეთ მეგობრული ხელი ისე, როგორათაც ჩვენ თქვენ გიწვდით.

სამტრედიის საერთო ქალთა კავშირი

№27, ოქტომბერი, 1917

ქალები ნაფიც მსაჯულთა კრებიდან გამორიცხეს

აღიარებული ქალთა სწორუფლიანობა სამხედრო დიქტატურის ზრდასთან ერთად რომ განსაცდელში ვარდებოდა, ამას ჩვენ კარგად ვგრძნობდით, მაგრამ თუ რომ ასეთ მოცემია-წართმევიას როლს ითამაშებდა რევოლიუციონური მთავრობა, რომელიც ყოველი უსამართლოებისა და ძალმომრეობის აღმოსაფხვრელად ამდენს ჭექა-ქუხილშია და გუშინდელს მონაცემ უფლებას დღეს ქალებს უკანვე გამოსტაცებდა, ამას კი არ ვფიქრობდით.

ჩვენ, ქუთაისის საერთო ქალთა კლუბის აღმასრულებელი ბიუროს წევრები, ვუერთებთ ჩვენს ხმას რუსეთის ქალთა სწორუფლიანობის ლიგის სამართლიანს პროტესტს და საერთო კავკასიის ქალთა საზოგადოებისას, თანაც ვაცხადებთ ზიზღსა და აღშფოთებას ასეთი ურცხვი უზურპატორობის წინააღმდეგ.

რუსის ქალებს, რომელთაც ამხელა ღვაწლი მიუძღვით განმათავისუფლებელ მოძრაობაში, იმ ქალებს, რომლებმაც თავიანთ მამაკაცებზე მეტად შეიგნეს თავისი სამშობლოს განსაცდელი და მისდა საშველად თვით იარაღით ხელში გავიდენ ბრძოლის ველზე უსასტიკეს მტერთან ბრძოლაში, ოფიციალურად ადასტურებდა და აყენებდა „выше всякой похвалы", იგივე მთავრობა დღეს ნაფიც ვექილთა საკრებულოდან რიცხავს და მათში საამისო ნიჭსა და უნარს ვერ ხედავს. მერმეთ, რომელი მთავრობა აკეთებს ასეთს უტიფარს ტურნეს? მთავრობა არა ნიკოლოზ მეორისა, არამედ ის მთავრობა, რომელშიაც სხვადასხვა ფრაქციის სოციაილისტები მინისტრობენ და თავმჯდომარობენ.

ნუთუ, ეხლაც არ გაიგებენ პარტიული თუთიყუშები, რომ მამაკაცების დაპირებული სწორუფლიანობა ყინულზე დაწერილია? დეე, ამ ყოვლად აღმაშფოთებელმა ფაქტმა მაინც იმოქმედოს ჩვენი ქალების იმ ნაწილზე, რომელიც ამ უდიდეს ისტორიულ მომენტში სამოვრის თუხთუხით იხდიან თავის მოქალაქურ მოვალეობას.

გაუმარჯოს ადამიანური უფლებისთვის მებრძოლ თავგანწირულ ქალებს!

ქუთაისის საერთო ქალთა კლუბის აღმასრულებელი ბიურო

№27, ოქტომბერი, 1917

სიტყვა თქმული მარიამ ანჩაბაძის მიერ ქ. თბილისში საკათალიკოსო კრებაზე 15 სექტემბერს, 1917 წელი

უზენაესი განგებისაგან ჩვენ სარწმუნოებაში უდიდესი დანიშნულება აქვს ქალს. ღვთისმშობელი ქალი იყო, ხოლო, როდესაც პატარა იყო, ეს ქალი მისმა მშობლებმა ტაძრად მიიყვანეს და იქ კი ეს პატარა მარიამი მღვდელმთავარმა შეიყვანა წმინდათა-წმინდაში, სადაც გარდა სასულიერო პირებისა, იმ დროში თვით მამაკაცსაც აკრძალული ჰქონდა შესვლა.

ღვთისმშობლის ეს ამბავი სწამს მთელს საქრისიტიანოს, მაგრამ ჩვენ, ქართველებს გვწამს კიდევ ის თქმულება, რომ თვით ჩვენი ქვეყანა, სწორედ იმავ ღვთისმშობლის წილხვდომილია და მართალია, ღვთისმშობელმა მის მაგიერად წარმოაგზავნა ანდრია მოციქული აფხაზეთისა და საქართველოს გასაქრისტიანებლად, მაგრამ, როგორც გადმოცემა გვეუბნება და ჩვენცა გვწამს, სრული ჩვენი განმანათლებელი იყო მოციქულთა სწორი ნინო, კაპადოკიის ქვეყნიდან, რომელმაც გაიგო თუ არა, რომ სადღაც მდებარეობს კეკლუცი ქვეყანა ივერისა, ღვთისმშობლის წილხვდომილიო, გამოეშურა ჩვენსკენ.

ქართული მატიანე კი, მოგეხსენებათ, აღსავსეა ქართველ ქალთა ღვაწლთა აღწერით სარწმუნოების საქმეში. ქართველი ქალი პირველი დამცველი იყო ქრისტეს რჯულისა, იგი აშენებდა ეკლესიას, მონასტრებს, ასწავლიდა ყრმებს და უნერგავდა ქრისტეს სარწმუნოებას და ძალიან ხშირად ამ სარწმუნოებისათვის მიიღებდა კიდეც მოწამეობის გვირგვინს. იმას ხომ აღარ უნდა მტკიცება, რომ ქართველი ქალი უღრმესი მცოდნე იყო საღმრთო რჯულისა. უახლოეს დროში, მე თვითონ მახსოვს მახლობელი პირი, განსვენებული ბებიაჩემი, მარიამ აბაშიძის ქალი, რომელმაც ისე კარგად იცოდა ტიბიკონი, რომ ღვთისმსახურების დროს თვით მღვდლებსაც ეკრძალებოდათ მისი, რომ არა შეშლოდათ რა. ამგვარათ, ქალის დანიშნულება სარწმუნოების საქმეში მრავალმხრივია და ისტორიული ფაქტებით განმტკიცებული.

დღეს კი, თვით ეხლანდელი რევოლიუციაც რომ არ მომხდარიყო და, სხვათაშორის, მას ქალთა გათანასწორების ლოზუნგიც არ გამოეტანა, სჯული ქრისტესი გვასწავლიდა ამას. ამისათვის ქალები უსათუოდ მოვითხოვთ სარწმუნოების საქმეში, სასულიერო უწყებაში სათანადო ად-

გილის დაჭერას და მე პირადათ, როგორც სოხუმელ ქართველ ქალთა საზოგადოების თავმჯდომარე, უსათუოდ ვიცავ გათანასწორების პრინციპს და მოვითხოვ, რომ სასულიერო უწყებაში ქალებს მიენიჭოს არამც თუ მარტო მედავითნეობა, არამედ მიეცეთ უფლება ეკლესიაში ქაგადებისა და საზოგადოთ, სამისიონერო მოვალეობათ აღსრულებისა. მხოლოდ, როგორც მორწმუნე ქალს, ტრადიციით შეუძლებლად მიმაჩნია ქალი ეკურთხოს მღვდლათ, ან ხელდასხმულ იქნეს მღვდელმთავრად და საზოგადოთ, აღასრულოს ღვთისმსახურება, რადგან დღევანდელი ჩვენი რწმენის მიხედვით, მღვდელი და მღვდელმთავარი არიან ქრისტესა და მოციქულების მაგიერნი და მამაკაცთ უფრო შეჰფერით მათი მოადგილეობა.

№27, ოქტომბერი, 1917

არ შეიძლება დუმილი! სრულიად რუსეთის ქალთა სწორუფლიანობის ლიგა

ყველას! ყველას! ყველას!

ქალებო რუსეთისაო! ხმა ამოიღეთ! უმძიმეს სევდიან საათში სასიკვდილო მწუხარებისას, როცა სამშობლოს ტკეპნის მტერი და ღუკმა-ღუკმა სწეწენ თავიანთი შვილები, როცა მოტყუებულნი, მოწამლულნი, ანუ მოსყიდულნი პირფერობითა და ფულით, ხალხი კლავს თავიანთ ძმებს, ჩვენ, ქალები არ უნდა ვსდუმდეთ.

რა უყვეს თავისუფლებას? რა დარჩა მისგან? გარდა მხეცური თვითნებობისა, გარდა თავშეუკავებელი ძალადობისა და სად არის ჩვენი სიხარული, ჩვენი სიამაყე რევოლუციით? სად არის ის დიდი რუსეთი, რომელმაც მოუვლინა მსოფლიოს რაინდული კეთილშობილი მაგალითი ჭეშმარიტი დიდი რევოლუციისა? ყველაფერი დაიხრჩვა ცრემლთა მორევში, მხეცურ სიხელეში უმდაბლესი ვნებიანობისა. სად არიან და რას შვებიან ესენი, რომელთაც არ აშინებდათ თავისუფლებისთვის ციხეში ჩალპობა, ან მისი, რომ ყოფილიყვნენ დახვრეტილი ტყვიით? რათ აშინებს მათ სამშობლოსათვის თავის განირვა, როცა მის თავისუფლებას საშიშროება ემუქრება? სად არიან ესენი, ვინც მუშებთან და ჯარისკაცებთან ერთად იცავდა თავისუფლებას, ის ინტელიგენცია, რომელიც მრავალ წლობით ემსახურებოდა მას, იბრძოდა და კვდებოდა მისთვის? და ყველაზე უფრო შემზარავი, ყველაზე უფრო საშიშარია – როგორ შეუძლიათ მათ, ვინც იცავდა თავისუფლებას – არამარტო თავისთვის, არამედ ყველასთვის, ასწიოს ხელი ღვიძლ ძმაზე და დაისვაროს მის უცოდველ სისხლში?

იმ აფიცრებს, რომელთაც კლავენ, ხვრეტენ, ხიდიდან წყალში ისვრიან და ყრიან დასაძირავათ გამზადებულ გემზე, როცა თვით თავსა შველიან, ამ აფიცრებსაც ხო ჰყავთ დედები, ცოლები და დები? როგორ ტანჯვით კვნესის რუსის მიწა, ცრემლები ახრჩობს რუსის ქალს აუტანელი მწუხარებისგან, რომელიც ლოდივით გადასწოლია მის გულს. ათი ათასობით ქალები სატახტო ქალაქებისა და პროვინციებისა დღე და ღამე სტირიან და კანკალებენ თავიანთ მახლობელთა ხვედრზე, რომელიც იარაღ-აყრილნი სრულიად მიცემულია გონებადაკარგულ, გალოთებულ და გამხეცებულ ბრბოს უფლებაში. როგორი გულით დაბრუნდეს სახლში კაენი? როგორი სინდისით უნდა მივიდეს ის მოხუცებულ დედასთან,

ცოლთან და შვილებთან, როცა იცის, რომ მან დააობლა სხვა შვილები და სხვა დედა? და განა, გონს მოსული, როცა დაინახავს თავის ცოდვას, ის თავის თავს აპატიებს? ჰო არა! ჩვენ გვრწამს რუსის სული ვერ აიტანს უცოდველს სისხლს, რუსის სინდისი გაიღვიძებს და მოითხოვს საერთო სახალხო შენებას ძმის მკვლელობის ცოდვისათვის და სინდისის სასჯელი კი უსასტიკესია სასამართლოს სასჯელზე.

ქალებს ორგანულად სძულს ომი, მათ სურთ ზავი, მაგრამ ყველაზე უწინ მათ სურთ ზავი თავისიანებში. ჩვენ გვსურს ჯარისკაცის პატივისცემა, ჩვენ გულსა გვტკენს მისადმი ზიზღისა და სიძულვილის გამოცხადება. დაგვიბრუნეთ ჩვენ დიდი რუსეთი! დაგვიბრუნეთ სიხარული თავისუფლებაზე და რწმენა თავისუფლების დაცვისა. სამართლიანი გულისწყრომით მოიშორეთ ესენი, ვინც ცრუ სიტყვებითა და დაპირებებით გამხედრებს თქვენ თქვენ ძმებზე! მტერი ჭიშკართანაა. კიდევ ერთი თვე ნგრევისა და პეტროგრადს ის მოელის, რაც რიგას, ვილნას და ვარშავას. თვალი აღიღეთ, გამოფხიზლდით, გაიგეთ, რომ ასეთი ნგრევით თქვენ ვერ დაფარავთ რუსეთს. გამოისყიდეთ ძმათა მკვლელობა სამშობლოს დაცვის სიგმირით.

რუსის ქალებო! ხმა ამოიღეთ! გაიგონეთ ჩვენი მოწოდება, იყვირეთ, მოითხოვეთ, დაიჟინეთ. ფიცი, ფიცი მოთხოვეთ მამაკაცებს, რომ გონს მოეგონ! უთხარით მათ, რომ ვერცერთი რუსის ქალი ვერ იპოვნის სალამს ძმის მკვლელისთვის, ღვიძლი დედა მას ზურგს შეაქცევს და შვილები ყვირილით გაიქცევიან ძმის სისხლში ხელდასვრილ მამიდან. ჯარისკაცთა ცოლებო, უშველეთ სამშობლოს! შთააგონეთ, უთხარით მათ, რომ თქვენ ხელსა კრავთ მათ, თუ ისინი არ დაიცავენ სამშობლოს.

დიდი სირცხვილი და სევდა ჩამოეშვა რუსეთის თავზე და რუსის ქალები არ უნდა სდუმდენ. ჩვენ ვთხოვთ, ჩვენ მოვითხოვთ, რომ ყველა სატახტო და პროვინციის გაზეთმა დაბეჭდოს ეს მოწოდება, რომ მან მიახწიოს ყველა რუსის ქალებამდე. ჩვენ გვრწამს რუსის ქალების გამოხმაურება. მათ თავიანთი ძლევამოსილი სიტყვით შეიძლება შეაკავონ გონებადაბნეული ხალხი, რომელნიც თავაღებულნი მიდიან უფსკრულისკენ და მისკენ მიაქანებენ სამშობლოსაც.

№30, ნოემბერი, 1917

სიხარბე, თუ ხალხის სიყვარული?

როდესაც სულშეხუთული, განაწამები ხალხის გმირები თავგანწირულად ეკვეთებოდნენ ძველი რეჟიმის უძლიერეს მტარვალებს, ლენინი, ტროცკი და კომპანია ამ თავგანწირულ გმირთა საქციელს ზიზღითა და კიცხვა-გმობით უხვდებოდენ. გაძლიერებულ ლოცვის დროს სოროებში მიმალულნი თავის სულიერ სიმხდალეს უვიცთა თვალში კაცთმოყვარეობათ ასაღებდენ და უბრალო მკვლელობათ ნათლავდენ ისეთ თავდადებას ხალხისთვის, რომელსაც იჩენდენ საზონოვები, კარპოვიჩები[6] და სხვანი. ამ თავდადებას ისენი არავითარ ანგარიშს არ უწევდენ, არ ხედავდენ იმ აშკარა მოვლენას, რომ ეს გმირები, თუ აშკარა მტარვალობის საწინააღმდეგოთ ჯალათებს სიცოცხლეს ართმევდენ, სამაგიეროთ, თავიანთ საკუთარს სიცოცხლეს სრული სიმშვიდით და მოფიქრებით ეთხოვებოდენ. ეს ხალხი არ გავდა იმ მოსყიდულ ტერორისტებს, რომლებიც ჯალათურად კლავენ, გარბიან და ადამიანის სისხლს თავის გულიდან ღვინით ირეცხავენ და გონების მხილებას ლოთობით აყუჩებენ.

ერთი თვე არის, რაც ტროცკი და ლენინი კერენსკის[7] ზიზღს უცხადებენ და ბრალს სდებენ სიკვდილის სასჯელის განახლებისთვის. დღეს კი, როცა თვით შეაბიჯეს ფეხი ძლევამოსილების საფეხურზე, როცა ქვეყნის მართვა-გამგეობის სადავის აღებას ლამობენ და შემთხვევით, მათ მხარეზე ძალა დაინახეს, კაცთა კვლა ლენინმა და ტროცკიმ აუცილებელ საშუალებათ აღიარეს და სურთ მე-20 საუკუნეში აღადგინონ და დასდგან ის შემზარავი სასაკლაო, რომელიც მე-18 საუკუნის რევოლიუციის გმირებმა აღმართეს. თუ სისასტიკის მხრივ მარატი[8] და ლენინი არაფრით განსხვავდება, სამაგიეროთ, მათი საქმენი სხვადასხვაობენ. მარატი ხალხთან ერთად რევოლიუციას წინ უძღოდა თვითმპყრობელობის დასანგრევათ და თავის სიგმირით ხალხის მეგობრათაც ითვლებოდა. ლენინსა და ტროცკის ერთი კენჭიც არ უსვრიათ გაბედული აქტიურობით რუსეთის თვითმპყრობელობის საწინააღმდეგოთ. მათ რევოლიუცია მზა-მზარეულათ დაუხვდა და როცა ნებიერად გერმანიის საზღვრებიდან ჩამობრძანდა ახლად განთავისუფლებულს სამშობლოში, მათ

---

6 რუსი რევოლუციონერები.

7 ალექსანდრ კერენსკი (1881-1970) – რუსი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე, დროებითი მთავრობის (1917) თავმჯდომარე.

8 ჟან-პოლ მარატი (1743-1793) – ფრანგი რევოლუციონერი.

ნიკოლოზ მეორის მთავრობის ნაცვლად, ამხანაგ კერენსკის მთავრობა დაუხვდა, მაგრამ სიხარულის ნაცვლად, მათ თითქოს არც იამათ ამ სურათის ნახვა.

თვითმპყრობელობის დროს სოროებში მიმალულმა თავისუფლების სხივებმა, ვით მეღამურა სინათლიან ოთახში, შემთხვევით შემოვარდნილი, რაღაცნაირად გაამწარა და აშკარა სიბრაზემდე მიიყვანა. რამ გამოიწვია ეგ უკმაყოფილება? სიხარბემ, რომ ბატონი ლენინი, რომელმაც რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში საკუთარი ფრაქცია შექმნა და დღეს რუსეთის დიდს რევოლიუციაში თვალსაჩინო როლს ვერ თამაშობდა, თუ ბნელს სოროების დატოვებამ და წმინდა მოედნებზე თავისუფლად ლაპარაკმა? ამბობენ, ხალხის, მუშა ხალხის მდგომარეობამო, მაგრამ როგორ დაგვაჯერებს ტროცკი და ლენინი, რომ რუსეთის ხალხზე მათ უფრო გული შესტკიოდეს, ვიდრე ამავე ხალხისთვის თავგანწირულს გმირებს, რომლებიც თვითმპყრობელობის კლანჭებს ცოცხალი გადარჩენ და იმ სურათის დანახვით, რომელიც დღეს მიწაზე ლენინ-ტროცკიმ დაატრიალეს, სიკვდილს ნატრობენ. რამდენათ გაუბედავნი იყვნენ ლენინ-ტროცკი ნიკოლოზის თვითმპყრობელ მთავრობის დროს, იმდენათ გაბედულობით შეიმოსენ კერენსკის კოალიციური მთავრობის საწინააღმდეგოთ, რომელთ გასანადგურებლათ თვით ტერორის საჭიროებასაც კი აღიარებენ. ასეთს გმირებს ხალხი თავის მეგობრად ვერ ჩასთვლის და თუ დღეს მათ ბრბო ტაშს უკრავს, ხვალ შეიძლება იმავე ბრბომ ესენი სახრჩობელაზედ აიყვანონ. ვინც აიღებს მახვილს, მახვილითვე განადგურდესო – აი, ამათზე ითქმის.

№32, დეკემბერი, 1917

სიმართლის გზისკენ

ბევრსა ჰგონია, რომ ჩვენ გამოვდივართ, საზოგადოდ, დედაკაცის იმ ვექილად, რომელსაც სურს დაამტკიცოს რომ, დედაკაცი უმაღლესი ქმნილებაა მამაკაცზე. ეს ჩვენ ფიქრადაც არ მოგვსვლია, ვინაიდან არც კი გვესმის ის გემოვნება, ის სიკეთე, რაიც ამით უნდა გაკეთებულიყო ვისმესთვის, თუნდ, რომ სავსებით დამტკიცებულიყო კიდეც ეს დებულება. ამაზე ლაპარაკიც არა ღირს. ჩვენ გამოვესარჩლებით დღევანდელს დედაკაცს იმ ფიქრით კი არა, რომ დღეს ის მშვენიერ შინაარსიანობას რამეს წარმოადგენს, არამედ გამოვესარჩლებით იმ მიზეზით, რომ წარსულით და აწმყოთი, ცხოვრების ხვედრით და კაცთა მისჯილით, ის ძალადატანებულია, დაჩაგრულია, ელემენტარულ თავისუფლებას ადამიანურს მოკლებულია და თავისებური პიროვნება დაკარგული აქვს. ჩვენ ამისთვის გამოვესარჩლებით ამ ერთგვარ მონას და ყველა კეთილშობილ ადამიანთაგან ამასვე მოველით.

საზოგადოდ, ჩვენ, ქალებს, ჩვენშიაც და სხვაგანაც, ძალიან გვიზღუდავენ ყველა მისწრაფებას (ახლაც განვიცდით) იმ მოსაზრებით, რომ ქალებს გენიოსები არა გვყავს, რომ ქალმა ვერაფერში, თვით „კუხნაში" და მუსიკაში, რომელნიც დიდი ხანია მას საცოდნელად არგუნეს, ვერ გამოიჩინა უნარი. ესეთი აზრი ბევრმა მკვლევარმა, მეცნიერმაც კი აღიარა და დაამტკიცა. მართალია, ეს თქმა ძალიან ძირგადგმულია, ძველთაგან და დარბაისელი მამაკაცებისაგან, მაგრამ ჩვენ მაინც ანალოგიის გასაკეთებლად ერთი მზგავსი სიბრძნე გვაგონდება. ამ ოცი წლის წინეთ, შემხვედრია ჩვეულებრივ ქუჩილობაში ე.ი. საზოგადოებაში სტუმრად ვინმე ცნობილი ინტელიგენტი, რომელიც, ასე ვსთქვათ, „მოიდემოკრატებდა". გაიმართებოდა კამათი ხალხზე, მოდემოკრატე სტუმარი, რასაკვირველია, უმრავლესობას ერისას გამოესარჩლებოდა. ბაასში ჩაერეოდნენ მოწინავე წოდებათა მანდილოსნებიც და თავიანთკენ მუდამ ერთი ჰქონდათ სათქმელად: „აბა, თუ გლეხები არიან რამე, ილიასთანა, აკაკისთანა, რაფიელისთანა რატო იმათიდგან არ გამოვიდნენ?!"... იქნება, ძალიან ეწყინოთ „მეცნიერებს", მაგრამ ქალების სიმდარის დასამტკიცებლათ რომ ზევითხსენებულ საბუთს მოიყვანენ ხოლმე, მუდამ ამ მანდილოსნების სიბრძნე მომაგონდება ხოლმე...

წარმოვიდგინოთ, რომ დაიბადა მშვენიერი და საღი ბავშვი. მას სადმე თავის გარშემო, ვთქვათ, თავის ქალადან მოყოლებული დაბლა ყბის

მოხვევამდის ირგვლივ ერთი რამ ტლანქი, შემბოჭი ქანჩი შემოარტყეს და ესე მისცეს გაზრდის და ცხოვრების ნება. როგორ წარმოგიდგენიათ, ამ ქანჩმოჭერილს მარტო თავპირის ნაწილები გაეზრდება მახინჯი? არა! მას ხელი, ფეხი და ტანიც ისეთი არ გაეზრდება, როგორიც უქანჩოთ რომ ეარსებნა, მაშინ ექნებოდა! ქანჩი რომ უჭერია ქალის არსებას დასაბამიდგან, იმისგან მოთხოვნა, თუნდ მუსიკაში შემოქმედებითის გენიისა, იგივე არის, რაც თავზე მოჭერილ ქანჩიანისგან მშვენიერ ნაკვეთებით გაწყობილის პირისახის მოკითხვა, თუმც ბუნებამ მშვენიერი სახე დააყოლა მას და სახე შებოჭილი არ მიუცია.

შემოქმედება არის თავისუფალი სახვა, თუ შესაძლოა, რომ ეს შემეცნება მოკლედ ასე განიმარტოს, ხოლო თავისუფალი სახვა შეუძლიან თავისუფლად ფურჩქვნილ არსებას. ასე რომ, სამყაროში ქალების გენიოსი თუ ვერ დაგვისახელებია, ამით კიდევ ვერ ვიწამებთ იმას, რომ ბუნებას დედაკაცი მდარე არსებათ გაუჩენია. თუ რომ დავაკვირდებით შემოქმედებას პრიმიტიულ ხანაში, უკულტურო ეპოქაში, როცა შემოქმედება ზოგადია, ე.ი. ცალკე პიროვნებას არ ეკუთნის, ვსთქვათ, რომ ავიღოთ მუსიკა, როცა იგი მარტო ხალხურია, მაშინ ჩვენ სხვა რამეს საგულისხმიეროს ვერ ვიპოვით.

ადამიანს სიმღერა პირველად ფრთოსან მეგობრებისაგან უსწავლია და მათგან გადმოუღია. (კაი, რომ ისინი მაინც არ იყვედრებიან). პირველყოფილ ადამიანს სიმღერა შრომის შესამსუბუქებლად, გასართობად მოუხმარნია, სხვა და სხვა ზომა და შინაარსი მიუცია სხვა და სხვა მოვლენისთვის, შემთხვევისთვის დაუმღერნია. რასაკვირელია, იტყვიან, რომ ხალხური მუსიკა სულ მამაკაცების შემოქმედებაა. კარგი, მაგრამ, განა შესაძლოა, სადავო გახდეს, რომ აკვნის ნანა სხვა და სხვა ხალხისა, მარტოდმარტო დედაკაცის შექმნილი უნდა იყოს? მერე მისი შინაარსი მჩალტეა სხვა ერთი ხმის სათქმელებზე? სჩანს, რაც ჩაჰბარდა დედაკაცს, იმანაც ასე გამოაწყო, როგორც სხვა მოახერხებდა, მაგრამ ფიზიკურად რაც ადვილი დასაჯაბნი გახდა, ყველა ის მონად გამოიყენა ამავე ძალამ. ამგვარ დაკვირვებებიდან მარტო იმის გათვალისწინება შეიძლება, თუ როგორ გაბეჩავდა დედაკაცი, მისი ევოლიუციონური განვითარება როგორ გაუარესდა და გონების სიბეცედ მიგვაჩნია ამ ფაქტების უყურადღებობა და შემოქმედების ძებნა იქ, არამც თუ მტკიცება ან უარის ყოფა. მტკიცება და უარის ყოფა შესაძლებელია მაშინ, როცა მემკვიდრეობითი სოციალური და ტრადიციული მსვლელობის ჯაჭვი შემოაწყდება დედაკაცს და თავისუფლად გაიფურჩქნება მისი ნიჭი.

ბაბო სულხანიშვილი

№32, დეკემბერი, 1917

ყოფილი ქუთაისის ქალთა საზოგადოების გამო

26 რიცხვში ამ თვეს, საღამოს 5 საათზე ქალაქის სამკითხველოში მოხდა ქალთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრენ როგორც ჩვენი კლუბის წევრები და გამგეობა, ისე წარმომადგენელნი მუშა ქალთა ორგანიზაციისა. თავმჯდომარეობდა ამხანაგი კატო მიქელაძე, რომელმაც გადასცა კრებას 19 ნოემბრის ეროვნული ყრილობის ვითარება, თუ რა როლი აკუთვნეს იქ ქალებს და როგორი თვალით შეხვდა სამანდატო კომისია ქუთაისის ქალთა ინტერპარტიულ ორგანიზაციის წარმომადგენელს და ძველ, ფაქტიურათ არარსებულ ქალთა საზოგადოების დელეგატს. ეცნო რა კრებას, რომ ქუთაისის ქალთა საერთო პოლიტიკურ კლუბის და მუშა ქალთა ორგანიზაციის დელეგატებს სამანდატო კომისიამ მიანიჭა სათათბირო ხმა და ყოველი ქალთა საზოგადოების დელეგატს კი გარდამწყვეტი ხმა, შეტანილ იქმნა იმავე კრებაზე წინადადება, რომ აერჩიათ კომისია ხუთი ქალისგან, რომელშიაც შედიან როგორც ქალთა კლუბის, ისე მუშა ქალთა ორგანიზაციის და ძველ საზოგადოების წევრები.

კომისიას დაევალა გარდასცეს ძველი საზოგადოების გამგეობას მოიწვიონ წლიური კრება, რომელსაც ის განგებ, აგერ მეორე წელიწადია, არ ახდენს, ვადა წლიური კრების მოწვევისა კომისიამ უნდა დაუნიშნოს მას 15 დეკემბრამდე. თუ ამ ხნის განმავლობაში ყოფილი საზოგადოების გამგეობა წლიურ კრებას არ მოახდენს, მაშინ კომისიას დაევალა თვითვე მოიწვიოს კრება ამ საზოგადოების ყოფნა-არყოფნის გამოსარკვევად. ამავე კრებაზე კატო მიქელაძის მიერ შეტანილი იყო წინადადება: მოწვეული იქნას საგუბერნიო ქალთა კონფერენცია და რომ ქალთა საერთო პოლიტიკურ კლუბს გამოეცვალოს სახელწოდება და იწოდებოდეს ის ქუთაისის საგუბერნიო ინტერპარტიულ ქალთა კავშირად, ვინაიდან მისი წესდება და მოქმედება უფრო შეეფერება ისეთს კავშირს, ვიდრე კლუბის დანიშნულებას, რაც კრების მიერ მიღებული და დადასტურებული იქნა.

კრება ცხრის ნახევარ საათზე დაიშალა.

№18, ნოემბერი, 1918

რედაქციისგან

რამოდენიმე თვის სიჩუმის შემდეგ ხმა ქართველი ქალისა კვლავ გაისმის. ბევრისთვის ეს ხმა მოულოდნელია, ვინაიდან ზოგს ჩვენი გაზეთი სრულიად მიმქრალი ეგულებოდა. შეიძლება ეს მოხდეს კიდეც, მაგრამ რა გვარის სამძიმო არ უნდა იყოს ჩვენი მდგომარეობა, რა გვარის ხელის შეშლა და გაჭირვება არ გველობებოდეს წინ, ჩვენ იმდენი ძალა მაინც შეგვწევს, რომ არ წავაგავდეთ იმ უდღეურ ბავშვს, რომელიც დაბადებისთანავე კვდება.

სამუდამო არაფერია ამ ქვეყანაზე და ჩვენი გაზეთიც ერთ დღეს მოკვდება, მაგრამ მოკვდება ისე კი არა, როგორც ეს ჩვენი ხასიათით დაწვრილმანებულს და ტვინით მოწამლულ ქალთა უფლების მტერთ სურთ. მოკვდება ღირსეული სიკვდილით და თავის უკანასკნელ სიტყვასაც იტყვის.

გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა" დაიბადა რევოლუციის პირველ დასაწყისში, ის მოწამეა მთელი მისი ქარტეხილისა, დიდი რუსეთის დაშლისა, ამიერკავკასიის სეიმის დაბადება-სიკვდილისა, თათრების შემოსევისა, ბათუმის დაცლისა და საქართველოს რესპუბლიკის გამოცხადებისა და ამ ხნის განმავლობაში ჩვენს გაზეთს მხოლოდ გაზეთი „ალიონი" უწოდებდა უდღეურს და ისეც ისეთი პუბლიცისტის პირით, როგორიც არის ი. კვიცარიძე იმერეთის კანტორიდან.

გაზეთი „ალიონი[9]" ყოველი მხრით ხელშეწყობილი გაზეთია და წელიწადში ორი-სამი თვით დასვენებას მაინც ნებულობს და თუ ჩვენი ღარიბ რედაქციის პაწა ჯგუფმა თავის მეორე წლის არსებობაში ერთხელ შეისვენა, რასაც ვაცხადებდით კიდეც ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, ნუთუ ეს ნიშანმოსაგები იყო, ან რაიმე ხელწამოსაკრავი? რა იყო საერთო ჩვენს გაზეთს შუა და ჟურნალ „ხმა ებრეალისაში", რომელიც ორ ნომერზე მეტი არც კი დაბეჭდილა? ყველა ეს იმის მაჩვენებელია, თუ რამდენათ მოწამლულია მამაკაცების ჟურნალ-გაზეთების რედაქცია, რამდენათ მართალ ცნობებს აწვდიან მას და როგორ მიუდგომელი თანამშრომლები ასულდგმულებს მათ გაზეთებს. ეს არის ჩვენი პასუხი, თუ რომ ჩვენი სულმოკლე მკიცხველნი პასუხის ღირსნი არიან.

დიახ, გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა" დღეს კვლავ ებაასება ქართველ მკითხველს. არ ვიცი, რამდენათ ხანგრძლივი იქნება ეს ბაასი, შეიძ-

---

9 საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაზეთი „ალიონი" გამოდიოდა 1917-1918 წლებში.

ლება ეს ნომერი უკანასკნელი იქმნეს, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ისეც, რომ დღემდე ჩვენს გაზეთს თავის მოვალეობა პირნათლად უსრულებია. მიუხედავათ სიძვირისა და ყოველგვარი დაბრკოლებისა, მას ერთხელაც არ უღალატნია თავისი დანიშნულებისათვის. ჩვენ ვფიქრობდით დედაკაცების მოვალეობა იყო მამაკაცებთან მუშაობა რევოლიუციამდე, რევოლიუციის შემდეგ, როცა ყველა ჩვენი ძმები უფლებით შეიმოსა, საჭირო იყო ქალისთვისაც თავის თავზე ფიქრი, თავის პიროვნულ და მოქალაქურ უფლებაზე ზრუნვა და ამ უფლების დაცვა და ცხოვრებაში გატარება. ამისთვის ვიცავდით სპეციალურად ქალთა საკითხს, ვებრძოდით და ვააშკარავებდით სიბნელეში მიმართულ შხამს, რომელიც წამლავს ორივე სქესის პსიხიკას და შეუძლებელს ხდის ქალთა სწორუფლიანობის განმტკიცებას. ეს იყო და არის საშინელი მტარვალობა, რომელსაც სახელად პროსტიტუციას უწოდებენ და რომელმაც ჩვენს კურთხეულ საქართველოში მას შემდეგ, რაც სოციალისტების ხელში მართვა-გამგეობა გადავიდა, შემცირების ნაცვლად ერთი ათად იმატა და თითქმის ყოველი სასტუმრო საროსკიპოთ იქცა.


ბევრი ძალა იღონეს ჩვენი გაზეთის მოსასპობლად. ჯერ იყო და, როცა ამა თუ იმ სოციალისტის რედაქცია ქაღალდით მოვაჭრეებს ძალათ ქაღალდს ართმევდა დაკლებულ ფასებში და თავიანთი გაზეთებისთვის მთელი წლის სამყოფი ქაღალდი დაიწყვეს, ჩვენს რედაქციას სამი თვის სამყოფი ქაღალდიც არ მიყიდეს. რა უნდა გვექნა? ძალა მათ ხელში იყო და ჩვენთვის ქაღალდი არა სჩანდა. რამდენი ტანჯვა გვიხდებოდა საჭირო ქაღალდის შესაძენათ, ამის თხრობა შორს წაგვიყვანს. თვით წერილების გაგზავნა ფოსტით ჩვენთვის საჭირბოროტო იყო მაშინ, როდესაც სოციალისტთა გაზეთი ყველგან დაფრიალებდა და ჩვენი გაზეთის ნომერის დაკარგვას არც საფოსტო გადასახადი შველოდა და არც ფასდადებითი. ასე განსაჯეთ, თვით გაზეთის გამყიდველი ბიჭებიც კი შემოგვაცალეს. მამაკაცების კიოსკები უარს გვითვლიდნენ და ჩვენ გაზეთს საყიდლათ არ ღებულობდენ და თუ ღებულობდენ, ფულს არ გვიგზავნიდნენ.

ქ. ქუთაისის ახალგაზრდა ქალებს, რომლებიც უთავსებენ სოციალისტური ჟურნალ-გაზეთების კითხვას ჩვენ გაზეთს, სასირცხვოთ უთვლიდნენ ჩვენი გაზეთის კითხვას. ასეთს პირობებში ჩვენ მაინც შევძელით მთელი 16 თვე არსებობა და თუ დღეს საეჭვოთ მიგვაჩნია ეს მისთვის, რომ ასეთს შემთხვევაში არ ღირს კვლავ რედაქციის ფონდის შევსებაზე ზრუნვა და უმჯობესად მიგვაჩნია დღესდღეობით სულ შევაჩეროთ გაზეთი იმ აზრით, რომ უკეთეს პირობებში გამოვაცოცხლოთ იგი.

თქმა იმის, რომ „ხმა ქართველი ქალისას" შეწყვეტა საზიანო არ იყო ქალთა ინტერესისთვის ჩვენში, შეუძლებელია. მთელს კავკასიაში ეს გაზეთი იყო ერთადერთი პირველი ბეჭდვითი ორგანო ქალებისა, რომლისთვისაც ქართველ ქალებს და განსაკუთრებით, ქუთაისის ქალებს, თუ რომ მათში ოდნავ მაინც გაღვიძებული იყო მოქალაქური შეგნება, ამ ისტორიულ მომენტში შვილივით უნდა მიეღოთ. განსაკუთრებით, ჩვენ ბრალსა ვდებთ ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიის ლიდერთა მეუღლეებს, რომლებმაც მას შემდეგ, რაც მათი ქმრები თანამდებობის ხარისხით შეიმოსენ, ქალთა საკითხს სრულიად ზურგი აქციეს და შეიტანეს დაბნეულობა თავიანთ პარტიულ ქალთა მასაში, რომელთათვის ჩვენი გაზეთი თითქმის რომ არ არსებობდა.

ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ არსად ქალების დამოუკიდებელ ნაბიჯს ასე მტრულად, ასე სიძულვილით არ შეხვედრიან, როგორც შეხვდენ ქართველი მამაკაცები ჩვენს გამოსვლას. ეს მისი მაჩვენებელია, თუ რამდენად რუსის ჩინოვნიკური და სალდათური სული ღრმათ არის ჩამჯდარი ქართველს საზოგადოებაში და როგორ თავგამოდებული ბრძოლა მართებთ ქართველ ქალებს ასეთი ჩლუნგი სიტლანქის წინააღმდეგ. გარდა იმისა, რომ გაზეთ „ხმა ქართველი ქალისას" ამ დიად რევოლიუციის მსხვრევა-შენების დროს პოლიტიკურათ დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა ქალებისათვის, ის არც კულტურულ მნიშვნელობას იყო მოკლებული. ქალთა გაზეთის არსებობა არის ნიმუში თვით ხალხის გონებრივი წინსვლისა და ჩვენ ძმებს სხვა აზრით თუ არა, ამ მოსაზრებით მაინც ხელი უნდა შეეწყოთ მისი არსებობისათვის. ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა ნააგავს იმ მენავისას, რომელსაც აბობოქრებულ ზღვის ტალღებში ნავი შეუცურებია და ამინდს უცდის. ჩვენც ზიზღით და არა შიშით ვდუმდებით ანგარებით აღტკინებული ბრბოს ორომტრიალში, უკეთესი მომავლის რწმენით და ამისთვის ვეუბნებით ჩვენ მკითხველს ნახვამდის და არა მშვიდობით!

ლექსები



კატო მიქელაძე მეგობართან ერთად, 1930-იანი წლები.

N-ს

შენ რომ წყალი დაგიღვრია,
ცრემლი მეტი ვღვარე,
შენთან ყვავის ვარდი, ია,
ჩემთან სიმწუხარე!

შენ დაგფრენენ გაზაფხულის
იადონის ფრთები!
მე კი ზღვაში ხელგაკრული,
ტალღებს ვეხეთქები!

შენი გული გამთბარია
ალერსით და ტრფობით,
ჩემთვის მუდამ ზამთარია,
სიობლით და მტრობით!

ნაზი სიო შენსკენ ბერავს,
ჩემსკენ ქარიშხალი!
ჩვენთვის არ სურს ბედისწერას
ერთი მომავალი!

ვერ გამიგებ, გენაცვალე,
მწუხარების მიზეზს,
დამივიწყე, გამეცალე,
ჩემთან სევდა გიმზერს!

სული პრუდომიდან

ჰო, რომ იცოდეთ, თუ რა ტკივილით,
ჩემს გულს ობლობამ ხელი შეახო!
იქნება, მაშინ თქვენ გაივლიდით,
სადაც მე ვცხოვრობ, იმ სახლის ახლო!

ჰო, რომ იცოდეთ ნათელი ცქერა
თქვენი გულს ხვდება რა საიმედოდ!
იქნება, მაშინ თქვენ წამიერად,
ჩემს ფანჯარაშიც შემოიხედოთ.

თქვენ, რომ იცოდეთ, გულში ვით ქრება,
თქვენს დანახვაზე ნაღველი მწარი,
მოგივიდოდათ ეს მოფიქრება,
ჩემს კართან დაჯდეთ, ვით მეგობარი.

როგორ მიყვარხართ, თქვენ რომ იცოდეთ,
და უთქვენობით როგორ ვარ ავად!
მაშინ სირცხვილით უნდა იწვოდეთ,
შემოიარდით ჩემს სანახავად.

შორს უცხოეთში

სოფიო ამირაჯიბს

ვზივარ მარტოკა ოთხს კედელს შუა,
ფიქრებმა შორს, შორს გადამაფრინეს,
წასულ ცხოვრების ამიხსნეს ფარდა,
მწარე ღიმილით გულში მატირეს.

და გულმოკლულმა ვიბრუნე პირი,
ტკბილ-საამური ვერარა ვნახე,
შევსცქერდი ნდომით მხოლოდ მომავალს,
რომ წინ დამიდგა მაგ წმინდა სახე.

შთაბეჭდილებამ გამითბო გული,
საგალობელად მუზაც მოფრინდა,
და ჩემი წრფელი შენდამი გრძნობის,
გამოცხადება გულით მომინდა.

თუ ვარდს უგალობს ტკბილად ბულბული,
მისთვის, რომ ვარდი ალხენს, ახარებს,
მეც შენი წრფელი, სპეტაკი გული,
სულით მამშვიდებს, გულით მახარებს.

ჩემი ვარდი ხარ და ვით ბულბული
არ გეტრფიალო, არ შემიძლია,
შენც ნუ დამიშლი ამგვარ სიამეს,
ტანჯვა მრავალი გამომივლია.

როდესაც ხალხის შურით და მტრობით,
გული მიკვნესის და მწარედ მტკივა,
კაცთ გულცივობით აღშფოთებული,
ვერსად ვჩერდები, ყველასთან მცივა.

შენსკენ ვეშურვი, ჩემო ძვირფასო,
შენი სინრფელე მფენს სასოებას,
და ვფიქრობ ამ ბილწს ცხოვრებაშია
მცირე ადგილი აქვს სათნოებას.

შენს ცხოვემლყოფელ აზრს და გონებას,
შენს გულის ლტოლვას სიკეთით სავსეს,
როდესაც ვისმენ, ვგრძნობ ტკბილ სიამეს,
გამაცოცხლებელს და ლხენით მავსებს.

სასოწარკვეთილს ტკბილი იმედი
შენს ახლო წყლულ გულს მოეფინება,
სულით დამაშვრალს შენსა კალთაში
ნეტარის ძილით მიეძინება.

ავიტან სოფლის უკუღმართობას,
გულს ვერ გამიტეხს ტანჯვა, ვაება,
მხოლოდ შენა ხარ თანამგრძნობელი,
ჩემო იმედო, ჩემო ღვთაება!

1906

ი. ჭავჭავაძის დასაფლავებას

ქვეწარმავალთგან მარად დეენილმა,
დღეს ვიგრძენ მწარე სულის წრიალი,
შორს, სამშობლოდან მესმის ქვითინი,
გლოვისა ზარის რეკვა, წკრიალი.

ავაზაკთაგან განგმირულს მგოსანს,
დღეს ასაფლავებს ტანჯული მხარე,
დაღლილ, ჯვარცმულ შვილს მკლავგაშლით უცდის,
სამშობლოს მიწა, მისთვის მწუხარე.

ლაჟვარდ ცას ჭმუნვით შეუკრავს პირი,
ჩაბნელებულა არე და მარე,
მოსთქვამს ისრაილ, სტირის პილატე,
კაიაფა კი მორცხვობს მდუმარე.

მიასვენებენ, გლოვისა ზარი,
ნელ-ნელა უკრავს, ტანს აბზრიალებს,
მოყვარე, მტერი, წმინდა ცხედართან
ერთად ისველებს ცრემლებით თვალებს.

მაღლა კლდიდან კი კაკო ყაჩაღი,
თოფით დასცქერის ბრბოს მგლოვიარეს,
გაფითრებული ცას ეფიცება,
რომ ის განკურნავს მომაკვდავ მხარეს!

მაშინ, მგოსანო, წრფელი ცრემლებით,
კვლავ დაგიტირებს სამშობლო, ერი,
დღეს კი ამ ჯალათთ სამფლობელოსა,
რომ ეთხოვები, ხარ ბედნიერი.

1907

***

როცა ლამაზი სიტყვით მხიბლავდი,
მეფიცებოდი უკვდავ სიყვარულს,
შენ, კაცთა შორის ღვთაებას გავდი,
ჩემდა საძებრად ციდან ჩამოსულს.

ჩემსკენ მომავალს ცისა მნათობნი,
თან მოგყვებოდა, აფრქვევდი ნათელს,
როს მშორდებოდი ბნელი წყვდიადი,
ეფინებოდა დღისა სინათლეს.

როს წრფელი გრძნობით მეევედრებოდი,
გამეყო შენი ჭირი და ლხენა,
ჩვენ, საქორწინოდ გამზადებულებს,
ვფიქრობდი, გვირგვინს გვადგამდა ზენა!

მეგონა ორი ერთად ქცეული,
შევიქნებოდით უძლეველ გმირად,
ჩვენს შეთანხმებულს იმედს და რწმენას
რა შეაკრთობდა თავგასაწირად!

ერთ დღეს, როდესაც შინაგან ზრახვებს,
ჩემს წინ თამამად გაუღე კარი,
მძფრ ქარიშხალმა გამოიქროლა,
და შეშინებულს დამცა თავზარი!

გინდა იცოდე, რად შევიცვალე?
გულში რად მექცა ყინულად გრძნობა?
მისთვის, რომ ჩემს სულს სიკვდილს უქადდი,
და მხოლოდ ხორცის გწყუროდა ტრფობა!

1909

N-ს

დიდი ხანია, რაც იტანჯები,
მკურნელად იწვევ ჩემსა გრძნობასა,
ნეტავ, რას ეტრფი ეგრე აღგზნებით,
ჩემს მეს? თუ ჩემსა გარეგნობასა?

თუ ჩემი გხიბლავს სახის იერი,
მასთან უცხო ხარ ჩემი სულისა,
საბრალო ბავშვო, სჯობს დამივიწყო,
გახდები მსხვერპლი სიყვარულისა!

მე ცა მიზიდავს, სულით ვარ ლაღი,
მიწის სიბნელე მიდუნებს გრძნობას,
თუ ფიქრობ გავხდე ვნების ტუსაღი,
ნუ, ნუ მოელი ჩემს თანაგრძნობას.

თუ სულიერიც ხარ მოტრფიალე,
ჩვენ საქორწილოდ ავფრინდეთ ცაში!
რომ ჩვენს სიყვარულს ანგელოზებმა,
აღტაცებული დაუკრან ტაში!

ცისკენ ვესწრაფვი და თუ ამ გზაზე
გამყვები, როგორც ერთგული გზირი,
მუდამ დასტკბები გრძნობათა ზღვარზე,
ჩემი ოცნების ნანატრი გმირი!

შენს გულს სიცივეს არ მიაკარებს,
ჩემი მგზნებარე ტრფობა, ალერსი,
მოკვდები, თავზე დაგეპკურება,
გრძნობა დამწველი, ცრემლად ნალესი.

სულით გიყვარვარ? ცას მივაშუროთ,
იქ გავიქარვოთ მიწის დარდები,
თუ ვერ აიტან ფრენას ზეციურს,
მაშინ მეც შენთან ჩამოვვარდები!

1916

გრ. როფაქიძეს[1]

დიაკვნის შვილი თავადობ, დენდობ,
განათესაობენ მხოლოდ ყადები,
შენ უანგაროდ არვის დაინდობ,
გადაგიშლია „ბარიკადები[2]“!

ასეთ გმირს როგორ არ დაგეკითხო,
კითხვა მოსული შენთან უცები:
დემონის ამაყ მეს რომ ჩემულობ,
ჟორდანიას რად ელაქუცები?

სახე ნოესი ათი წლით ადრე,
განა, არ იყო უფრო ნათელი?
რად ვერ ამჩნევდი, დღეს დაინახე,
მისთვის, რომ არის ქვეყნის მმართველი?

გინდა კათედრის შეაღო კარი,
რომ შეგვასწავლო განცდა ველური?
მაღალი კომლის რომ ხარ მაყარი,
იცი სად უნდა ხოხვა გველური!

1920

1 ქართული გვარი არის როფაქიძე და არა რობაქიძე – კატო მიქელაძის შენიშვნა-მინაწერი ლექსზე.

2 იხ. გაზეთ ბარიკადის #2, გრ. როფაქიძის მონინავე წერილი 1920 წელს მიძღვნილი ნოე ჟორდანიასადმი. 1923 წელს კი სულელს ეძახდა მას – კატო მიქელაძის შენიშვნა-მინაწერი ლექსზე.

***

ჩემს სატრფიალო წალკოტ-ბაღებში,
ბაგებს აგებენ მელა-ტურები,
გულს ვეკითხები შავ-ბნელ ღამეში,
სად არის, სადა ბედაურები?

მესმის ყიჟინი, მესმის სიმღერა,
მე კი ცრემლები მწვავს ანადული,
გუშინ ვიღაცამ გადმომიმღერა:
საქართველოში ბუღია, ბუღი!

ნეტავ შემეძლოს ჩამოვწნა ლასტად,
რომ ავყვე მზისა სხივებს ელვარეს
და ციდან რისხვის გამოსახატად
მეხს დავუშენდე ცბიერ მოყვარეს!

მოტყუებული, ვის შევჩიოდე,
არც მსურს სიცოცხლე ბნელი და ჟანგი,
და კაცთა შორის მიმოვდიოდე,
მე გულით ღია, როგორც კრიჟანგი!

1924

საყვედური ძმებს

როს ძლიერ მტერთან გამართეთ ბრძოლა,
და მშიერ-მწყურვალთ გძვრებოდათ ტყავი,
პირს გიკაწრავდათ ქარიშხლის ქროლვა,
თქვენთან ვიყავით, თქვენთან ვიყავით!

წაიქცა მტერი და გაიმარჯვეთ,
ერთად გავაბით მღერა მაყრული,
თქვენ კი სადავე ხელთ მოიმარჯვეთ,
ჩვენ დაპირება დაგვრჩა ქართული!

გამართლებული მცინარე ბედით,
თქვენი სახელი იქცა არაკად,
მაღლა მწვერვალზე როცა ახვედით,
თქვენთან არა ვართ, თქვენთან არა ვართ.

ჭირში გვეძახით თოფით და კეტით,
ლხინში კი ვრჩებით უძლური სქესი,
რად არა ფიქრობთ, ჩვენი მოწყვეტით,
არ აინთება თქვენი ტალკვესი!

1928

ნ-ს

ყურისბალიშის ჩუქების გამო

გინდა იცოდე, როგორ მიყვარდი,
შენდამი გულში რა გრძნობა მედო?
დარბაისლებში როცა ბრწყინავდი,
იყავი ტურფა და საიმედო!

იმ დროს მე ვიყავ ნორჩი პოეტი,
ოცნების ზეცას დავნავარდობდი!
აქ, ძირს არავინ მყავდა შენს მეტი,
და გულის ზრახვებს შენ გაგანდობდი.

გავიდა დრონი, გადავიხვეწე,
შორს, უცხო ცის ქვეშ მიმოვდიოდი,
შენ ჩემი ხსოვნა ჩამოიხვენე,
მე კი შენს სახეს გულში ვიქსოვდი!

ოდეს დავბრუნდი, ველარ გიცანი,
გამოგეცვალა გული, ხალისი!
არც სიყვარული, აღარც მიზანი,
და ხელში შემრჩა მარტო ბალიში!

1930

***

სახე მზიური, სხივმოფინარე,
სულის სიწმინდის არის ნიშანი,
მე დაქანცული, შენ მოცინარე,
ზღვის პირად გნახე და გაგიცანი.

მე არ მჩვევია ხოტბა, ოდები,
არც მსურს მოდურად მღერა დავიწყო,
მე გეტყვი, მხოლოდ, სევდის ლოდები
შენ ჩამომხსენი, გულში რომ მეწყო.

ბრძოლით დაღლილი როგორ მოვყვები,
რა მწარე ხვედრი მე წილად მერგო.
შენი გულწრფელი, თბილი სიტყვები,
ჩემს გულს უტკბილეს წამლად შეერგო!

ქართველი ქალის გულის სინაზე,
მახვილი ჭკუა, აზრი ნათელი,
ცეცხლს დაანთებდა თოვლზე, ყინვაზე,
მის წინ სცხრებოდა კორიანტელი!

ამ მივიწყებულ მაღალ თვისებას,
მე შენში ვხედავ, რა სიტყვას იწყებ,
შენგან იმედით გული მევსება,
ნუ დამივიწყებ, ნუ დამივიწყებ.

1932

***

გულში ჩამეშვა სევდები ბნელი,
როგორც წყვდიადი შუაღამისა,
ვინ იცის ტანჯვა გამოუთქმელი,
ფიქრის ქურდულად შემნახავისა?

ნრფელი განცდები ცრემლად დამდნარი,
ყინვის ნემსებად გულზე მევლება,
როგორც მზის ზურგში მთვარე ჩამდგარი,
ისე იმედი თვალს ემალება!

არსით სიამის ხმა საწადელი,
მუდამ ლოდების გულით ტარება!
თავზე დამყურებს ოთხი კედელი,
სიცარიელე და მდუმარება.

ამ ტყვეობაში სიტყვის მოსმენამ,
თუ ყურთან ახლოს ჩამომირბინა,
გულზე საკბენათ ახალი წყენა,
ჩემსკენ მოცეკვავს, ვით ბალერინა!

რარიგ ეს ყოფა არ არის ძნელი,
რარიგ არ მტანჯავს უთვისტომობა,
ცრუ მეგობრობის არ ვარ მძებნელი,
მას მირჩევნია ეს მარტოობა!

1935

საფო მგელაძის ხსოვნას

I

როგორც ბულბული, ჩირგვში ჩამჯდარი,
ჩუმად გალობდი უდაბურ ტყეში,
შეუწყვეტელი გედგა ავდარი,
და არც გესმოდა არსით ნუგეში!

შემთხვევით ტყისკენ გამოვიარე,
და შენს სიმღერას მოვკარი ყური,
გულში მიჩენდა ახალ იარებს,
შენი ცხოვრების ბნელი სადგური!

შველა მომთხოვე, ხელი მოგკიდე,
რა დაგინახე შეუწევნელი,
სიკვდილი ორჯერ გამოგეკიდა,
ზურგით გატარე, ზღვა, მთა და ველი.

მზეზე ჩამოგსვი, ფრთები გაშალე,
და ცის წიაღში ფრენა მოგსურდა,
რამდენი ზღუდე ჩამოგიშალე,
იმდენს სიკეთე შენი შეშურდა!

ხშირად გესმოდა სიტყვა „მაცდური“,
რა სურდათ შენი ბნელში ტარება,
და ჩამომშორდი, ვით უმადური,
გულს ჩამაწვეთე მით მწუხარება!

ჩვილი გულით და შიშველი ხელით
მარტო გახველი ბრძოლისა ველზე,
რამდენი ჩაკლეს შენში სათქმელი,
რამდენი გველი გეხვია წელზე!

ავად რა გახდი, თავი დაჰკიდე,
არვინ დაგირჩა მშველი, მზრუნველი.
ლოთი გწამლობდა, გჭრიდა მეკარტე,
სხვა არვინ იყო შენი მზრუნველი.

მათთვის ერთია მკვდარი, ცოცხალი,
თუ გულს არ უნძრევთ შიშის ისარი!
შენ იყავ მხოლოდ მწერალი ქალი,
და არა ვინმე მძლე კომისარი.

მათგან სიცოცხლე მოსწრაფებული,
მსხვერპლად შეწირულ ბატკანსა გავდი,
წაღვერში თუ არ ფეხით ჩასული,
ცემში ჭრილობას ვერ შეიკრავდი!

ცა სინანულით თავს დაგყურებდა,
მწუხარი თვალით გჭვრეტდა სოსანი,
უმწეობა რომ განადგურებდა,
სიკვდილს დაჰყავდი მათი მგოსანი!

მოგკლეს და კისერდაკიდებული,
სუფრას მიგიგდეს თბილი ცხედარი,
თმებჩამოყრილი, თვალგაღებული,
გაჭრას ელოდი წამებით მკვდარი.

დიდი ლოდინი არ გდომებია,
გასჩეხეს შენი სუსტი სხეული,
შენზე ასწავლეს ანატომია,
და არა, რითაც იყავ სნეული!

სულით ტანჯული, ხორცდაფლეთილი,
პოეტო, ჩაგდვეს ბნელ სამარეში,
შენებრ შესცვლოდეს მას დღე კეთილი,
ვინაც ჩაგახრჩო სიმწუხარეში!

შენმა ლამაზმა ნიჭმა და განცდამ,
უდიერობა ვერ დააჯერა,
ტანჯულ სიცოცხლის დაეშვა ფარდა,
არ დაგაცალეს ტკბილი სიმღერა!

II

ქობულეთში ვარ, ზღვას გადავყურებ,
მინდა გავფანტო შენზე ფიქრები,
თითქო რაღაცას მისაყვედურებ,
გამოჩნდები და უცებ გაქრები!

სოველ ქვიშაში ხელს ვაფათურებ,
მსურს ავარჩიო შენთვის კენჭები,
შენც·ამ ქვიშაში ხელებს აურევ,
და ხან კი ჩუმად თავს დამადგები.

პანაშვიდია, შენ სამარიდან,
აქ მესმის გლოვის ხმა და ჰანგები,
შენ ამოდიხარ ზღვის ნაპირიდან,
მის მოსასმენად ჩემთან დადგები!

სადაც კი წავალ, შენი აჩრდილი,
ამედევნება აჩქარებული,
ხან მოღიმარე, ხან თმაგაშლილი,
სახეტანჯული, აცრემლებული.

III

დღეს ზღვა მრისხანედ აღშფოთებულა,
მიწასთან ომი აქვს ატეხილი,
ქარი ზღვის გულში გააფთრებულა,
გედი დასცურავს ფრთამოტეხილი!

ზღვის არე-მარე დაცარიელდა,
ტალღა უფსკრულში გედს მიაგორებს,
მისმა დანახვამ გულში მკრა ელდა,
ეს გედი სიკვდილს შენსას მაგონებს!

მე ვიცი შენი სპეტაკი გული,
როგორ აწამეს და გაამწუხრეს,
და მით ორმაგად დამწუხრებული,
ვეალერსები შენსა სამარეს!

თვალს არ შორდები, ჩემთან ხარ მუდამ,
ხან კი სიკვდილი შენი მაეჭვებს!
მალე შენს საფლავს მე ჩამოვუტან,
შენ რომ გიყვარდა – ზღვის ფერად კენჭებს.

1936

IV

ვერ მოგაშველე ჩემი ძალ-ღონე,
ვერ მოგიარეს, მით მებრალები!
თურმე მეძახდი, ვერ გამაგონე,
გეხუჭებოდა როცა თვალები.

ორჯერ ხელიდან მოვსტაცე სიკვდილს,
შენი ლამაზი, ცოცხალი ნიჭი,
მესამედ შენსკენ მახვილამოწვდილს,
ვერ დაეწია ჩემი ნაბიჯი!


ქარიშხლის ფრთებზე გურულ იადონს,
ბედი დაგსდევდა მტრულად მდუმარე!
პირბადეს ხდიდი ქართველი იაგოს,
ძალას აძლევდი უძლურს, მწუხარეს!

გულს მიღრღნის ფიქრი, ვით საწამლავი,
რომ ხარ უდროოდ, წამებით მკვდარი!
მინდა გავთხარო მე ეგ საფლავი,
გულში ჩავიკრა შენი ცხედარი!

ხანი მოკლეა ჩემს სიკვდილამდე,
მალე შენს ახლო მექნება ბინა!
სჯობს არ ვიცოდე შენ ასე ადრე,
მაგ შავ მიწაში რამ ჩაგაწვინა!

1936

პირადი წერილები



Bruxelles, le 9 janvier 1911.
69, RUE DE LA CONCORDE

Le Secrétaire de l'Université Nouvelle de Bruxelles, soussigné, certifie que Mademoiselle.

Mikeladze Kato.

de nationalité russe, est inscrite en qualité d'étudiante à la faculté des Sciences sociales, 1e année; et qu'elle suit régulièrement les cours de cette faculté.

ბრიუსელის ახალი უნივერსიტეტის მიერ გაცემული სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ კატო მიქელაძე ირიცხებოდა ამავე უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის პირველ კურსზე. 9 იანვარი, 1911 წელი.

ეკატერინე მელიქიშვილს

3 თებერვალი, 1911 წელი, ბრიუსელი

ძვირფასად სახსოვარო ბატონო კეკე,

როგორ გამოვსთქვა ის უზომო სიხარული და სიამე, რომელიც თქვენმა ნაწერმა მაგრძნობინა. ათასობით დაგიკოცნით იმ კეთილს და ყოვლად პატიოსანს გულს, რომელიც აგრე კეთილი გრძნობებით იყო და არის ჩემდამი განმსჭვალული. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, თუ რამდენათ სულიერათ მაუძლურებს ამდენი ხნით სამშობლოს მოშორება. ყველა ჩემიანების დუმილი და ადგილობრივ ქართველებთან შეუთავსებლობა. მთელი ჩემი სიცოცხლის ძალა და ენერგია ჩააქრო და ნახევრად დამიდუნა ამგვარმა სულის ობლობამ და ციება გაყინულმა ატმოსფერომ. რა ვქნა, ღმერთმანი, არ ვიცი. არცერთი შეხვედრილი ქართველი არ მომწონს. არავითარი ინტელიგენტური სული მათში არ ტრიალებს. ცარიელი აღშფოთებისა მეტს, არარას მგვრიან. არავითარი აზრის განაწილება მათთან არ ხერხდება. ადამიანს კი ყოველთვის მეცადინეობა და თავის თავთან ლაპარაკი აზრს თუ არ უდუნებს, არ უვარჯიშებს. პარიზში რუსებს ვიცნობდი. მიუხედავად იმისა, რომ არცერთ პარტიას არ ვეკუთვნოდი, ისე მექცეოდნენ, როგორც თავისიანს. აქ კი რუსები, ინტელიგენტთაგანი თითქმის არავინ არის. უბრალო წვრილმანი ხალხია, რომელთა გაცნობა არც მინდა. ქართველებში არავინ მომწონს და სულ მარტო ვარ. ერთადერთი უნივერსიტეტი მაკმაყოფილებს. ძრიელ მომწონს ჩვენი პროფესორები. მართლაც, რომ „ახალი უნივერსიტეტია“. არსად ისეთი დამოკიდებულება სტუდენტთა და პროფესორთა შორის არ არსებობს, როგორც აქ. ვისაც სწავლა უნდა ჭეშმარიტათ, აქ შესძლებს. მე რამდენიმე პროფესორს უკვე ვიცნობ და ისე კარგად მექცევიან, რომ ხელს მართმევენ. ამ უნივერსიტეტში მე უფასოთ მიმიღეს. ეს მომიხერხა ვარია ყიფიანის მეგობარმა ქალმა, რომელიც მეორე უნივერსიტეტში პრაფესორათ არის ფილოლოგიის. ის ქალი იქ ცნობილი მეცნიერია და პატივცემული. მის წყალობით არის, რომ ვარიას სწავლულის ხმა აქვს. მასთან ცხოვრობს და ძრიელ უყვარს თვითონ ვარია. ჩემზე ვერ ახდენს კარგ შთაბეჭდილებას. და სრულიათ არ მწამს მაგის მეცნიერული მომზადება და აი, რისთვის: პირველ ყოვლისა, ამ ადამიანს არა თუ მეცნიერული, არამედ ლოგიკური მსჯელობაც არ აქვს არცერთ

საგანზე. მეორეთ, ენა არ იცის. მე აქ ერთი სტატია მივეცი გადასათარგმნათ და ვერ გადათარგმნა. მიზეზათ უდროობა დაასახელა, მაგრამ ეს სიცრუეა. დიდი პატრიოტი არის, რომელიც უკიდურეს შოვინიზმამდე აღწევს მასში და ისეთი მსჯელობა აქვს ამ პატრიოტ ქალს სოციალ-დემოკრატების მოძრაობაზე, რომ პირდაპირ ბავშვის მსჯელობას გაგონებს. თავი მოსწონს ამ მოძრაობით და სასოებით იგონებს ალექსანდრე წულუკიძეს[1] და სხვა მის ნაცნობ ლიდერებს. ყელი გავსებული აქვს სხვადასხვა თუჯის მედლებით, რომელნიც ზოგი კონგრესებზე მიუღია და უკანასკნელი ქუთაისის გიმნაზიაში. ფრანგები ამგვარ მედლებს წარამარა არიგებენ და გონიერი ადამიანისთვის ამგვარად როგორ უნდა იყოს დასაფასებელი ეგ ღინჭილები, რომ კისრიდან არ იცილებდე? ერთი სიტყვით, ეგ ჩემზე რაღაც უცნაური ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენს. ისე, ცუდი ადამიანი არ არის, მაგრამ არც საინტერესოა. მე პირადათ ტვინს მირევს მასთან ლაპარაკი. ჩვენში ერთი-ორი მაქებარი თუ ყავს ადამიანს, ხმა ძრიელ მალე გაუვარდება ნასწავლობის და გენიოსობის. ნადიას წერილს მივწერ, რომ ვიცოდე, რომ მიპასუხებდეს. არ მესმის ამ ადამიანის დუმილი. ოჯახური უსიამოვნება, სიამე ყველას აქვს, მაგრამ თავისიანებს გამოელაპარაკებიან ხოლმე. მით უფრო მაკვირვებს, რომ, ვიცი, არ ეძულვარ. მე კი, როცა არ მიპასუხებენ წერილზე, რაღაც ვერ ვახერხებ ხელახლათ ისე გულით ლაპარაკს, როგორც წინააღმდეგ შემთხვევაში. ეს იმას გავს, რომ კაცს რამეს ეკითხებოდე და არ გელაპარაკებოდეს. ეხლა ხომ არ მჭირია დახმარება, არც შიმშილის და არც ოთახის სიცივის ბრჭყალები არ კორტნის ჩემს სხეულს. მინდა მხოლოდ ჩემიანის ხმა მესმოდეს. ელენეს ავადმყოფობა ძრიელ მაწუხებს. რათ არის ეგრე, მიკვირს. ისე გულით მიყვარს ეს ანგელოზი ადამიანი, რომ მაგის ტანმრთელობა და სიკეთე რაღაც საჭიროებათაც მიმაჩნია ამ გაფუჭებულ ცხოვრებაში. ბევრს ვაკოცებ და ვუნატრი ყოველივე კარგს. როგორ არის მისი ქმარი? ისეც ძლიერ სიმპატიური ადამიანია. ნეტავ, როგორ მოეწყო მანდაურ ცხოვრებას? ნადია რომ ნახოთ, კითხეთ, ნაკაშიძეს რა მოუვიდა. რა მიზეზით შეწყვიტა ფულის გზავნა და წერილზე პასუხს რათ არ მაძლევს? მე ვფიქრობ, რომ გველესიანის ცოლმა რაღაც ცუდი გადასცა ჩემს შესახებ. სხვაფერ ვერ ამიხსნია მისი ამგვარი ქცევა. წაბრძანდა თუ არა პარიზიდან ეგ ქალი, ერთი თვის მერე ნაკაშიძე დაიკარგა. სრულიათ არ მაწუხებს მისი თუმნის დაკლება, მაწუხებს მხოლოდ საუკეთესო საყვარელი ნათესავის ჩამოშორება.

---

1 ალექსანდრე წულუკიძე (1876-1905) – ქართველი მარქსისტი რევოლუციონერი.

მე დღეს არა მიშავს რა. იმდენად მაგარი კედელი მამაგრებს ნივთიერათ, არა გამიჭირდება. ეს არის ერთი ცნობილი მოღვაწე რუსის ქალი, რომელსაც რამოდენიმე მილიონის შეძლება აქვს. მხოლოდ რუსის მთავრობამ საქმე გაუხლაფორთა. ამაზე შემდეგ მოგწერთ. მასთან რეკომენდაცია რუსის ცნობილმა მოღვაწეებმა გამიკეთეს. ზაფხულში პირადათ ვნახე. წავედი მასთან, გავიცანი, არაფერი მითქვამს დახმარების შესახებ. როგორც ვატყობდი, დიდათ მოვეწონე. უყვარს ჩვენი ხალხი, იცის ისტორია, დიდათ პატივს სცემს ჩვენს წარსულს და მრავალი კარგი სურვილი აქვს ჩვენი ქვეყნისათვის. გამომართვა ადრესი, მომცა თავისი და წამოვედი. პარიზში ჩამოვედი თუ არა, თავისი სურათი გამომიგზავნა. მას აქეთ მიწერ-მოწერა გვქონდა მთელი ორი თვე და შემდეგ დამინიშნა სტიპენდია. შემეკითხა რამდენი გინდა თვეშიო და მე ასი ფრანკი დავუსახელე. რომც მეტი მეთქვა, მომცემდა, მაგრამ ამას ვინ გაბედავდა. ჩემს წარსულთან შედარებით, ახლა დედოფალი ვარ. მხოლოთ ბევრი რამ მაკლია. ტანისამოსი სულ არ მაქვს. პალტო ისეთი თხელია, რომ პირდაპირ ვიყინები. ერთს წერილში მივწერე, როცა ფული დააგვიანდა, რომ ძრიელ მიჭირს თქვენთან ფულზე ლაპარაკი მეთქი და შემდეგით მიპასუხა: „Как вам не стыдно затрудняться писать мне о деньгах! Если любите, если верите, если знаете, – то так просто и естественно!" მიუხედავათ ამისა, ვერ მომიხერხებია მივწერო, რომ ტანისამოსი მინდა. ნამდვილი ქრისტიანია მთელი თავისი ცხოვრებით. წარსულში და აწმყოში. ერთ წერილში მწერს: „Главный рычаг – это страстность и упорство в преследовании своей цели: невозможность уступить им дорогу. „ce que l'on veut toujours – on le pourra un jour". это истина, которую я знаю по опыту. Со дня моего замужества, я не знаю жизни более несчастной как моя, но я не знаю человека более счастливого, чем я...! Я живу в других и вот – мое личное горе теряет свой удельный вес в горе другого, а крупинки личной радости, капают по крупинкам радости людской растут и множатся по закону „la boule de neige".

ეს მარტო სიტყვა კი არ არის, არამედ საქმეა და სულ საქმე. რომ ნახოთ ეგ მოხუცებული, პირდაპირ განცვიფრებაში მოხვალთ მისი სახის იშვიათი სიკეთის გამომეტყველებით. ისეთი ცოცხალი ცეცხლით ანთებული თვალების გამომეტყველება აქვს, რომ სასიცოცხლოთ ახალისებს ადამიანს. ამდენი ტანჯვის შემდეგ დღეს ჩემი თავი ჭეშმარიტათ ბედნიერად მიმაჩნია. დავკარგე უკეთესი ჭირისუფალი კნ. სოფიო, მაგრამ ბედმა მთლად არ გამსწირა, ძრიელ ღირსეული ადამიანით შემიცვალა იგი. ვაროს თუ ხედავთ, უამბეთ, ვიცი, ესიამოვნება ჩემი სიკეთე ამგ-

ვარი. წერილზე აღარც ის იძლევა პასუხს და მეც აღარ ვწერ. ტყვილა ჩადის. მას, მე არ ვფიქრობ თავის ნაცნობებში ბევრი ყავდეს ჩემებრ სულით და გულით მოყვარული, ერთგული და ამასთან საუკუნით მადლობელი. ამ ზაფხულში შეიძლება წავიდე მასთან. მერმის უთუოთ ჩამოვალ მანდ ზაფხულში, რომ სული მოვიბრუნო, თორემ ლამის არის სულით დავუძლურდე. აქაურმა პოლიციამ ჩემი პასპორტი წაიღო მინისტრის სახელით და აგერ არის ერთი თვეა არ მიბრუნებს. იქ სამს ენაზე princesse-თი ვსწერივარ და აქ კი, როგორც მეფის სახელმწიფოს, ეს დიდს რამეთ მიაჩნიათ და მე ვფიქრობ, რომ მათ ეჭვი აქვსთ, რომ ეს პასპორტი ჩემებრ ღარიბი სტუდენტისა იყოს. ერთს ჩვენს პროფესორს უამბე, რომელიც ძლიერ აღშფოთდა და დამპირდა, რომ კითხავს მინისტრს, თუ რისთვის წაიღეს პასპორტი და თუ არ დააბრუნა, დეპუტატთა პალატაში გამოაცხადებს. თვითონ ვექილია და აგრეთვე დეპუტატიც. ხვალ ვნახავ და ვნახოთ რას მეტყვის.

გაკოცებთ მრავალს.

თქვენი კატო მიქელაძე.

ეკატერინე მელიქიშვილს

დაუთარიღებელი[2]

ქალთა შორის პატრიოტებათ ჩვენს მამულიშვილებს ლამაზი ქალები მიაჩნიათ, ვისაც ეარშიყებიან, მოწინავე ქალებათ ის მიაჩნიათ. რას უნდა გახდეს ადამიანი ამ პირუტყვებში?

ბატონი პეტრე სურგულაძე[3], დიდი დონ ჟუანი, დიდი პატრიოტი, ნეტავ, მიცნობდეს. დასცინის, თურმე, ჩემს საზღვარგარეთ ყოფნას. რა მინდა მე აქ და რას ვაკეთებ. ასეთი მისი ჩემზე შეხედულება ნაკაშიძის ქალმა მაცნობა შარშან, რომელზედაც ყურადღება არ მიმიქცევია. ეს რამდენიმე თვეა ის ქალი გაიცნო, რომელიც მე ფულს მიგზავნის. ძრიელ მოსწონებია სურგულაძე და მომწერა, რომ მას ჟენევაში უნდა ქართული გაზეთი გამოსცეს და სხვა ასეთი საქვეყნო საქმე, როგორც მთელი საზღვარგარეთელი ქართველების შეერთება და სხვა და სხვა. ამასთან დიდი საყვედური, რომ მე რათ არ ვშრომობ ქართველი ხალხისთვის, რათ არ შევდივარ სურგულაძის წრეში, სადაც „დულს და გადმოდულს საქვეყნო საქმე". მე ვუპასუხე: რადგან ასეთ საქმეს ანყობთ, სურგულაძე რატომ თვითონ არ მატყობინებს? მე მისი ადრესი არ ვიცი და რომ ვიცოდე კიდეც, მე მისი პლანი არ ვიცი, გარდა იმისა, რასაც თქვენ არ მატყობინებთ. რიგი მოითხოვს, რომ თვითონ სხვა ქართველებთან მეც მომიკითხოს და არა მე ჩავეჩხირო-მეთქი. სურგულაძე ყოველ კვირას დადის ჩემთანო, მწერდა და აი, ამ ვიზიტების შემდეგ, აგერ, ოთხი თვეა, რაც იმ ქალიდან უგემურათ ფული მომდის და ერთი წერილი კი არა სჩანს, მიუხედავათ იმისა, რომ, მას ყოველთვის როცა ფულს მივიღებ, მადლობას ვწერ და ვეკითხები სიჩუმის მიზეზს...

ყოველ ეჭვის გარეშეა, რომ იქ სურგულაძე ქადაგებს, მაგრამ, ვაი, მაგის დღეს. რაც მან ჩემი დამცირებით რამე შეიძინოს, ის ცალკე დაიკვეხოს. მე ბევრი მიმტრეს „ქართველებმა", ჩავსვათ ბრჩხილებში, მაგრამ ამ ჩემი მტრობით თავის თავს იმდენი დააკლეს, რამდენის წარმოდგენაც არ შეუძლიათ. ჩემი კარგი რომ ეთქვა იმ ქალისათვის, მას კიდეც ასიამოვნებდა და რაღაცას კიდეც მიაღწევდა მით, რომ მეც მოვინდომებდი და დაგარწმუნებთ, რომ თუ მართლა რამე გულით მოვინდომე, ყოველთვის გამაქვს და გავიტან. მიტოვებით, მისი ენით, ის ქალი იმდენად ნამუსიანია, რომ, არა მგონია, მიმატოვოს და თუ მიმატოვა, თუ არ მოვკვდი, მე კიდევ გზას გავიკვლევ, ასე

---

2 წერილის დასაწყისი დაკარგულია.

3 პეტრე სურგულაძე – ქართველი პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე.

იქნება, თუ ისე. რადგან ამდენს ხანს არ დავიკარგე, არც ეხლა დავიკარგები. მე ის მიდუნებს ძალ-ღონეს, როდესაც არავინ ჩემიანი არ გამომელაპარაკება ხოლმე, ის მოსაზრება, რომ მე სრულიად მოწყვეტილი ვარ ჩემს ქვეყანას და ყველასაგან დავიწყებული. აქ არცერთს ქართველს არ ეყვარები. თუ ჩემი სიცოცხლე გინდათ, მოიწერეთ წერილი ერთხელ მაინც თვეში.

თქვენი კატო

ეკატერინე მელიქიშვილს

დაუთარიღებელი

ძვირფასო კეკე!

თქვენი წერილი მივიღე ამ დილით. ნეტავ, თუ წარმოიდგენთ რამდენი თბილი გრძნობით და იმედით მან ამივსო გული! დაგკოცნით იმდენს, რამდენადაც ძვირფასია დაუვიწყარი თქვენი ხსოვნა ჩემს გულში. რა უცნაურია ჩემი მდგომარეობა! გუშინ საღამოს ერთს ცუდათ ნათარგმნს ლექსს წავაწყდი, რომელიც ჩემი სულიერი მდგომარეობის გამომხატველათ ვიგრძნე და მხოლოდ ამისათვის ამოვწერე.

„О, как я изнывал на чужбине!
Словно увядший цветок,
В жестянке ботаника,
Лежало сердце в груди у меня".

ნეტავ იმათ, ვისაც შეუძლია ხანგამოშვებით დაბრუნება თავის სამშობლოში და ისევე სწავლის გასაგრძელებლათ დაბრუნება. რამდენს ძალას, რამდენს ენერგიას და ახალ შთაბეჭდილებას წაიღებს ის თან თავის იდეალის მოსანახავათ? განა, მე ეს მეტი მაქვს, რომ შემეძლოს ამ ხნის განმავლობაში ერთხელ მაინც სული ამოვითქვა? წერილი, წერილი მაინც ნუ დაგეზარებათ ჩემთვის. ხანდახან მაინც გამაგონეთ თქვენი ხმა, რომ შორიდან მაინც ვიგრძნო, რომ მთლათ მოსპობილი არ არის ჩემი ხსოვნა მანდ.

რათ გსტკივათ თვალები? საღამოს ნურას კითხვას ნუ დაიწყებთ. ის ფრანგის ქალი რაღაც მიყუჩდა. ის არ მწერს წერილს კარგა ხანია. ამ ზაფხულს ჩამოსვლას ვფიქრობ მისი იმედით. დამპირდა სამგზავრო ფულის გამოგზავნას. არ ვიცი შეასრულებს თუ არა. საზოგადოთ, მე დიდი რწმენა არ მაქვს ევროპელი ქალის.

ვინ მიპასუხებს, რომ მივმართო სახალხო გაზეთს? ნიკო კურდღელაშვილი? ეს ხომ საშა ჯავახიშვილის ძმაბიჭია და პირველი კი თაქთაქას მიჯნური და ამასთანავე ისეთი ვირეშმაკა, რომელიც თავისი ფარული სიბოროტით იაგოს არ ჩამოუვარდება. კეკე, მე ყოველ იმედი მესპობა, რომ ჩვენში გულწრფელ მოღვაწეს რაიმე ნიადაგი ექნეს. ამდენს სულის მაჭანკლებს, ამდენს სიფლიდეს და ერთმანეთის ნაჯირგალებს, როგორც ჩვენში, მე არსად არ ვხედავ. ამასთან ყოველსგვარ პოლიტიკურს და სოციალურს უმწიფრობას, ყოველს მოქალაქეობრივ გრძნობას მოკლებულთ. აიღეთ, მაგალითად, სურგულაძე. ეს კაცი დღეს რამოდენიმე ორი-სამი კაცის სახელით საქართველოს მთელი ერის პირით სეპარატიზმსა ქადაგობს. ხმამაღლა, გამოაშკარებული იწვევს ხალხს საკუთარი სახელმწიფოს დასაარსებლათ და ამას იმ დროს სჩადის,

როცა მთელი ქვეყანა და ხალხი სულს ღაფავს, როცა არც ეკონომიკურათ, არც ინტელექტუალურათ არავითარი ძალა არ შეგვწევს, როცა ქვეყანა და ხალხი ყველას თვალში, მთელი ევროპის თვალში უცნობია, მთელი ევროპის მიერ უცნობია, რომ ვიფიქროთ, ამ ბრძოლაში ვინმე თანაგვიგრძნობს, არათუ მოგვეხმარება. ფინლანდიას, პოლონეთს ვერ გაუბედნიათ სურვილის გამოაშკარება და ბატონი სურგულაძე კი იმ სიგმირეს ბედავს, რაც ხალხის ძალას არ შესწევს. ამასთან, ისეთი ბაქით, რომ ყველანი, ვინც მას არ მიემხრობა „ქვეყნის მოღალატეა". ამგვარი რაინდები იმას შესძენენ ქვეყანას, რომ რაცა გვაქვს, იმასაც დავკრგავთ და ხვალის იმედი სრულიად ფეხიდან გამოგვეცლება. წაიკითხეთ, თუ არა მისი „თავისუფალი საქართველო"? ერთი, გადაავლეთ თვალი, რომ დარწმუნდეთ მაგ კაცის ნაცარქექიაობაში.

ღმერთო ჩემო, დღეს, განა, ამაზე შეიძლება ლაპარაკი? ნაცვლათ იმისა, რომ ავტონომია ვიშოვოთ, წელი მოვიმაგროთ ეკონომიურად და ეროვნულათ, რომ ამდენი ხნის ჩვენი ტანჯვით ვისარგებლოთ იმ ნდობით, რომ ჩვენ გაცლა არ გვინდა, არამედ მხოლოდ სიცოცხლე, ყველას ამას ეს კაცი ხაზს უსობს და საკუთარ სახელმწიფოზე ქადაგობს, როცა მთელი ეროვნული ცხოვრების ძალა და ღონე გამოლეულია. ამ დროს ვეებერთელა მტერს იარაღში იწვევს...

ეს ორი მოღვაწე დეკანოზიშვილი და ჯორჯაძე, დიდი სამწუხაროა, რომ აგრე უდროოთ დაგვეკარგა. ჯორჯაძეს მე არ ვიცნობდი და დეკანოზიშვილი კი ჭეშმარიტი თავგანწირული ქართველი იყო. ვილა დაგვრჩა?

კეკე, მანდ მე ერთი ნათლული მყავს, რომელიც წელს გიმნაზიას ასრულებს. მიქელაძის ქალია. დედამისი ნიკო ელიავას და არის. მამაჩემის ბიძაშვილი. ყოვლად ნიჭიერი და კეთილია. მივწერე, რომ თქვენთან მოვიდეს ამ უქმეებზე და გაგიცნოთ. უმაღლესი სწავლის გაგრძელება უნდა და არავითარი ღონე არა აქვს. იქნება, მოუხერხოთ, რომ მისცენ სტიპენდია. გეფიცებით, რომ ის ამის ღირსია. სახელად პოლინა დავარქვი, კიტა აბაშიძის დის სახელი, რომელიც მე ძალიან მიყვარდა. იქნებ, კიტამ რამე მოუხერხოს. არაფერი მიზეზი არ აქვთ, რომ უარი უთხრან. ისე ჩათვალეთ, თითქოს მე გენახოთ. ყველა ის, ვინც მე მიყვარს და თანამიგრძნობს, მისთვის საყვარელი და პატივსაცემია. დედამისი ჩემი უკეთესი მეგობარია, რომელმაც იცის ისე, როგორც არავინ, მთელი ჩემი თავგადასავალი და ტანჯვა-წამება.

ჩემი რეფერატის გამოგზავნა ძრიელ გულით მინდა და არ ვიცი როგორ მოვახერხო. გრძელია. შევუდგები ამოწერას და ყოველ კვირა მოგაწოდებთ. სათაური ასეთია: „La pronostic sociale en rapport avec marxisme[4]".

თქვენი კატო მიქელაძე

---

4 „სოციალური პროგნოზირება მარქსიზმთან მიმართებით".

ეკატერინე გაბაშვილს

6 იანვარი, 1918 წელი

დაესწარით მრავალ ახალ წელს ბედნიერად.

ჩვენო საამაყო დიდო დედავ, კატო!

თქვენი წერილი და მოთხრობა მივიღე დღეს. უკანასკნელი ჯერ არ გადამიკითხავს, მაგრამ ჩემთვის ესეც კმარა, რომ ეს თქვენი თხზულებაა. როცა თქვენს წერილს ვკითხულობდი, ვგრძნობდი, რომ რაღაც ღვთაებრივი ენერგია მემატებოდა, ჩიტივით შემაფრთხიალა და ისეთ სიმაღლეზე აღმიტაცა, რომ ჩემი თავი ქვეყნის მპყრობელი მეგონა, რომელსაც წინ ვერანაირი დაბრკოლება ვერ დამიმაგრდებოდა. იმერულ პირფერობათ არ ჩამომართვათ ეს ჩემი გულუბრყვილო აღსარება. ცოტა არ იყოს, ასეთს ბრალს ქართლელები ხშირად განურჩევლად გვდებენ ხოლმე იმერლებს და შეიძლება, ეგ იმის ბრალიც იყოს, რომ ჩვენში მეტი ენტუზიაზმია, რომლის დაფარვა არ გვიხერხდება მაშინ, როდესაც ქართლელები რუსთაველის გმირი ტარიელივით უდიდეს სიყვარულსაც მალავენ და ასეთს შემთხვევაში ის მოიგებს, ვინაც სადაც სჯობს, იქ ილაპარაკებს. განა ტყუილად უთქვამს დიდ მგოსანს: „ზოგან თქმა სჯობს უთქმელობას, ზოგან თქმითაც დაშავდების“.

მე ვფიქრობ, სრულიად უადგილოა გულჩახვეულობა და დუმილი იმ ადამიანის წინაშე, რომელიც ბავშვობიდან შორიდან მიყვარდა და დღეს, როცა მოწიფული ქალი ბრძოლის ველზე გამოვდივარ, რა უნდა იყოს იმაზე უკეთესი კმაყოფილება, როგორც თქვენი ჩვენი მიზნისადმი თანაგრძნობა ჩემთვის? მე ჩემმა კერძო ცხოვრებამ აშკარად დამანახვა, თუ როგორი უფსკრული ითხრება თანამედროვე ქალ-ვაჟთა სულიერ დამოკიდებულებაში. ვერავითარი ზემოდან ბოძებული უფლება ჩვენ ვერ გვიხსნის, თუ თვით ქალები არ მოვინდომებთ ჩვენი ადამიანური პიროვნების აღდგენას. გადახედეთ ჩვენს უბადურ ცხოვრებას, თუ რა ცოტა სჭირდებათ მამაკაცებს სახელისა და ავტორიტეტის მოსაპოვებლად და რა დიდი შრომა და ტანჯვა ქალებს, რომ უბრალო ყურადღება მიიქციონ. ჩვენ უნდა შევქმნათ ატმოსფერო ქალთა შემოქმედურ ძალთა და აქტიურობის ასაღიარებლათ და ეს მოხდება მაშინ, როდესაც ქალები დაისწავლიან თავისი თავისა და ერთმანეთის პატივისცემას, რომელსაც მისცემს მათ საზოგადოებრივი ცხოვრება. ის, ვინც დღეს იძახის

„სწორუფლიანი ვართო“, მას არასოდეს არ განუცდია სულიერი ტანჯვა თავისი უუფლებო მდგომარეობისა.

მახსენდება 1913 წელს ანკეტა პარიზში ჟურნალისტების მიერ გამართული, რომელითაც სურდათ გაეგოთ, თუ რა აზრისანი იყვნენ გამოჩენილი ქალები საფრანგეთისა ქალთა სწორუფლიანობისადმი და რამდენი იყო მომხრე სუფრაჟისტული მოძრაობისა. ყველა ამ ქალების სურათები მოთავსებული იყო გაზეთში, რომელთა შორის ერია ერთი მარკიზის ცოლი, შესანიშნავი ლამაზი ქალი, რომელიც ამბობდა: მე რომ დარწმუნებული ვიყო, რომ ყველა ქალები ჩემებრ ბედნიერი არიან, არასოდეს ქალთა უფლებას არ დავიცავდიო, მაგრამ რადგან ვიცი, ჩემი თავი გამონაკლისია, ამისათვის მომხრე ვარ ქალთა სწორუფლიანობისაო.

საუბედუროთ, ჩვენში არათუ ასეთი იშვიათი ბედნიერი, არამედ უბრალოდ უზრუნველყოფილი ქალები არ იხედებიან უმრავლესობის ტანჯვაში. რა უნდა იყოს იმ თავისმოყვარე დედაკაცის ცხოვრება და როგორ უნდა შეურიგდეს ის იმ საზოგადო სიავეს, როცა თვალით ხედავს თავისი სქესის გათახსირებას, როცა იცის, რომ იმ საზოგადოებაში, რომელსაც ის ეკუთვნის, თეთრი მონებით ვაჭრობენ, რომელთაც ადევთ ისეთივე ფასი, როგორც რომელიმე საქონელს. პროსტიტუცია ისტორიულად არ არსებობდა საქართველოში და დღევანდელს ქართველ ქალებს იმდენი თავმოყვარეობა ვერ გამოუჩენიათ, რომ ამ გარედან შემოტანილ მანკიერებას შეებრძოლონ შეერთებული ძალით და მოიპოვონ მოსპობა მისი რეგლამენტაციისა საქართველოს მიდამოში.

ჩემი მანდ გადმოსვლა დამოკიდებულია მასზე, თუ მანდაური ქალები ტექნიკურად საქმეს მოაწყობენ. თუ იშოვნიან ბინას რედაქციისთვის, ქაღალდს, სტამბას და ასოთამწყობს. მე აქ მარტოთ მარტო ყველაფერი ეს მოვანყვე. ერთობა არც აქაურ ქალებსა აქვთ. ის ქალები, რომელთაც თავისი ქმრების მდგომარეობით კარიერა შეუქმნიათ, თავს არ იტკიებენ ქალთა საკითხებზე. ასე რომ, უფრო მეტი ხელის შემშლელი გვყავს, ვიდრე დამხმარე, მაგრამ ყველა ესენი ცალცალკე ისე დავირეკე, რომ სამუშაო გზა გავწმინდე და დღეს, როგორც ვატყობ, შემოერთების სურვილიც აქვთ, თუმცა ჯინს მთლად ვერ იტეხენ. მანდ მე უფრო უცხო ვარ, არც მუშებში მყავს ნაცნობები და არც სტამბაში. თუ ითავებენ და მოაწყობენ ამ საქმეს, მე აქ ისე დავაყენებ ჩვენს ორგანიზაციას, რომ უჩემოთ არსებობა შეეძლოთ და ჩამოვალ. მხოლოდ რედაქციის გარშემო უნდა შეიკრიბოს იდეური ქალები, რომელთაც ერთი მეორისათავის ხორცის მოჭრა არ ეზარებოდეს. ჩვენ უნდა შევქმნათ ნამდვილი სულიერი კავშირი, რომ არავითარმა წინააღმდეგობამ არ შეგვაშინოს და არ

გაგვაცალკევოს. არცერთი პასიური და გამოურკვეველი ადამიანი არ უნდა იყოს სარედაქციო კოლეგიაში. საჭირო არ არის სიმრავლე რიცხვისა, ძალა ღირსებებშია და არა რიცხვში. პირველი ქრისტიანები 12 კაცი იყო და მარტო მსოფლიო არ გადატრიალდება. საჭიროა სულიერი ენერგიის სიძლიერე და თუ ასეთები ექვსიდან ათამდე ვიქნებით, ბევრს გავაკეთებთ. მანდაური ქალების უმადურობა ის არის, რომ სათავეში ყოვლად მოუხერხებელი და უფლებრივათ შეუგნებელი ქალები უდგანან.

ძრიელ კარგი საქმეა კონგრესის მოწვევა. ასე თუ ისე, მაინც გამოფხიზლდებიან ქალები! რა უყოთ, რომ შეცდომები დაუშვან? ის არ ცდება, ვინც არაფერს არ აკეთებს. საქმე თანდათანობით დაასწავლით. ქალები თავდაპირველად გაბედულობას უნდა მიეჩვიონ, რომ თავისი სიტყვის გამოთქმის არ ეშინოდეთ და თავის ჭირ-ვარამისა. საჭიროა საგუბერნიო ქალთა კავშირის მოწყობა, რომელსაც ექნება დიდი წარმომადგენლობითი მნიშვნელობა, თუ რომ კარგი ხელმძღვანელი ეყოლა. მე აქ ვფიქრობ მოვაწყო იგი, მაგრამ ეგ უგზოობა და გზაზე გაჭივრება ხელს მიშლის, რომ ვიმოგზაურო.

თქვენ წერილში ერთი დიდი ირონიაა და ეს უთუოთ მისთვის, რომ არ ფიქრობდით „პირველი რედაქტორი" ისეთი მოუცლელი არასოდეს არ იქნება, რომ თქვენი წერილის (რაც არ უნდა გრძელი არ ყოფილიყო ის) წასაკითხათ ვერ მოეცალა.

ტანმრთელობის მხრივ ვერას დავიკვეხნი. არ ვარ ჯანსაღი და ეს ჩემს სულიერ მარტოობაში და იმ მწვავე ბრძოლაში, რაც მე ჩემს სამასწავლო გზაზე გადამაწყდა, არც გასაკვირია. ღარიბ ადამიანს გზის გასაკაფათ წელმოღუნული სიარული უხდება. ასეთს ხოხვას ჩემი თავმოყვარეობა ვერასოდეს ვერ შეეჩვია და იმ ზღუდეს, რომელიც წინ მეღობებოდა, მკერდით ვაპობდი, რომელზედაც როგორც სისხლი, ისე მრავალი ჩემი ცრემლი დამიფრქვევია. მაგრამ ჩემს ტანმრთელობაზე ისე ცოტას ვფიქრობ, რომ სანამ სიცხე ლოგინში არ ჩამაგდებს, თავი ყოველთვის ჯანსაღად მიმაჩნია. თქვენ სისტემატურად გიგზავნით ჩვენს გაზეთს. ნუთუ არ ღებულობთ?

როდის იქნება საჭირო ჩემი ჩამოსვლა, ერთი კვირის წინათ მაცნობოს ნინა რცხილაძემ.

თქვენი გულითადი პატივისმცემელი კატო მიქელაძე.

ბევრს გაკოცებთ.

ეკატერინე გაბაშვილს

1 აპრილი, 1926 წელი

ძვირფასო კატო!

თქვენთან დიდათ დამნაშავე ვარ, რომ ამდენს ხანს არ გიპასუხეთ წერილზე, მაგრამ ჩემი მდგომარეობა რომ იცოდეთ, არ გამამტყუნებდით. დილიდან საღამომდე დავრბივარ, რომ რაიმე ადგილი ხელში მოვიგდო. ეხლა, მგონი, მივაღწიე მიზანს და შედარებით უფრო დამშვიდებული ვარ. პირველს თქვენს თხოვნაზე, რომ მე ვითომ საქართველოში ქალთა მოძრაობის შესახებ რამე ნაწარმოები მქონდეს, ეს მართალი არ არის და თქვენ შეცდომაში შეუყვანიხართ. მე მაქვს სალექციოთ მომზადებული „ქართველი ქალის სოციალური მდგომარეობა ძველსა და ახალ საქართველოში", რომელიც ქალთა მოძრაობას სრულიადაც არ შეეხება. რაც შეეხება მეორე საკითხს, თუ რისთვის არა ვარ მე თქვენს მიერ აღნიშნულს ჯგუფთან, ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. რომ ეს ჯგუფი არა სდგას დღევანდელი მომენტის შესაფერის ნიადაგზე, ამას თქვენც უნდა ხედავდეთ. მე არ მიყვარს უმიზნოთ საქმეში ჩარევა. ამისათვის დღეს შეიძლება ჩემი სახელი ყველაზე უფრო მკრთალად გამოსჭვივოდეს, რომელზედაც გული სრულიად აღარ მწყდება. წერა მისთვის, რომ წერა ვიცით, ან ლაპარაკი მისთვის, რომ ენა მიჭრის, ეს ერთგვარი მეტიჩრობაა. მე ჩვენი ქალები ყველანი სათითაოთ მიყვარს. ის პირნიც კი, რომელთანაც მე პირადათ უსიამოვნება მაქვს. მიუხედავათ ამისა, მე მათთან მუშაობა არ შემიძლია. არ შემიძლია მისთვის, რომ არცერთი მათგანი არც გულისწვას და არც ინტერესს არ იჩენს ნახევარი კაცობრიობის ადამიანური ღირსებისა და ცხოვრებისადმი. ეს ჯგუფი ლაპარაკობს, რომ ის პოლიტიკის გარეშე სდგას და ემსახურება მხოლოდ წმინდა ხელოვნებას და რომ ავიღოთ ეგ წმინდა ხელოვნური ნაწარმოები, იქ სანუგეშოს ქალთათვის ვერას დავინახავთ. ისევ ის ძველი დახავსებული გემოვნება, ისევ ის ბარბაროსული დამოკიდებულება სქესთა შორის და განცდები, რომელიც აგრე უხვათ არის სხვა ნაწარმოებში. განა ხელოვნურათ არ შეიძლება გამოიხატოს ის, რაც გულით გწადია და რასაც ელტვი? მე მგონია, რომ ეს ძალიან ადვილი საქმეა როგორც პროზისათვის, ისე პოეზიისათვის, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩვენი ქალები ამაზე არცა ფიქრობენ! ჩვენი ქალები უფრო იმაზე ფიქრობენ, რომ მამაკაცებს მოაწონონ თავიანთი ნაწარმოები. ეშინიათ კრიტიკის, ეშინიათ თვით მათი

უარყოფითი აზრის. ასეთი მხდალი რაზმი ბრძოლისათვის არ გამოდგება და მე არ მინდა გავერიო მათში მხოლოდ დისონანსის შესატანათ იმ დროს, როცა ვიცი, საქმით ვერას გავხდები. მანდ არც დაჯერება და არც პიროვნული პატივისცემა არ არსებობს. მაგენი იმასაც ვერ ამჩნევენ, თუ ჩემი სახელი რამდენათ აშინებთ და ზიზღსა გვრის ქალთა უფლების მოძულე მწერალს და არამწერალ მამლებს. ჩვენი ქალები ამ ვაჟბატონებს უფრო მეტად ანგარიშს უწევენ, ვიდრე მე. ამას მე ვხსნი მაგათი მოუმზადებლობით და ჩამორჩენილობით. მარტო ერთი უმიზნო ფაფხურით არაფერი გამოვა, თუ თავს იმით არ ვინუგეშებთ, რომ ტყვილა ჯდომას ტყვილა შრომა სჯობსო.

თქვენი პატივისმცემელი კატო მიქელაძე

ნინო ნაკაშიძეს

24 თებერვალი, 1936 წელი

ამხანაგო და მეგობარო ნინო!

მე სრული თანახმა ვარ და სწორედ დროულად მიმაჩნია, რომ მწერალთა კავშირის გამგეობას გამოუცხადოთ ჩვენი პროტესტი ქალთა განდევნისათვის კავშირიდან. დავწერე კიდეც, მაგრამ, ვგონებ, ეს უტაკტო საყვედური იქნებოდა და შეიძლება კიდევ უფრო გაემწვავებინა ჩვენი საქმე. მით უფრო, რომ არ ვიცი ზედმიწევნით რა საბუთით მოხდა განდევნა წევრი ქალებისა.

მე, ვგონებ, შენ უფრო უკეთესი პოლიტიკოსი ხარ ჩემზე და უფრო მოხერხებით დასტყუებ ვეშაპებს ქალთა ამნისტიას და ახალგაზრდა მწერალ ქალთა მოწვევას მწერალთა კავშირში 8 მარტის პატივსაცემლათ.

შენი აზრი არ ვიცი, როგორ უყურებ ამ აზრს? ნინო (ტყეშელაშვილი) ამბობს, რომ თანაუგრძნობ. თუ ეგრეა, შენ გეკუთვნის შუაკაცობა და აბა, გაისარჯე და დატრიალდი. ჯერ ვთხოვოთ მოწიწებით და თუ გაჭირვეულდებიან, მაშინ ომი გამოუცხადოთ.

მაცნობე შენი გადაწყვეტილება. მინდოდა გხლებოდი და გოგებაშვილის სახელობის პატივისცემის ამბავიც შემეტყო, მაგრამ დაპირებული ვარ სხვასთან წასვლას. თუ საჭირო იქნება, მიბრძანე და გეახლები.

შენი კატო მიქელაძე



კატო მიქელაძე, 1930-იანი წლები

განმარტებები

„ბრძოლა" – პირველი არალეგალური მარქსისტული გაზეთი საქართველოში, ქართველ სოციალ-დემოკრატების ორგანო. გამოდიოდა 1901 -1902 წლებში, იბეჭდებოდ ბაქოს არალეგალურ სტამბაში. გაზეთის დაარსებაში სხვა რევოლუციონერებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო სტალინმაც. 1903 წელს კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველი ყრილობის გადაწყვეტილებით, „ბრძოლა" და გაზეთი „პროლეტარიატი" ერთ ორგანოდ – „პროლეტარიატის ბრძოლად" გაერთიანდა.

გაბაშვილი ეკატერინე (1851-1938) – მწერალი, ფემინისტი, საზოგადო მოღვაწე. ხანგრძლივ პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" გამგეობის წევრი, ქალთა პროფესიული სკოლის ხელმძღვანელი, ქალთა წრეების და მისი რეგიონული ფილიალების შექმნის ინიციატორი. თავისი აქტიური საზოგადოებრივი და ლიტერატურული ცხოვრებით მუდმივად ხელს უწყობდა თანასწორობის იდეის გავრცელებას, ქალთა თვითგამორკვევასა და ემანსიპაციას.

გარიყული მარიამ (1883-1960) – ქართველი მწერალი, საზოგადო მოღვაწე. კატო მიქელაძის ახლო მეგობარი. 1912 წლიდან მისი ნაწერები იბეჭდებოდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, მათ შორის გაზეთში „ხმა ქართველი ქალისა". წერდა რომანებს, თანამშრომლობდა საბავშვო ჟურნალ-გაზეთებთან. ეკუთვნის მემუარული ჟანრის ნაწარმოები „განვლილი გზა", რომელიც ავტორის ცხოვრებასთან ერთად, არაერთ საინტერესო ლიტერატურულ და საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტს მოიცავს, მათ შორის, კატო მიქელაძის.

მგელაძე საფო (1894-1936) – პოეტი, მწერალი, კატო მიქელაძის ახლო მეგობარი და თანამგზავრი. საფო მგელაძე, როგორც ავტორი, კატო მიქელაძემ აღმოაჩინა, როცა მისი ნაწარმოებები გაზეთში „ხმა ქართველი ქალისა" დაბეჭდა. შემდგომში მწერალი აქტიურად იბეჭდებოდა სხვადასხვა პერიოდიკაში. თავის შემოქმედებაში ხშირად ეხებოდა ქალის ინდივიდუალური თავისუფლების, თვითგამოხატვის და სუბიექტურობის იდეებს. არის არაერთი ლექსის, მოთხრობის და სამი რომანის ავტორი.

მელიქიშვილი ეკატერინე (კეკე) (1854-1928) – ფემინისტი, მთარგმნელი, ფილანთროპი, საგამომცემლო საქმიანობის ერთ-ერთი ფუძემდებე-

ლი საქართველოში, კატო მიქელაძის ახლო მეგობარი. იგი იყო ერთ-ერთი პირველი ქართველი, რომელმაც უმაღლესი განათლება შვეიცარიაში მიიღო. ეკატერინე იყო ქალთა სკოლის (1902 წ.) დამაარსებელი და სხვადასხვა საგანმანათლებლო საზოგადოებების აქტიური წევრი.

ნაკაშიძე ნინო (1872-1963) – მწერალი, საზოგადო მოღვაწე. ახალგაზრდობიდანვე იყო ჩაბმული რევოლუციურ აქტივიზმში, რის გამოც ხშირად იდევნებოდა. მონაწილეობდა 1905-1907 წლების რევოლუციაში, რისთვისაც გადაასახლეს კიდეც. საქართველოში დაბრუნების შემდეგ აქტიურად ჩაერთო სამწერლო და ჟურნალისტურ საქმიანობაში. 1910 წლიდან იყო ჟურნალ „ნაკადულის" რედაქტორი, კავკასიელ ქალთა საზოგადოების" თავმჯდომარე, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" გამგეობის წევრი, ასევე საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს წევრი.

მესამედასელები – პირველი მარქსისტული ჯგუფი საქართველოსა და ამიერკავკასიაში. შეიქმნა ეგნატე ნინოშვილისა და მიხა ცხაკაიას ინიციატივით (1892) ზესტაფონში გამართულ მარქსისტულად განწყობილ ინტელიგენტთა კრებაზე. მესამედასელები თავიანთი შეხედულებების პროპაგანდას ძირითადად გაზეთი „კვალის" საშუალებით ეწეოდნენ. 1896 წ. სოციალ-დემოკრატიული პარტია „მესამე დასის" საფუძველზე ჩამოყალიბდა.

ჟორდანია ნოე (1869-1953) – პოლიტიკოსი, მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) მთავრობის თავმჯდომარე, საქართველოში პირველი სოციალისტური ჯგუფის „მესამე დასის" ერთ-ერთი დამფუძნებელი. 1900-იანი წლების დასაწყისიდან გახდა კავკასიის მენშევიკების ლიდერი. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ აირჩიეს თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარედ. 1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჟორდანია დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხვა წევრებთან ერთად გადასახლდა საფრანგეთში პოლიტიკურ ემიგრაციაში.

რობაქიძე გრიგოლ (1882-1962) – მწერალი, პუბლიცისტი, ავანგარდულ-სიმბოლისტური შემოქმედებითი ორდენის „ცისფერი ყანწების" ერთ-ერთი დამაარსებელი. მისი აქტიური მონაწილეობით დაარსდა სა-

ქართველოს მწერალთა კავშირი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში პოლიტიკური და სამოქალაქო აქტივიზმის გამო იდევნებოდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ. 1931 წლიდან გარდაცვალებამდე იყო პოლიტიკური ემიგრანტი. სიმპათიით იყო განწყობილი ნაცისტური გერმანიის და მისი იდეოლოგიის მიმართ.

სოციალ-დემოკრატიული პარტია – წამყვანი პოლიტიკური პარტია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებაში სოციალ-დემოკრატები შეადგენდნენ უმრავლესობას. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ (1921-1926) პარტია ეწეოდა აქტიურ იატაკქვეშა ანტიბოლშევიკურ საქმიანობას, მონაწილეობდა 1924 წლის აჯანყების მომზადებაში.

სოციალისტ-რევოლუციონერები (ესერები) – ნაროდნიკულ მოძრაობაზე აღმოცენებული პარტია. ესერები საქართველოში გაჩნდნენ 1901 წლიდან, ძირითადად სოციალ-ფედერალისტურ პარტიასთან ბლოკში გამოდიოდნენ. ესერებს თავისი ფრაქცია ჰყავდათ ამიერკავკასიის სეიმში, ქართულ ეროვნულ პარლამენტსა და დამფუძნებელ კრებაში.

ტყეშელაშვილი ნინო (1874-1956) – საზოგადო მოღვაწე. თბილისის ქალთა წრის აქტიური წევრი, ქალთა თანასწორობისთვის მებრძოლი, „კავკასიელ ქალთა საზოგადოების" შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი.

ქალი დეპუტატები – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების ქალი დეპუტატები იყვნენ: ელეონორა ტერ-ფერსაგოვა-მახვილაძე, ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძე, მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე, ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძე, ანნა (ოლა) სოლოღაშვილი. ყველა მათგანი სოციალ-დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენდა.

ჩხენკელი აკაკი (1874-1959) – პოლიტიკური მოღვაწე, იურისტი და პუბლიცისტი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, მენშევიკთა ერთ-ერთი ლიდერი საქართველოში. იყო ამიერკავკასიის დროებითი მთავრობის წარმომადგენელი (1917), საქართველოს ეროვნული საბჭოს (1917-1918), საქართველოს დამფუძნებელი კრების (1917-1921) წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი (1918-1921). საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ემიგრირდა საფრანგეთში.

ცისფერყანწელები – ქართველ სიმბოლისტ მწერალთა და პოეტთა ავანგარდული შემოქმედებითი გაერთიანება. დაარსდა ქუთაისში 1916 წელს. გაერთიანებამ სახელწოდება მიიღო თავისი პირველი ბეჭდური გამოცემისგან „ცისფერი ყანწები“. 1918 წლიდან „ცისფერმა ყანწებმა“ თბილისში გადაინაცვლა. ორდენს ჰქონდა სხვა არაერთი გამოცემა: „მეოცნებე ნიამორები“, „ბარიკადი“, „მშვილდოსანი“ და სხვა. გაერთიანებამ 1930-იან წლებამდე იარსება. ორდენის წევრთა უმრავლესობა სტალინური რეპრესიების მსხვერპლი გახდა.

თამთა მელაშვილი (1979) – გენდერის მკვლევარი, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის მაგისტრანტი (2008), ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს სტიპენდიანტი (2009). მუშაობს გენდერისა და მიგრაციის, ლგბტ იდენტობების, საქართველოში ფემინიზმისა და ქალთა აქტივიზმის ისტორიაზე.

დიზაინი/დაკაბადონება: თორნიკე ლორთქიფანიძე
რედაქტორი: ნინო ბექიშვილი
კორექტორი: ნინო საითიძე
დაბეჭდილია: შპს „ფავორიტი სტილი“

ISBN 978-9941-0-6201-8

